

სამართლის დოქტორი  
გიორგი გ. თუმანიშვილი

ს ა ქ ო რ წ ი ნ ო კ ო ნ ტ რ ა ქ ტ ი

მონოგრაფია

თბილისი  
2010

წინამდებარე ნაშრომი ეძღვნება საქორწინო კონტრაქტის ინსტიტუტს. მასში განხილულია საქორწინო კონტრაქტის ძირითადი პრობლემატური საკითხები, როგორც საქართველოს კანონმდებლობაში და პრაქტიკაში, ისე მრავალი უცხო ქვეყნის ნორმატიულ აქტებსა და პრაქტიკაში.

ნაშრომი თავის მხრივ ასახავს 2009 წლის 25 ივლისის ავტორის მიერ, თბილისის ჰუმანიტარულ უნივერსიტეტში დაცული სადოქტორო დისერტაციის ძირითად შედეგებს. იგი გადამუშავებული სახით წარმოდგენილია მონოგრაფიაში, რომლის ძირითადი მიზანია გააცნოს მკითხველს საქორწინო კონტრაქტთან მიმართებაში სხვადასხვა ქვეყანაში დაგროვებული დოქტრინალური და პრაქტიკული ღირებულებისა და მნიშვნელობის ინფორმაცია, ასევე ავტორისეული ხედვა.

ნაშრომის გაცნობის შემდეგ მკითხველს შეეძლება შეადგინოს მისთვის სასურველი საქორწინო კონტრაქტი. მას ექნება, როგორც თეორიული ისე პრაქტიკული ცოდნა საქორწინო კონტრაქტთან, მის არსსა და ბუნებასთან, შემადგენელ ნაწილებთან და მრავალ სხვა საკითხთან დაკავშირებით, რომელიც გამომდინარეობს საქორწინო კონტრაქტის კომპლექსური შესწავლიდან და მის შედარებით სამართლებრივ ანალიზიდან.

ნაშრომი განკუთვნილია მკითხველის ფართო წრისათვის, იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის, ლექტორებისათვის, პრაქტიკოსი იურისტებისათვის და სხვა დაინტერესებული მკითხველისათვის

**ავტორი:** გიორგი გ. თუმანიშვილი - სამართლის დოქტორი,

**რედაქტორი:** ზვიად გაბისონია - სამართლის დოქტორი

## რედაქტორისაგან

საერთაშორისო საოჯახო სამართალი საერთაშორისო კერძო სამართლის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ქვედარგია. აღნიშნულს ადასტურებს როგორც ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის მაღალგანვითარებული სამართლის მქონე ქვეყნების, ასევე პოსტსოციალისტური სახელმწიფოების სასამართლო პრაქტიკა.

ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირის დაშლამ, სერიოზული მასშტაბების მიგრაციას შეუწყო ხელი. სამუშაოსა თუ “ბედნიერების” მაძებარი ადამიანების ნაკადები დაიდრნენ ევროპისა თუ ამერიკის სხვადასხვა ქვეყნებისაკენ. აღნიშნულ ქვეყნებში ბევრი მათგანი ტრეფიკინგის მსხვერპლი გახდა, ნაწილმა კი შეძლო მისი წილი ბედნიერება ეპოვნა.

სწორედ აქედან იწყება საქართველოს მოქალაქეებისთვის კოლიზიურ საოჯახო სამართლებრივ ურთიერთობებში ჩართულობა. საქართველოს მრავალი მოქალაქე ქორწინდება და განქორწინდება უცხო ქვეყნის მოქალაქეებთან. ხშირია დავები მათ შორის ქონების გაყოფისა და შვილებთან დაკავშირებული საკითხების გასარკვევად. დღეისათვის საქართველოს სასამართლოებსაც ხშირად უხდებათ “უცხო ელემენტის მატარებელ” მეუღლეთა შორის საოჯახო სამართლებრივი დავების განხილვა-გადაწყვეტა.

გიორგი თუმანიშვილის მონოგრაფია “საქორწინო კონტრაქტი” შეეხება საერთაშორისო საოჯახო სამართლის უმნიშვნელოვანეს პრობლემას – მეუღლეთა შორის საქორწინო კონტრაქტის გაფორმებასა და მისგან გამომდინარე ქონებრივი საკითხების განაწილების საკითხებს. აღნიშნული პრობლემის შესწავლას ავტორმა დაახლოებით 8 წელი დაუთმო. მე მქონდა პატივი ვყოფილიყავი ბატონი გიორგი თუმანიშვილის სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერ-ხელმძღვანელი და თამამად შემიძლია აღვნიშნო, რომ წარმოდგენილი მონოგრაფია, რომელიც სადისერტაციო ნაშრომის გაფართოებულ ვარიანტს წარმოადგენს, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოკვლევა თანამედროვე ქართულ სამართალში.

---

© გიორგი გ. თუმანიშვილი, 2010  
საქორწინო კონტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის არც ერთი ნაწილი, არანაირი მიზეზით, არ შეიძლება კვლავწარმოებული (რეპროდუცირებული) იყოს ნებისმიერი ფორმით და ხერხით - იქნება ეს ელექტრონული თუ მაგნიტური, ციფრული თუ ფოტოკოპირებული ან სხვა საშუალებით, საავტორო უფლების მფლობელის წერილობითი თანხმობის ან/და სათანადო წესით განხორციელებული მითითების გარეშე.

სამწუხაროდ, საქართველო არ არის განებივრებული საერთაშორისო კერძო სამართლის სფეროში მონოგრაფიებითა და სამეცნიერო გამოკვლევებით. ამიტომ, ვფიქრობ, რომ წინამდებარე მონოგრაფია დიდ ინტერესს გამოიწვევს ქართული საერთაშორისო საოჯახო სამართლის შესწავლით დაინტერესებული მკითხველისადმი.

ზვიად გაბისონია

სტუ სამოქალაქო, ევროპული და საერთაშორისო  
კერძო სამართლის საპროფესორის ხელმძღვანელი,  
სამართლის დოქტორი, სრული პროფესორი  
კავკასიის სამართლის სკოლის სრული პროფესორი

### ავტორისაგან

წინამდებარე მონოგრაფია იქმნებოდა ათი წლის მანძილზე 1999-2009 წწ. თემა, რომელსაც იგი ეძღვნება არის მეტად საინტერესო, ახალი და სიღრმისეულად არასაკმარისად შესწავლილი დღევანდელ ქართულ იურიდიულ მეცნიერებაში. საინტერესოა, რომ საქორწინო კონტრაქტის თემა, ახალი და ნოვატორული არის და იყო, როგორც 1999 წელს, ისე 2009 წელსაც მას არ დაუკარგავს არც სიახლე და არც მეცნიერულ-პრაქტიკული ხიზლი.

ამ ათი წლის განმავლობაში საშუალება მქონდა დეტალურად შემესწავლა პრაქტიკულად ყველა საქორწინო კონტრაქტი, რომელიც საქართველოში იდებოდა. განმეხორციელებინა არაერთი სოციოლოგიური კვლევა, იმისათვის, რომ მიმეღო პასუხები ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიც არის საქორწინო კონტრაქტის საქართველოში დამკვიდრების ხელისშემშლელი ფაქტორები და საქორწინო კონტრაქტის ფსიქოლოგიური აღქმის თავისებურებანი.

კვლევის დროს აღმოჩნდა, რომ საქართველოში დადებულ საქორწინო კონტრაქტთა უმრავლეს შემთხვევაში, კონტრაქტის ერთ-ერთი მხარე არის უცხო ქვეყნის მოქალაქე (შერეული ქორწინება). ამ გარემოებამ გამოიწვია აუცილებლობა იმისა, რომ საქორწინო კონტრაქტი შემესწავლა სხვადასხვა ქვეყნის სამოქალაქო კანონმდებლობის შედარებით-სამართლებრივი ანალიზის მეშვეობით. ამავდროულად შერეულ ქორწინებებში არსებული ურთიერთობები ხშირ შემთხვევაში თავისი ბუნებით „უცხო ელემენტის“ მატარებლები არიან, რაც უკვე მოითხოვს ამ ურთიერთობის მიმართ საერთაშორისო კერძო სამართლებრივ რეგულირებას. ამგვარად ნაშრომზე მუშაობისას საქორწინო კონტრაქტი განხილული და გაანალიზებულია, როგორც საქართველოს სამოქალაქო კოდექსისა და უცხო ქვეყნების სამოქალაქო კანონმდებლობის შედარების საფუძველზე, ისე მთელი რიგი საერთაშორისო კერძო სამართლებრივი ნორმატიული აქტების შედარების და ანალიზის საფუძველზე, ასევე სხვადასხვა ქვეყანაში დაგროვებული დოქტრინალური და პრაქტიკული ცოდნის საფუძველზე.

---

© გიორგი გ. თუმანიშვილი, 2010  
საქორწინო კონტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის არც ერთი ნაწილი, არანაირი მიზეზით, არ შეიძლება კვლავწარმოებული (რეპროდუცირებული) იყოს ნებისმიერი ფორმით და ხერხით - იქნება ეს ელექტრონული თუ მაგნიტური, ციფრული თუ ფოტოკოპირებული ან სხვა საშუალებით, საავტორო უფლების მფლობელის წერილობითი თანხმობის ან/და სათანადო წესით გახორციელებული მითითების გარეშე.

შესაძლებელია ნაშრომი ოდნავ რთული წასაკითხი იყოს არაიურისტი მკითხველისათვის, ვინაიდან იგი უფრო სამეცნიერო ხასიათისაა ვიდრე პოპულარული, რაც განპირობებულია იმით, რომ ნაშრომი ძირითადად ასახავს სხვადასხვა სამართლებრივი კატეგორიებით მსჯელობას, რისი მიზანიც არის კონკრეტული სამეცნიერო შედეგების მიღება.

ვფიქრობ ახლო მომავალში მონოგრაფიის საკითხის ირგვლივ სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომის შექმნას, რომლის ძირითადი მიზანიც იქნება საქორწინო კონტრაქტის არსისა და ბუნების, მისი შედგენის სპეციფიურობისა და ტექნიკის ელემენტების ფართო საზოგადოებისთვის და შესაბამისად დაინტერესებული მკითხველისათვის გაცნობა.

წინამდებარე მონოგრაფიაში არის ასევე პრაქტიკული ხასიათის რეკომენდაციები მათთვის, ვინც მუშაობს საოჯახო სამართლის სფეროში, პრაქტიკოსი იურისტებისათვის, ლექტორებისათვის და სტუდენტებისათვის, უბრალოდ იმ ადამიანებისთვის, ვისაც სურს გაიგოს მეტი საქორწინო კონტრაქტის შესახებ და თუნდაც დამოუკიდებლად შეძლოს მისი შედგენა.

მოკრძალებით ვიტოვებ იმედს, რომ ეს მონოგრაფია შეიტანს თავის თუნდაც მცირედ წვლილს ქართული იურიდიული მეცნიერების განვითარებაში და დადებითად წაადგება, როგორც მეცნიერებას, ისე ჩვეულებრივ ადამიანებს, ვისი კეთილდღეობისთვისაც არის მიმართული ნებისმიერი სიახლე, როგორც მეცნიერებაში, ისე ჩვეულებრივ ყოფით ცხოვრებაში.

მკითხველს ვუსურვებ წარმატებას, დღეგრძელობას და ბედნიერებას!  
პატივისცემით, სამართლის დოქტორი - გიორგი გ. თუმანიშვილი  
თბილისი, 2010წ.

## პ ი რ ვ ე ლ ი თ ა ვ ი

საქორწინო კონტრაქტის ინსტიტუტი, როგორც  
სამართლებრივი და სოციალურ ფსიქოლოგიური  
ფენომენი

---

© გიორგი გ. თუმანიშვილი, 2010  
საქორწინო კონტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის არც ერთი ნაწილი, არანაირი მიზეზით, არ შეიძლება კვლავწარმოებული (რეპროდუცირებული) იყოს ნებისმიერი ფორმით და ხერხით - იქნება ეს ელექტრონული თუ მაგნიტური, ციფრული თუ ფოტოკოპირებული ან სხვა საშუალებით, საავტორო უფლების მფლობელის წერილობითი თანხმობის ან/და სათანადო წესით განხორციელებული მითითების გარეშე.

---

© გიორგი გ. თუმანიშვილი, 2010  
საქორწინო კონტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის არც ერთი ნაწილი, არანაირი მიზეზით, არ შეიძლება კვლავწარმოებული (რეპროდუცირებული) იყოს ნებისმიერი ფორმით და ხერხით - იქნება ეს ელექტრონული თუ მაგნიტური, ციფრული თუ ფოტოკოპირებული ან სხვა საშუალებით, საავტორო უფლების მფლობელის წერილობითი თანხმობის ან/და სათანადო წესით განხორციელებული მითითების გარეშე.



## შესავალი

წინამდებარე ნაშრომის პირველი თავი შედგება შესავლისა და ექვსი პარაგრაფისაგან.

კვლევა-ძიების ძირითადი საკითხები, რომელსაც ეძღვნება პირველი თავი არის საქორწინო კონტრაქტის წარმოშობის, მისი პარამეტრიზაციის, საქორწინო კონტრაქტის ცნების განსაზღვრის, სამოქალაქო სამართლის სისტემაში მისი ადგილისა და საქართველოში დამკვიდრების საკითხები, აგრეთვე რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც უშუალო კავშირშია საქორწინო კონტრაქტის ინსტიტუტთან, კერძოდ: სამართლის დოქტრინები ქორწინების შესახებ და მეუღლეთა საკუთრების სამართლებრივი რეჟიმის სახეები. შესავალში აღნიშნულია ის საკითხები, რომელთა კვლევა-ძიება წარმოებს წინამდებარე ნაშრომის I-VI პარაგრაფებში.

**პირველ პარაგრაფში** განხილულია საქორწინო კონტრაქტი, როგორც სამართლებრივი ინსტიტუტი. დასმული საკითხი შესწავლილია სამართლებრივ და სოციალურ-ფსიქოლოგიურ რაკურსში. პარაგრაფში საქორწინო კონტრაქტი წარმოდგენილია როგორც სამართლებრივი და სოციალურ-ფსიქოლოგიური ფენომენი. საკითხი განხილულია კონკრეტულ ნორმატიულ მასალაზე და ავტორის მიერ ჩატარებულ კვლევებზე დაყდრნობით. განხილულია ქართველი იურისტების მოსაზრებანი საქორწინო კონტრაქტის არსთან დაკავშირებით. ასევე გაანალიზებულია ის სოციალური და ფსიქოლოგიური ფაქტორები, რომლებიც განაპირობებენ პირის დამოკიდებულებას საქორწინო კონტრაქტისადმი.

**მეორე პარაგრაფში** განხილულია საქორწინო კონტრაქტის პარამეტრიზაციის პრობლემა. პარაგრაფში ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგად შემუშავებულია საქორწინო კონტრაქტის ცნების ავტორისეული კონსტრუქცია. აღნიშნულია, რომ დღევანდელი მდგომარეობით მოქმედ ნორმატიულ აქტებში საქორწინო კონტრაქტის ცნება არ არის განსაზღვრული. ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგად ჩამოყალიბებულია საქორწინო კონტრაქტის შემადგენელი ელემენტების ავტორისეული ვარიანტი და შემოთავაზებულია საქორწინო კონტრაქტის, როგორც სამართლებრივი ცნების ისეთი ვერსია, რომელსაც გააჩნია

საქორწინო კონტრაქტის არსის განსაზღვრის შესაძლებლობა. იმისათვის, რომ მომავალში აღნიშნულმა ცნებამ თავისი ადგილი დაიმკვიდროს საკანონმდებლო დონეზე შემოთავაზებულია ასევე საქორწინო კონტრაქტის ცნების ნაწილებად დაყოფილი ვარიანტი.

**მეორე პარაგრაფი შედგება ორი ნაწილისაგან:**

**ნაწილი I - საქორწინო კონტრაქტი და სამოქალაქო სამართლებრივი ხელშეკრულება.**

ამ ნაწილში დეტალურად განხილულია საქორწინო კონტრაქტის ინსტიტუტის ადგილის საკითხი საქართველოს სამოქალაქო სამართლის სისტემაში. მიმოხილულია სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერთა მოსაზრებანი აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში და გამოტანილია შესაბამისი დასკვნები, რომლებიც ადაპტირებულნი და შესაბამისობაში მოყვანილნი არიან საქართველოს სამოქალაქო სამართლის სისტემის ფუძემდებლურ პრინციპებსა და დებულებებთან.

**ნაწილი II - საქორწინო კონტრაქტის ცნება - პარამეტრიზაციის პრობლემა**

ამ ნაწილში დეტალურად არის განხილული საქორწინო კონტრაქტის ინსტიტუტის სამართლის რიგით პირველი ნორმა, რომელიც თავისი შინაარსის მიხედვით უნდა იყოს დეფინიციური. გაანალიზებულია რა ზემოაღნიშნული სამართლის ნორმა შემოთავაზებულია ამ ნორმაში სათანადო საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება და ამ ცვლილებათა კონკრეტული რეკომენდაციები და ფორმულირებანი.

**მესამე პარაგრაფი** ეძღვნება საოჯახო სამართლებრივი ცნებების "ოჯახი" და "ქორწინება" არსობრივი და სამართლებრივი ასპექტების შესწავლასა და ანალიზს. ავტორის მიერ დაზუსტებულია ტერმინის „ოჯახი“ პირველად გამოყენების საკითხი და შემოთავაზებულია სიტყვა-ნიშანის „ქორწინება“ აზრობრივი, არსობრივი განსაზღვრებანი და ამ განსაზღვრებათა (თავისი თავის განმმარტავი) ფსიქო-სოციალური წარმომავლობის საფუძვლები.

**მეოთხე პარაგრაფში** განხილულია თანამედროვე მსოფლიოში არსებული დოქტრინები ქორწინების შესახებ. ავტორის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად შემოთავაზებულია საქართველოს სამოქალაქო სამართლისათვის მისაღები დოქტრინა. დღეისათვის არსებული

”ქორწინების” განსმარებელი დეფინიცია ავტორის მიერ მიჩნეულია არადამაკმაყოფილებლად და მის მიერ შემოთავაზებულია მისეული ხედვა ქორწინების, როგორც ხელშეკრულების, მისი არსის, მისი მხარეების და მონაწილე სუბიექტების შესახებ. ასევე ჩამოყალიბებულია ქორწინების ავტორისეული დეფინიცია.

**მეხუთე პარაგრაფი** ეძღვნება საქორწინო კონტრაქტის წარმოშობის, მისი პირველად გამოყენების საკითხებს. პარაგრაფში ჩატარებულია ისტორიულ-სამართლებრივ მასალაზე დაყდრნობით ფართო კვლევა (Vს. ჩვ.წალ-მდე – XXს). გაანალიზებულია არაერთი სამართლებრივი ძეგლი, რის შედეგადაც გაცემულია პასუხი ისეთ კონცეპტუალურ საკითხებზე, როგორიც არის: როდის იქნა პირველად დადებული საქორწინო კონტრაქტი და რომელ სახელმწიფოში იყო იგი დადებული (შედგენილი).

**მეექვსე პარაგრაფში** განხილულია მეუღლეთა არაქონებრივი და ქონებრივი (კანონით დადგენილი) ურთიერთობანი. აღნიშნული პარაგრაფი იყოფა ორ ნაწილად:

**ნაწილი I** პირადი ურთიერთობანი მეუღლეთა შორის;

**ნაწილი II** მეუღლეთა კანონით დადგენილი ქონებრივი უფლებები და მოვალეობები.

მეორე ნაწილში განხილულია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორიც გახლავთ მეუღლეთა საკუთრების სამართლებრივი რეჟიმი. ავტორი არ ეთანხმება თანამედროვე ქართველი ცივილისტების ზოგიერთ მოსაზრებას და ასაბუთებს მეუღლეთა საკუთრების სამართლებრივი რეჟიმების მისეული დაყოფის მართებულობას. ამ პარაგრაფში ავტორი ასევე ეხება მეუღლეთა საერთო საკუთრების განკარგვის საკითხს, მიიჩნევს რა მოქმედ კანონმდებლობას შეუთავსებელს საკონსტიტუციო და კერძო სამართლის პრინციპებთან, სთავაზობს კანონმდებელს სათანადო ცვლილებების შეტანას შესაბამის ნორმატიულ აქტებში.

პირველ თავს თან ახლავს მცირე დასკვნა, მის პარაგრაფებში განხორციელებული კვლევა-ძიების დროს მიღებული შედეგების ჩამონათვალით. აღნიშნული დასკვნა სრული სახით, მოცემულია ნაშრომის დასკვნით ნაწილში.

**§ I.****საქორწინო კონტრაქტის, როგორც სამართლებრივი ინსტიტუტი**

საქორწინო ხელშეკრულების (შემდგომში - საქორწინო კონტრაქტი) ინსტიტუტი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნოველაა, რომელმაც საქართველოს ნორმატიული აქტების სისტემაში 1997 წელს ახალი სამოქალაქო კოდექსის მიღებით დაიმკვიდრა თავისი ადგილი ქართულ საოჯახო სამართალში.

გაბედულ ნაბიჯად უნდა იქნას მიჩნეული ქართველი ცივილისტების გადაწყვეტილება ზემოხსენებული ინსტიტუტის სამოქალაქო სამართლის კოდექსში განთავსების შესახებ. უნდა ითქვას, რომ პოსტსაბჭოურ სივრცეში დსთ-ს ფარგლებში საქართველო ერთ-ერთი პირველი სახელმწიფო აღმოჩნდა, რომელმაც აღიარა და საკანონმდებლო დონეზე განამტკიცა საქორწინო კონტრაქტის ინსტიტუტი.

ცნობილია, რომ სახელმწიფოში მოქმედი სამართლებრივი სისტემა და შესაბამისად ნორმატიული ბაზა, შეძლებისდაგვარად ადეკვატური უნდა იყოს საზოგადოებაში არსებულ ურთიერთობებთან და ამავდროულად ასრულებდეს საზოგადოების ერთგვარ "დაკვეთას" სახელმწიფო ინტერესზე დაყრდნობით. ნორმატიული აქტების სისტემა თავის მხრივ შესაძლებელია ან პასუხობდეს ადეკვატურობის ამ პარამეტრს ან არა. უკანასკნელის შემთხვევაში, შესაძლებელია იგი უსწრებდეს ან ჩამორჩებოდეს "საზოგადოებრივ დაკვეთას". განსახილველ საკითხთან მიმართებაში, ცივილისტები და კანონმდებელი წინდახედული აღმოჩნდა და იმ დროისათვის მიუხედავად "საზოგადოებრივი დაკვეთის" სიმცირისა განამტკიცა საკანონმდებლო დონეზე ის სამართალმდგომარეობანი, რომელთა არსებობის "საზოგადოებრივი დაკვეთა" დღითიდღე მატულობს.

დამოუკიდებელი სახელმწიფოების თანამეგობრობის ფარგლებში პრაქტიკულად ყველა ქვეყნის სამოქალაქო თუ საოჯახო კოდექსებში, რომლებიც იცნობენ საქორწინო კონტრაქტის ინსტიტუტს შეიმჩნევა ბევრი საერთო პრინციპი და სამართალმდგომარეობანი.

ერთ-ერთი ფუძემდებლური პრინციპი გახლავთ ის, რომ საქორწინო კონტრაქტის მეოხებით, მეუღლეებს შეუძლიათ განსაზღვრონ და

---

© გიორგი გ. თუმანიშვილი, 2010  
საქორწინო კონტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის არც ერთი ნაწილი, არანაირი მიზეზით, არ შეიძლება კვლავწარმოებული (რეპროდუცირებული) იყოს ნებისმიერი ფორმით და ხერხით - იქნება ეს ელექტრონული თუ მაგნიტური, ციფრული თუ ფოტოკოპირებული ან სხვა საშუალებით, საავტორო უფლების მფლობელის წერილობითი თანხმობის ან/და სათანადო წესით გახსოვრიელებული მითითების გარეშე.

დაარეგულირონ მხოლოდ ქონებრივი ხასიათის ურთიერთობანი, ხოლო არაქონებრივი ხასიათის ურთიერთობების რეგულირება და მასთან დაკავშირებული დებულებების განსაზღვრა კონტრაქტში ერთი შეხედვით დაუშვებელია.

კანონმდებლები ამ პრინციპის შემუშავება/დამკვიდრებისას ხელმძღვანელობდნენ დებულებით, რომ კონტრაქტი შესაძლოა შეიცავდეს მხოლოდ იმ სამართალმდგომარეობებს, რომლებიც უზრუნველყოფილია სასარჩელო დაცვით. ნორმატიულ აქტებში ჩაიღო დებულება: „მეუღლეებს შეუძლიათ დადონ საქორწინო ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრება მათი ქონებრივი უფლებები და მოვალეობები, როგორც ქორწინების განმავლობაში ისე განქორწინებისას (მაგ. იხ. სსკ 1172-ე მუხლი).

(/შენიშვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სსკ 1172-ე მუხლი გარკვეულწილად წინააღმდეგობაში მოდის სსკ 1173-ე მუხლთან, რომელშიც ნათქვამია - "საქორწინო კონტრაქტი შეიძლება დაიდოს, როგორც ქორწინების რეგისტრაციამდე, ისე რეგისტრაციის შემდეგ ნებისმიერ დროს". სსკ 1172-ე მუხლმა, რომელმაც საერთო წესის თანახმად, როგორც ინსტიტუტში შემავალმა პირველმა ნორმამ უნდა განსაზღვროს ცნება, საუბრობს მხოლოდ "მეუღლეთა უფლებაზე დადონ საქორწინო კონტრაქტი". ვფიქრობ, რომ აღნიშნულ სამართლის ნორმაში აუცილებლად უნდა ჩაემატოს - "დასაქორწინებელ პირებს ან...". ამ შემთხვევაში აღნიშნული სამართლის ნორმა იქნება სამართლებლივად გამართული).

საქართველოში ბევრი პრაქტიკოსი იურისტი განმარტავს, რომ თითქოს და დასაქორწინებელ პირებს ან მეუღლეებს ამ ნორმის საფუძველზე ერთმევათ უფლება კონტრაქტში განსაზღვრონ არაქონებრივი ხასიათის უფლებები და მოვალეობები, რაც ვფიქრობ, მოკლებულია სამართლებლივ საფუძველს. მართალია მაგ.: საქართველოს სამოქალაქო კოდექსში მეუღლეთა საკონტრაქტო ურთიერთობები რეგლამენტირებულია მხოლოდ ათი მუხლით, მაგრამ სამოქალაქო სამართლის პრინციპები და მთელი რიგი სამართლის ნორმათა ანალიზი და მათი შეჯერება გვადლევს არც თუ ისე მწირე შესაძლებლობებს.

ცნობილია, რომ საქართველოს კერძო სამართალი იყენებს და ეყრდნობა პრინციპს, "რაც კანონით პირდაპირ აკრძალული არ არის - ნებადართულია". სსკ-ს ზემონახსენები 1172-ე მუხლი მოთხოვნის სავალდებულო ძალის მიხედვით არის დისპოზიციური. ხოლო მისი დისპოზიცია - აღმჭურველი, ანუ ფორმულირებული, როგორც პირის უფლებამოსილება ამა თუ იმ მოქმედების შესრულებისა. რაც შეეხება აკრძალვას, სსკ-ს 1179-ე მუხლი დაუშვებლად მიიჩნევს საქორწინო კონტრაქტით მეუღლეთა ურთიერთრჩენის მოვალეობის, მშობლების უფლება-მოვალეობების შვილების მიმართ, საალიმენტო მოვალეობებისა და დავის შემთხვევაში სასამართლოში მიმართვის უფლების შეცვლას (შეზღუდვას). აღნიშნული სამართლის ნორმის დისპოზიცია მასში გამოხატული ქცევის წესის ფორმის მიხედვით არის აკრძალავი.

საყურადღებოა, რომ მოქმედი კანონმდებლობით, მეუღლეებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ ნებისმიერი სახის გარიგებებში, რომლებიც არ არის აკრძალული მოქმედი კანონმდებლობით. ამგვარად, ზემოთაღნიშნულ მდგომარეობათა შეჯერების საფუძველზე საქორწინო კონტრაქტის მხარეებს აქვთ სრული შესაძლებლობა შეთანხმდნენ არა მხოლოდ ქონებრივ უფლებებზე და მოვალეობებზე, არამედ არაქონებრივზეც. სხვა საკითხია დავის არსებობის შემთხვევაში სასამართლოს პოზიცია დარღვეულ უფლებასთან დაკავშირებით.

კერძო საკუთრების პრინციპების განმტკიცებამ ხელი შეუწყო საქორწინო კონტრაქტის დამკვიდრების საკითხს. "საბჭოური" სისტემის დროს მეუღლეებს შორის ქონებრივი ურთიერთობის საკონტრაქტო წესით რეგულირება პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. მართალია "საბჭოური" სამართალი არ იცნობდა საქორწინო კონტრაქტის ინსტიტუტს, როგორც ასეთს, მაგრამ მიუხედავად ამისა უშვებდა მეუღლეებს შორის სხვადასხვა სახის გარიგებების დადების შესაძლებლობას. პრაქტიკაში გარიგებანი მეუღლეებს შორის იშვიათობას წარმოადგენდა, ხოლო ერთად ცხოვრების განმავლობაში შეძენილი ქონებისთვის იმ რეჟიმის განსაზღვრა რომელიც მეუღლეებს მიაჩნდათ მათთვის სასურველად იყო შეუძლებელი. კერძო საკუთრების პრაქტიკულად არარსებობა და საბჭოური მენტალიტეტი ძირითად ხელისშემშლელ ფაქტორად გვევლინება ყოფილ სოციალისტურ რესპუბლიკებში საქორწინო კონტრაქტის ინსტიტუტის არსებობის საჭიროების საკითხთან დაკავშირებით.

---

© გიორგი გ. თუმანიშვილი, 2010  
საქორწინო კონტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის არც ერთი ნაწილი, არანაირი მიზეზით, არ შეიძლება კვლავწარმოებული (რეპროდუცირებული) იყოს ნებისმიერი ფორმით და ხერხით - იქნება ეს ელექტრონული თუ მაგნიტური, ციფრული თუ ფოტოკოპირებული ან სხვა საშუალებით, საავტორო უფლების მფლობელის წერილობითი თანხმობის ან/და სათანადო წესით გახორციელებული მითითების გარეშე.

საბჭოთა კავშირის დაშლიდან სულ დაახლოებით 20 წელი გავიდა. საკმარისია კი ეს დრო იმ სოციალური, ფსიქოლოგიური თუ სამართლებრივი ხასიათის ცვლილებებისათვის, რომლებსაც მოითხოვს საბაზრო ეკონომიკის, კერძო საკუთრების და სექსთაშორის თანასწორობის პრინციპების მქონე დემოკრატიული სახელმწიფო?

დაახლოებით 5 წელი დასჭირდათ ქართველ და გერმანელ ცივილისტებს "ახალი საქართველოს" ახალი სამოქალაქო კოდექსის შესაქმნელად. 1997 წელს მიღებულმა სამოქალაქო კოდექსმა თავის მეხუთე წიგნში განამტკიცა საქორწინო კონტრაქტის ინსტიტუტი. შეიძლება ითქვას, რომ სამართალმა "წინდახედული ადეკვატურობით" უპასუხა იმ პრინციპებს, რომლებზეც ზემოთ გვქონდა საუბარი.

რაც შეეხება სოციალურ ფაქტორებს. ქართულ სინამდვილეში, სწრაფვა სოციალური უზრუნველყოფილობის საფეხურებზე აღმავლობისა დიდია. აღმავლობა პირდაპირ კავშირშია "მე"-ს დამკვიდრების საკითხთან საზოგადოებაში. ეს უკანასკნელი კი შესაძლებელია სხვადასხვა გზებით იქნეს მიღწეული, იქნება ეს ინტელექტუალურ შემოქმედებითი საქმიანობის შედეგად თუ სხვა საქმიანობის განხორციელებით. ნებისმიერ შემთხვევაში, შეიძლება ითქვას, რომ სოციალურად დაცულობის და უზრუნველყოფილობის საფეხურებზე აღმავლობა დაკავშირებულია მატერიალურ კეთილდღეობასთან, რომელიც უშუალო კავშირშია კერძო საკუთრების არსებობასთან.

აღმავლობის ერთ-ერთი (უმთავრესი თუ არა) პრინციპი არის პრაგმატული მიდგომა. საქორწინო კონტრაქტი მეუღლეებს შორის ქონებრივი ურთიერთობის რეგულირების პრაგმატული გზაა.

ჩემს მიერ ჩატარებულ არაერთ გამოკვლევაზე დაყდრნობით შეიძლება ითქვას, რომ მართალია ამა თუ იმ სოციალურ ფენისადმი კუთვნილება განსაზღვრავს მიმართებას საქორწინო კონტრაქტისადმი, მაგრამ ძირითადი წამყვანი ფაქტორი მაინც პირის ფსიქიკური დამოკიდებულებაა ოჯახის საკითხისადმი. მენტალობა, საზოგადოებრივი ცნობიერება, პირის ფსიქიკური (ფსიქიკის სტატუსი) სტატუსი, ღირებულებათა და ფასეულობათა იერარქია და სხვ. განსაზღვრავს პირის ფსიქიკურ დამოკიდებულებას რაიმეს მიმართ.

მართალია საქართველოში მხოლოდ 1997 წელს იქნა საკანონმდებლო დონეზე განმტკიცებული საქორწინო კონტრაქტის ლიტერალური ფორმით დადების შესაძლებლობა, მაგრამ ვერბალური ფორმით აღნიშნული კონტრაქტის დადებას არც ისე მცირე ისტორია აქვს. დედულის და მამულის ინსტიტუტები საქართველოში შეგვიძლია საქორწინო კონტრაქტის „წინაპრებადაც“ კი მივიჩნიოთ.

ქართული ეროვნული ცნობიერება უარყოფს საქორწინო კონტრაქტის ინსტიტუტს – როგორც ლიტერალური ფორმით დადებულ გარიგებას. ზემოაღნიშნული ეფუძნება სიყვარულის ფენომენოლოგიურობას და ოჯახის ინსტიტუტის გაგებას (გააზრებას) ეროვნულ ცნობიერებაში. ოჯახი ქართულ ეროვნულ ცნობიერებაში იდენტიფიცირებულია, როგორც სიყვარულის შედეგად წარმოქმნილი ერთიანობა, რომლის მხარეები არიან ქალი და მამაკაცი, ხოლო შვილები – სიყვარულის ნაყოფი.

მენტალობა ასევე დაუშვებლად მიიჩნევს საქორწინო კონტრაქტს, როგორც ასეთს. შეთავაზება კონტრაქტის დადების თაობაზე ერთგვარად შეურაცმყოფელია მეორე მხარისათვის. "მე შენ მიყვარხარ" - ეს ის საკრალური სიტყვებია, რომლითაც ყველაფერი ითქმის და კონტრაქტი რა აუცილებელია? "მუდამ მეყვარები და მთელი ცხოვრება შენს გვერდით ვიქნები, ჩვენ ერთმანეთს ტკბილად შევაბრუნდებით". შეყვარებული წყვილი მომავალს არამც თუ ვარდისფერ ფერში ხედავს, არამედ ხშირ შემთხვევაში დაუშვებლადაც მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ შესაძლოა მომავალში ცხოვრების ბედ-უკუღმართობის ან/და სულ სხვა არაპროგნოზირებად გარემოებათა გამო ისინი ერთად არ იყვნენ. ზემონახსენები მსჯელობები ბუნებრივია. ჩვეულებრივი მოქალაქე, ვფიქრობ არც ისე ხშირად ესწრება განქორწინების საქმეთა განხილვას სასამართლოში ან ყოფილი მეუღლის გამოსახლვას მეორე მეუღლის კუთვნილი ბინიდან და სხვ. უსაზღვროთ შეყვარებული ადამიანებიც კი სასტიკად დაუნდობლები არიან განქორწინების საქმეთა სასამართლოში განხილვის დროს, ხოლო თვით სასამართლო დავა, ხშირ შემთხვევაში ძალიან "ბინძურია" და დიდი ტკივილის მომტანი ამ ადამიანებისათვის. საბჭოთა კავშირის დროს, 75 ქორწინებიდან ერთი განქორწინებით წყდებოდა. დღეს საქართველოში 3 ქორწინებაზე ერთი განქორწინება მოდის.

---

© გიორგი გ. თუმანიშვილი, 2010  
საქორწინო კონტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის არც ერთი ნაწილი, არანაირი მიზეზით, არ შეიძლება კვლავწარმოებული (რეპროდუცირებული) იყოს ნებისმიერი ფორმით და ხერხით - იქნება ეს ელექტრონული თუ მაგნიტური, ციფრული თუ ფოტოკოპირებული ან სხვა საშუალებით, საავტორო უფლების მფლობელის წერილობითი თანხმობის ან/და სათანადო წესით გახსოვრილებული მითითების გარეშე.



საქორწინო კონტრაქტი შესაძლოა, ერთგვარი დამცავი მექანიზმიც აღმოჩნდეს იმ წყვილებისათვის, რომლებსაც შეუძლიათ რამოდენიმე სერიოზული ან ნაკლებად სერიოზული კამათის შემდგომ გადადგან ნაბიჯი, რომელსაც განქორწინება ეწოდება. საქმე ის გახლავთ, რომ საქორწინო კონტრაქტი იძლევა საშუალებას, რომ მასში ასახული იყოს ყველა ის წვრილმანი, რომელზედაც შესაძლოა განქორწინების საქმის განხილვისას მხარეებმა ააგონ თავიანთი ილუზია. ხშირია შემთხვევა, როდესაც მეუღლეს, რომელსაც გადაწყვეტილი აქვს განქორწინება, ფიქრობს იმის შესახებ, რომ განქორწინების შემთხვევაში იგი მიიღებს მატერიალურ სარგებელს, მას დარჩება ბინა, მანქანა, აგარაკი და ეს ფიქრიც ერთგვარ კატალიზატორად იქცევა განქორწინების საქმის წარმოების დაწყებისათვის. საქორწინო კონტრაქტის არსებობის შემთხვევაში კი, ყოველივე ნათლად არის გაწერილი და ფორმულირებული. ერთად ცხოვრების პერიოდში შეძენილი ქონების მომავალი ბედ-ილბალი უკვე წინასწარ განსაზღვრულია, რაც საშუალებას აძლევს მეუღლეებს ერთხელ უკვე გაითამაშონ „განქორწინების სპექტაკლი“ თავიანთ ფსიქიკაში. ეს უკანასკნელი, კერძოდ კი იმ შედეგის ნათლად დანახვის შესაძლებლობა, რომელიც მოჰყვება განქორწინებას, რეალურად ამცირებს "ცხელ გულზე" მიღებულ გადაწყვეტილებათა განხორციელებას განქორწინების გზით.

**§ II.****(საქორწინო კონტრაქტის სამართლებრივი ბუნება)****ნაწილი I****საქორწინო კონტრაქტი და სამოქალაქო სამართლებრივი  
ხელშეკრულება**

საქორწინო კონტრაქტი, როგორც საოჯახო სამართლებრივი გარიგების და სამოქალაქო სამართლებრივი ხელშეკრულების ურთიერთმიმართების საკითხი უპირველესყოვლისა დაკავშირებულია საოჯახო სამართლის ადგილის განსაზღვრის აზრთა სხვადასხვაობასთან. ერთნი მიიჩნევენ, რომ საოჯახო სამართალი არის სამოქალაქო სამართლის შემადგენელი ნაწილი და ამ მოსაზრებაზე დაყრდნობით საქორწინო კონტრაქტს ანიჭებენ მხოლოდ სამოქალაქო სამართლებრივი გარიგების ხასიათს. ავტორთა მეორე ნაწილი თვლის, რომ საოჯახო სამართალი სამართლის დამოუკიდებელი დარგია, რაც მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს საქორწინო ხელშეკრულების ინსტიტუტზე, მისი საოჯახო-სამართლებრივი დახასიათების თვალსაზრისით.

ახალი სამოქალაქო კოდექსის მიღებამდე დამოუკიდებელი კოდექსის სახით მოქმედებდა საქორწინო და საოჯახო კოდექსი. სამოქალაქო სამართლის რეგულირების საგანი იყო ქონებრივი და არაქონებრივი სახით ზოგიერთი პირადი ურთიერთობები, ხოლო საოჯახო სამართლის რეგულირების საგანი კი საოჯახო – საქორწინო ურთიერთობები. ამდენად სამოქალაქო სამართლისა და საოჯახო სამართლის რეგულირების საგანს შეადგენდა სხვადასხვა საზოგადოებრივი ურთიერთობანი და თითოეული მათგანი მიჩნეული იყო სამართლის დამოუკიდებელ დარგად. დღეს, როდესაც საოჯახო ურთიერთობების მოწესრიგება იქცა სამოქალაქო სამართლის რეგულირების საგნად, შედეგად მივიღეთ, რომ საოჯახო სამართალი არ წარმოადგენს სამართლის დამოუკიდებელ დარგს. იგი გახლავთ სამოქალაქო სამართლის, როგორც სამართლის დამოუკიდებელი დარგის რეგულირების საგანი და შესაბამისად წარმოადგენს სამოქალაქო სამართლის ქვედარგს.

საქორწინო კონტრაქტის ინსტიტუტი მოქცეულია სამოქალაქო კოდექსის მეხუთე წიგნში, რომლის სათაურიც არის - საოჯახო სამართალი. მეხუთე

---

© გიორგი გ. თუმანიშვილი, 2010

საქორწინო კონტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის არც ერთი ნაწილი, არანაირი მიზეზით, არ შეიძლება კვლავწარმოებული (რეპროდუცირებული) იყოს ნებისმიერი ფორმით და ხერხით - იქნება ეს ელექტრონული თუ მაგნიტური, ციფრული თუ ფოტოკოპირებული ან სხვა საშუალებით, საავტორო უფლების მფლობელის წერილობითი თანხმობის ან/და სათანადო წესით გახსორციელებული მითითების გარეშე.

წიგნის მეოთხე თავში თავმოყრილია მეუღლეთა უფლებებისა და მოვალეობების მარეგულირებელი სამართლის ნორმები. ზემოაღნიშნული თავის მეოთხე პარაგრაფი ეძღვნება საქორწინო კონტრაქტს. აქ მოცემულია სამართლის ათი ნორმა, რომელიც ერთიანობაში ქმნის საქორწინო კონტრაქტის სამართლებლივ ინსტიტუტს.

ამ ინსტიტუტის ადგილი სამოქალაქო კოდექსის სისტემაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქორწინო კონტრაქტის, როგორც საოჯახო სამართლებლივი ინსტიტუტის განსაზღვრისათვის.

როგორც აღვნიშნე საოჯახო სამართლებლივ გარიგებას /განსახილველ საკითხთან მიმართებაში/ უპირველესყოვლისა უნდა მივაკუთვნოთ დაქორწინება, მამობის აღიარება და სხვა... მაგრამ არის თუ არა საქორწინო ხელშეკრულება საოჯახო სამართლებლივი გარიგება? უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ სანივთო (ქონებრივი) სამართლის მსგავსად საოჯახო სამართალში გარიგების ტიპები (სახეები) კანონით არის განსაზღვრული და მხარეებს არ შეუძლიათ მათი შეცვლა.

მეუღლეთა სახელშეკრულებო ურთიერთობების მიმართ მოქმედებს სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნაწილის დებულებანი, აქვე საყურადღებოა ის გარემოება, რომ თვით საქორწინო ხელშეკრულებით წარმოშობილი ურთიერთობების სამართლებლივი რეგულირება ვერ ექცევა საოჯახო სამართლის, როგორც სამოქალაქო სამართლის ქვედარგის ჩარჩოებში. ამის ნათელი მაგალითია სამოქალაქო კოდექსის საოჯახო სამართლის წიგნში მოცემული სამართლის ნორმა (იხ. სსკ 1176-ე მუხლის მესამე ნაწილი), რომელიც განამტკიცებს მეუღლეთა უფლებას სახელშეკრულებო ურთიერთობაში, სახელდობრ საქორწინო ხელშეკრულებაში დაადგინონ თითოეული მეუღლის წილობრივი საკუთრება ქონებაზე. მოცემულ მუხლში ხსენებული უფლების განხორციელება მეუღლეებს შეუძლიათ საქორწინო ხელშეკრულებით, მაგრამ მეუღლეთა საერთო წილობრივი საკუთრების მფლობელობა, სარგებლობა და განკარგვა ხდება სსკ-ს სანივთო სამართლის წიგნში არსებული ნორმის მიხედვით, კერძოდ, საერთო წილადი საკუთრების ურთიერთობებს არეგულირებს სსკ-ს 173-ე მუხლი.

ზემოაღნიშნული მაგალითი ნათლად წარმოაჩენს თუ როგორ იყენებს საქორწინო ხელშეკრულების ინსტიტუტი სანივთო სამართლის ნორმას.

მართებულად მიგვაჩნია პროფესორ ვლადიმერ ჭანტურას მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომლის მიხედვითაც საქორწინო კონტრაქტი ძალიან ჰგავს ვალდებულებით სამართლებლივ გარიგებას. მართალია საქორწინო ხელშეკრულების ხასიათი ერთის მხრივ მიმართულია ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ, მაგრამ მისი ცალსახად მიკუთვნება ვალდებულებით სამართლებლივი გარიგების სახისადმი არ მიმაჩნია მართებულად. ამრიგად, საუბარი შესაძლებელია იყოს მხოლოდ "მსგავსებაზე", და არავითარ შემთხვევაში – "მიკუთვნებაზე", როგორც ამას ამტკიცებს ზოგიერთი ავტორი.

ზემომოყვანილ კონტექსტის სიბრტყეში, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე იურიდიულ ლიტერატურაში არ არის ჩამოყალიბებული კორექტული შეხედულება საქორწინო კონტრაქტის როგორც სამოქალაქო სამართლებრივი თუ საოჯახო სამართლებრივი გარიგების სახესთან დაკავშირებით.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ჩვენი სამოქალაქო სამართლის სისტემა თვისობრივად განსხვავდება რუსეთის სამოქალაქო სამართლის სისტემებისაგან, სადაც საოჯახო სამართალი დამოუკიდებელი კოდიფიცირებული კრებულის სახით არსებობს. დსთ-ს ბევრ ქვეყანაში გვხვდება საოჯახო სამართლის კოდექსი, რომელიც თავის მხრივ იცნობს საქორწინო კონტრაქტის ინსტიტუტს. აღნიშნულ ქვეყნებში პრობლემა დგას საოჯახო სამართლის საქმეებზე სამოქალაქო-სამართლებლივი ნორმების გამოყენების მართებულობასთან დაკავშირებით. ამ სახელმწიფოების საოჯახო სამართლის კოდექსები ხშირ შემთხვევაში პირდაპირ მითითებას აკეთებენ სამოქალაქო სამართლის ინსტიტუტებზე. ამგვარად, ამ ქვეყნების სამოქალაქო და საოჯახო სამართლის ანალიზის შედეგად ვიღებთ იმას, რომ საქორწინო ხელშეკრულება ორმაგი ხასიათის გარიგებაა; ერთის მხრივ სამოქალაქო-სამართლებლივი, ხოლო, მეორეს მხრივ - საოჯახო-სამართლებლივი. ამგვარად თუ სამოქალაქო სამართლის საერთო ნორმები არეგულირებენ საქორწინო ხელშეკრულებას, საოჯახო სამართლის ნორმები განსაზღვრავენ მის სპეციფიურ თავისებურებებს.

---

© გიორგი გ. თუმანიშვილი, 2010  
საქორწინო კონტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის არც ერთი ნაწილი, არანაირი მიზეზით, არ შეიძლება კვლავწარმოებული (რეპროდუცირებული) იყოს ნებისმიერი ფორმით და ხერხით - იქნება ეს ელექტრონული თუ მაგნიტური, ციფრული თუ ფოტოკოპირებული ან სხვა საშუალებით, საავტორო უფლების მფლობელის წერილობითი თანხმობის ან/და სათანადო წესით გაწვრივებული მითითების გარეშე.

კონტინენტული სამართლის ქვეყნებში, რომელშიც საოჯახო სამართალი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მსგავსად, შემაჯავლია მათ ნაციონალურ სამოქალაქო კოდექსებში, აღნიშნული საკითხი სხვაგვარად არის წარმოდგენილი.

ერთმნიშვნელოვანია, რომ საქორწინო ხელშეკრულება სამოქალაქო სამართლებრივი გარიგებაა, მაგრამ გარიგების სახის განსაზღვრისას არსებობს პრობლემა: ვალდებულებით-სამართლებრივი თუ საოჯახო-სამართლებრივი გარიგების სახეს უნდა მივაკუთვნოთ იგი. ამ პრობლემის გადაჭრის გზა უნდა მოინახოს ზემოაღნიშნული გარიგების მონაწილე სუბიექტთა (გარიგების მხარეთა) განსაზღვრაში.

მსოფლიოს მრავალი ქვეყანა და შესაბამისად არაერთი სამართლის ოჯახი იცნობს საქორწინო ხელშეკრულების ინსტიტუტს. საერთო სამართლის ქვეყნებში იგი უშუალოდ არ არის სამართლებრივი ინსტიტუტის სახით ჩამოყალიბებული, მაგრამ როგორც გარიგების სახე მაინც არსებობს, რომელზედაც ვრცელდება "Contract Law" და "Family Law" საკონტრაქტო და საოჯახო სამართლის დებულებები. მიუხედავად სხვაობისა, სამართლებრივი რეგულირების ჭრილში, კონტინენტური სამართლის და საერთო სამართლის ქვეყნებისათვის მაინც საერთოა საქორწინო ხელშეკრულების სუბიექტთა წრე. ერთის მხრივ ეს არის დასაქორწინებელი, ხოლო, მეორეს მხრივ, ქორწინებაში მყოფი პირები (მეუღლეები).

დასაქორწინებელი პირები, მართალია, არიან საქორწინო ხელშეკრულების სუბიექტები, მაგრამ, იმავდროულად, მხედველობიდან არ უნდა გამოვგრჩეს ის, თუ როდის იწყებს მოქმედებას (ანუ ძალაში შედის) თვით საქორწინო კონტრაქტი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კონტრაქტი კი არის დასაქორწინებელი პირების მიერ დადებული, მაგრამ მისი გადაცემა იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტად უშუალოდ არის დაკავშირებული "მეუღლის სტატუსის" მინიჭებასთან. აღნიშნული სტატუსის მოპოვება კი ხდება ამა თუ იმ ქვეყნის შიდა სამართლით გათვალისწინებული დაქორწინების სავალდებულო რეგისტრაციის შემდგომ.

მაშასადამე /განსახილველ საკითხთან მიმართებაში/ გარიგების მოქმედება დროში, სივრცეში და პირთა წრის მიმართ, უშუალო კავშირშია "მეუღლის სტატუსთან", ხოლო ამ უკანასკნელის მქონე პირთა

პირადი და ქონებრივი ურთიერთობანი წესრიგდება საოჯახო სამართლის ნორმების საფუძველზე. თვით საქორწინო კონტრაქტი კი თავისი ბუნებით, საქორწინო ხელშეკრულების სუბიექტების განსაზღვრის პრინციპზე დაყრდნობით წარმოადგენს სამოქალაქო გარიგების საოჯახო სამართლებრივ ხელშეკრულების სახეს.

## ნაწილი II

### საქორწინო კონტრაქტის ცნება - პარამეტრიზაციის პრობლემა

საქორწინო კონტრაქტი, როგორც აღვნიშნე, წარმოადგენს სამოქალაქო გარიგების საოჯახო სამართლებრივი ხელშეკრულების სახეს, რომლის მხარეებიც არიან დასაქორწინებელი პირები ან მეუღლეები. საქართველოს მოქმედი სამოქალაქო კოდექსის მიხედვით "ერთი შეხედვით", საქორწინო კონტრაქტით მეუღლეებს შეუძლიათ განსაზღვრონ და დაარეგულირონ მხოლოდ ქონებრივი ხასიათის ურთიერთობანი, რაც როგორც წინა პარაგრაფში აღინიშნა არ შეესაბამება სახელშეკრულებო სამართლის მოქმედ პრინციპებს.

საქორწინო კონტრაქტის მიმართ გამოიყენება ის საერთო წესები, რომლებიც საერთოა ყველა სხვა გარიგებისათვის, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ სპეციფიურ პირობებს და დათქმებს საქორწინო კონტრაქტის მიმართ ადგენს სამოქალაქო კოდექსში არსებული საქორწინო კონტრაქტის ინსტიტუტში შემავალი ნორმები. რაც შეეხება თვით ამ კონტრაქტის ცნებას, კანონმდებელი ამ უკანასკნელს არ გვთავაზობს. იგი შემოიფარგლება მხოლოდ იმის აღნიშვნით, რომ "მეუღლეებს შეუძლიათ დადონ საქორწინო ხელშეკრულება, რომლითაც განსაზღვრება მათი ქონებრივი უფლებები და მოვალეობები როგორც ქორწინების განმავლობაში, ისე განქორწინებისას". ზემოაღნიშნული ფორმულირებულია სამოქალაქო კოდექსის 1172-ე მუხლში. ეს გახლავთ საქორწინო კონტრაქტის ინსტიტუტის რიგით პირველი სამართლის ნორმა, რომელიც საკანონმდებლო ტექნიკის მიხედვით უნდა მოიცავდეს საქორწინო კონტრაქტის ინსტიტუტის ცნების განსაზღვრებას. ცნება ყოვლისმომცველია იმ შემთხვევაში, როდესაც განმარტავს ამა თუ იმ ინსტიტუტის, თუ ურთიერთობის და სხვა... შემავალ ელემენტებს.

იმისათვის რომ მივიღოთ საქორწინო კონტრაქტის განმსაზღვრელი ცნება, აუცილებელია დავადგინოთ და გამოვყოთ მისი შემადგენელი ელემენტები.

1. საქორწინო კონტრაქტი წარმოადგენს სამოქალაქო გარიგების საოჯახო სამართლებრივ ხელშეკრულების სახეს;
2. საქორწინო კონტრაქტის სუბიექტები: - დასაქორწინებელი პირები ან მეუღლეები;
3. საქორწინო კონტრაქტის ობიექტი: - ქონებრივი და არაქონებრივი უფლებები და მოვალეობანი\*.
4. საქორწინო კონტრაქტის მოქმედება დროში: - კონტრაქტი შესაძლოა იყოს გარკვეული ვადით დადებული ან უვადო, ამავდროულად კონტრაქტით ქონებრივი და არაქონებრივი უფლებანი და მოვალეობანი განისაზღვრება, როგორც ქორწინების განმავლობაში, ისე განქორწინებისას;
5. საქორწინო კონტრაქტის დადება: - შესაძლოა დაიდოს როგორც ქორწინების სახელმწიფო რეგისტრაციამდე, ისე მისი რეგისტრაციის შემდეგ ნებისმიერ დროს. საქორწინო კონტრაქტი რომელიც დაიდო ქორწინების რეგისტრაციამდე, ძალაში შედის ქორწინების რეგისტრაციის მომენტიდან (სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში);
6. საქორწინო კონტრაქტის ფორმა: - იდება წერილობით და დასტურდება სანოტარო წესით.

---

\*შენიშვნის სახით: არაქონებრივი უფლებანი და მოვალეობანი, როგორც საქორწინო კონტრაქტის ობიექტი ერთი შეხედვით წინააღმდეგობაში მოდის სსკ 1172-ე მუხლთან, მაგრამ ისინი წარმოადგენენ საქორწინო კონტრაქტის ისეთივე ობიექტებს, როგორც ქონებრივი ხასიათის უფლებანი და მოვალეობანი;

---

© გიორგი გ. თუმანიშვილი, 2010  
საქორწინო კონტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის არც ერთი ნაწილი, არანაირი მიზეზით, არ შეიძლება კვლავწარმოებული (რეპროდუცირებული) იყოს ნებისმიერი ფორმით და ხერხით - იქნება ეს ელექტრონული თუ მაგნიტური, ციფრული თუ ფოტოკოპირებული ან სხვა საშუალებით, საავტორო უფლების მფლობელის წერილობითი თანხმობის ან/და სათანადო წესით გახშირციელებული მითითების გარეშე.

**ზემომოცემული ელემენტების შეჯერებით შესაძლებელია ერთიანი ცნების ჩამოყალიბება, რომელიც სამოქალაქო კოდექსში (რეკომენდაციის სახით) წარმოდგენილი იქნება ოთხ ცალკეულ ნაწილად:**

1. საქორწინო კონტრაქტი წარმოადგენს სამოქალაქო გარიგების საოჯახო სამართლებრივ ხელშეკრულების სახეს.
2. საქორწინო კონტრაქტი არის დასაქორწინებელ პირთა ან მეუღლეებს შორის გარკვეული ვადით ან უვადოთ დადებული გარიგება, რომლითაც გარიგების მხარეებს შეუძლიათ განსაზღვრონ მათი ქონებრივი და არაქონებრივი უფლებები და მოვალეობები, როგორც ქორწინების განმავლობაში ისე განქორწინებისას.
3. საქორწინო კონტრაქტი შესაძლოა დაიდოს როგორც ქორწინების რეგისტრაციამდე, ისე მისი რეგისტრაციის შემდეგ ნებისმიერ დროს. საქორწინო კონტრაქტი რომელიც დაიდო ქორწინების რეგისტრაციამდე, ძალაში შედის ქორწინების რეგისტრაციიდან.
4. საქორწინო კონტრაქტი იდება წერილობით და დასტურდება სანოტარო წესით.

ზემომოცემული ფორმულირება წარმოადგენს რეკომენდაციას კანონმდებლისათვის, იმისათვის, რომ ჩვენ სამომავლოდ გვქონდეს საქორწინო კონტრაქტის შედარებით სრულყოფილი, სამართლებრივად გამართული დეფინიცია, რასაც ზოგადი წესის მიხედვით უნდა ემსახურებოდეს ამა თუ იმ სამართლებრივი ინსტიტუტის პირველი მუხლი, მუხლი, რომელიც უნდა იყოს ცნების მომცველი და შესაბამისად ამა თუ იმ კონკრეტული ურთიერთობის (ასევე მისი მოცულობის) გამმარტავი და განმსაზღვრელი.



## § III.

ცნებების "ოჯახი" და "ქორწინება"  
არსობრივი და სამართლებრივი ასპექტი

## ნაწილი I

ქართული სამართლის ძეგლების ტექსტში, სიტყვა "ოჯახი"-ს  
პირველად გამოყენების საკითხთან დაკავშირებით

ივანე ჯავახიშვილის დასაბუთებით "ოჯახი" თურქული სიტყვაა *احد* და კერას, სახლს აღნიშნავს.<sup>1</sup>

თანამედროვე ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში დამკვიდრებულია მოსაზრება, რომლის თანახმადაც, სიტყვა "ოჯახი"-ს პირველად გამოყენება თარიღდება 1799-1800 წლებით<sup>2</sup>

ჩემს მიერ ჩატარებული ქართული სამართლის ძეგლების ტექსტის ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით, გამოვთქვამ მტკიცებულებას, რომ ზემომოყვანილი მოსაზრება არის მცდარი, შემდეგი მტკიცებულებებიდან გამომდინარე:

**1.** ბრძანება გიორგი II-ისა საეკლესიო ყმების გააზიანების შესახებ. ბრძანებაში მოხსენიებულია: "...ჩუენნი გუარის მეფენი იხსენებოდნენ და ჩუენის ოჯახისა ყოველნივე..."<sup>3</sup>. აღნიშნული ძეგლი დათარიღებულია 1798 წლით.

**2.** პირობის წიგნში გიორგი ბატონიშვილისა იულონ და ალმასხან ბატონიშვილებისადმი ტახტის მემკვიდრეობის შესახებ, რომელიც დათარიღებულია 1797 წლით არაერთზგის გვხდება სიტყვა ოჯახი.

<sup>1</sup> ჯავახიშვილი, ი. (1984). *თხზულებანი* (ტომი VII). (ი. დოლიძე, რედ.) თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. გვ. 269.

<sup>2</sup> ჩიკვაშვილი, შ. (2000). *საოჯახო სამართალი*. თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“.

გვ. 42.

<sup>3</sup> დოლიძე, ი. (1966). *ქართული სამართლის ძეგლები*. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, ტომი II, გვ. 542.

3. ზემოაღნიშნულ სამართლის ძეგლს წინ უსწრებს "განწესებანი საქართველოს მეფის ირაკლისნი ძეთა თაჰსთადმი სამეფოაჲსათაჲს საქართუელთაჲსა". მეფე ირაკლის განწესებაში მოხსენიებულია სიტყვა "ოჯახი": "...მე ჩემს სახლსა და ოჯახზედ გარჯილობა და ჭირნახულობა მქონდეს..."<sup>4</sup> აღნიშნული სამართლის ძეგლის ხელნაწერი დათარიღებულია 1791 წლით.

4. 1774 წლით დათარიღებულია "მორიგის ლაშქრობის განაჩენი". ტექსტის ფრაგმენტი - "...იყვნენ ერთს სახლსა და ოჯახში..."<sup>5</sup>.

5. საზღვრელ ჩოლოყაშვილისადმი კონსტანტინე მეფის მოურავობის წყალობის წიგნი.  
ტექსტის ფრაგმენტი - "...ვითაც თქუენი მამ-პაპანი ჩუენს ოჯახზედ ნამსახურნი..."<sup>6</sup>. აღნიშნული სამართლის ძეგლი დათარიღებულია 1724 წლით.

ივანე ჯავახიშვილის დასაბუთებით უკვე მეხუთე საუკუნეში საქართველოში სიტყვა – ნიშანი "სახლი" არა მარტო საგვარეულოსა და გვარს ნიშნავდა, არამედ ერთ ცოლქმრობაზე დამყარებულ ოჯახსაც<sup>7</sup> აქვე აღსანიშნავია, რომ "ოჯახი"-ს და შესაბამისად "სახლი"-ს აღმნიშვნელი ტერმინი იყო სიტყვა "კომლი", რომელიც ერთ ჭერქვეშ მცხოვრები სახლობის აღსანიშნავად გამოიყენებოდა.<sup>8</sup>

არც ერთ საზოგადოებრივ ორგანიზაციას არ ჰქონია ისეთი მდიდარი და შინაარსობრივი ისტორია, არც ერთ მათგანს არ განუხორციელებია უფრო ხანგრძლივი და მრავალმხრივი ცვლილება, როგორც ოჯახს, რომელმაც თანამედროვე სახის მიღებამდე განვითარების დიდი გზა განვლო.

<sup>4</sup> ხელნაწერი: Sd-2140, (1791). პირი; ქაღალდი; მხედრულად ნაწერი; ხელნაწერთა ინსტიტუტი.

<sup>5</sup> ხელნაწერი: Hd-1614, (1774). პირი; ქაღალდი; მხედრულად ნაწერი; ხელნაწერთა ინსტიტუტი.

<sup>6</sup> დოლიძე, ი. (1966). *ქართული სამართლის ძეგლები*. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, ტომი II, გვ. 390.

<sup>7</sup> ჯავახიშვილი, ი. (1928). *ქართული სამართლის ისტორია*. თბილისი: თავართქილაძის გამოცემა, წიგნი მეორე, გვ. 24.

<sup>8</sup> იქვე, გვ 25

### ოჯახის ცნება

თანამედროვე ოჯახი, ეს არის ადამიანებს შორის ურთიერთ ინტერესის, პატივისცემის, მენტალობის, ადამიანების სულიერი ფასეულობებისა და ღირებულებების, სოციალური ნორმების გათვალისწინებით, სქესობრივ ლტოლვისა და გამრავლების ინსტიტუტებზე დამყარებული კავშირი. XXI-ე საუკუნის დასაწყისში ხშირი არის შემთხვევები, როდესაც ოჯახის შექმნისას სიყვარულის არსებობა-არარსებობის ფაქტორი პრაქტიკულად მესამე ან მეოთხე ხარისხოვანი ყოფილა და პრიორიტეტი ეძლეოდა ერთად ცხოვრებისას საერთო ინტერესის, გაგებისა და პატივისცემის ფაქტორებს. ზემოაღნიშნული მიდგომა გაბატონებულია იმ ქვეყნებში, რომლებსაც არ გააჩნიათ ოჯახის – როგორც უძველესი ტრადიციის მატარებელი და ამ ტრადიციის, ასევე მისი კულტურის ცხოვრებაში გამტარებელი ინსტიტუტის მიმართ სპეციფიური მიდგომა და ამ სოციალური ღირებულების მქონე მოვლენის განსაკუთრებული აღქმა, რომელიც შენარჩუნებულია საქართველოში.

რთულია იმის თქმა თუ რომელი მიდგომა არის სწორი, კარგი ან ცუდი, ვინაიდან ეს დამოკიდებულია თვით პიროვნების ინდივიდუალობაზე და მის მსოფლმხედველობაზე ოჯახის ინსტიტუტის მიმართ.

ამავდროულად არ შეიძლება იმ კულტურული და მენტალური ფასეულობების უგულვებელყოფა, რომელთა უშუალო ზემოქმედებით ყალიბდება ესა თუ ის ადამიანი საზოგადოებაში. XX-ე საუკუნის მიწურულს და მით უფრო XXI-ე საუკუნის დასაწყისში გახშირდა შემთხვევები, როდესაც ოჯახს ქმნიან სხვადასხვა ეროვნების, რელიგიური თუ რასობრივი კუთვნილების და სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეები. შეიცვალა ასევე მდგომარეობა ოჯახის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის საკითხთან დაკავშირებით, ვინაიდან გაიხსნა ბევრი საზღვარი და მხარეებს რეალურად მიეცათ საშუალება აირჩიონ ნებისმიერი სახელმწიფოს ტერიტორიაზე დროებითი თუ მუდმივი საცხოვრებელი ადგილი. ზემოაღნიშნული მოვლენები პირდაპირ კავშირშია მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესთან, რომელმაც თავისი ზეგავლენა ოჯახის ინსტიტუტის რაობაზეც დაატყო. კარგია, როდესაც ოჯახის წევრები ახერხებენ "ახსოვდეთ ვისი გორისა არიან", მაგრამ ხშირ შემთხვევაში ის ეროვნული, მენტალური, კულტურული და სულიერი ფასეულობები, რომლებიც გააჩნია ადამიანს იერსახეს იცვლის და პრაქტიკულად გაუფასურებას განიცდის, რამაც შეიძლება გამოუსწორებელი შედეგები მოიტანოს და დაიყვანოს ამა თუ იმ ერის კულტურა და ტრადიცია ოჯახის ინსტიტუტთან მიმართებაში

რადაც "საერთო მაჩვენებლამდე", რომელიც იქნება გლობალიზაციის პროცესის პროდუქტი, და რომელსაც შეიძლება შეეწიროს იმ სახელმწიფოების ეროვნული ფასეულობანი, რომლებსაც ეს უკანასკნელი ოდითგან ქმნიდნენ, ინარჩუნებდნენ და ცხოვრებაში განამტკიცებდნენ.

უდიდეს ზეგავლენას ახდენს ქართველი ახალგაზრდების ცნობიერებაზე XXI-ე საუკუნეში განსაკუთრებული ტემპით მზარდი "ამერიკანიზაციისა და ევროპეიზაციის" ფაქტორები. ახალგაზრდები უარს ამბობენ მათი წინაპრების მიერ შენახულ და გადმოცემულ ტრადიციებზე და თამამად, დაუფიქრებლად უერთდებიან ერთიან მორევს, რომელიც რამოდენიმე ათწლეულის გასვლის შემდეგ თავის ნაყოფებს მოიმკის, რაც საბოლოოდ მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის უგულვებელყოფას მოემსახურება, განსახილველ საკითხთან "ოჯახის ინსტიტუტთან" მიმართებაში.

რაც შეეხება ოჯახის ცნებას\* ქართულ სამოქალაქო სამართალში, იგი არ იცნობს ამ ცნებას. სამოქალაქო კოდექსი არ განმარტავს იმას თუ რა წარმოადგენს ოჯახს. ვფიქრობ, ხსენებული გარემოება გამომდინარეობს ამ ცნების მრავალმნიშვნელობიდან და ამ საკითხთან დაკავშირებით ერთიანი მიდგომის არარსებობიდან, (მხედველობაში მაქვს ისეთი მიდგომა, რომელიც მოერგებოდა ქართულ სამოქალაქო სამართალს და განმტკიცებას ჰპოვებდა საკანონმდებლო დონეზე).

\* ოჯახი, როგორც კატეგორია განეკუთვნება სოციალურ ფილოსოფიურ, ასევე ისტორიულ კატეგორიათა რიცხვს. ფილოსოფიურ ლექსიკონებში ოჯახი განმარტებულია, როგორც საზოგადოების უჯრედი (მცირე სოციალური ჯგუფი), პირადი ცხოვრების ორგანიზაციის უმნიშვნელოვანესი ფორმა, რომელიც ემყარება ცოლქმრულ კავშირისა და ნათესაურ კავშირებს. ოჯახის ცხოვრება ხასიათდება სხვადასხვა მატერიალური (ბიოლოგიური, სამეურნეო) და სულიერი (ზნეობრივი, ფსიქოლოგიური, ესთეტიური) პროცესებით. ოჯახის სოციალურ როლს განსაზღვრავს მისი უშუალო მონაწილეობა თვითონ ადამიანის კვლავწარმოებაში. იურიდიულ ტერმინთა განმარტებით ლექსიკონში ოჯახის ცნების ძიებისას თქვენ მრავლად წააწყდებით ისეთ განმარტებებს, როგორიც არის: ოჯახი - ტერმინი, ფართოდ გამოიყენება სამართლებრივ დოკუმენტებში და ნორმატიულ აქტებში, მას გააჩნია სოციალური და არა სამართლებრივი ხასიათი. სამართლის სხვადასხვა დარგებში ან ქვედარგებში მასში (ოჯახის ტერმინი) შესაძლებელია გამოიყენებოდეს განსხვავებული მნიშვნელობით.

## ნაწილი II

### ცნების „ქორწინება“, როგორც იურიდიული ტერმინის განმარტების არსობრივი და სამართლებრივი ასპექტი

ნებისმიერი ტერმინის განმარტებისას, თვისობრივი მნიშვნელობა აქვს, თუ რომელი მეცნიერების, მსოფლმხედველობის კონცეფციის ან მენტალური ფასეულობების იერარქიის სიბრტყეში იგება განმარტების მოდელის კონსტრუქცია.

სიტყვის განმარტება, ასახავს იმ აზრობრივ არსს, რომლის მატარებელია სიტყვა, გაგებული როგორც „ნიშანი“. აღნიშნულიდან გამომდინარე, კონკრეტული სიტყვის განმარტება მოიაზრება, როგორც ისეთი სიტყვიერი კონსტრუქცია, რომელსაც ძალუმს იყოს მატარებელი იმისა, თუ რა შინაარსობრივი შევსება ენიჭება ადამიანის მიერ კერძოდ ამ სიტყვას.

თუ ადამიანს განვიხილავთ, როგორც საზოგადოების ერთეულს, რომელთა სრული ერთობლიობა შეადგენს ისეთ მოცემულობას, რომელშიც პირად კომუნიკაციურ ხმოვან საშუალების (ანუ ენის) ერთ-ერთი განუყოფელი ელემენტი გახლავთ კერძოდ ის სიტყვა, რომლის განმარტებაზეც არის საუბარი, შეიძლება ითქვას, რომ განმარტების შინაარსობრივი შევსება არის მიღებული, იდენტიფიცირებული და აღქმული ამ მოცემულობაში (ანუ, სხვაგვარად - საზოგადოების მხრიდან) ერთგვარ Constanta-დ (ლათ. constans (constantis) მუდმივი, უცვლელი) ამ სიტყვასთან მიმართებაში.

**ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია გაკეთდეს შემდეგი დასკვნა:**

- ა)** სიტყვის განმარტება მართებულია გაგებული იყოს, როგორც ხალხის (ერის) ცნობიერებაში ამა თუ იმ მოვლენის არსის ფიქსაცია, მოცემული სიტყვიერი ფორმის (კონსტრუქციის) სახით.
- ბ)** ჯეროვანი განმარტების მოდელის შექმნის მიზანს შესაძლებელია წარმართული იყოს სხვადასხვა ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი მიმართულებით.

გთავაზობთ სიტყვის „ქორწინება“, როგორც „სიტყვა-ნიშანის“ არსობრივ განმარტებას, ქრისტიანული მსოფლმხედველობის სიბრტყეში. განმარტების მოდელის აგებისას გამოყენებულია კარლ გუსტავ იუნგის პიროვნების ანალიტიკური თეორია, კერძოდ კი, ხსენებული თეორიის ის ნაწილი, რომელიც ეხება „კოლექტიური ქვეცნობიერის“ (Collective unconscious) ცნებას<sup>9</sup>.

იუნგის თეორიის მიხედვით, „კოლექტიური ქვეცნობიერი“ პიროვნების ფსიქიკის ყველაზე ღრმა დონეა, რომელშიც განთავსებულია მოგონებებისა და ხატების ის სპექტრი, რომელთა სიმრავლე მას მემკვიდრეობით (უფრო ზუსტად – გენეტიკურად) გადაეცემა. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ უნივერსალური ნიშან-ხატები, რომლებიც არიან მოთავსებულნი კოლექტიურ ქვეცნობიერში თავის გამოხატულებას ჰპოვებენ ისეთ ფსიქიკურ წარმონაქმნში, როგორიც არის „არქეტიპი“ (იუნგის ტრანსკრიფცია – Archetype)<sup>10</sup> მნიშვნელოვანია ასევე ის მოსაზრება, რომლის მიხედვით, ერის (ნაციონალური) ცნობიერების ფუძეს წარმოადგენს „კოლექტიური ქვეცნობიერი“.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სიტყვის „ქორწინება“ არსობრივი განმარტების ლოგიკური ჯაჭვი შესაძლებელია წარმართული იყოს შემდეგი მიმართულებით:

სიტყვა „ქორწინება“ ნაწარმოებია სიტყვისაგან „ქორწილი“.<sup>11</sup>

მართებულად მიმაჩნია მისი განხილვა, სიტყვის კონსტრუქციის სიბრტყეში, როგორც შედეგი ორი სიტყვის „ქორწილი“ და „ნება“ სინთეზირების პროცესისა.

სიტყვა „ქორწილი“ ზემოაჩამოყალიბებული პოზიციის მიხედვით, შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს, როგორც კონსტრუქცია შედგენილი სამ ნაწილისაგან - „ქ-ორ-წილი“ (თუმანიშვილი გ. გ., 2002).

<sup>9</sup> Jung, C. G. (1959). *The Archetypes and the Collective Unconscious* (Vol. 9). Princeton, NJ: Princeton University Press.

<sup>10</sup> Jung, C. G. (1959). *The Archetypes and the Collective Unconscious* (Vol. 9). Princeton, NJ: Princeton University Press.

<sup>11</sup> თუმანიშვილი, გ. გ. (2002 წლის 7-8). ცნების „ქორწინება“, როგორც იურიდიული ტერმინის განმარტების არსობრივი და სამართლებრივი ასპექტი. *სამცენიერო-პრაქტიკული იურიდიული ჟურნალი „სამართალი“*, გვ. 78-79.

**განვიხილოთ თითოეული მათგანი:**

ასო-ნიშანი ქ – (ქანი) სულხან საბა ორბელიანის განმარტების მიხედვით, ნიშნავს ქებას<sup>12</sup>, იქვე "ქა ქრისტესა, ქარაგმით ესრეთ) ითქმის" (ორბელიანი, 1993). ქარაგმა არის - „ასონაკლების ნიშანი“.

აღსანიშნავია, რომ ქართული ეროვნული ცნობიერება არ გამოიჯნავს ერთმანეთისაგან ქრისტეს და ღმერთს, როგორც სხვადასხვა შინაარსის მქონე ცნებებს. უფრო მეტიც, იგი ერთგვარ სინთეზირებას ახდენს და აიგივებს ხსენებული ცნებების შინაარსობრივ დატვირთვას. ეს გარემოება ნიშნავს იმას, რომ როდესაც ქართულ მეტყველებაში გამოიყენება სიტყვა „ქრისტე“, ქართულ ეროვნულ ცნობიერებაში, აღქმის თვალსაზრისით, იგი განიცდის არსობრივი ხასიათის იდენტიფიკაციას ფსიქო-ასოციაციურ სახესთან „ღმერთი“.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია განსახილველად წარმოდგენილი იყოს შემდეგი კონსტრუქცია:

ასო-ნიშანი –ქ (ქრისტე). (*"უფალი ღმერთი" ქართულ ეროვნულ ცნობიერებაში გვევლინება იუნგის თეორიის მიხედვით და "კოლექტიური ქვეცნობიერის" ცნებაზე დაყრდნობით, როგორც ერთი შინაარსობრივი დატვირთვის მქონე სიტყვა-ნიშანი გაიგივებული სიტყვა-ნიშანთან "ქრისტე".*)

ორ – სულხან საბას განმარტების მიხედვით, ნიშნავს ორის ნაკვეთს<sup>13</sup>. იქვე სიტყვა "ორი"-ს შესატყვისად სულხან საბას გამოყენებული აქვს სიტყვა "ორ" (ორბელიანი, 1993) იქვე, - "ორ – ერთი და ერთი"<sup>14</sup>. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვიღებთ განმარტების შემდეგ კონსტრუქციას: სიტყვა „ორ“ - „ერთი და ერთი“, - „ორი“.

<sup>12</sup> ორბელიანი, ს.-ს. (1993). *ლექსიკონი ქართული* (ტომი II). (გვ. 209), თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“.

<sup>13</sup> ორბელიანი, ს.-ს. (1993). *ლექსიკონი ქართული* (ტომი I). (გვ. 604), თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“.

<sup>14</sup> ორბელიანი, ს.-ს. (1993). *ლექსიკონი ქართული* (ტომი I). (გვ. 605-606), თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“.

**წილი** – სულხან საბას განმარტებით ნიშნავს "ზედნაწილს, მოწილეს, ნაწილს"<sup>15</sup>. ჩვენ მიერ მოცემულ ასპექტში სიტყვა-ნიშანი „წილი“ ნიშნავს – ნაწილს.

**ნება** – (გაგებული, როგორც სიტყვა-ნიშანი) სულხან საბას მიერ განიმარტება შემდეგნაირად: „აღრჩევა ერთისა რასამე მრავალთაგან მოგონებათა კეთილთა, გინა ბოროტისა“<sup>16</sup>, იქვე „ნებასითი არს არცა იძულებით, არცა უმეცრებით ქმნული“, იქვე „ნებათაგანი არს ნება არსებისა, გონიერისა, სიტყვიერისა, გულის სათქმელისა მიმართ სურვილი“<sup>17</sup>.

ყოველივე ზემომოყვანილი მსჯელობიდან გამომდინარე სიტყვის "ქორწინება", როგორც სიტყვა-ნიშანის არსობრივი განმარტება გვესახება შემდეგნაირად:

**1. ასო-ნიშანი „ქ“ (ქანი) – უფალი ღმერთი;**

**2. სიტყვა „ორ“ – ორი;**

**3. სიტყვა „წილი“ – ნაწილი;**

**4. სიტყვა „ნება“ – არჩევა ერთისა რასამე მრავალთაგან.**

**ზემომოცემულ მდგომარეობათა შეჯერების შედეგად ვღებულობთ:**  
სიტყვა "ქორწინება" ნიშნავს – ღმერთის ორი დამოუკიდებელი ნაწილის მიერ გაკეთებულ არჩევანს.

1. სიტყვა „ქორწინება“ კარლ გუსტავ იუნგის პიროვნების ანალიტიკური თეორიის, კერძოდ კი ცნების „კოლექტიური ქვეცნობიერი“-ს გამოყენების და ქრისტიანული მსოფლმხედველობის სიბრტყეში განხილვით არსობრივ ასპექტში განიმარტება, როგორც - ღმერთის, (გაგებული ერთიანი მოცემულობის სახით) შემადგენლობაში არსებული და მისი

<sup>15</sup> ორბელიანი, ს.-ს. (1993). *ლექსიკონი ქართული* (ტომი II). (გვ. 377), თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“.

<sup>16</sup> ორბელიანი, ს.-ს. (1993). *ლექსიკონი ქართული* (ტომი I). (გვ. 588), თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“.

<sup>17</sup> ორბელიანი, ს.-ს. (1993). *ლექსიკონი ქართული* (ტომი I). (გვ. 588-589), თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“.



განუყოფელი ორი ნაწილის მიერ გაკეთებული ქმედება - „არჩევანი“.

2. სიტყვა „ქორწინება“ ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა ქართული სიტყვა მატარებელია იმ შინაარსობრივი დატვირთვისა, რომელიც მიღებულია, იდენტიფიცირებული და აღქმულია ერთგვარ Constanta-დ ქართული საზოგადოების მიერ, შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს, როგორც ხალხის (ერის) ცნობიერებაში ამა თუ იმ მოვლენის ფიქსაცია (ანაბეჭდი), რომლის არსებობის ფორმა არის სიტყვა.
3. სიტყვა „ქორწინება“ თავისი აგებულობის სპეციფიურობით თვით იძლევა იმ შინაარსობრივი შევსების აღქმის (და აგრეთვე გაგების) საშუალებას, რითიც ის გამოიყენება თანამედროვე ქართულ ენაში, კერძოდ კი იურიდიულ ლექსიკაში, სადაც ეს სიტყვა გამოიყენება როგორც ტერმინი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სიტყვა „ქორწინება“ თავისი თავის განმსაზღვრელია. ამასთან დაკავშირებით საინტერესოდ მიგვაჩნია ის გარემოება, რომ ხსენებული სიტყვის არსობრივი დატვირთვა, რომელიც ჩამოყალიბებულია და ფიქსირებულია ეროვნულ ცნობიერებაში დიდად არ განსხვავდება საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 1106-ე მუხლში არსებული დეფინიციისაგან, რომელშიც საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიულ სამსახური გვევლინება, ერთგვარ „ტრანცენდენტურ ობიექტად“<sup>18</sup>.

---

<sup>18</sup> თუმანიშვილი, გ. გ. (2002 წლის 7-8). ცნების „ქორწინება“, როგორც იურიდიული ტერმინის განმარტების არსობრივი და სამართლებრივი ასპექტი. *სამეცნიერო-პრაქტიკული იურიდიული ჟურნალი „სამართალი“*, გვ. 78-79.

## § IV.

## სამართლის დოქტრინები ქორწინების შესახებ


იურიდიულ ლიტერატურაში სხვადასხვა მოსაზრებები არსებობს ქორწინების შესახებ. ეს მოსაზრებები შეიძლება პირობითად სამად დაიყოს:

პირველთაგანს მიეკუთვნება მოსაზრებანი, რომ ქორწინება არის გარიგება;

მეორეს - ქორწინება არის მდგომარეობა. (შენიშვნის სახით: იურიდიული ლიტერატურაში ჩვენ გვხვდება სიტყვა "Status", ანუ ქორწინება-სტატუსი. წინამდებარე ნაშრომში სიტყვა "სტატუსი"-ს ნაცვლად ჩვენ ვიყენებთ მის შესატყვისს ქართულ ენაში სიტყვას "მდგომარეობა");

მესამე- ქორწინება წარმოადგენს პარტნიორობას (Partnership).

არსებობს ასევე მოსაზრებანი, რომ ქორწინება, როგორც ოჯახის შექმნის მიზნით მამაკაცისა და ქალის კავშირი, უნდა ატარებდეს სამისდღემშიო ხასიათს. ეს შეხედულება ეფუძნებოდა ვარაუდს იმის შესახებ, რომ ოჯახის ერთ-ერთ ძირითად მიზანს უნდა წარმოადგენდეს ბავშვების დაბადება და გაზრდა. ასეთი მიდგომა დამახასიათებელია არა მხოლოდ საბჭოთა საოჯახო სამართლისათვის, არამედ ასახვას პოულობდა საზღვარგარეთის ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობაში<sup>19</sup>. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიდგომის დოქტრინალური სისუსტე მით უფრო ცხადი ხდება, რაც უკანასკნელი დროის განმავლობაში ბევრ ქვეყანაში ვრცელდება ქორწინება-ამხანაგობის ფორმა. გარდა ამისა ეს შეხედულება პირდაპირ ეწინააღმდეგება მთელი რიგი სკანდინავიური ქვეყნების სამართალს, სადაც ერთი სქესის წარმომადგენელთა შორის ქორწინება მიიჩნევა დასაშვებად.



<sup>19</sup> ჩიკვაშვილი, შ. (2004). *საოჯახო სამართალი*. (გვ. 17-32), თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“.

ჩვენი ქვეყნის თანამედროვე მეცნიერთა მიერ, ქორწინების შესახებ დოქტრინების თაობაზე არსებული მოსაზრებანი ცალსახად არ იძლევა იმის თქმის საშუალებას, თუ რომელ დოქტრინას იზიარებს ქართული საოჯახო სამართალი ქორწინების ცნების განსაზღვრისას.

რუსი მეცნიერთა უმრავლესობა, რომელთა მეცნიერულ ინტერესის არეალს წარმოადგენს თანამედროვე რუსეთის საოჯახო სამართალი, უარყოფს ქორწინების ცნების განმარტებაში შეთანხმების ხსენების მართებულობას, და არ განიხილავს ქორწინების როგორც სამართლებრივ ცნების აღსნა-განმარტების პრობლემატიკას სამოქალაქო სამართლებრივ გარიგების კრილში. ასე მაგ. О.С.Иоффе აღნიშნავს, რომ ქორწინება წარმოიშევა იურიდიული აქტის საფუძველზე, რომელიც სრულდება, რათა წარმოშვას სამართლებრივი შედეგები. ამით იგი წააგავს სამოქალაქო სამართლებრივ გარიგებას, მაგრამ იმავდროულად О.С.Иоффе-ს აზრით "ქორწინების სოციალური შინაარსი და მისი სამართლებრივი განსხვავებანი" გამორიცხავენ მის კვალიფიკაციას როგორც საოჯახო სამართლებრივი გარიგების ნაირსახეობას.

А. И. Загорский აღნიშნავს, რომ თუმცა ქორწინებას თავის არსში აქვს გარიგების ელემენტი, მაგრამ თავისი შინაარსისა და შეწყვეტის პროცედურების მხრივ ძალზედ შორს არის გარიგებისაგან. ამიტომ ზემოხსენებული ავტორი თვლის, რომ ქორწინება მიკუთვნილი უნდა იქნას არა საოჯახო-სამართლებრივ გარიგებათა რიცხვს, არამედ "განსაკუთრებული ინსტიტუტის" რიგს.

საინტერესოდ მიგვაჩნია მ. ანტონოლსკაიას მოსაზრება ამ საკითხთან დაკავშირებით. იგი ქორწინებას განიხილავს როგორც ხელშეკრულებას. ამავე დროს ანიჭებს მას საიდუმლოებით მოცული მოვლენის და განსაკუთრებული ინსტიტუტის (sui generis) მატარებელ თვისებებს. ის წერს: "დაქორწინების შესახებ შეთანხმება რეგულირდება სამართლით და წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს, იგი წარმოადგენს ხელშეკრულებას"<sup>20</sup>. იმავდროულად, მისივე თქმით, დაქორწინების მიზანი მდგომარეობს არამარტო საქორწინო სამართალურთიერთობის წარმოშობაში, არამედ აგრეთვე ისეთი კავშირის შექმნაში, რომელიც

---

<sup>20</sup> Антонольская, М. (1996). *Семейное право*. (стр.109-114), Москва: издательство "БЭК".

ემყარება სიყვარულს, პატივისცემას, ურთიერთდახმარებას და მხარდაჭერას (Антонольская, 1996).

თანამედროვე საოჯახო სამართლის თეორიაში დღემდე ჭარბობს შეხედულებანი რომელთა მიხედვითაც ქორწინება არის მამაკაცსა და ქალს შორის თავისუფალი, ნებაყოფლობითი და თანასწორუფლებიანი კავშირი ოჯახის შექმნის მიზნით. ეს კავშირი დამყარებულია ურთიერთსიყვარულისა და პატივისცემის გრძნობებზე, რეგისტრირებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში და წარმოშობს მეუღლეთა შორის პირად (არაქონებრივ) და ქონებრივ უფლება-მოვალეობებს. ქორწინების სახელმწიფო რეგისტრაცია (ქორწინების რეგისტრაციის აქტი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში) წარმოადგენს სახელმწიფოს მხრიდან დასაქორწინებელ პირთა სამართლებრივი მდგომარეობის აღიარებას. ანუ დასაქორწინებელი პირ(ებ)ი გადადის(ან) თვისობრივად ახალ მდგომარეობაში – მეუღლე (დაქორწინებული). ზემოაღნიშნულს ეყრდნობა დოქტრინა ქორწინების, როგორც მდგომარეობის შესახებ, რომლის მიმდევრებიც მიიჩნევენ, რომ ქორწინება არის ის აუცილებელი მდგომარეობა (status), რომლის შემდეგ დასაქორწინებელი პირები გადადიან (ღებულობენ) „მეუღლის მდგომარეობას“ იმენენ გარკვეულ უფლებებსა და მოვალეობებს. მეუღლეებს შემდგომ შეუძლიათ უკვე გამოიყენონ აღნიშნული მდგომარეობა. მხოლოდ სახელმწიფოს მხრიდან დასაქორწინებელ პირთა მეუღლეებად აღიარების შემდეგ, (ქორწინების სახელმწიფო რეგისტრაციის აქტი) ისინი ხდებიან მეუღლეები და მხოლოდ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში განქორწინების რეგისტრაციის დღიდან ისინი აღარ ითვლებიან მეუღლეებად.


ამ წესთან კანონი ათანაბრებს საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების ქორწინებას საქართველოს საელჩოებში ან საკონსულოებში. იურიდიული ძალა აქვს ასევე საქართველოს

© გიორგი გ. თუმანიშვილი, 2010  
საქორწინო კონტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის არც ერთი ნაწილი, არანაირი მიზეზით, არ შეიძლება კვლავწარმოებული (რეპროდუცირებული) იყოს ნებისმიერი ფორმით და ხერხით - იქნება ეს ელექტრონული თუ მაგნიტური, ციფრული თუ ფოტოკოპირებული ან სხვა საშუალებით, საავტორო უფლების მფლობელის წერილობითი თანხმობის ან/და სათანადო წესით გახსორციელებული მითითების გარეშე.

ტერიტორიაზე არსებულ დიპლომატიურ წარმომადგენლობაში რეგისტრირებულ ქორწინებას. რაც შეეხება ქორწინების ფორმას, თითქმის ყველა ქვეყანა შეიძლება დაიყოს სამ ძირითად ჯგუფად:

1. სამართლებრივ შედეგებს წარმოშობს მხოლოდ სახელმწიფო ორგანოებში რეგისტრირებული ქორწინება. მაგ: საქართველო, გერმანია, საფრანგეთი, ბელგია, შვეიცარია, ჰოლანდია, რუსეთი, იაპონია.
2. ალტერნატიული საფუძვლით დადებული ქორწინება. ეს ის ქვეყნებია, სადაც გათანაბრებულია როგორც სახელმწიფო ორგანოებში, ისე საეკლესიო წესით რეგისტრირებული ქორწინება. მაგ: ინგლისი, დანია, ესპანეთი, იტალია, ავსტრალია, აშშ-ს ზოგიერთი შტატი, ნორვეგია, შვეიცარია, ფინეთი...
3. არსებობს ქორწინების მხოლოდ საეკლესიო ფორმა. მაგ: ისრაელი, ერაყი, ირანი, აშშ-ს ზოგიერთ შტატი, კანადის ცალკეული პროვინციები.



ამგვარად ქორწინება-მდგომარეობის მოდელში, მდგომარეობის (status) მიმნიჭებლად შეიძლება მოგვევლინოს როგორც სახელმწიფო ასევე ეკლესია. გააჩნია თუ რომელი ქვეყნის შიდა კანონმდებლობის მიხედვით ხორციელდება ქორწინება.

რაც შეეხება მესამე მოსაზრებას ქორწინება-ამხანაგობის (პარტნიორობის) შესახებ, რომელმაც გავრცელება ჰპოვა ბოლო დროს, მისი შინაარსი მდგომარეობს იმაში, რომ ქორწინება წარმოადგენს ამხანაგობას. აღნიშნული იდეის განვითარებას მრავალი ავტორი უკავშირებს სქესთა თანასწორუფლებიანობას. ამ მოსაზრების თანახმად, მეუღლეები ქორწინებისას ხდებიან პარტნიორები.

მნიშვნელოვნად მიმაჩნია წინამდებარე ნაშრომში ჩამოვყალიბო ქორწინების ბუნებასთან დაკავშირებით ჩემი ხედვა. ქვემოთ მოყვანილ მოსაზრებებს არ გააჩნიათ პრეტენზია იმისა, რომ ავტორისეული მოდელი არის ერთადერთი ჭეშმარიტი მოდელი განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. ამავე დროს ვფიქრობ, რომ შემოთავაზებული მოდელი ქართულ საოჯახო სამართლის თეორიისათვის და პრაქტიკისათვის, კეთილ, წინ გადადგმულ ნაბიჯათ შესაძლებელია ჩაითვალოს.

### **ხედვა და არგუმენტაცია მდგომარეობს შემდეგში:**

შეხედულების საფუძველი უკავშირდება პრინციპს: ქორწინება-ნებაყოფლობითი კავშირია.

ცნებები „გარიგება“ და „ნების გამოვლენა“ პირველად XVIII საუკუნეში წარმოიშვა იმ ფორმით, რომელითაც დღეს არსებობს. ამ ცნებების დანერგვა გერმანელი იურისტის სავინის სახელს უკავშირდება. გარიგების განსაზღვრისას სავინიმ ყურადგება გაამახვილა ნების მნიშვნელობაზე. მან პირველად განიხილა ცნებები „გარიგება“ და „ნების გამოვლენა“ როგორც სინონიმები, რომელთა არსებობის და მოქმედების არეალი განისაზღვრება სამართლებრივი სიბრტყით. გარიგების განმარტებისას ის გადამწყვეტ მნიშვნელობას სწორედ ნების გამოვლენას ანიჭებდა. მის სახელს ასევე უკავშირდება ე.წ. ნების თეორიის წარმოშობა.

მოდერნება გარიგების შესახებ საკანონმდებლო განმტკიცებას პირველად პრუსიულ სამართალში პოულობს. 1794 წლის პრუსიული სამართლის წიგნი იყენებს არა „გარიგების“ ტერმინს, არამედ ტერმინს - „ნების გამოვლენა“.


საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 50-ე მუხლის მიხედვით „გარიგება არის ცალმხრივი, ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენა...”

ამ განსაზღვრების მიხედვით, გარდა იმისა, რომ ნება უნდა არსებობდეს, აუცილებელია ეს ნება იყოს გამოვლენილი, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არა ყოველგვარი ნების გამოვლენა წარმოადგენს გარიგებას. იმისათვის, რომ ნების გამოვლენა გარიგებად იქნეს მიჩნეული იგი სამართლებრივი ხასიათის უნდა იყოს. სსკ 50-ე მუხლი აზუსტებს, რომ გარიგებად მიიჩნევა მხოლოდ ისეთი ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან

შეწყვეტისაკენ. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ნების გამოვლენა გარიგების განსაზღვრის საფუძველია. ნების გამოვლენის გარდა, იმისათვის, რომ ამ უკანასკნელმა წარმოშვას, შეცვალოს ან შეწყვიტოს სამართლებრივი ურთიერთობა, აუცილებელია იყოს დაცული განსაზღვრული პირობები. ერთის მხრივ, დაცული უნდა იქნეს მატერიალური, ხოლო მეორეს მხრივ - ფორმალური წინაპირობები. ნების გამოვლენის ამგვარ თვისებას, ანუ იმას, რომ იგი გამოსადეგარია (ვარგისია) სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის შეცვლის ან შეწყვეტისათვის, კანონი „ნების ნამდვილობას“ უწოდებს.

**ქორწინების ბუნების განსაზღვრისას ყურადღება უნდა იქნეს გამახვილებული შემდეგ მდგომარეობებზე:**

1. ქორწინება - ნებაყოფლობითი კავშირია;
2. ქორწინება - რეგისტრირებული უნდა იყოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში;
3. ქორწინება - ორი ადამიანის ნების თავისუფალი გამოხატვის ფორმაა;
4. ქორწინება - დასაშვებია განსაზღვრულ ასაკს მიღწეულ პირებს შორის.



ზემომოცემულ მდგომარეობათა შეჯერების წყალობით ვღებულობთ შედეგს, რომ ქორწინება არის – ხელშეკრულება. (შენიშვნა: დავძენ, რომ მოყვანილი მდგომარეობანი უცვლელი სახით არსებობენ თითქმის ყველა სახელმწიფოს სამართალში, სხვაობა გვხვდება N2-ში აღნიშნულ მარეგისტრირებელ ორგანოს დასახელებაში. როგორც მანამდე მქონდა საუბარი მდგომარეობა N2-ში შეიძლება მოიაზრებოდეს ამა თუ იმ სახელმწიფოს სამართლის მიხედვით განსაზღვრული უფლებამოსილი ორგანო).

ზემოჩამოთვლილ მდგომარეობათაგან – მდგომარეობა N2 წარმოშობს ხელშეკრულების (ქორწინების) მხარეებისათვის სამართლებრივ უფლებებსა და მოვალეობებს.

თუ განვავრცობთ მსჯელობას და ქორწინებას განვიხილავთ ფართო გაგებით, შემთხვევაში, როდესაც ქორწინება წარმოდგენილია როგორც ხელშეკრულება, მის მხარეებად მართალია მოგვევლინებინა მხოლოდ დასაქორწინებელი პირები, მაგრამ ამ ხელშეკრულებაში მონაწილეთა რიცხვი არის ოთხი. ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ ხელშეკრულების მხარეები და "პერსონაჟები". სიტყვა პერსონაჟს ვიყენებ როგორც ლატენტურ „ფარულ, მიძინებულ მხარეს“, რომელიც აღნიშნულ სამართლებრივ ურთიერთობაში იღებს მონაწილეობას. მართალია იგი პირდაპირ არ იძენს ხელშეკრულებიდან (ქორწინებიდან) გამომდინარე გარკვეულ უფლებებსა და მოვალეობებს, მაგრამ მისი უზღუდველყოფა როგორც მოქმედი „პერსონაჟის“ არ მიმაჩნია მართებულად.

ზემოხსენებულ „პერსონაჟებად“ გვევლინება სახელმწიფო (ეკლესია ამა თუ იმ სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობის მიხედვით) და საზოგადოება (მოწმეების ინსტიტუტის სახით).


### **აღნიშნული მოსაზრების მართებულობა მტკიცდება შემდეგით:**

- 1.** დასაქორწინებელი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემაჯალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში (შემდგომში - ტერიტორიული სამსახური) ქორწინების რეგისტრაციისას ანუ ქორწინების აქტების სარეგისტრაციო წიგნში ხელმოწერის დაფიქსირებით თანხმდებიან (ადასტურებენ თანხმობას) ქორწინების განხილული როგორც




ხელშეკრულების პირობებზე, რომელსაც მათ უდგენთ კანონი, ანუ სახელმწიფო (საქართველოს სინამდვილეში). ისინი თანხმდებიან ურთიერთრჩენის მოვალეობაზე, ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონების სამართლებრივ რეჟიმზე (თუ არ არსებობს მათ შორის საქორწინო ხელშეკრულება) და სხვა... ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ისინი თანხმდებიან "პერსონაჟის" მიერ წაყენებულ იმპერატიული ხასიათის პირობებზე (რომლებიც დადგენილია მოქმედი კანონმდებლობით).

2. ქორწინების აქტების სარეგისტრაციო წიგნში დასაქორწინებელი პირები თავისი ხელმოწერით ასევე ადასტურებენ თანხმობას, ქორწინების, (განხილული როგორც ხელშეკრულების) იმ პირობებზე, რომელთა შეცვლაც მათ არ შეუძლიათ. ანუ თანხმდებიან მათი თავისუფალი ნების გარკვეულ შეზღუდვაზე "პერსონაჟის" მხრიდან.
3. მოწმეთა მონაწილეობის აუცილებლობა ქორწინების რეგისტრაციისას. მოწმეთა ინსტიტუტი აღნიშნავს ქორწინების საზოგადოებრივი მნიშვნელობის ფაქტს და ანიჭებს მას საჯარო ხასიათს.
4. ქორწინების აქტების სარეგისტრაციო წიგნში ხელმოწერი პირები:
  - ა) დასაქორწინებელი პირები (ქორწინების, განხილული როგორც ხელშეკრულების მხარეები);
  - ბ) ტერიტორიულ სამსახურის თანამდებობის პირი („პერსონაჟი“ – სახელმწიფო);
  - გ) მოწმეები („პერსონაჟი“ – საზოგადოება).



ზემოაღნიშნული მდგომარეობიდან გამომდინარე ვიღებთ, რომ ქორწინების, როგორც ხელშეკრულების მონაწილეთა რიცხვი არის ოთხი, ხოლო მხარე ორი.



ქორწინების უნივერსალური დეფინიციის ჩამოსაყალიბებლად აუცილებელია ყურადღების გამახვილება ასევე მონაწილე მხარეთა სქესზე.

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით მხარეებად შეიძლება მოისაზრებოდნენ მხოლოდ ურთიერთსაპირისპირო სქესის მქონე პირები, რაც გამართლებულია ქვეყნის შიგნით არსებული რელიგიური, საზოგადოებრივი და ზნეობრივი ნორმებით, მაგრამ აღნიშნული პოზიცია ზოგადთეორიული თვალსაზრისით საოჯახო სამართლის სიბრტყეში საჭიროებს კორექტირებას.

დემოკრატიულ სახელმწიფოთა უმრავლესობა აღიარებს ადამიანის უფლებათა საყოველთაო პრინციპებს. ნიშანდობლივია, რომ ამ პრინციპებზე დაყრდნობით მიღებული იქნა ცვლილებები გერმანულ სამართალში, არაფერი რომ ვთქვათ დანიის, შვედეთის, საფრანგეთის, ნორვეგიის, ჰოლანდიის კანონმდებლობაზე, სადაც დაშვებულია ერთი სქესის წარმომადგენელთა შორის ქორწინება. მაგალითად 1994 წელს შვედეთში მიღებულმა კანონმა, რომელიც ძალაში შევიდა 1995 წლის 1 იანვარს, განსაზღვრა ერთი სქესის პირთა ქორწინების სპეციალური პროცედურა.

ამგვარად, ზოგადთეორიული მეცნიერული თვალსაზრისით, ქორწინება არის ორი ადამიანის ნებაყოფლობითი კავშირი და არა კავშირი მხოლოდ და მხოლოდ კაცსა და ქალს შორის. ანუ ქორწინების, განხილული როგორც ხელშეკრულების მხარეებად მიჩნეული უნდა იყვნენ გარკვეულ ასაკს მიღწეული პირები - ადამიანები. წინააღმდეგ შემთხვევაში ამა თუ იმ ქვეყნის საოჯახო სამართლის მეცნიერება ექცევა ჩიხში და წინააღმდეგობაში მოდის, როგორც ქვეყნის კონსტიტუციასთან ასევე, ადამიანის უფლებათა საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებთან.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქორწინების უნივერსალური დეფინიციის მიხედვით: ქორწინება ოჯახის შექმნის მიზნით, ორი ადამიანის ნებაყოფლობითი კავშირია, რომელიც რეგისტრირებულია ამა თუ იმ ქვეყნის შიდასახელმწიფოებრივი სამართლით განსაზღვრულ უფლებამოსილ ორგანოში.

ზემოაღნიშნული დეფინიცია ეფუძნება ჩემს მიერ შემუშავებულ ქორწინება – „ხელშეკრულება“ ახსნა-განმარტებით მოდელს, შინაარსობრივად არ ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა საყოველთაოდ აღიარებულ დებულებებს, და თავისი არსობრივი დატვირთვით განამტკიცებს მხარეთა თანასწორუფლებიანობას.

მოქმედი სამოქალაქო კანონმდებლობის მიხედვით, კერძოდ კი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1106-ე მუხლის მიხედვით „ქორწინება ოჯახის შექმნის მიზნით ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირია, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში“

## § V.

### საქორწინო კონტრაქტის წარმოშობა და განვითარება

საქორწინო კონტრაქტის წარმოშობის საკითხი დღემდე ღიაა მეცნიერთა შორის. ჩემს მიერ მომიებული მასალა გარკვეულწილად (ამ ეტაპზე) იძლევა პასუხს კითხვაზე თუ რომელ სახელმწიფოში იყო პირველად გამოყენებული ზემოაღნიშნული კონტრაქტი და როდის?

მკვლევართა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ საქორწინო კონტრაქტის წარმოშობა უკავშირდება ამერიკის შეერთებულ შტატებს, ხოლო მისი დადების თარიღად ნავარაუდევია პერიოდი 1905-1915 წლები.

იმისათვის, რომ ჯეროვანი პასუხი გავცეთ ზემოხსენებულ კითხვას აუცილებელია გარკვეული ქრონოლოგიური და ლოგიკური ჯაჭვის აგება დღევანდელი დღიდან შორეული წარსულის ჩათვლით და მისი გაანალიზება.

მკვლევართა მოსაზრება იმის შესახებ, რომ საქორწინო კონტრაქტი პირველად გამოყენებულ იქნა იმ შინაარსობრივი დატვირთვით რაც მას დღეს გააჩნია ამერიკის შეერთებულ შტატებში, და თან მე-XX საუკუნის დასაწყისში, არის მცდარი.

### არგუმენტაცია:

1. 1905 წელს ჰააგაში მიღებულ იქნა კონვენცია, რომელიც ეხებოდა საოჯახო სამართლებრივ საკითხების ფართო წრეს, კერძოდ კი საქორწინო კონტრაქტს;
2. 1882 წლამდე ინგლისში მეუღლეთა საკუთრება რეგულირდებოდა Common Law – ს პრინციპებით და ნორმებით. საერთო სამართლის ნორმების მიხედვით მეუღლეთა საკუთრება თითქმის მთლიანად ეკუთვნოდა მეუღლე მამაკაცს (ქმარს). ქალს არ ჰქონდა უფლება თავისი საკუთრების განკარგვისა ანუ ქონებრივი დამოუკიდებლობისა, ვინაიდან მისი საკუთრება გადადიოდა მეუღლის საკუთრებაში, რომლის განკარგვის უფლებაც ქმარს ჰქონდა. 1882 წელს ინგლისში მიღებულ იქნა კანონი "დაქორწინებული ქალების საკუთრების შესახებ". კანონში განსაზღვრული იყო, რომ მომავალში – ქალის დაქორწინების შემთხვევაში, ის ქონება რომელიც ქალის საკუთრებაში იყო დაქორწინებამდე, ასევე, ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება, საკუთრების იმ სამართლებრივი რეჟიმით უნდა ყოფილიყო განსაზღვრული, რომელიც იქნებოდა გათვალისწინებული საქორწინო ხელშეკრულების დადების შემთხვევაში, მეუღლეთა წილობრივი საკუთრებისას.
3. 1835 წელს საფრანგეთში პირველად გამოქვეყნებული იყო ონორე დე ბალზაკის თხზულება "La Fleur des pois". ეს იდიომატური ფრანგული წინადადება ნიშნავს "ზარდის ფოთოლს". თავდაპირველ ვარიანტში თხზულება შედგებოდა სამი შემადგენელი ნაწილისაგან:
  1. დადებითი და წინააღმდეგი;
  2. საქორწინო კონტრაქტი;
  3. განშორება.1942 წელს ონორე დე ბალზაკის ზემოხსენებული თხზულება ხელახლა იქნა გამოცემული სათაურით "საქორწინო კონტრაქტი". ამ

© გიორგი გ. თუმანიშვილი, 2010

საქორწინო კონტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის არც ერთი ნაწილი, არანაირი მიზეზით, არ შეიძლება კვლავწარმოებული (რეპროდუცირებული) იყოს ნებისმიერი ფორმით და ხერხით - იქნება ეს ელექტრონული თუ მაგნიტური, ციფრული თუ ფოტოკოპირებული ან სხვა საშუალებით, საავტორო უფლების მფლობელის წერილობითი თანხმობის ან/და სათანადო წესით გაწვრთცილებული მითითების გარეშე.

სათაურით ბალზაკი ცდილობდა უკეთ გაეხსნა მის თხზულებაში არსებული ძირითადი თემა. როგორც მოგვსენებათ ბალზაკის შემოქმედება ცნობილია იმით, რომ იგი შესანიშნავად ახერხებდა თავის ნაწარმოებებში გადმოეცა ის პოლიტიკური, სოციალური თუ სხვა მდგომარეობანი, რომელთაც იმ დროს ადგილი ჰქონდა საფრანგეთის სინამდვილეში. თავის თხზულებაში ბალზაკი მოგვითხრობს ისტორიას იმის შესახებ, თუ როგორ დაიღო საქორწინო კონტრაქტი მისი თხზულების ორ პერსონაჟს შორის. თხზულებიდან ნათლად ჩანს, რომ საფრანგეთში არამც თუ 1835 წელს, არამედ ბევრად ადრეც საქორწინო კონტრაქტი იყო ჩვეულებრივი მოვლენა, როდესაც დასაქორწინებელი პირების იურისტები ადგენდნენ საქორწინო კონტრაქტს, ხოლო შემდეგ დასაქორწინებელი პირები განიხილავდნენ მას და თანხმობის დადასტურებისათვის ხელს აწერდნენ. თხზულებაში ასახულია და აღწუსებულია, ის ქონებრივი ხასიათის სიკეთე, რომლის სამართლებრივი რეჟიმის განსაზღვრისათვისაც იდებოდა ზემოაღნიშნული საქორწინო კონტრაქტი. ამგვარად მცირე დასკვნის სახით შესაძლოა ითქვას, რომ 1835 წელს საფრანგეთის მოსახლეობისათვის არამც თუ უცხო, არამედ ძალიან ნაცნობი იყო საქორწინო კონტრაქტის ინსტიტუტი და მისი რაობა, რაც დასტურდება იმ დროს მოქმედი საფრანგეთის სამოქალაქო კანონმდებლობითაც, კერძოდ კი 1804 წლის საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსში არსებული სამართალმდგომარეობით. შესაძლებელია ასევე დავასკვნათ, რომ საფრანგეთში მე-XIX საუკუნის დასაწყისში საქორწინო კონტრაქტი არა მხოლოდ ლეგალურად დაშვებული იყო, არამედ აქტიურად გამოიყენებოდა კიდევ, ვინაიდან საზოგადოების ფართო ფენები ხშირ შემთხვევაში "მაღალი" საზოგადოების წარმომადგენლები უმაღლეს მიმართულებას ხელშეკრულების ამ სახეს.

4. 1989 წელს პირველად გამოქვეყნებული იყო, ხოლო 1991 წელს ითარგმნა ებრაულ ენაზე მეცნიერთა მიერ შემთხვევით აღმოჩენილი 1754-1765 წლებში შედგენილი, პორტუგალიელი ებრაელების კეთუბნები (საქორწინო კონტრაქტი), რომელთა რაოდენობაც შეადგენდა 10 ტომს, სულ საქორწინო კონტრაქტთა რეესტრი მოიცავდა 233 საქორწინო კონტრაქტს. აღნიშნული კონტრაქტები შედგენილი იყვნენ ტუნისის პორტუგალური თემის (გრანა) რავინთა სასამართლოს მოსამართლეების მიერ. 233 საქორწინო კონტრაქტი,

© გიორგი გ. თუმანიშვილი, 2010  
საქორწინო კონტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის არც ერთი ნაწილი, არანაირი მიზეზით, არ შეიძლება კვლავწარმოებული (რეპროდუცირებული) იყოს ნებისმიერი ფორმით და ხერხით - იქნება ეს ელექტრონული თუ მაგნიტური, ციფრული თუ ფოტოკოპირებული ან სხვა საშუალებით, საავტორო უფლების მფლობელის წერილობითი თანხმობის ან/და სათანადო წესით განხორციელებული მითითების გარეშე.

რომელიც მიახლოებით იმავე შინაარსობრივი დატვირთვის იყო რაც დღეს (ბუნებრივია თავისი სფეროში ნიშნების გათვალისწინებით) შედგენილ და დადებულ იქნა თერთმეტი წლის განმავლობაში, რაც იმაზე მიგვითითებს, რომ ტუნისის პორტუგალური თემისათვის და იმ "ებრაელობისათვის" რომელიც იქ ცხოვრობდა საქორწინო კონტრაქტი ჩვეული მოვლენა იყო იმ დროის მონაკვეთში რა დროსაც შედგენილი იქნენ ზემოაღნიშნული კეთუბნები ანუ 1754-1765 წ.წ.

5. 1538 წელს ლანდერლოკის ერთ-ერთ დასახლებაში დადებულ იქნა საქორწინო კონტრაქტი, ვინმე მარტენ გერსა და ბერნარდა დე როლს შორის, (მეუღლე - ქმარი 14 წლის, მეუღლე - ცოლი 12 წლის). ამ კონტრაქტის შესახებ შემდგომ ცნობილმა ადვოკატმა ჟან დე კორამ დაწერა წიგნი "Достопамятный приговор".
6. ეს არგუმენტიჩემი აზრით საჭიროებს დიდ ყურადღებას, ვინაიდან იგი ეყრდნობა უძველეს დოკუმენტურ მასალას, რომელიც მიეკუთვნება ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეხუთე საუკუნეს. კერძოდ, 1893 წელს კუნძულ ელეფანტინის ერთ-ერთ დასახლებაში, რომელიც მდებარეობს მდინარე ნილოსის ნაპირზე აღმოჩენილი იქნა პაპირუსის რამოდენიმე ასეული შეკვრა. პაპირუსის ამ შეკვრებიდან 8 შეკვრა 1947 წელს საჩუქრად გადაეცა ბრუკლინის ხელოვნების მუზეუმს. პაპირუსზე შესრულებული ნაწერები მოგვითხრობენ ვინმე ანანიის (რომელიც მოხსენიებულია, როგორც ერთ-ერთი ებრაელი "თემის მამა") და მისი მეუღლის – ტამუტის ცხოვრებას. ამ ნაწერების გარდა, რომლებიც ძირითადად შესრულებულია ძველ არამეულ ენაზე პაპირუსის შეკვრებში მრავლადაა ამა თუ იმ პირებს შორის დადებული საქორწინო კონტრაქტები. იხადება კითხვა: რა უნდოდათ ებრაელებს ეგვიპტეში? მეცნიერთა მტკიცებით ანანიის შესახებ, რომელიც მოხსენიებულია ზემოაღნიშნულ წარწერებში პირველად ცნობილი ხდება ჩვენს წელთაღრიცხვამდე 449 წლის 9 აგვისტოთი დათარიღებულ ქორწინების აქტით. აღნიშნული დოკუმენტი ცხადყოფს და ადასტურებს მის საქორწინო კავშირს ვინმე ქალწულ ტამუტთან, რომელიც ეგვიპტის მკვიდრი მოსახლე იყო. ტამუტის მამამ, ვალის გადახდის სანაცვლოდ მიიყიდა თავისი ქალიშვილი ვინმე მიშულამას, რაც იმ დროს სესხის დაფარვის ჩვეულებრივ სახედ გვევლინებოდა. ტამუტის და ანანიის ქორწინების მომენტისათვის მათ უკვე ჰყავდათ ექვსი წლის ვაჟი სახელად პალტი,

საქორწინო კონტრაქტის მეშვეობით ტამუტის ვაჟიშვილი თავისუფლდებოდა მონობისაგან, ხოლო ტამუტი ისევ რჩებოდა მისი მეუღლის მონობაში. ზემოაღნიშნულ პაპირუსის შეკვრებში არსებული ყველა საქორწინო კონტრაქტი შედგენილია არამეულ ენაზე გამოკვეთილი და დახვეწილი იურიდიული ტერმინოლოგიით არამეული ენის სწავლული პირების მიერ. აგრეთვე ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ ყველა კონტრაქტი ხელმოწერილია როგორც უშუალოდ მხარეების, ასევე მოწმეების მიერ.

მაშასადამე, როგორც ჩანს, საქორწინო კონტრაქტი არამც თუ ამერიკის შეერთებული შტატების ან ზოგადად "ძველი ევროპის" მონაპოვარია არამედ მის წარმოშობას ბევრად უფრო შორს მივყავართ შორეული "ძველი აღმოსავლეთისაკენ", კერძოდ კი ეგვიპტისაკენ.

არგუმენტი N6 ცხადჰყოფს, რომ ჩვენ წელთაღრიცხვამდე 449 წელს ეგვიპტესთვის ჩვეულებრივია საქორწინო კონტრაქტის ინსტიტუტი. იგი არამც თუ მხოლოდ იცნობს ამ ინსტიტუტს, არამედ ფართოდაც იყენებს, როგორც სხვადასხვა სახელმწიფოების მოქალაქეების ქორწინებისას ასევე ეგვიპტელების ქორწინებისას.

ეგვიპტეში, ჩვენ წელთაღრიცხვამდე 449 წელს ანანიის და ტამუტის შორის დადებული საქორწინო კონტრაქტი შინაარსობრივად მოიცავს დღევანდელი საქორწინო კონტრაქტის მრავალ ელემენტს. მათ კონტრაქტში არის საუბარი ტამუტის მამის კუთვნილ სახლზე, რომელიც ანანიის საკუთრებაში გადავიდოდა ქორწინების შემდგომ, ასევე რამოდენიმე მდგომარეობა, რომელიც ეხებოდა მათ ერთად ცხოვრების პერიოდში შეძენილ ქონებას, და რაც ასევე მნიშვნელოვანია, კონტრაქტში მრავლად არის ის სამართალმდგომარეობანი, რომლებიც დაარეგულირებდნენ მათ ქონებრივ უფლებებს და მოვალეობებს განქორწინებისას.

**§ VI.****მეუღლეთა არაქონებრივი და ქონებრივი (კანონით დადგენილი)  
ურთიერთობანი**

კანონმდებელი სამოქალაქო კოდექსის მეხუთე წიგნში მეუღლეთა პირადი და ქონებრივი უფლებამოვალეობების მარეგულირებელი ნორმების ჩამოყალიბებამდე ჯერ გვთავაზობს ზოგად დებულებებს, რომელშიც მოქცეულია სამი მუხლი: ქორწინების რეგისტრაციის მნიშვნელობა; მეუღლეთა თანასწორუფლებიანობა; დისკრიმინაციის აკრძალვა.

სსკ 1151-ე მუხლში კანონმდებელი კიდევ ერთხელ ამახვილებს თავის ყურადღებას ქორწინების რეგისტრაციის მნიშვნელობაზე და ამბობს, რომ მეუღლეთა უფლება-მოვალეობებს წარმოშობს მხოლოდ სააგენოს ტერიტორიულ სამსახურში რეგისტრირებული ქორწინება. ეს იმას ნიშნავს, რომ საქორწინო ურთიერთობების მოწესრიგება და მისთვის იურიდიული ძალის მინიჭება მხოლოდ სახელმწიფოს კომპეტენციაში შედის.

მეუღლეთა უფლებებისა და მოვალეობების სამართლებრივ რეგულირებამდე კანონმდებელი ასევე კიდევ ერთხელ მიგვითითებს მეუღლეთა თანასწორუფლებიანობის შესახებ და საგანგებოდ განმარტავს, რომ საოჯახო ურთიერთობებში მეუღლეები სარგებლობენ თანაბარი პირადი და ქონებრივი უფლებებით და ეკისრებათ თანაბარი მოვალეობები. თანასწორუფლებიანობის პრინციპი გახლავთ კონსტიტუციური მნიშვნელობის, ვინაიდან მას საფუძვლად უდევს საქართველოს კონსტიტუციის 36-ე მუხლის პირველი პუნქტი.


მესამე, რაზედაც მიგვითითებს კანონმდებელი გახლავთ დისკრიმინაციის აკრძალვა. კანონმდებელი პირდაპირ, ზუსტად და ცალსახად განსაზღვრავს, რომ დაქორწინებისას და საოჯახო ურთიერთობებში არ დაიშვება უფლებათა პირდაპირი ან არაპირდაპირი შეზღუდვა, პირდაპირი ან არაპირდაპირი უპირატესობის მინიჭება წარმოშობის, სოციალური და ქონებრივი მდგომარეობის, რასობრივი და ეროვნული კუთვნილების, სქესის, განათლების, ენის, რელიგიისადმი დამოკიდებულების, საქმიანობის სახეობისა და ხასიათის, საცხოვრებელი ადგილისა და სხვა გარემოებათა მიხედვით.

---

© გიორგი გ. თუმანიშვილი, 2010  
საქორწინო კონტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის არც ერთი ნაწილი, არანაირი მიზეზით, არ შეიძლება კვლავწარმოებული (რეპროდუცირებული) იყოს ნებისმიერი ფორმით და ხერხით - იქნება ეს ელექტრონული თუ მაგნიტური, ციფრული თუ ფოტოკოპირებული ან სხვა საშუალებით, საავტორო უფლების მფლობელის წერილობითი თანხმობის ან/და სათანადო წესით გახსოვრებული მითითების გარეშე.






### ნაწილი I

#### პირადი ურთიერთობანი მეუღლეთა შორის

კანონმდებელი მეუღლეთა პირად უფლებებზე საუბრისას უპირველესყოფლისა გამოყოფს ოთხ ძირითად უფლებას, რომელსაც განაკუთვნებს მეუღლეთა პირად (არაქონებრივ) უფლებათა რიცხვს.



დაქორწინების დროს მეუღლეებს თავისი სურვილისამებრ შეუძლიათ აირჩიონ სამომავლოდ ქორწინების პერიოდში თუ რომელ გვარს ატარებენ. თითოეულს შეუძლია შეინარჩუნოს (დაიტოვოს) თავისი ქორწინებამდელი გვარი. მეუღლეებს შეუძლიათ აირჩიონ საერთო გვარი. საერთო გვარის არჩევა შესაძლებელია ორი სხვადასხვა ხერხით. პირველია, როდესაც ერთი მეუღლე ირჩევს მეორე მეუღლის გვარს და ამით ცვლის თავის ქორწინებამდელ გვარს. ამ შემთხვევაში ორივე მეუღლეს აქვს ერთი გვარი (ერთ მეუღლეს თავისი ქორწინებამდელი გვარი, ხოლო მეორე მეუღლე ირჩევს პირველი მეუღლის გვარს). მეორე

შემთხვევაში მეუღლეები იერთებენ ერთმანეთის გვარებს, რომლებიც დაიწერება შემდეგნაირად: ქორწინებამდელი გვარი (დეფიზი) მეორე მეუღლის გვარი, ამ შემთხვევაშიც გამოდის, რომ მათ აქვთ გარკვეულწილად საერთო გვარი, უბრალოდ პირველი შემთხვევისაგან განსხვავებით მეორე შემთხვევაში თითოეული მეუღლის გვარი მართალია შეიცავს მეორე მეუღლის გვარს, მაგრამ (მეორე მეუღლის მიერთებული გვარი) დაწერილ იქნება საკუთარი ქორწინებამდელი გვარის შემდგომ. ეს უფლება ორივე მეუღლისათვის აბსოლუტური ხასიათისაა, რაც იმას ნიშნავს, რომ გვარის შეცვლა ან შეერთება შეუძლია როგორც ქალს, ასევე მამაკაცსაც.

მნიშვნელოვანია კანონმდებლის განსაზღვრება, რომელიც კრძალავს გვარების შეერთებას იმ შემთხვევაში თუ ერთ-ერთ მეუღლეს ან ორივეს ქორწინების მომენტისათვის უკვე აქვს ორმაგი გვარი.

მნიშვნელოვანია, რომ გვარის არჩევა მეუღლეებს შეუძლიათ ქორწინების რეგისტრაციისას, მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ ქორწინების რეგისტრაციის შემდგომ შეუძლებელია გვარის შეცვლა. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს მხოლოდ ორი იურიდიული ტერმინის სახესხვაობასთან. პირველ შემთხვევაში ეს ტერმინია - არჩევა, ხოლო მეორე შემთხვევაში - შეცვლა. ამგვარად, იმ შემთხვევაში, თუ თითოეულმა მეუღლემ ქორწინებისას დაიტოვა თავისი ქორწინებამდელი გვარი, მას შეუძლია ქორწინების პერიოდში შეცვალოს თავისი გვარი და გადავიდეს მეუღლის გვარზე, ან თუნდაც შეცვალოს ქორწინებამდელი გვარი ამისათვის მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი საერთო წესის საფუძველზე.

მნიშვნელოვანია, რომ ერთ-ერთი მეუღლის მიერ გვარის შეცვლა (იმ შემთხვევაშიც, როდესაც მეუღლეები საერთო გვარს ატარებენ) არ იწვევს მეორე მეუღლის მიერ გვარის შეცვლას. ვინაიდან გვარის შეცვლის უფლება პირადი (პერსონალური) ხასიათისაა და მისი განხორციელებისათვის აუცილებელია ამ უფლების მფლობელის პირადი ნების გამოვლენის არსებობა.

პირად უფლებათა რიცხვს განეკუთვნება საოჯახო საკითხების ერთობლივი გადაწყვეტის უფლება, რაც გულისმობს იმას, რომ შვილების აღზრდისა და ოჯახის სხვა საკითხებს მეუღლეები ერთად წყვეტენ. საქართველოს მოქმედი საოჯახო-სამართლებრივი კანონმდებლობა არ

იცნობს ისეთ სამართალმდგომარეობებს, რომლებიც აღჭურვავდნენ მეუღლე (ქალს) ან მეუღლე (მამაკაცს) საოჯახო საკითხების გადაწყვეტის რაიმე სახის პრივილეგიით. შესაბამისად აბსოლუტურად ყველა საოჯახო საკითხი, მიუხედავად მისი მნიშვნელობისა უნდა გადაწყდეს ურთიერთშეთანხმებით.

რას ნიშნავს საოჯახო საკითხი? ამ კითხვაზე კანონმდებელი პასუხს არ იძლევა. არც იურიდიულ ლიტერატურაშია ნათლად ჩამოყალიბებული ერთიანი აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით. რომელი საკითხები უნდა იქნას მიკუთვნებული საოჯახო საკითხთა წრეს? ამ კითხვაზე პასუხი უპირველესყოფლისა უნდა მოიცავდეს ისეთ საკითხებს (ურთიერთობებს), რომლებიც დაკავშირებულია შვილის აღზრდასთან ვინაიდან შვილის აღზრდის საკითხი ცალსახად იგულისხმება საოჯახო საკითხთა წრეში (სსკ 1155-ე მუხლი), ყველა სხვა საკითხი იგულისხმება საოჯახო საკითხთა წრეში თუ იგი ეხება საერთო (საოჯახო) ინტერესებს. ხოლო ეხება თუ არა ესა თუ ის საკითხი (ამის დადგენა) ყოველ ცალკეულ განსახილველ საკითხთან მიმართებაში საოჯახო საკითხთა წრეს, დავის არსებობის შემთხვევაში სასამართლოს გადასაწყვეტია.

პირად უფლებათა რიცხვს განეკუთვნება საქმიანობის არჩევის თავისუფლება, რაც გულისხმობს იმას, რომ თითოეული მეუღლე აბსოლუტურად, უპირობოდ თავისუფალია საქმიანობისა და პროფესიის არჩევაში. ერთი შეხედვით შესაძლებელია წინააღმდეგობაში მოდიოდეს მეუღლეთა უფლება ერთობლივად გადაწყვიტონ ყველა საოჯახო საკითხი და თითოეული მეუღლის (დამოუკიდებელი) უფლება პროფესიისა და საქმიანობის არჩევასთან დაკავშირებით. მაგრამ ამ შემთხვევაში უნდა ვიგულისხმოდ, რომ საქმიანობისა და პროფესიის არჩევა უფრო ინდივიდუალური ხასიათისაა და პირველ რიგში ემსახურება ადამიანის შინაგანი ინტერესების, მისწრაფებებისა და თვითრეალიზაციის დაკმაყოფილებას, რისი შებოჭვაც ყოვლად დაუშვებელია, როგორც მეორე მეუღლის ისე ნებისმიერი სხვა მესამე პირის მიერ. ამ ორი უფლების შეპირისპირების თეორიული საფუძველიც არ არსებობს, ვინაიდან შეუძლებელია ოჯახის საერთო ინტერესებს განეკუთვნებოდეს მეორე მეუღლის პიროვნული განვითარების ინტერესების, მისწრაფებებისა და თვითრეალიზაციის სურვილის შებოჭვა.

მეუღლეების პირად უფლებათა რიცხვს განეკუთვნება მეუღლეების მიერ საცხოვრებელი ადგილის არჩევის თავისუფლება. ეს იმას ნიშნავს, რომ თითოეულ მეუღლეს აქვს უფლება დამოუკიდებლად გადაწყვიტოს თუ სად იცხოვრებს. საერთო წესის მიხედვით მეუღლეები ერთად ცხოვრობენ. ხშირ შემთხვევაში (საქართველოში) მეუღლე (ქალი) გადადის მეუღლე (მამაკაცის) ან მისი მშობლების კუთვნილ ბინაში საცხოვრებლად. ზუსტად აქედან მომდინარეობს წინადადება „ცოლად მოვიყვანე“. ზემოაღნიშნული არ ეფუძნება მოქმედ კანონმდებლობას და მხოლოდ საქართველოში მიღებული პრაქტიკის შედეგია. თუმცა ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ რომელიმე მეუღლეს, თუნდაც მეუღლე-ქალს აქვს იმის ვალდებულება, რომ საცხოვრებლად გადავიდეს მეუღლე-მამაკაცთან. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ საერთო წესის მიხედვით მეუღლეები ერთად ირჩევენ მათ საცხოვრებელ ადგილს, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთ მეუღლეს სურს მეორე მეუღლისაგან განცალკევებით იცხოვროს, ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ მას არ სურს მასთან საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობაში (ქორწინებაში) ყოფნა. ხშირია შემთხვევა, როდესაც მეუღლეები სხვადასხვა მიზეზების გამო ერთმანეთისაგან განცალკევებით ცხოვრობენ (მაგ.: სხვადასხვა ქვეყანაშიც კი). ზუსტად ამის შესაძლებლობას იძლევა სსკ 1157-ე მუხლი, რომელიც ამავედროულად განმარტავს, რომ თითოეულ მეუღლეს შეუძლია აირჩიოს საცხოვრებელი ადგილი, თუ ეს არ ეწინააღმდეგება ოჯახის ინტერესებს. ის თუ კონკრეტულად რა შემთხვევები იგულისხმება დათქმაში (თუ ეს არ ეწინააღმდეგება ოჯახის ინტერესებს) ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, მეუღლეთა შორის ამ საფუძველით წარმოშობილი სადაო საკითხის სასამართლოს მიერ განხილვის დროს დადგინდება სასამართლოს მიერ. მხოლოდ მას აქვს იმის კომპეტენცია, რომ განსაზღვროს ამა თუ იმ კონკრეტულ ვითარებაში მეუღლეთა განცალკევებით ცხოვრება ეწინააღმდეგება თუ არა მათ ოჯახის (მათ შორის მათი შვილების, აღზრდის, ზრუნვისა და მრავალმხრივი განვითარების) ინტერესებს.

მართალია კანონმდებელი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის იმ თავში, რომელშიც გვაძლევს მეუღლეთა პირადი არაქონებრივი უფლებების განსაზღვრებებს არაფერს ამბობს მეუღლეთა სხვა პირად უფლებებზე, რომლებიც მოცემულია ან ზემოხსენებულ ნორმატიულ აქტში ან საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელ სხვა ნორმატიულ აქტებში, მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ

---

© გიორგი გ. თუმანიშვილი, 2010

საქორწინო კონტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის არც ერთი ნაწილი, არანაირი მიზეზით, არ შეიძლება კვლავწარმოებული (რეპროდუცირებული) იყოს ნებისმიერი ფორმით და ხერხით - იქნება ეს ელექტრონული თუ მაგნიტური, ციფრული თუ ფოტოკოპირებული ან სხვა საშუალებით, საავტორო უფლების მფლობელის წერილობითი თანხმობის ან/და სათანადო წესით გახორციელებული მითითების გარეშე.

მეუღლეებს ზემოთ განხილული ოთხი პირადი უფლების გარდა სხვა პირადი უფლებები არ გააჩნია. ამის ნათელი მაგალითია თვით სსკ-1247-ე მუხლი, რომელიც განსაზღვრავს მეორე მეუღლის თანხმობის აუცილებლობას იმ შემთხვევისათვის, როდესაც ერთ-ერთ მეუღლეს შვილად აჰყავს ბავშვი. ეს უკანასკნელი (მეორე მეუღლის თანხმობის აუცილებლობა) განეკუთვნება ასევე პირად უფლებათა რიცხვს, მიუხედავად იმისა, რომ სტრუქტურულად არ არის მოქცეული საქართველოს სამოქალაქო კოდექსში მეუღლეთა პირადი უფლებების მომწესრიგებელ (განმსაზღვრელ) თავში.

როგორც ჩვენ ვხედავთ, სახელდობრ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არაფერს ამბობს მეუღლეთა პირად ვალდებულებებზე. თვით კოდექსის იმ თავს, რომელშიც მოცემულია პირადი უფლებები, ზუსტად ასეც ეწოდება - პირადი უფლებები. მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ მეუღლეებს არ აქვთ ურთიერთვალდებულება ერთმანეთის წინაშე, რომ სცენ პატივი და არ ხელყონ მეორე მეუღლის პირადი უფლებების რეალიზაცია. ზუსტად ეს გვევლინება მეუღლეთა პირადი ხასიათის ვალდებულებად. ისევე, როგორც ყველა ის ვალდებულება, რომელიც ლოგიკურად გამომდინარეობს იმ სამართალმდგომარეობიდან, რომლებიც აღჭურვავენ მეუღლეებს პირადი ხასიათის უფლებებით. მაგალითად, თითოეულ მეუღლეს აქვს კანონით დადგენილი უფლება დამოუკიდებლად, თავისუფლად აირჩიოს საქმიანობა და პროფესია. ზუსტად ამ უფლების მინიჭება გულისხმობს მეორე მეუღლის ვალდებულებას, რომ მან მისცეს საშუალება მეუღლეს ზემოხსენებული უფლების სრული სახით რეალიზებისა. არ შეუშალოს ხელი ამ უფლების გამოყენებაში და შესაბამისად განხორციელებაში.

## ნაწილი II

### მეუღლეთა კანონით დადგენილი ქონებრივი უფლებები და მოვალეობები

დასაქორწინებელი პირები ქორწინების სახელმწიფო რეგისტრაციისას განხორციელებული ხელმოწერით გარდა იმისა, რომ გამოხატავენ ერთმანეთთან ოჯახის შექმნის მიზნით მათი ნების ნამდვილობას, ამავედროულად ადასტურებენ თანხმობას იმის თაობაზე, რომ მათი ერთად ცხოვრების დროის მონაკვეთში მათ მიერ შეძენილ ქონებაზე

---

© გიორგი გ. თუმანიშვილი, 2010  
საქორწინო კონტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის არც ერთი ნაწილი, არანაირი მიზეზით, არ შეიძლება კვლავწარმოებული (რეპროდუცირებული) იყოს ნებისმიერი ფორმით და ხერხით - იქნება ეს ელექტრონული თუ მაგნიტური, ციფრული თუ ფოტოკოპირებული ან სხვა საშუალებით, საავტორო უფლების მფლობელის წერილობითი თანხმობის ან/და სათანადო წესით განხორციელებული მითითების გარეშე.

გავრცელებულ იქნას საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ის სამართლის ნორმები, რომლებიც ეხება მეუღლეთა კანონით დადგენილ ქონებრივ უფლებებს და მოვალეობებს (თუ მათ შორის საქორწინო ხელშეკრულებით არ არის დადგენილი სხვა სამართლებრივი რეჟიმი).

მეუღლეთა შორის არსებულ ქონებრივ ურთიერთობებზე კანონით დადგენილი სამართლებრივი რეჟიმი მოქმედებას იწყებს ზუსტად იმ მომენტიდან, როდესაც სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურის შესაბამისი თანამდებობის პირი (იმ შემთხვევაში თუ ქორწინება ფორმდება საკონსულოში, შესაბამისად უფლებამოსილი თანამდებობის პირი) გააკეთებს ხელმოწერას ქორწინების აქტების სარეგისტრაციო წიგნში (აღნიშნულ ხელმოწერას წინ უსწრებს დასაქორწინებელი პირებისა და მოწმეების ხელმოწერები).

ამგვარად, კანონი, ქორწინების სახელწიფო რეგისტრაციის ფაქტს უშუალოდ უკავშირებს მეუღლეებს შორის ქონებრივი ურთიერთობების წარმოშობას. ხსენებულ პოზიციასთან შესაბამისად, ქორწინების ფაქტთან არის დაკავშირებული მეუღლეთა საკუთრებაში არსებული ქონების სამართლებრივი რეჟიმის განსაზღვრაც.

თანამედროვე ქართულ საოჯახო სამართლის მეცნიერებაში მიღებულია, რომ საოჯახო კანონმდებლობით მეუღლეთა საკუთრება იყოფა ორ ნაწილად-ინდივიდუალურ (განცალკევებულ) და საერთო თანაზიარ საკუთრებად.<sup>21</sup> ეს მოსაზრებანი თავის განმტკიცებას (ასახვას) ასევე პოულობენ სსკ 1158-ე და სსკ 1161-ე მუხლებში.

ქართველი მეცნიერი შ. ჩიკვაშვილი თავის ნაშრომში "საოჯახო სამართალი" ცნებებს "ინდივიდუალური" და "განცალკევებული" იყენებს სინონიმებად.

მის ნაშრომში ჩვენ გვხვდება კონსტრუქცია - ინდივიდუალური (განცალკევებული). მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი იყენებს მხოლოდ ცნებას "ინდივიდუალური" და განსაზღვრავს, რომ მეუღლეთა ინდივიდუალურ საკუთრებას წარმოადგენს:

---

<sup>21</sup> ჩიკვაშვილი, შ. (2004). *საოჯახო სამართალი*. (გვ. 125), თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“.

- ა) ქონება, რომელიც თითოეულ მეუღლეს ეკუთვნოდა დაქორწინებამდე;  
ბ) ქონება, რომელიც ქორწინების განმავლობაში მიღებულია მემკვიდრეობით ან ჩუქებით.

ასევე, სსკ 1162-ე მუხლის თანახმად ინდივიდუალური სარგებლობის ნივთები (მგირფასეულობის გარდა), თუნდაც ქორწინების განმავლობაში იყოს შეძენილი, და მათი შეძენა მოხდა მეუღლეთა საერთო თანხების წყალობით, ითვლება იმ მეუღლის საკუთრებად, რომელიც სარგებლობს ამ ნივთით (ან ნივთებით). ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კანონმდებელი საუბრობს ინდივიდუალურ საკუთრებაზე, რომელიც თავისი ბუნებით არის განცალკევებული საკუთრება.

ამგვარად ინდივიდუალური საკუთრება და განცალკევებული საკუთრება არ არის სინონიმები, ვინაიდან განცალკევებული საკუთრება თავის არსში არის ინდივიდუალური საკუთრების, როგორც ერთ-ერთი შემადგენელი ელემენტის შემცველი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ცნება „განცალკევებული საკუთრება“ უფრო ფართოდ უნდა იქნას გაგებული და არ უნდა იქნას გაიგივებული ცნებასთან „ინდივიდუალური საკუთრება“.

თანამედროვე ქართულ საოჯახო სამართალში ამ ორი ცნების გაიგივება განპირობებულია თვით კანონმდებლის მიერ, ვინაიდან იგი საუბრობს მხოლოდ ინდივიდუალურ საკუთრებაზე და არაფერს ამბობს განცალკევებულ საკუთრებაზე. რაც შეეხება თანამედროვე ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში არსებულ მოსაზრებას, რომ „საოჯახო კანონმდებლობით

მეუღლეთა საკუთრება იყოფა ორ ნაწილად” – ინდივიდუალურ (განცალკევებულ) და საერთო თანაზიარ საკუთრებად არ არის სწორი. საქართველოს საოჯახო სამართლის საფუძვლების, პრინციპებისა და მოქმედი საოჯახოსამართლებრივი კანონმდებლობის სიღრმისეული ანალიზის შედეგად ნათელია, რომ მეუღლეთა საკუთრება იყოფა არა ორ, არამედ სამ ნაწილად: განცალკევებულ, წილობრივ და საერთო თანაზიარ საკუთრებად.

**ზემოაღნიშნული მტკიცდება შემდეგით:**

1. ინდივიდუალური საკუთრება არის განცალკევებული საკუთრების შემადგენელი ნაწილი და არა მისი სინონიმი.
2. საოჯახო სამართლის კანონმდებლობა არ შემოიფარგლება მხოლოდ სსკ-ს მეხუთე წიგნის მესამე თავით. ამგვარად, ამ წიგნის სხვა თავებიც წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს. კერძოდ, მეხუთე წიგნის მეორე თავში საუბარი გვაქვს საქორწინო ხელშეკრულებაზე. სსკ-ს 1176-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად „მეუღლეებს შეუძლიათ გააერთიანონ მთელი თავიანთი ქონება, რომელშიც ჩაირიცხება ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონებაც ან/და მთლიანად ან ნაწილობრივ თქვეან უარი ამგვარ გაერთიანებებზე და დაადგინონ თითოეულის წილობრივი ან განცალკევებული საკუთრება ქონებაზე“. აღნიშნული მუხლი ოპერირებას ახდენს სამი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ცნებების: საერთო ქონება (იგულისხმება საერთო თანაზიარი საკუთრება); წილობრივი და განცალკევებული საკუთრება. ზემოაღნიშნული მუხლი საშუალებას აძლევს მხარეებს საქორწინო ხელშეკრულების საფუძველზე დაადგინონ წილობრივი საკუთრების რეჟიმი.
3. მტკიცებულება N2-ში მოყვანილი სსკ 1176-ე მუხლი არის საოჯახო სამართლის კანონმდებლობის შემადგენელი ნაწილი.
4. სსკ-ს მეხუთე წიგნის მესამე თავი, რომელიც ეხება მეუღლეთა საკუთრების კანონით დადგენილ ქონებრივ უფლებებსა და მოვალეობებს იცნობს საკუთრების მხოლოდ ორ ცნებას: ინდივიდუალურ და საერთო თანაზიარ საკუთრებას.

**ზემომოცემულ მტკიცებულებათა შეჯერებით ჩვენ ვიღებთ შემდეგ კონსტატაციებს:**


1. არსებობს მეუღლეთა საკუთრების ორი სამართლებრივი რეჟიმი: კანონით დადგენილი და სახელშეკრულებო.
2. მეუღლეთა საკუთრების კანონით დადგენილი სამართლებრივი რეჟიმი შეიძლება ორი სახის იყოს: განცალკევებული და საერთო თანაზიარი.



**3. საოჯახო სამართლის კანონმდებლობა განსაზღვრავს მეუღლეთა საკუთრებაში არსებული ქონების სამი სახის საკუთრებას:**

- საერთო თანაზიარი საკუთრება
- წილობრივი საკუთრება
- განცალკევებული საკუთრება

სქემატურად ზემომოცემული მსჯელობის შედეგი გამოიყურება ასე:



წინამდებარე პარაგრაფის ამ ნაწილში ჩვენ შევეხებით მეუღლეთა კანონით დადგენილ ქონებრივ უფლებებისა და მოვალეობების საკითხებს.

### მეუღლეთა თანასაკუთრება

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ზუსტად მეუღლეთა თანასაკუთრების ცნებით იწყებს მეუღლეთა კანონით დადგენილ ქონებრივ უფლებებსა და მოვალეობებზე საუბარს. 1158-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება წარმოადგენს მათ (მეუღლეების) საერთო ქონებას (თანასაკუთრებას). მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონების ქვეშ უნდა ვიგულისხმოდ, ქორწინების სახელმწიფო რეგისტრაციის მომენტიდან ნებისმიერი ქონება, იმისდა მიუხედავად თუ რომელი მეუღლის მიერ იქნა იგი შეძენილი, ამ წესიდან გამონაკლისია

მხოლოდ სსკ 1161-ე და 1162-ე მუხლებით განსაზღვრული მეუღლეთა ინდივიდუალური საკუთრება, ასევე მნიშვნელობა არ აქვს თუ ვის სახელზე იქნა გაფორმებული შეძენილი ქონება.

თანაზიარი საკუთრება მეუღლეებს ეკუთვნით თანაბრად, წილთა განუსაზღვრელად, ანუ არც ერთ მეუღლეს არ აქვს უპირატესი უფლება, საერთო თანაზიარ საკუთრებაზე.

მეუღლეებს გააჩნიათ საერთო თანაზიარი საკუთრების მფლობელობის, სარგებლობისა და განკარგვის თანაბარი უფლებები. ნებისმიერი შეთანხმება, რომელიც მიზნად ისახავს რომელიმე მეუღლის, როგორც მესაკუთრის უფლებათა რაიმე ფორმით შეზღუდვას (და არ წარმოადგენს მეუღლეთა საკუთარი ნების გამოვლინებას), ბათილად უნდა იქნეს მიჩნეული, რადგან ეწინააღმდეგება კანონის იმპერატიულ დებულებებს მეუღლეთა თანასწორობის შესახებ, სსკ 1158-ე მუხლის მეორე ნაწილი ადგენს, რომ მეუღლეთა თანასაკუთრების უფლება წარმოიშობა მაშინაც, თუ ერთ-ერთი მათგანი ეწეოდა საოჯახო საქმიანობას, უვლიდა შვილებს ან სხვა საპატიო მიზეზის გამო არ ჰქონია დამოუკიდებელი შემოსავალი. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ მაგალითად ერთ-ერთი მეუღლე მუშაობს და შესაბამისად მას აქვს ფინანსური შემოსავალი (ეს ფინანსური შემოსავალი) მაინც წარმოადგენს მეუღლეთა თანასაკუთრებას. საინტერესოა თუ რა უნდა ჩაითვალოს სხვა საპატიო მიზეზებში? ამ შემთხვევაში კანონმდებელი არ გვაძლევს კონკრეტულ პასუხს, ვინაიდან შეუძლებელია ამ მიზეზთა სტრუქტურულად ერთ ჩამონათვალში მოქცევა. ბუნებრივია, მაგალითად ერთ-ერთი მეუღლის დროებითი ან მუდმივი შრომისუუნარობაც წარმოადგენს საპატიო მიზეზს და მრავალი სხვა. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში თუ განსახილველი საკითხი სადაო გახდა, მიკუთვნებულ უნდა იქნას საპატიო მიზეზებს თუ არა რომელიმე კონკრეტული მიზეზი, ამის დადგენა მხოლოდ სასამართლოს კომპეტენციაშია.

კონსტიტუციის 36-ე მუხლს, რომელიც საუბრობს მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობაზე. სსკ 1159-ე მუხლის მიხედვით თანასაკუთრებაში არსებული ქონების ფლობა, სარგებლობა და განკარგვა ხორციელდება მეუღლეთა ურთიერთშეთანხმებით. ერთ-ერთი მეუღლის მოქმედება მიმართული თანაზიარი საკუთრების მართვის ან განკარგვის მიზნით, იმავდროულად ითვლება მეორე მეუღლის ნების გამოვლენადაც (ანუ

---

© გიორგი გ. თუმანიშვილი, 2010  
საქორწინო კონტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის არც ერთი ნაწილი, არანაირი მიზეზით, არ შეიძლება კვლავწარმოებული (რეპროდუცირებული) იყოს ნებისმიერი ფორმით და ხერხით - იქნება ეს ელექტრონული თუ მაგნიტური, ციფრული თუ ფოტოკოპირებული ან სხვა საშუალებით, საავტორო უფლების მფლობელის წერილობითი თანხმობის ან/და სათანადო წესით გახორციელებული მითითების გარეშე.

შესაძლებელია ითქვას, რომ დადგენილია ერთგვარი თანხმობის პრეზუმცია, რომ იგი ერთ-ერთი მეუღლე მოქმედებს მეორე მეუღლის თანხმობით). აღნიშნულს საგანგებოდ ეძღვნება სსკ 1160-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც იმ ქონების განკარგვა, რომელიც მეუღლეთა თანასაკუთრებაშია ხდება მეუღლეთა შეთანხმებით, მიუხედავად იმისა, თუ რომელი მეუღლე განკარგავს ამ ქონებას. ეს მუხლი ადგენს გარკვეულწილად მეორე მეუღლის თანხმობის პრეზუმციას, რაც ზოგჯერ ერთ-ერთი მეუღლისათვის გაუთვალისწინებელი შედეგებით შეიძლება დამთავრდეს.

მოდით ვნახოთ, მაგალითად მეუღლეებმა ქორწინების პერიოდში საერთო თანაზიარ საკუთრებაში არსებული თანხებით შეიძინეს უძრავი ნივთი, რომელიც საჯარო რეესტრში დარეგისტრირდა ერთ-ერთი მეუღლის სახელზე. სამართლებრივად მიუხედავად იმისა თუ ვის სახელზეა ეს უძრავი ნივთი დარეგისტრირებული იგი წარმოადგენს მეუღლეთა საერთო თანაზიარ საკუთრებას. იმ მეუღლემ, ვის სახელზეც არის რეგისტრირებული უძრავი ნივთი გადაწყვიტა გაესხვისებინა ის. სსკ-1160-ე მუხლის მეორე ნაწილი ადგენს, რომ მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების განკარგვასთან დაკავშირებით ერთი მეუღლის მიერ დადებული გარიგება ვერ იქნება ბათილად ცნობილი მეორეს მოთხოვნით იმ საფუძველზე, რომ მან არ იცოდა ამ გარიგების შესახებ ან ის არ ეთანხმებოდა ამ გარიგებას. ამავდროულად საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ 2005 წლის 22 დეკემბერს დამტკიცებული ინსტრუქციის „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ თანახმად, კერძოდ კი ამ ინსტრუქციის 43-ე მუხლის მიხედვით მოქმედებს საჯარო რეესტრის მონაცემების მიმართ უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია. ანუ აკრძალულია სანოტარო მოქმედების შესრულებისას უძრავი ქონებისა და საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მოძრავი ქონების მესაკუთრედ რეგისტრირებული პირის გარდა სხვა პირის თანხმობის გამოთხოვა. ეს იმას ნიშნავს, რომ ნოტარიუსს ეკრძალება გამოითხოვოს იმ მეუღლის თანხმობა, რომელიც არ არის თანამესაკუთრედ რეგისტრირებული საჯარო რეესტრში. გამოდის, რომ ერთ-ერთ მეუღლეს თავისუფლად შეუძლია გაასხვისოს მასზე რეგისტრირებული ნებისმიერი უძრავი და მოძრავი ქონება მეორე მეუღლის თანხმობის გარეშე, ხოლო მეორე მეუღლეს არ შეეძლება მოითხოვოს ზემოხსენებული გარიგების ბათილობა თანახმად სსკ 1160-ე მუხლის მეორე ნაწილისა.

---

© გიორგი გ. თუმანიშვილი, 2010

საქორწინო კონტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის არც ერთი ნაწილი, არანაირი მიზეზით, არ შეიძლება კვლავწარმოებული (რეპროდუცირებული) იყოს ნებისმიერი ფორმით და ხერხით - იქნება ეს ელექტრონული თუ მაგნიტური, ციფრული თუ ფოტოკოპირებული ან სხვა საშუალებით, საავტორო უფლების მფლობელის წერილობითი თანხმობის ან/და სათანადო წესით გახსორციელებული მითითების გარეშე.

დაახლოებით ასეთივე ვითარებაა კომერციული იურიდიული პირების საწესდებო კაპიტალში პარტნიორის (აქციონერის) წილთან (აქციასთან) დაკავშირებულ გარიგებებთან მიმართებაში.

### **მოდით ვნახოთ:**

კომერციული იურიდიული პირების განსაზღვრისას, საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“, მიმართავს მათი ამომწურავი ჩამონათვალის ე.წ. *numerus clausus*-ის პრინციპს, კერძოდ, სამეწარმეო საქმიანობაში დასაშვებია საწარმოთა მხოლოდ ის ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმები, რომლებიც დადგენილია ზემოხსენებულ კანონში.

საქართველოს კანონით „მეწარმეთა შესახებ“ განსაზღვრული იურიდიული პირები პირობითად, ორ დიდ ჯგუფად შეიძლება დაიყოს: პირველს განეკუთვნება, ამხანაგობის ტიპის საზოგადოებები, კერძოდ სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს) და კომანდიტური საზოგადოება (კს). მათთვის დამახასიათებელია პარტნიორთა წევრობაზე აგებული ურთიერთობები ისე, რომ ამ იურიდიულ პირთა წევრები (სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორები და კომანდიტური საზოგადოების პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორები – სრული პარტნიორები (კომპლემენტარები) საზოგადოების ვალდებულებებისათვის კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ სოლიდარულად, ანუ თითოეული პარტნიორი საზოგადოების ვალდებულებებისათვის პასუხს აგებს მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ. კომერციული იურიდიული პირების მეორე ჯგუფს შეადგენენ ე.წ. კაპიტალური საზოგადოებები, ასეთ საზოგადოებებში პარტნიორები ე.ი. საზოგადოებების წევრები არ აგებენ პასუხს საზოგადოების კრედიტორების წინაშე (კომანდიტური საზოგადოების შეზღუდული პარტნიორები (კომანდიტები), (შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების, სააქციო საზოგადოებისა და კოოპერატივის პარტნიორები საზოგადოების ვალდებულებებისათვის კრედიტორების წინაშე პასუხს არ აგებენ). ამ შემთხვევაში კრედიტორებს იცავს კაპიტალი, რომელიც აუცილებელია ზემოაღნიშნული (კაპიტალური) ტიპის საზოგადოების დაფუძნებისათვის. კაპიტალური ტიპის საზოგადოებებია: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს), სააქციო საზოგადოება (ს/ს) და კოოპერატივი.

სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შემდგომში - სპს) ერთ-ერთი ძველი და მეტად გავრცელებული სავაჭრო (სამეწარმეო) საზოგადოებაა. „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 20.1.-ე მუხლის შესაბამისად, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება არის საზოგადოება, რომელშიც რამდენიმე პირი (პარტნიორი) ერთობლივად, ერთიანი საფირმო სახელწოდებით ეწევა სამეწარმეო საქმიანობას და საზოგადოების ვალდებულებებისათვის კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს, როგორც სოლიდარული მოვალეები, – მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ.

სხვაგვარად რომ ვთქვათ სპს-ს თითოეული პარტნიორის მიერ ზემოაღნიშნული საზოგადოებისათვის გადაცემული ქონება წარმოადგენს საზოგადოების საკუთრებას.

მეუღლეები საზოგადოების საწესდებო კაპიტალში შენატანის განხორციელების შემდეგ (მნიშვნელობა არ აქვს იმას, თუ რა სახით არის განხორციელებული შენატანი) კარგავენ საკუთრების უფლებას ამ ქონებაზე, ვინაიდან იგი გადაეცემა იურიდიულ პირს და იურიდიული პირის საკუთრებას წარმოადგენს. მართალია სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების ქონება პრაქტიკულად გაიგივებულია მისი პარტნიორების ქონების ჯამთან (ვალდებულებების შესრულების ნაწილში), მიუხედავად ამისა, სამართლებრივი ბუნებით იურიდიული პირის ქონება და მისი დამფუძნებლის ქონება წარმოადგენს სხვადასხვა ცნებებს.

სპს-ის ბუნებიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ეს არის საზოგადოება, რომელშიც პარტნიორთა ერთმანეთისადმი ნდობის საკითხი აყვანილია უმაღლეს საფეხურზე. ამასთან, აღნიშვნის ღირსია ის, რომ სპს-ში მონაწილეობისას, ერთ-ერთი პარტნიორის რეგისტრირებულ ქორწინებაში ყოფნის საკითხი არ დგება და არც კონტროლირდება სხვა პარტნიორების მიერ, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ აღნიშნულ საზოგადოებაში პარტნიორებმა იციან, რომ საზოგადოებასთან დაკავშირებული ურთიერთობანი ეხება მხოლოდ ერთ (პერსონიფიცირებულ) პირს (მათ შორის, რომელიც იმყოფება რეგისტრირებულ ქორწინებაში) ვინაიდან და რადგანაც, პარტნიორებს მხოლოდ აღნიშნული პიროვნება აინტერესებთ.

ზემოაღნიშნულიდან ნათლად ჩანს, რომ ისევე როგორც სამართლებრივ, ასევე ფაქტობრივ ასპექტში (საერთო წესის მიხედვით) სპს-ს პარტნიორი მეუღლეთაგან არის მხოლოდ ერთი მეუღლე (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სპს-ს პარტნიორები არიან ორივე მეუღლე), ხოლო განქორწინების შემთხვევაში მეორე მეუღლეს არ აქვს სამართლებრივი საფუძველი დააყენოს საკითხი სპს-ში მის სავალდებულო მონაწილეობის შესახებ (გარდა შემთხვევისა, როდესაც მეორე მეუღლე და სპს-ს დანარჩენი წევრები განაცხადებენ თანხმობას, ამ შემთხვევაში პირველ მეუღლეს შეუძლია გახდეს სპს-ს მონაწილე. აღნიშნული თანხმობის არარსებობის შემთხვევაში, მონაწილეობა შეუძლებელია). განქორწინების შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ მეუღლეთა საერთო თანაზიარ საკუთრებაში არის მოთხოვნის უფლება (სპს-ს მიმართ) და არა რეალურად არსებული ქონება (ნივთები), აღნიშნული მოთხოვნის უფლების გაყოფა არ არის შესაძლებელი.

თუ განქორწინების საქმის განხილვისას, სასამართლო მიიჩნევს სპს-ში მონაწილეობას პროფესიულ საქმიანობად, ხოლო წილს საწესდებო კაპიტალში „პროფესიულ ქონებად“, ან თუ მეორე მეუღლე სადავოდ არ გახდის იმ ქონებას, რომელიც უნდა მიეღო სპს-ს მონაწილე პარტნიორს, მისი წილის გამოყოფისას, მაშინ იგი კომპენსაციის სახით მიიღებს ანაზღაურებას მეუღლეთა საერთო ქონების სხვა ნაწილიდან, ან ფულადი სახით „მისი“ წილი კაპიტალის შესაბამისად. წინააღმდეგ შემთხვევაში იმ მეუღლის წილი, რომელიც განქორწინდება უნდა იქნეს გამოყოფილი სპს-ს ქონებიდან. საზოგადოებაში მისი მონაწილეობის წილის შესაბამისად (სპს-ს პარტნიორთა გადაწყვეტილებით გამოყოფა შეიძლება ასევე შესრულდეს ნატურით) და შემდეგ გაყოფილი იყოს მეუღლეების მიერ. აღნიშნულ შემთხვევაში პარტნიორი რომელსაც გამოეყოფა აღნიშნული ქონება წყვეტს მონაწილეობას საზოგადოებაში, ხოლო საზოგადოება აგრძელებს თავის მოღვაწეობას.

სპს-ს საწესდებო კაპიტალში წილის შეფასება, ხდება საზოგადოების ქონების საბალანსო ღირებულებიდან გამომდინარე, იმ მომენტისათვის, როდესაც სპს-ს პარტნიორი გადის საზოგადოებიდან.

ამგვარად სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში პარტნიორის პირადი ფაქტორი სჯაბნის მის ქონებრივ ფაქტორს, მიუხედავად იმისა, რომ მეუღლეთა საკუთრებაში იმყოფება მოთხოვნის

უფლება (სპს-ს მიმართ) და არა რეალურად არსებული ქონება, აღნიშნული „პიროვნული, პირადი ფაქტორის“ სამართლებრივი ბუნება არ იძლევა საშუალებას გაიყოს მოთხოვნის უფლება და განსაზღვრავს რეალურად არსებული ქონების გაყოფას მეუღლეთა განქორწინების შემთხვევაში.

საქართველოს კანონის „მეწარმეთა შესახებ“, კერძოდ 34-ე მუხლის თანახმად კომანდიტური საზოგადოება (შემდგომში - კს) არის საზოგადოება, რომელშიც რამდენიმე პირი ერთიანი საფირმო სახელწოდებით ეწევა სამეწარმეო საქმიანობას, თუ საზოგადოების კრედიტორების წინაშე ერთი ან რამდენიმე პარტნიორის პასუხისმგებლობა განსაზღვრული საგარანტიო თანხის გადახდით შემოიფარგლება – შეზღუდული პარტნიორები (კომანდიტები), ხოლო სხვა პარტნიორების პასუხისმგებლობა შეზღუდული არ არის – სრული პარტნიორები (კომპლემენტარები).

სპს-საგან განსხვავებით კს-ში ორი კატეგორიის პარტნიორებთან გვაქვს საქმე: მათგან ერთის პასუხისმგებლობა შეუზღუდავია (კომპლემენტარები), ხოლო მეორე პასუხს აგებს „საგარანტიო თანხის“ – საკომანდიტო შესატანის ფარგლებში – კომანდიტი. კომპლემენტარი პრაქტიკულად არაფრით არ განსხვავდება სპს-ს პარტნიორისაგან, რაც შეეხება კომანდიტს, იგი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი. მისი პასუხისმგებლობა არ არის სრული, არამედ შემოიფარგლება მხოლოდ საზოგადოებაში შეტანილი თანხით ან ქონებით. სხვაგვარად რომ ვთქვათ კს წარმოადგენს სპს-ს მოდიფიცირებულ სახეობას. ასევე შეიძლება ითქვას, რომ იგი არის გარდამავალი ფორმა ამხანაგობის და კაპიტალური ტიპის საზოგადოებებს შორის.

თუ ჩვენ განვიხილავთ იმ მეუღლეთა საკუთრების პრობლემას რომელთაგანაც ერთ-ერთი გახლავთ კს-ს პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორი – კომპლემენტარი, მაშინ მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობანი, წინამდებარე პარაგრაფის ფარგლებში აიგება იმ მოდელის მიხედვით, რომელიც მოცემულია სპს-ში ერთ-ერთი მეუღლის მონაწილეობასთან დაკავშირებით, ხოლო რაც შეეხება მოდელს როდესაც მეუღლეთაგან ერთ-ერთი არის კომანდიტი, მაშინ მეუღლეთა განქორწინების შემთხვევაში მათი თანაზიარი საკუთრების გაყოფისას

---

© გიორგი გ. თუმანიშვილი, 2010  
საქორწინო კონტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის არც ერთი ნაწილი, არანაირი მიზეზით, არ შეიძლება კვლავწარმოებული (რეპროდუცირებული) იყოს ნებისმიერი ფორმით და ხერხით - იქნება ეს ელექტრონული თუ მაგნიტური, ციფრული თუ ფოტოკოპირებული ან სხვა საშუალებით, საავტორო უფლების მფლობელის წერილობითი თანხმობის ან/და სათანადო წესით განხორციელებული მითითების გარეშე.

ამოსავალ წერტილად უნდა მივიჩნიოთ მეუღლეთა ქონებრივი ხასიათის მონაწილეობა კს-ში და არა „პიროვნული, პირადი ფაქტორი“.

თუ კომანდიტი იმყოფება რეგისტრირებულ ქორწინებაში, მაშინ მეუღლეთა საერთო თანაზიარ საკუთრებაში იმყოფება წილი საწესდებო კაპიტალში და არა საზოგადოების ქონების ნაწილი, ვინაიდან, ფაქტობრივად საზოგადოების საწესდებო კაპიტალში შესატანის შემტანი არის ორი პირი (მეუღლეები) რომელთა სახელითაც მოქმედებს ერთი მათგანი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი კომანდიტის განქორწინების შემთხვევაში, თუ ორივე მეუღლე დაინტერესებულია საზოგადოებაში მონაწილეობით და ამავდროულად მეორე მეუღლე უარს აცხადებს მიიღოს კომპენსაცია საერთო თანაზიარი ქონებიდან ან საზოგადოების საწესდებო კაპიტალში გაკეთებული შესატანის წილის ღირებულების შესაბამისად ფულადი სახით, ან თუ ყოფილი მეუღლე (ფორმალურად კომანდიტი) დაბეჯითებით არ მოითხოვს წილის შენარჩუნებას თავის სახელზე ანუ არ სურს კომპენსაციის სახით გადაუხადოს მეორეს მისი (წილის) ღირებულება, მაშინ აღნიშნული წილი (კომანდიტის შესატანი საწესდებო კაპიტალში) დაექვემდებარება გაყოფას, რის შედეგადაც ორივე მეუღლე გახდება (მოგვევლინება) კომანდიტად. ამასთან საყურადღებოდ მიგვაჩნია ის გარემოება, რომ კომანდიტური საზოგადოების მხრიდან ისევე, როგორც კომპლემენტარებისა და დანარჩენი (სხვა) კომანდიტების თანხმობა არ არის საჭირო, რადგანაც მეორე მეუღლე არ გახლავთ საზოგადოების „ახალი მონაწილე“, არამედ ფაქტობრივად წარმოადგენს საზოგადოების მონაწილეს, რომელიც მანამდეც მონაწილეობდა საზოგადოებაში, ვინაიდან იგი გახლავთ თანამესაკუთრე წილისა, რომლის მეშვეობითაც ხორციელდებოდა კომანდიტს და კს-ს შორის ურთიერთობა.

პრაქტიკულად იგივე მოდელი იმოქმედებს იმ შემთხვევაში თუ ერთ-ერთი მეუღლე გახლავთ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების (შემდგომში - შპს) პარტნიორი. იმ შემთხვევაში თუ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება დაფუძნებულია ერთ-ერთი მეუღლის მიერ ან ადგილი აქვს შპს-ს წილის შეძენას აღნიშნული წილები საწესდებო კაპიტალში წარმოადგენენ მეუღლეთა საერთო თანაზიარ საკუთრებას და განქორწინების შემთხვევაში ექვემდებარებიან გაყოფას.

---

© გიორგი გ. თუმანიშვილი, 2010  
საქორწინო კონტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის არც ერთი ნაწილი, არანაირი მიზეზით, არ შეიძლება კვლავწარმოებული (რეპროდუცირებული) იყოს ნებისმიერი ფორმით და ხერხით - იქნება ეს ელექტრონული თუ მაგნიტური, ციფრული თუ ფოტოკოპირებული ან სხვა საშუალებით, საავტორო უფლების მფლობელის წერილობითი თანხმობის ან/და სათანადო წესით გახორციელებული მითითების გარეშე.



**განსახილველ საკითხთან მიმართებაში დასკვნის სახით შეიძლება გამოიყოს:**

თუ ერთ-ერთი მეუღლე ხდება კომერციული იურიდიული პირის მონაწილე, და შეაქვს საწესდებო კაპიტალში შესატანი მეუღლეთა საერთო თანაზიარ ქონებიდან, მოქმედებს რა, თავისი სახელით იგი გამოხატავს ასევე თავისი მეუღლის (თანამესაკუთრის) ნებას;

იმ შემთხვევაში როდესაც ქონებრივი ურთიერთობა მონაწილეს და საზოგადოებას შორის პირდაპირ დამოკიდებულებაშია მონაწილის პიროვნებასთან, ხოლო ეს უკანასკნელი არის ურთიერთობის არსებობის, მისი მოცულობის და შესაბამისად პასუხისმგებლობის განმსაზღვრელი (კს-ს კომპლემენტარი და სპს-ს პარტნიორი), სხვაგვარად, რომ ვთქვათ, თუ „პირადი ფაქტორი“ მონაწილისა სჯაბნის მისი „ქონებრივი მონაწილეობის ფაქტორს“, მაშინ მეორე მეუღლის სავალდებულო მონაწილეობა საზოგადოებაში მოკლებულია სამართლებრივ დაფუძველს;

მაშინ როდესაც ურთიერთობა საზოგადოებასა და საზოგადოების მონაწილეს შორის აგებულია მხოლოდ „ქონებრივ მონაწილეობაზე“ (კომანდიტი) (შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორი, აქციონერი), რომლის დროსაც მნიშვნელობა არ აქვს მონაწილის პიროვნებას, მეორე მეუღლე გახლავთ აღნიშნული ურთიერთობის ისეთივე სრულყოფილებიანი მონაწილე, როგორც პირველი მეუღლე, რომელიც არის ურთიერთობის უშუალო მონაწილე;

თუ საზოგადოება დაფუძნებულია მეუღლეთა ერთად ცხოვრების პერიოდში (იგულისხმება რეგისტრირებული ქორწინება), და არ არსებობს: ჩუქების ხელშეკრულება ან მემკვიდრეობის მიღების დამადასტურებელი საბუთი ან სხვა საბუთი რომლითაც დგინდება, რომ შესატანი გაკეთებულია მეუღლის ინდივიდუალური ქონებიდან, მაშინ უნდა მივიჩნიოთ, რომ შესატანი გაკეთებულია მეუღლეთა საერთო თანაზიარი ქონებიდან, რომელიც განქორწინების შემთხვევაში ექვემდებარება გაყოფას, კანონით დადგენილი წესის მიხედვით;

იმისათვის, რომ აცილებულ იქნას მოვლენათა განვითარება ამ პარაგრაფში მოცემული მოდელების მიხედვით, შესაძლებელია განხილული საკითხი მეუღლეთა მიერ „უმტკიცებულოდ“ იქნას გადაწყვეტილი საქორწინო კონტრაქტის მეშვეობით.

მეუღლეთა თანაზიარი საკუთრება წყვეტს თავის არსებობას მეუღლეთა ქონების გაყოფით. თანასაკუთრების გაყოფა ხდება მეუღლეთა ურთიერთშეთანხმებით, ხოლო ამ უკანასკნელის არარსებობის შემთხვევაში სასამართლოს მიერ. სასამართლო გადაწყვეტს მათ შორის არსებულ დავას. სასამართლო ასევე განსაზღვრავს თუ რომელი ნივთი, რომელ მეუღლეს უნდა მიაკუთვნოს.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ კანონმდებელმა სსკ – 1165-ე მუხლში წინასწარ განსაზღვრა თანაზიარ საკუთრებაში არსებული ზოგიერთი სახის ქონების სამართლებრივი მდგომარეობა. ამგვარ ქონებას კანონმდებელი „პროფესიულ საქმიანობისათვის საჭირო ნივთებს“ უწოდებს და ამბობს, რომ თუნდაც ისინი ქონწინების განმავლობაში იყოს შეძენილი მეუღლეთა საერთო სახსრებით, გადაეცემა იმ მეუღლეს რომელსაც ეს ნივთები თავის საქმიანობისათვის სჭირდება. მაგალითად ექიმისათვის ეს იქნება სხვადასხვა სამედიცინო მოწყობილობები, მხატვრისთვის სახატავად აუცილებელი მოწყობილობები, იურისტისათვის იურიდიული შინაარსის შეცვლილი ბიბლიოთეკა და ა.შ. (შეუძლებელია ამ სიის სრული სახით ფორმირება, ვინაიდან პროფესიათა და მათში გამოსაყენებელ ნივთთა რიცხვი მეტად დიდია).

ასევე მნიშვნელოვანია რომ, საერთო თანაზიარი საკუთრების გაყოფისას კანონმდებელი ითვალისწინებს არასრულწლოვანი შვილების ინტერესებს. სსკ- 1168-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით სასამართლოს შეუძლია გადაუხვიოს მეუღლეთა წილის თანაზიარობის საწყისს არასრულწლოვანი შვილების ინტერესების ან ერთ-ერთი მეუღლის ყურადსაღები ინტერესების გათვალისწინებით.

აღნიშნული მუხლის მეორე და მესამე ნაწილები ადგენენ, რომ არასრულწლოვანი შვილების ინტერესების ან ერთ-ერთი მეუღლის ყურადსაღები ინტერესების გათვალისწინებით; კერძოდ, ერთ-ერთი მეუღლის წილი შეიძლება გადიდდეს იმის გათვალისწინებით, რომ მასთან ცხოვრობენ არასრულწლოვანი შვილები, რომ ის შრომისუუნაროა, ანდა - თუ მეორე მეუღლე ხარჯავდა საერთო ქონებას ოჯახის ინტერესების საზიანოდ. აღნიშნული საფუძვლით სასამართლოს შეუძლია თითოეული მეუღლის საკუთრებად ცნოს ის ქონება, რომელიც შეძენილია თითოეული მათგანის მიერ ქორწინების ფაქტობრივი შეწყვეტის ან მათი ცალ-ცალკე ცხოვრების დროს.

აღნიშნული მუხლი არაფერს ამბობს მეუღლეთა ერთად ცხოვრების განმავლობაში მათი არასრულწლოვანი შვილებისათვის შეძენილი ქონების ბედზე, საერთო თანაზიარი ქონების გაყოფის შემთხვევისათვის.

კარგი იქნება, რომ აღნიშნულ მუხლს (სსკ 1168-ე) დამატოს ერთი (მეოთხე) ნაწილი, რომელიც განსაზღვრავს თუ რომელ მეუღლეს მიეკუთვნება საერთო თანაზიარი საკუთრების ის ნაწილი, რომელიც შეძენილია არასრულწლოვანი შვილებისათვის. ეს ნაწილი შესაძლებელია ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: არასრულწლოვანი შვილისათვის შეძენილი ქონება გადაეცემა იმ მეუღლეს რომელთანაც იცხოვრებს არასრულწლოვანი შვილი, მეორე მეუღლისათვის წილის კომპენსაციის განუსაზღვრელად.

რაც შეეხება არასრულწლოვანი შვილის სახელზე შეტანილ ანაბრებს, ისინი არ ექვემდებარება საერთო წესის მიხედვით გაყოფას, ვინაიდან მათი სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე ისინი არ წარმოადგენენ მეუღლეთა საერთო თანაზიარ ქონებას, რადგან ანაბრის შეტანის მომენტიდან ისინი ხდებიან არასრულწლოვანი შვილის პირადი საკუთრება და შესაბამისად ვერ მოექცევიან მეუღლეთა საერთო თანაზიარ ქონებაში.

აღსანიშნავია, რომ თუ საერთო თანაზიარი ქონების გაყოფისას, ერთ-ერთ მეუღლეს გადაეცემა ისეთი ნივთები, რომელთა ღირებულებაც მის კუთვნილ წილს აღემატება, მაშინ მეორე მეუღლეს უნდა მიეცეს შესაბამისი ფულადი ან სხვაგვარი კომპენსაცია. როგორ უნდა დადგინდეს საერთო თანაზიარი ქონების საერთო ღირებულება? პირველ რიგში მეუღლეთა საერთო თანაზიარ ქონებას უნდა გამოაკლდეს ყველა ის ნივთი, რომელიც მეუღლეთა განცალკევებულ საკუთრებაშია ასეთებია ინდივიდუალური სარგებლობის ნივთები (მათზე საუბარი გვექნება მოგვიანებით) ასევე გამოაკლდეს პროფესიული საქმიანობისათვის საჭირო ნივთები (პროფესიული საქმიანობისათვის საჭირო ნივთების ერთ-ერთი მეუღლისათვის მიკუთვნებამ არ უნდა გამოიწვიოს მეორე მეუღლის ქონებრივი ინტერესების შელახვა) ამის შემდგომ დარჩენილი ქონება უნდა გამოიხატოს ფულად ერთეულებში. სასამართლოს კომპეტენციაშია (ბუნებრივია მეუღლეთა ინტერესის გათვალისწინებით - თუ ეს შესაძლებელია) იმის განსაზღვრა თუ რომელ მეუღლეს რომელი ნივთი მიაკუთვნოს. იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთი მეუღლისათვის

მიკუთვნებული ნივთების ღირებულება აღემატება მეორე მეუღლის კუთვნილ წილს მათ საერთო თანაზიარ საკუთრებაში, მაშინ მას პირველი მეუღლის მიერ უნდა მიეცეს შესაბამისი კომპენსაცია. კომპენსაცია შესაძლებელია იყოს როგორც ფულადი ასევე სხვაგვარი სახით (მაგალითად სხვა ნივთების ჩანაცვლებით, თუ ამაზე თანახმა იქნება მეორე მეუღლე).

მნიშვნელოვანია, რომ საერთო თანაზიარი საკუთრების გაყოფა შესაძლებელია, როგორც ქორწინების განმავლობაში, ისე განქორწინებისას. ზუსტად ამ საკითხს ეძღვნება სსკ 1164-ე მუხლი, რომელიც ადგენს, რომ „მეუღლეთა საერთო ქონება თითოეული მეუღლის მოთხოვნით შეიძლება გაიყოს როგორც ქორწინების განმავლობაში, ისე მისი შეწყვეტის შემდეგ“.

ქორწინების განმავლობაში საერთო სახსრებით შეძენილი ქონების გაყოფისას, მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ გაიყოფა მეუღლეთა შორის დავის მომენტისათვის არსებული საერთო ქონება. საერთო ქონების გაყოფისას აუცილებელია მთელი თანაზიარი საკუთრების ოდენობის გარკვევა და თითოეული მეუღლის წილის შესაბამისად მისი მატერიალური ან ფულადი გამოხატულების გადანაწილება მეუღლეთა შორის.

თუ თუ საერთო ქონების გაყოფა ხდება ქორწინების განმავლობაში, მაშინ ქონების ის ნაწილი, რომელიც არ გაყოფილა, და აგრეთვე ქონება, რომელსაც ისინი შეიძენენ მომავალში, ჩაითვლება მეუღლეთა თანასაკუთრებად, თუკი საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

ქორწინების განმავლობაში საერთო თანაზიარი ქონების, ან მისი ნაწილის გაყოფის შესახებ შეთანხმება ან სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება მეუღლეთა სურვილისამებრ გაუქმებულ იქნას. ასეთ შემთხვევაში მეუღლეთა განცალკევებული ქონება კვლავ ჩაითვლება საერთო თანაზიარ საკუთრებად.


რაც შეეხება მეუღლეთა განცალკევებული საკუთრების სახეს. როგორც ზემოთ აღინიშნა, ეს სახე არ უნდა იქნას მოხსენიებული ინდივიდუალური საკუთრების სინონიმად. მეუღლეთა

ინდივიდუალური საკუთრების ცნება ბევრად უფრო ვიწრო მნიშვნელობის არის (თავისი ბუნებიდან გამომდინარე) ვიდრე განცალკევებული საკუთრების ცნება, რომელიც თავის არსში მოიცავს, როგორც ინდივიდუალურ საკუთრებას ისე მაგალითად პროფესიული საქმიანობისათვის საჭირო ნივთებს, რომლებიც მოქმედი საოჯახო სამართლებრივი კანონმდებლობის მიხედვით არ განეკუთვნებიან ინდივიდუალური საკუთრებას, ვინაიდან არ არიან მოხსენიებულნი ინდივიდუალური საკუთრების განმსაზღვრელ შესაბამის მუხლში და არც რომელიმე სხვა მუხლი მიგვითითებს ამაზე).\*

\* შენიშვნა: ჩვენს მიერ ზემოაღნიშნული არ ნიშნავს იმას, რომ ცნება "ინდივიდუალური საკუთრება" არის შემავალი მეუღლეთა განცალკევებული საკუთრების ცნებაში, რადგან ზოგადთეორიულ ასპექტში შეუძლებელია ერთი ცნების შემადგენელ ნაწილად გვევლინებოდეს სხვა დამოუკიდებელი ცნება, არამედ ნიშნავს იმას რომ "განცალკევებული საკუთრების" ცნების შინაარსობრივი შევსება ფარავს და შთანთქავს "ინდივიდუალური საკუთრების" ცნების არსობრივ მარცვალს.

მოქმედი საოჯახო სამართლის ნორმები მეუღლეთა ინდივიდუალურ საკუთრებად მიიჩნევენ შემდეგს:

- ა. ქონება, რომელიც თითოეულ მათგანს ეკუთვნოდა დაქორწინებამდე;
- ბ. ქონება, რომელიც ქორწინების განმავლობაში მიღებულია მემკვიდრეობით ან ჩუქებით.



მნიშვნელოვანია, რომ ინდივიდუალური სარგებლობის ნივთები, ძვირფასეულობის გარდა, თუნდაც ქორწინების განმავლობაში იყოს შეძენილი მეუღლეთა საერთო თანხებით, ჩათვლება იმ მეუღლის საკუთრებად, რომელიც სარგებლობს ამ ნივთებით. კანონმდებელი არ

გვამღევს ძვირფასეულობის ცნების განმარტებას არ შესაბამისად ჩვენ ვერსად ვერ ვნახავთ იმ ნივთთა სიას, რომელიც მიკუთვნებულია ამ კატეგორიას. ეს ბუნებრივად არის, თვითონ ცნება „ძვირფასეულობა“ საოჯახო-სამართლებრივ ურთიერთობებში შეუძლებელია ყველასათვის იყოს ერთნაირი. ვინაიდან სხვადასხვა ოჯახებს სხვადასხვა შეხედულებები აქვთ ცნება „ძვირფასეულობა“-თან მიმართებაში. ის რაც ერთისთვის წარმოადგენს ძვირფასეულობას შესაძლებელია მეორესთვის აბსოლუტურად ჩვეულებრივი იყოს (მისი მატერიალური შემოსავლიდან გამომდინარე). ზოგადი წესის მიხედვით (სასამართლო პრაქტიკა) ძვირფასეულობას მიეკუთვნება ძვირფასი ლითონებისაგან დამზადებული სამკაულები თუ სხვა ნივთები, ფასეული მხატვრული ნაწარმი, ანტიკვარული ნივთები.

ინდივიდუალურმა საკუთრებამ გარკვეულ შემთხვევაში შესაძლებელია განიცადოს სახეცვლილება სამართლებრივ სიბრტყეში და მოგვევლინოს საერთო თანაზიარ საკუთრებად.

ქონების ამგვარი სახეცვლილება შესაძლებელია მაშინ, თუ ქორწინების განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა იმ ქონების ღირებულება, რომელიც ერთ-ერთი მეუღლის ინდივიდუალურ საკუთრებას წარმოადგენდა. „თითოეული მეუღლის ქონება შეიძლება ჩაითვალოს მეუღლეთა თანასაკუთრებად, თუ დადგინდება, რომ ქორწინების განმავლობაში გაწეული ხარჯების შედეგად ამ ქონების ღირებულება მნიშვნელოვნად გადიდდა (გადაგეგმარება, მშენებლობის დასრულება, გადაკეთება და სხვა). მოცემული წესი არ გამოიყენება, თუ საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამ იქნება გათვალისწინებული“ (სსკ 1163-ე მუხლი).

ამასთან სახეცვლილების აუცილებელ პარამეტრად გვევლინება ქორწინების განმავლობაში საერთო თანაზიარი საკუთრებიდან გაწეული ხარჯები.

ინდივიდუალური საკუთრების საერთო თანაზიარ საკუთრებად გადაქცევისათვის აუცილებელია, რომ ინდივიდუალური საკუთრებაში არსებული ქონება გაუმჯობესდეს (გადიდდეს) ანუ შეიქმნას უფრო მეტი ღირებულების ქონება. ის თუ რა უნდა ჩაითვალოს გაუმჯობესებად, ეს შეფასების საკითხია. საოჯახო სამართლის მოქმედი ნორმები გვამღევნ

ძალზედ მცირე ჩამონათვალს ასეთი შემთხვევებისა, ესენია: გადაგემარება, მშენებლობის დასრულება, გადაკეთება. აღნიშნულთან დაკავშირებით შეუძლებელიც იქნებოდა იმ სავარუდო შემთხვევების სრული ჩამონათვალის ნორმის ფარგლებში მოქცევა, ვინაიდან ეს დაკავშირებულია კონკრეტულ ნივთთან და მის გაუმჯობესებასთან, რაც თავისი ბუნებით ინდივიდუალური ხასიათისაა.

მოქმედი საოჯახო სამართლის ნორმები არ იძლევიან მეუღლეთა განცალკევებული საკუთრების ცნების განმარტებას. აღნიშნული ცნების კანონმდებლის მიერ გამოყენებას ჩვენ ვხვდებით მხოლოდ სსკ 1176-ე მუხლის მესამე ნაწილში. ეს მუხლი ეძღვნება საქორწინო ხელშეკრულების შინაარსს. ამ მუხლის მესამე ნაწილი ამბობს, რომ მეუღლეებს საქორწინო კონტრაქტის მეშვეობით შეუძლიათ დაადგინონ თითოეულის წილობრივი ან განცალკევებული საკუთრება ქონებაზე. ამ მუხლის დეტალურ განმარტებას ჩვენ ამ ნაშრომის მომდევნო ნაწილ(ებ)ში შევხებით, აქ კი აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ მეუღლეთა ქონების განცალკევებული საკუთრება თავისი ბუნებით (ფართო გაგებით) საკუთრების ის სახეა, რომლის მიხედვითაც ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება იძენს განცალკევებული საკუთრების სახეს. თითოეული მეუღლის შემოსავლით (მიღებული სახსრებით) შეძენილი ქონება (განცალკევებულ საკუთრებაში მყოფი) ითვლება მისი შემძენის საკუთრებად, რაც ერთ-ერთი მეუღლისათვის შესაძლოა მეტად არახელსაყრელი გამოდგეს. თუ იგი ეწევა საოჯახო საქმიანობას, უვლის შვილებს ან სხვა საპატიო მიზეზების გამო არ აქვს დამოუკიდებელი შემოსავალი. ზუსტად ამ მიზეზის გამო კანონმდებელმა თავი აარიდა საკუთრების აღნიშნული სახის მოქცევას მეუღლეთა ქონებრივი უფლება-მოვალეობების კანონით დადგენილ სამართლებრივ რეჟიმში და შემოიფარგლა მხოლოდ საერთო თანაზიარი საკუთრების და ინდივიდუალური საკუთრების (როგორც განცალკევებული საკუთრების ერთ ერთი შემადგენელი ნაწილის) განსაზღვრებით, ამავდროულად შესაძლებელი გახადა განცალკევებული საკუთრების სახის გამოყენება-დადგენა, მეუღლეთა შორის სახელშეკრულებო ურთიერთობების მეშვეობით.

კანონმდებლის ამგვარი მიდგომა ვლინდება ასევე მეუღლეთა ქონების წილობრივი საკუთრების სახესთან მიმართებაში. წილობრივი საკუთრების ბუნება მდგომარეობს მეუღლეთა უფლებაზე საერთო

თანაზიარი საკუთრების გარკვეულ კონკრეტულ ნაწილზე (წილზე), რომელიც გამოიხატება ამ ქონებაში წილობრივი სახით.

უნდა აღინიშნოს, რომ მეუღლეთა შორის საქორწინო ხელშეკრულებით განსაზღვრული წილობრივი საკუთრების მფლობელობა, სარგებლობა და განკარგვა საერთო თანაზიარი საკუთრებისაგან განსხვავებული წესით ხდება. წილობრივ საკუთრებასთან დაკავშირებული ურთიერთობები რეგულირდება სსკ 173-ე მუხლის მიხედვით.

მეტად საყურადღებოა ის გარემოება, რომ მეუღლეებს, როგორც თანამესაკუთრეებს, აქვთ საერთო საკუთრების წილის უპირატესი შესყიდვის უფლება.

საერთო წილობრივი საკუთრების დროს ისევე, როგორც განცალკევებული საკუთრების დროს, შესაძლებელია დარღვეული იქნას მეუღლეთა საკუთრებაში არსებულ ქონებაზე თანასწორი უფლებები. გამომდინარე რა, ქონებრივი თანასწორუფლებიანობის პრინციპიდან კანონმდებელი მეუღლეთა საერთო საკუთრების წილობრივ რეჟიმს გვერდს უვლის და კანონით დადგენილი საკუთრების რეჟიმის განსაზღვრისას არ იყენებს მას.

მნიშვნელოვანია მეუღლეთა საერთო ვალების გაყოფის საკითხი. სსკ 1169-ე მუხლის თანახმად "მეუღლეთა საერთო ვალები მათ შორის იყოფა ქონებაში თითოეულის კუთვნილი წილის თანაზომიერად" ამას მჭიდროდ უკავშირდება მეუღლეთა ქონების განცალკევებულ საკუთრებად დაყოფა. კანონი საკუთრების რეჟიმის სხვადასხვანაირი განსაზღვრის მიხედვით მეუღლეთა პირადი და საერთო ვალების დაფარვის სხვადასხვა წესს ადგენს.

პირად ვალად ჩაითვლება ისეთი ვალი, რომელიც აღებულია ერთ-ერთი მეუღლის მიერ ქორწინებამდე, ან ქორწინების დროს პირადი ინტერესებიდან გამომდინარე, ასევე თუ რომელიმე მეუღლემ მიიღო სამკვიდრო ქონება და სამკვიდროს დამტოვებლის ვალის გასტუმრება ეკისრება.

საერთო ვალად ჩაითვლება ისეთი ვალი, რომელიც აღებულია ერთ-ერთი ან ორივე მეუღლის მიერ საერთო ინტერესებიდან გამომდინარე, ან/და



საქმე ეხება არასრულწლოვანი შვილის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებას.

სსკ 1170-ე მუხლი კონკრეტულად განსაზღვრავს მეუღლეთა პირადი ვალის დაფარვის წესს. მეუღლეთა პირადი ვალები იფარება მათი ინდივიდუალური საკუთრებიდან და თანაზიარი ქონების მათთვის კუთვნილი წილიდან. თუ სასამართლო დაადგენს, რომ ინდივიდუალური საკუთრება საკმარისია მეუღლის პირადი ვალის დასაფარავად, მაშინ მისი წილი თანაზიარი ქონებიდან ხელუხლებლად დარჩება. თუკი სასამართლო მიიჩნევს, რომ აღებული ვალი საერთო ინტერესებს მოხმარდა, მაშინ გადახდა მოხდება თანასაკუთრებაში არსებული ქონებიდან მეუღლეთა წილების თანაბრად.

არასრულწლოვანი შვილის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების პასუხისმგებლობა წარმოიშვება კრედიტორის მოთხოვნის საფუძველზე და მეუღლეთა ქონებაზე გადახდის მიქცევა ხდება სამოქალაქო სამართლებრივი ნორმების საფუძველზე.

ერთ-ერთი მეუღლის დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას მეუღლეთა თანასაკუთრებიდან გადახდევინება შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუკი განაჩენით დადგინდება, რომ ეს ქონება შეძენილია დანაშაულის ჩადენის შედეგად მიღებული სახსრებით. ნებისმიერ შემთხვევაში როდესაც ვალის გადახდა ხდება ერთ-ერთი მეუღლის ინდივიდუალური საკუთრებიდან ან თანაზიარი ქონების მისეული წილიდან ან/და ორივე მეუღლეთა წილებიდან, სასამართლომ უნდა მოახდინოს საერთო თანაზიარი ქონების გაყოფა.

განქორწინებულ მეუღლეთა თანასაკუთრების ქონების გაყოფის თაობაზე მოთხოვნებისათვის დადგენილია ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა.

---

© გიორგი გ. თუმანიშვილი, 2010  
საქორწინო კონტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის არც ერთი ნაწილი, არანაირი მიზეზით, არ შეიძლება კვლავწარმოებული (რეპროდუცირებული) იყოს ნებისმიერი ფორმით და ხერხით - იქნება ეს ელექტრონული თუ მაგნიტური, ციფრული თუ ფოტოკოპირებული ან სხვა საშუალებით, საავტორო უფლების მფლობელის წერილობითი თანხმობის ან/და სათანადო წესით განხორციელებული მითითების გარეშე.

## მ ე ო რ ე თ ა ვ ი

### საქორწინო კონტრაქტის სამართლებრივი რეგულირება

---

© გიორგი გ. თუმანიშვილი, 2010

საქორწინო კონტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის არც ერთი ნაწილი, არანაირი მიზეზით, არ შეიძლება კვლავწარმოებული (რეპროდუცირებული) იყოს ნებისმიერი ფორმით და ხერხით - იქნება ეს ელექტრონული თუ მაგნიტური, ციფრული თუ ფოტოკოპირებული ან სხვა საშუალებით, საავტორო უფლების მფლობელის წერილობითი თანხმობის ან/და სათანადო წესით განხორციელებული მითითების გარეშე.

---

© გიორგი გ. თუმანიშვილი, 2010  
საქორწინო კონტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის არც ერთი ნაწილი, არანაირი მიზეზით, არ შეიძლება კვლავწარმოებული (რეპროდუცირებული) იყოს ნებისმიერი ფორმით და ხერხით - იქნება ეს ელექტრონული თუ მაგნიტური, ციფრული თუ ფოტოკოპირებული ან სხვა საშუალებით, საავტორო უფლების მფლობელის წერილობითი თანხმობის ან/და სათანადო წესით განხორციელებული მითითების გარეშე.

**თავი მეორე**  
**საქორწინო კონტრაქტის სამართლებრივი რეგულირება**  
**შესავალი**

წინამდებარე ნაშრომის მეორე თავი შედგება შესავლის, სამი პარაგრაფისა და დასკვნისაგან.

კვლევა-ძიების ძირითადი საკითხები, რომელსაც ეძღვნება მეორე თავი არის: საქორწინო კონტრაქტის დადება, ფორმა, შინაარსი, საქორწინო კონტრაქტის შეცვლა, შეწყვეტა, ბათილად ცნობა და საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საქორწინო კონტრაქტის ერთიანი ფორმულარის შემუშავებასთან, რასაც მეტად პრაქტიკული დანიშნულება გააჩნია სამომავლოდ საქორწინო კონტრაქტების შედგენის თვალსაზრისით.

შესავალში აღნიშნულია ის საკითხები, რომელთა კვლევა-ძიება წარმოებს წინამდებარე ნაშრომის მეორე თავის I-III პარაგრაფებში.

**პირველ პარაგრაფში** განხილულია საქორწინო კონტრაქტის დადებასთან, კონტრაქტის ფორმასთან და შინაარსთან დაკავშირებული სპეციფიკური საკითხები. გამახვილებულია ყურადღება საქორწინო კონტრაქტის ინდივიდუალური ხასიათის ზემოქმედების ფაქტორზე კონტრაქტის დადების, კონტრაქტის ფორმასა და შინაარსთან მიმართებაში. განსაზღვრულია საქორწინო კონტრაქტის საგანი, სუბიექტები და ობიექტები. სამართლის ქრილში მოცემულია ზემოხსენებული შემადგენელი ნაწილების განსაზღვრებანი.

პირველი პარაგრაფი შედგება ხუთი მცირე ნაწილისაგან (ნაწილების სახით ნაშრომში გამოყოფილი არ არის). თითოეული ნაწილი იხილავს და წყვეტს მის სათაურში წამოჭრილ პრობლემატიკას. პარაგრაფში ზემოჩამოთვლილ საკითხებთან ერთად დიდი ადგილი ეთმობა საქორწინო კონტრაქტის შემადგენელი ელემენტების განსაზღვრებებს, მეუღლეთა არაქონებრივი და ქონებრივი ურთიერთობების მოდიფიცირების და ტრანსფორმირების საკითხებს. პარაგრაფში განხილულია მთელი რიგი დათქმები და პირობები, რომლებიც შესაძლებელია გამოყენებულ იქნას პრაქტიკული დანიშნულებისათვის. გაანალიზებულია და მიღებულია პასუხები მრავალ გაბატონებულ

© გიორგი გ. თუმანიშვილი, 2010  
საქორწინო კონტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის არც ერთი ნაწილი, არანაირი მიზეზით, არ შეიძლება კვლავწარმოებული (რეპროდუცირებული) იყოს ნებისმიერი ფორმით და ხერხით - იქნება ეს ელექტრონული თუ მაგნიტური, ციფრული თუ ფოტოკოპირებული ან სხვა საშუალებით, საავტორო უფლების მფლობელის წერილობითი თანხმობის ან/და სათანადო წესით გახორციელებული მითითების გარეშე.

შეხედულებებთან და საკითხებთან დაკავშირებით. განხილულია და შემოთავაზებულია საქორწინო კონტრაქტის შემადგენელ რამოდენიმე დათქმასთან დაკავშირებული მოსაზრებანი. ჩამოყალიბებულია ხსენებული დათქმების ავტორისეული ვარიანტი. პარაგრაფის ბოლო ნაწილში მოცემულია შემაჯამებელი მდგომარეობები, თეორიულ-პრაქტიკული ხასიათის წინადადებები, რეკომენდაციები და წინასწარი მცირე დასკვნები, რომლებიც ეხებიან პარაგრაფში განხილულ საკითხებს.

**მეორე პარაგრაფი** შედგება სამი მცირე ნაწილისაგან (ნაწილების სახით გამოყოფილი არ არის), რომლებიც თემატურად ეხებიან საქორწინო კონტრაქტის შეცვლის, შეწყვეტის და ბათილად ცნობის მნიშვნელოვან და პრობლემატურ საკითხებს. პარაგრაფში განხილულია მეუღლეთა ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობანი მათ კრედიტორებთან მიმართებაში. ჩამოყალიბებულია ერთიანი პოზიცია და შემოთავაზებულია ავტორისეული ხედვა ზემოაღნიშნულ ურთიერთობასთან მიმართებაში.

**მესამე პარაგრაფი** ეძღვნება საქორწინო კონტრაქტის ფორმულარის სრულყოფის საკითხს. პარაგრაფში თემატიკა ფართო პრაქტიკული დანიშნულების არის. პარაგრაფი არ არის დაყოფილი ნაწილებად და გვევლინება ერთიანი სახით, მაგრამ განსახილველი თემატიკის მიხედვით, მას გააჩნია ქვესათაურები, რათა გამარტივებული იყოს ტექსტის აღქმა. პარაგრაფში ავტორის მიერ შემოთავაზებულია საქორწინო კონტრაქტის მის შემადგენელ ნაწილებად დაყოფის სქემა. ამასთან ერთად შემოთავაზებულია საქორწინო კონტრაქტის თითოეული მუხლის შინაარსი და მისი ფორმულარი, რომელიც შესაძლებელია პირდაპირ "კალკირებულ" (კოპირებულ) იქნას საქორწინო კონტრაქტში. პარაგრაფში ჩატარებული კვლევა-ძიება გახლავთ მცდელობა იმისა, რომ შეიქმნას საქორწინო კონტრაქტის ერთიანი ფორმულარი, რომელიც მომავალში გამოყენებული იქნება საქართველოს ნოტარიუსების და დაინტერესებულ პირთა მიერ მათ პრაქტიკულ საქმიანობაში.

საქორწინო კონტრაქტის საგნის სპეციფიურობა განისაზღვრება იმ გარემოებით, რომლის მიხედვითაც კონტრაქტის პირობები შეიძლება ეხებოდეს არა მარტო დღეისათვის რეალურ სინამდვილეში არსებულ, არამედ მომავალში, ქორწინების არსებობის დროის მონაკვეთში

მეუღლეების მიერ შეძენილ ქონებრივ და აგრეთვე არაქონებრივ უფლებებსა და მოვალეობებს.

საქორწინო კონტრაქტის ძირითად ობიექტად ჩვენ გვევლინება ის უფლებები და მოვალეობები, რომელთა წარმოშობის წყარო არის თვით ქონება როგორც ასეთი. მხედველობაში გვაქვს შემდეგი: კანონის მიხედვით, კერძოდ სსკ 1172-ე მუხლის თანახმად, "მეუღლეებს შეუძლიათ დადონ საქორწინო კონტრაქტი, რომლითაც განისაზღვრება მათი ქონებრივი უფლებები და მოვალეობები, როგორც ქორწინების განმავლობაში, ისე განქორწინებისას". ეს იმას ნიშნავს, რომ საქორწინო კონტრაქტის მეშვეობით მეუღლეებს ეძლევათ ლეგალური შესაძლებლობა მათთვის, როგორც პიროვნებებისათვის დამახასიათებელი, თავისუფალი ნების გამოვლენისა, და ლიტერალური სახით დაფიქსირებისა. მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ამგვარი გზით დასაქორწინებელი პირების ან მეუღლეების მიერ გამოვლენილი პერსონიფიცირებული თავისუფალი ნება უთუოდ არაორდინალური და მკვეთრად სუბიექტური ხასიათისაა. შეუძლებელია, რომ მეუღლეთა ნება იყოს ერთნაირი. ეს განპირობებულია თუნდაც იმით, რომ მეუღლეები სხვადასხვა შეხედულებების და შეფასების უნარის მქონე პირები არიან. ხსენებულიდან გამომდინარე, საქორწინო კონტრაქტებს არ შეიძლება ჰქონდეთ ერთნაირი შინაარსი. ამასთანავე დავძენ, რომ თუ ძველი სამოქალაქო სამართლის კოდექსით მეუღლეთა ქონებრივი უფლება-მოვალეობების მომწესრიგებელი ნორმები ატარებდა იმპერატიულ ხასიათს, საოჯახო სამართლის ამ ახალმა ინსტიტუტმა მას უდაოდ მიანიჭა დისპოზიციური ხასიათი. ხსენებულმა გარემოებამ კი, თავის მხრივ, შეუქმნა საქორწინო კონტრაქტის მხარეებს წინაპირობა, იმისათვის, რომ მათ შეეძლონ, მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში განახორციელონ, მაქსიმალურად ეფექტურად და სამართლიანად, თვითონ, თავისი თავისუფალი ნებისა და სინდისის თანახმად განსასაღვრონ, როგორც საერთო ასევე განცალკევებულ ქონებასთან დაკავშირებული საკითხები. აღნიშნული გარემოება კი თავის არსში ატარებს უტყუარ შესაძლებლობას ცოლსა და ქმარს შორის ოჯახში წამოჭრილი რთული, კონფლიქტური ხასიათის საკითხების გადაწყვეტისა მშვიდ ატმოსფეროში. ზემოთაღნიშნული გარემოება მიმაჩნია მთავარი ფაქტორის ტოლფას გარემოებად, რადგან მისი მეშვეობით, მრავალი, ყოველდღიური ყოფიერებიდან აღმოცენებული ანტოგონისტური ხასიათის საკითხი შესაძლებელია უმტკივნეულოდ

© გიორგი გ. თუმანიშვილი, 2010

საქორწინო კონტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის არც ერთი ნაწილი, არანაირი მიზეზით, არ შეიძლება კვლავწარმოებული (რეპროდუცირებული) იყოს ნებისმიერი ფორმით და ხერხით - იქნება ეს ელექტრონული თუ მაგნიტური, ციფრული თუ ფოტოკოპირებული ან სხვა საშუალებით, საავტორო უფლების მფლობელის წერილობითი თანხმობის ან/და სათანადო წესით გახსორციელებული მითითების გარეშე.

გატანილი იყოს "სამშვიდობო გზაზე" და გადაიჭრას ისე, რომ ოჯახისათვის არ მოხდეს ზიანის მიყენება<sup>22</sup>.

აღნიშვნის ღირსია ის სოციალურ-ფსიქოლოგიური ხასიათის მდგომარეობა, რომლის მიხედვითაც მხოლოდ მეუღლეთა სურვილზეა დამოკიდებული დადებენ ისინი საქორწინო კონტრაქტს თუ არა. იმ შემთხვევაში, თუ კონტრაქტი დაიდება, იგი მეუღლეთა შორის ქონებრივი უფლებებისა და მოვალეობების განაწილების სამართლებრივი საფუძვლის ხასიათს იძენს. ასეთ შემთხვევაში, სრულიად მართებულია საქორწინო კონტრაქტის მიმართ მოთხოვნა, რომ იგი სრულად უნდა პასუხობდეს კონტრაქტებისათვის (ხელშეკრულებებისათვის) კანონით წაყენებულ ზოგად მოთხოვნებს. აღსანიშნავია, რომ საქორწინო კონტრაქტის დადების საკითხის გადაჭრა არის მხოლოდ მეუღლეების (ან დასაქორწინებელ პირების) სუვერენული უფლება. ამრიგად, ზემოხსენებული კონტექსტიდან გამომდინარე, სრულიად ბუნებრივად მიგვაჩნია, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც მეუღლეებს (ან დასაქორწინებელ პირებს) არ გააჩნიათ სურვილი სხვადასხვა სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო დადონ საქორწინო კონტრაქტი, მათი ქონებრივი ურთიერთობები მოწესრიგდება კანონით დადგენილი წესის შესაბამისად.

---

<sup>22</sup> ჯორბენაძე, ს. (1973). *საცხოვრებელი სახლი და მოქალაქეთა საბინაო უფლება-მოვალეობა*. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.



## § I

## საქორწინო კონტრაქტის დადება, ფორმა, შინაარსი

## საქორწინო კონტრაქტის დადება

სსკ 1173-ე მუხლში მოცემული განმარტების მიხედვით, საქორწინო კონტრაქტი შეიძლება დაიდოს მხარეთა მიერ როგორც ქორწინების რეგისტრაციამდე, ასევე ქორწინების რეგისტრაციის შემდეგ ნებისმიერ დროს. ამ საკითხთან დაკავშირებით ყურადსაღებია, რომ ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატების პრაქტიკის მიხედვით, საქორწინო კონტრაქტების 78% იდება ქორწინების რეგისტრაციამდე (აშშ-ის მაგალითი), ხოლო დანარჩენი 22% ქორწინების რეგისტრაციის შემდეგ. ნიშანდობლივია, რომ საქართველოს კანონმდებელი არ განსაზღვრავს და არ აწესებს დროის სივრცეში არავითარ ვადებს საქორწინო კონტრაქტის დადებასა და ქორწინების რეგისტრაციის ფაქტთან მიმართებაში.

დღეისათვის მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, საქორწინო კონტრაქტი, რომელიც დაიდო დასაქორწინებელ პირებს შორის, ძალაში შედის მხოლოდ ქორწინების კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრაციის მომენტიდან.

ყურადსაღებია ის გარემოება, რომ თუ კონტრაქტის მხარეები არიან დასაქორწინებელი პირები, მათ შეუძლიათ ქორწინების რეგისტრაციამდე რამოდენიმეჯერ შეადგინონ და დადონ საქორწინო კონტრაქტი. ქორწინების რეგისტრაციის მომენტიდან ძალაში შესულად ჩაითვლება მხოლოდ ის კონტრაქტი, რომელიც დადებული იყო ყველაზე მოგვიანებით. რაც შეეხება ქორწინების რეგისტრაციის შემდეგ დადებულ კონტრაქტს, იგი ავტომატურად შედის ძალაში მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე (იგულისხმება კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების სრულად დაცვა კონტრაქტის ფორმასთან მიმართებაში, კერძოდ სანოტარო დადასტურება). ზემოხსენებულ შემთხვევაში მართებულად მიმაჩნია მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, თვით ქორწინების ფაქტს მოქმედებაში მოჰყავს საქორწინო კონტრაქტი, და ის ამასთანავე ანიჭებს მას იურიდიულ ძალას.

საქორწინო კონტრაქტის დადებასთან უშუალო კავშირშია მხარეთა ქმედუნარიანობის საკითხი. მოგეხსენებათ, რომ ქმედუნარიანობა არის

---

© გიორგი გ. თუმანიშვილი, 2010

საქორწინო კონტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის არც ერთი ნაწილი, არანაირი მიზეზით, არ შეიძლება კვლავწარმოებული (რეპროდუცირებული) იყოს ნებისმიერი ფორმით და ხერხით - იქნება ეს ელექტრონული თუ მაგნიტური, ციფრული თუ ფოტოკოპირებული ან სხვა საშუალებით, საავტორო უფლების მფლობელის წერილობითი თანხმობის ან/და სათანადო წესით განხორციელებული მითითების გარეშე.

პირის უნარი, თავისი ნებითა და მოქმედებით შეიძინოს და განახორციელოს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები. ქმედუნარიანობა წარმოიშობა სრულწლოვანების მიღწევითანავე, ხოლო სრულწლოვანად ითვლება პირი, რომელმაც მიაღწია 18 წლის ასაკს. ამავდროულად აღსანიშნავია, რომ ქმედუნარიანად ითვლება პირი, რომელიც იქორწინებს 18 წლის ასაკის მიღწევამდე. სსკ 1175-ე მუხლის მიხედვით, შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირს ქორწინების რეგისტრაციამდე შეუძლია დადოს საქორწინო კონტრაქტი მხოლოდ კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით. სსკ 1198-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, კანონიერ წარმომადგენლებად, უპირველეს ყოვლისა, გვევლინებიან მშობლები, რომლებიც განსაკუთრებულ რწმუნებულებათა გარეშე გამოდიან შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირის უფლებებისა და ინტერესების დასაცავად მესამე პირებთან ურთიერთობაში. მართალია, ზემოხსენებული 1175-ე მუხლი კრძალავს საქორწინო კონტრაქტის დადებას შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირის მიერ კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი თანხმობის გარეშე, მაგრამ ამავე კოდექსის 63-ე მუხლი მიგვითითებს, რომ თუ არასრულწლოვანი დებს ორმხრივ გარიგებას (ხელშეკრულებას) წარმომადგენლის აუცილებელი თანხმობის გარეშე, მაშინ კონტრაქტის ნამდვილობა დამოკიდებულია იმაზე, შემდგომში მისი წარმომადგენელი მოიწონებს თუ არა მას. ასევე ყურადღება გავაძახვილეთ სსკ 65-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის მიხედვითაც, კონტრაქტი, რომელიც დადებულია არასრულწლოვანის მიერ კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის გარეშე, ითვლება ნამდვილად თუკი არასრულწლოვანმა კონტრაქტით გათვალისწინებულ მოქმედებათა შესასრულებლად განკარგა ის საშუალებანი, რომლებიც მას გადასცეს კანონიერმა წარმომადგენლებმა ან ამ წარმომადგენლების თანხმობით მესამე პირებმა ამ მიზნით ან/და თავისუფალი განკარგვის მიზნით.

დავსვით კითხვა: შეიძლება თუ არა საქორწინო კონტრაქტი დაიდოს არასრულწლოვანის მიერ მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის გარეშე? ბევრი იურისტი მიიჩნევს, რომ სამოქალაქო კოდექსის ნორმათა შეჯერების საფუძველზე ამ გარიგების დადება კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის გარეშე შესაძლებელია, რაც მცდარ მოსაზრებას წარმოადგენს, ვინაიდან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ზემოხსენებული 1175-ე მუხლი გახლავთ საქორწინო კონტრაქტის სამართლებრივ ინსტიტუტში შემავალი ნორმა. მაშასადამე,

© გიორგი გ. თუმანიშვილი, 2010

საქორწინო კონტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის არც ერთი ნაწილი, არანაირი მიზეზით, არ შეიძლება კვლავწარმოებული (რეპროდუცირებული) იყოს ნებისმიერი ფორმით და ხერხით - იქნება ეს ელექტრონული თუ მაგნიტური, ციფრული თუ ფოტოკოპირებული ან სხვა საშუალებით, საავტორო უფლების მფლობელის წერილობითი თანხმობის ან/და სათანადო წესით გახსორციელებული მითითების გარეშე.

იგი განხილული უნდა იყოს, როგორც ერთგვარი ურთიერთობის მარეგულირებელი სპეციალური ნორმა, რომლის მიხედვითაც უნდა იქნას რეგულირებული ზემოაღნიშნული საკითხი. შესაბამისად არასრულწლოვანის მიერ საქორწინო კონტრაქტის დადება კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის გარეშე დაუშვებელია.

მნიშვნელოვანია ასევე ის გარემოება, რომ სხვადასხვა ქვეყნის შიდასახელმწიფოებრივი სამართლის მიხედვით, პირის ქმედუნარიანობა სხვადასხვა ასაკობრივი ზღვარის მიღწევასთან არის დაკავშირებული ისევე, როგორც ამა თუ იმ სახელმწიფოში სხვადასხვა ასაკია მიჩნეული დაქორწინების პირობის დასაკმაყოფილებლად.

იმ შემთხვევაში, თუ დასაქორწინებელი პირები სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეები არიან, მათ მიმართ გამოიყენება დათქმა, რომელიც მოცემულია საქართველოს კანონში "საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ". ხსენებული კანონის 22-ე მუხლის მიხედვით, ფიზიკური პირის უფლებადუნარიანობა და ქმედუნარიანობა განისაზღვრება იმ ქვეყნის სამართლით, რომელსაც ეს პირი განეკუთვნება. მაშასადამე, ფიზიკური პირის პიროვნული სტატუსი გვევლინება პირის ქმედუნარიანობის პირობების განმსაზღვრელად. ანუ, თუ საქორწინო კონტრაქტი იდება ორი სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეს შორის, რომელთა თითოეულის ასაკი არის 17 წელი, ხოლო ერთი მათთაგანი საქართველოს მოქალაქეა, მაშინ საქართველოს მოქალაქის მიმართ გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1175-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც, აუცილებელია საქორწინო კონტრაქტის დადებისას კანონიერი წარმომადგენელის თანხმობა, ხოლო მეორე მხარისათვის გამოიყენება მისი ქვეყნის შიდასახელმწიფოებრივი სამართლის შესაბამისი სამართლებრივი ნორმა. თუ იგი თავისი ქვეყნის შიდასახელმწიფოებრივი სამართლის მიხედვით არის ქმედუნარიანი, კანონიერი წარმომადგენელის თანხმობა საქორწინო კონტრაქტის დადებისათვის საქართველოში მას არ ესაჭიროება.

### საქორწინო კონტრაქტის ფორმა

სამოქალაქო სამართალში ნების გამოვლენა შეიძლება სხვადასხვა საშუალებით – ზეპირად ან წერილობით, მოქმედებით ან უმოქმედობით, დუმილით ან კონკლიუდენტური მოქმედებით. ყოველივე ეს ნების გამოვლენის ფორმებს წარმოადგენს.

გარიგების ფორმა, ნების გამოვლენის არსებობის გარეგნული გამოხატვაა, რომელსაც კანონი სამართლებრივ შედეგებს უკავშირებს<sup>23</sup>.

სსკ 68-ე მუხლი განსაზღვრავს, რომ გარიგების ნამდვილობისათვის საჭიროა კანონით დადგენილი ფორმის დაცვა. თუ ასეთი ფორმა არ არის დაწესებული, მხარეებს შეუძლიათ თვითონ განსაზღვრონ იგი.

ჩვენს მიერ განსახილველ საკითხთან მიმართებაში სსკ 1174-ე მუხლი პირდაპირ მიგვითითებს, რომ საქორწინო ხელშეკრულება იდება წერილობით და დასტურდება სანოტარო წესით.

გარიგების მარტივი წერილობითი ფორმის შემთხვევაში გარიგების ნამდვილობისათვის საკმარისია გარიგებაში მონაწილე მხარეთა ხელმოწერა. ხელმოწერა გულისხმობს გარიგებისათვის სპეციალურად შედგენილ დოკუმენტზე ხელისმოწერას. ხელისმოწერა უნდა განხორციელდეს საკუთარი ხელით და მითითებული უნდა იყოს ხელმოწერის სახელი და გვარი (სრულად) გარკვევით. დოკუმენტზე ხელმოწერა ასევე დაიშვება წარმომადგენლის მეშვეობით. ამ პროცედურის შესახებ ჩვენ მოგვიანებით გავამახვილებთ ყურადღებას ამავე პარაგრაფში.

მარტივი წერილობითი ფორმის გარდა, სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს რთულ წერილობით ფორმასაც, რომლის დროსაც გარიგების ნამდვილობისათვის საკმარისი არ არის მხოლოდ გარიგების მხარეთა ხელმოწერა, ამავდროულად აუცილებელია ნოტარიუსის მიერ გარიგების დამოწმება ან/და დადასტურება.

---

<sup>23</sup> ჭანტურია, ვლ. (1997). *შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში*, (გვ. 346), თბილისი: გამომცემლობა „სამართალი“.

სანოტარო დადასტურებისას ნოტარიუსი ადგენს სანოტარო აქტს, რა დროსაც იგი ვალდებულია:

- დაადგინოს სანოტარო მოქმედების მონაწილის ქმედუნარიანობა;
- დაადგინოს სანოტარო მოქმედების მონაწილის უფლებამოსილება;
- დაადგინოს ყველა ის ფაქტი და გარემოება, რაც აუცილებელია სამართლებრივად გამართული გარიგების დასადასტურებლად და ამ მიზნით გამოითხოვოს ყველა ის დოკუმენტი, რომლის გამოთხოვაც აუცილებელია;
- დაადგინოს მიზანი, რომლის მიღწევაც სურს (მხარეს) მხარეებს;
- განუმარტოს სანოტარო მოქმედების მონაწილეს სანოტარო აქტის სამართლებრივი შედეგები;
- დარწმუნდეს მხარეთა განზრახვის სერიოზულობასა და სანოტარო აქტის შინაარსის მხარის ნებასთან შესაბამისობაში.

სანოტარო დამოწმების დროს ნოტარიუსი არ ამოწმებს დოკუმენტში ჩამოყალიბებული ფაქტების ნამდვილობას, არამედ მხოლოდ ამოწმებს, რომ ხელმოწერა დოკუმენტზე ეკუთვნის კონკრეტულ პირს. ასევე, ამოწმებს დოკუმენტის პირისა და ამონაწერის დედანთან სისწორეს, დოკუმენტის ერთი ენიდან მეორეზე თარგმნის სისწორეს. დამოწმება სრულდება დოკუმენტზე ნოტარიუსის დამადასტურებელი წარწერის (ფორმულარის) შესრულების გზით.

თანამედროვე სამართალში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ენას, როგორც ნების გამოვლენის ერთ-ერთ ფორმას. გარიგება, რომელიც საქართველოში დასტურდება ნოტარიუსის მიერ, შედგენილი უნდა იქნას საქართველოს სახელმწიფო ენაზე. ამასთანავე, თუ გარიგების ერთ-ერთმა მხარემ არ იცის საქართველოს სახელმწიფო ენა, მოიწვევა თარჯიმანი, რომელიც უთარგმნის მხარეს გარიგების შინაარსს და სანოტარო მოქმედების შესრულების დროს აწვდის მას აუცილებელ ინფორმაციას. გარიგება ამავედროულად შედგენილი უნდა იყოს იმ ენაზე, რომელსაც ფლობს მხარე. ასეთ შემთხვევაში, ნოტარიუსი მოვალეა მოახდინოს გარიგების თარგმანის სისწორის დამოწმება და მხარეს გადასცეს მისთვის გასაგებ ენაზე (მხედველობაშია ის ენა, რომელსაც ხსენებული მხარე სრულფასოვნად ფლობს) შედგენილი გარიგება.

ნოტარიულად დამოწმებულ გარიგებას მხარეები ხელს აწერენ ნოტარიუსის თანდასწრებით. თუ გარიგების ხელმოწერას ნოტარიუსი არ

დასწრება, ხელმოწერა პირადად უნდა დაადასტუროს, რომ ხელმოწერა მას ეკუთვნის. ვერ დავეთანხმები ვლადიმერ ჭანტურიას მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ გარიგების სანოტარო დადასტურებისას ნოტარიუსმა მხარეებს არ უნდა წაუკითხოთ გარიგება ვინაიდან საქართველოს კანონის "ნოტარიატის შესახებ" 51-ე მუხლის მეორე ნაწილი უშუალოდ მიუთითებს, რომ "თუ სანოტარო დოკუმენტი (ასეთად გვევლინება გარიგება) შეიცავს სანოტარო მოქმედების მონაწილის (გარიგების მხარე) ნების გამოვლინებას, ნოტარიუსმა დოკუმენტის ხელმოწერამდე მას (ანუ გარიგების მხარეს) უნდა წაუკითხოთ დოკუმენტის ტექსტი."

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თუკი სანოტარო მოქმედების შესრულების მონაწილე პირი არის მუნჯი, ყრუ ან ყრუ-მუნჯი, ნოტარიუსი მოვალეა ჩაატაროს სანოტარო პროცედურა შესაბამისი სპეციალისტის უშუალო დახმარების მეშვეობით, რათა სანოტარო მოქმედებების შინაარსი და შედეგი გახადოს ამ პირისათვის გასაგები და ნათელი. ასეთ შემთხვევაში სპეციალისტი მოვალეა თავისი ხელმოწერით დაადასტუროს, რომ სანოტარო მოქმედების შინაარსი პირს განემარტა და იგი მის თავისუფალ ნებას შეესაბამება.

იმ პირის ნაცვლად, რომელსაც ავადმყოფობის, ფიზიკური ნაკლის ან სხვა საპატიო მიზეზის გამო შესაძლებლობა არა აქვს ხელი მოაწეროს გარიგებას, მისი დავალების თანახმად შესაძლებელია ხელს აწერდეს სხვა პირი. ასეთ შემთხვევაში, ხელისმოწერა უნდა წარმოებდეს ნოტარიუსის ზედამხედველობის ქვეშ და მისი უშუალო თანდასწრებით. ზემოაღწერილ შემთხვევაში აუცილებელ პირობად მიჩნეულია იმ კონკრეტული მიზეზის აღნიშვნა, რის გამოც პირს არ შეუძლია ხელისმოწერის პროცედურის ჩატარება. იმ შემთხვევაში, თუ სანოტარო მოქმედების შესრულების მთხოვნელი პირი (გარიგების მხარე) წერა-კითხვის უცოდინარი ან უსინათლოა, ნოტარიუსი მოვალეა წაუკითხოთ მას გარიგების ტექსტი და ეს აღნიშნოს დოკუმენტში.

აქვე გვინდა ყურადღება გავამახვილოთ იმ შემთხვევაზე, როდესაც საქორწინო კონტრაქტის ტექსტი მოიცავს რიცხვს ან/და რიცხობრივ მაჩვენებელს. ასეთი შემთხვევა სრულიად ბუნებრივად გვესახება, რადგან კონტრაქტში შესაძლებელია მოცემული იყოს რომელიმე მხარის ქონების ღირებულების აღმნიშვნელი რიცხვი ან გადმოცემული იყოს სხვა

შინაარსის მატარებელი ინფორმაცია, რომელიც ჩვეულებრივი წესის მიხედვით ფიქსირდება რიცხობრივი სახით. ნებისმიერ შემთხვევაში, კონტრაქტში ყველა რიცხვი უნდა დაიწეროს აგრეთვე სიტყვებით. გამონაკლისს შესაძლებელია წარმოადგენდეს ის შემთხვევა, როდესაც რიცხვები ასახავენ მხარეთა მისამართებს, სანოტარო მოქმედების რიგითობის ან სხვა რიცხობრივ მინიშნებას, რომელიც დაკავშირებულია სანოტარო მოქმედებასთან, მაგალითად - კონტრაქტის მუხლები, ნაწილები, პუნქტები და ქვეპუნქტები. იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე გვაქვს ქონების აღწერასთან, აღრიცხული ობიექტების რაოდენობა უნდა დაიწეროს ასევე სიტყვიერად, როდესაც საქორწინო კონტრაქტი შედგენილია რამოდენიმე ფურცლად, მაშინ კონტრაქტის მხარეებმა ხელი უნდა მოაწერონ კონტრაქტის თითოეულ ფურცელს.

იმის შემდგომ, რაც საქორწინო კონტრაქტის მხარეები, ნოტარიუსის თანდასწრებით, ხელს მოაწერენ საქორწინო კონტრაქტს, ნოტარიუსმა ამ ხელმოწერათა ნამდვილობა უნდა დაადასტუროს თავისი პირადი ხელმოწერით, ბეჭდით და სანოტარო რეესტრში სპეციალური ჩანაწერის გაკეთებით.

ნოტარიუსმა დამატებით, კონტრაქტის გაყალბებისაგან დაცვის მიზნით, შეიძლება გამოიყენოს რელიეფური ბეჭედი (ტვიფრული ბეჭედი). მოქმედი კანონმდებლობით, იკრძალება ნოტარიუსის ხელმოწერის დასმა მექანიკური საშუალების გამოყენებით. ნოტარიუსი ვალდებულია კონტრაქტს დაუსვას თავისი ბეჭედი და ხელმოწერა. ნოტარიუსის ხელმოწერისა და ბეჭდის გარეშე კონტრაქტს იურიდიული ძალა არ გააჩნია.

საქორწინო კონტრაქტში ასევე აუცილებლად უნდა იყოს აღნიშნული კონტრაქტის დადების ადგილი და ხელმოწერის თარიღი. კონტრაქტი უნდა შეიცავდეს ნოტარიუსის ფორმულარს (დამადასტურებელ წარწერას). იგი შესაძლოა განთავსდეს როგორც კონტრაქტის დასაწყისში, ისე მის ბოლოში. ფორმულარში აუცილებლად უნდა იყოს მითითებული კონტრაქტის შედგენის თარიღი და ადგილი, ნოტარიუსის ვინაობა, გადახდილი საზღაურის ოდენობა, კონტრაქტისათვის მინიჭებული რეესტრის ნომერი.

საქორწინო კონტრაქტთან მიმართებაში სსკ 1174-ე მუხლით, კონტრაქტისათვის დადგენილი აუცილებელი ფორმის დარღვევის შემთხვევაში, კონტრაქტის მიმართ ამოქმედდება სსკ 59-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის მიხედვითაც, ფორმის დაუცველად დადებული გარიგება (საქორწინო კონტრაქტი) იქნება ბათილი.

### საქორწინო კონტრაქტის შინაარსი

საქორწინო კონტრაქტის ძირითად ნაწილს წარმოადგენს მისი შინაარსი. იგი შეიძლება შედგებოდეს რამოდენიმე ნაწილისაგან. ასე მაგალითად, კონტრაქტის ზოგად ნაწილში შეიძლება გადმოცემული იყოს საერთო ხასიათის ის დებულებანი, რომლებიც განსაზღვრავენ საქორწინო კონტრაქტისა და მოქმედი საოჯახო კანონმდებლობის თანაფარდობის საკითხს, კონტრაქტის მონაწილე მხარეთა ვალდებულებებს ქორწინების შენარჩუნებისა და საოჯახო ურთიერთობათა განმტკიცების სფეროში, განქორწინების შემთხვევისათვის თანაზიარი საკუთრების ობიექტებზე ინდივიდუალური ქონების რეჟიმის დაწესებას, განქორწინებაში თითოეული მეუღლის ბრალეულობის გათვალისწინებას და სხვ. აშშ-ის მაგალითზე დაყრდნობით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ "ქართული საქორწინო კონტრაქტი"-ის ზოგადი ნაწილი მოიცავდეს დეკლარაციული ხასიათის განსაზღვრებებსა და დათქმებს, აგრეთვე თეზისური ხასიათის ინფორმაციას, რომელთა მთავარი მიზანი და ამოცანა არის ოჯახის სიმტკიცის უზრუნველყოფის გზების და ხერხების ჩამონათვალი, აქცენტირება კი მათში უნდა ხდებოდეს მხარეთა სიყვარულის ძალაზე და სულიერ სიმტკიცეზე. ამ ნაწილში შესაძლებელია აღნიშნული იყოს, რომ მხარეებს შორის არსებობს სიყვარულის წმინდა გრძნობა, რომელიც განაპირობებს მათ სურვილს იყვნენ ერთად და შექმნან ოჯახი და რომ მათ არ სურთ ყოველდღიური პრობლემების ფონზე მატერიალური და არამატერიალური სიკეთის ისეთი განკარგვა, რომელიც შესაძლოა გახდეს კონფლიქტის შედეგი და მათ შორის გაუგებრობის მიზეზი. იმისათვის, რომ მათ თავი აარიდონ ზემოაღნიშნულ პრობლემებს და არ მისცენ საშუალება "მიწიერ", ყოფითი ხასიათის საკითხებს რაიმე უარყოფითი ზეგავლენა იქონიონ მათ სიყვარულზე, ისინი ადგენენ საქორწინო კონტრაქტს.



საქორწინო კონტრაქტის შინაარსის ძირითად ნაწილში შეიძლება განისაზღვროს მეუღლეთა ერთად ცხოვრების პერიოდში შეძენილი ქონების ცალკეული სახეების სამართლებრივი რეჟიმი. კონტრაქტში შეიძლება აგრეთვე გათვალისწინებული იქნეს დამატებითი პირობები. მოქმედი საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 1176-ე მუხლი ეძღვნება საქორწინო კონტრაქტის შინაარსს. ზემოაღნიშნული მუხლის თანახმად, საქორწინო კონტრაქტი შეიძლება დაიდოს როგორც უკვე არსებულ, ისე მომავალში შეძენილ ქონებაზე; საქორწინო კონტრაქტით მეუღლეებს შეუძლიათ შეცვალონ მეუღლეთა საერთო საკუთრებისათვის კანონით დადგენილი წესი; მეუღლეებს შეუძლიათ გააერთიანონ მთელი თავიანთი ქონება, რომელშიც ჩაირიცხება ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონებაც (საერთო ქონება ან/და მთლიანად ან ნაწილობრივ თქვან უარი ამგვარ გაერთიანებაზე და დაადგინონ თითოეულის წილობრივი ან განცალკევებული საკუთრება ქონებაზე.)

ქორწინების პერიოდში მეუღლეებმა შეიძლება სხვადასხვა დროს შეიძინონ ესა თუ ის ქონება. მათ უფლება აქვთ არაერთგვარი სამართლებრივი სტატუსის განუსაზღვრონ თითოეულ მათგანს. ამიტომ სავსებით შესაძლებელია მეუღლეთა შორის დაიდოს რამდენიმე ხელშეკრულება როგორც უკვე არსებულ, ისე მომავალში (სავარაუდოდ) შეძენილ ქონებაზე. დღევანდელ საქართველოში სახელშეკრულებო პრაქტიკა არ გამოირჩევა მეუღლეთა შორის დადებული ხელშეკრულებების სიუხვით და სიმდიდრით, როგორც რიცხობრივ, ასევე არსობრივ ასპექტში.

როგორც ზემოთ აღნიშნა საქორწინო კონტრაქტი შეიძლება მოიცავდეს მეუღლეთა შორის არსებული ქონებრივი ურთიერთობის სამი სახის საკუთრებას - თანაზიარს, განცალკევებულსა და წილობრივს. კონტრაქტის დადებით, მეუღლეებს უფლება აქვთ მხედველობაში არ მიიღონ კანონის მიერ საერთო საკუთრებისათვის დადგენილი რეჟიმი და აღნიშნული საკითხი გადაწყვიტონ თავიანთი შეხედულებისამებრ. მაგალითად, შესაძლებელია საქორწინო კონტრაქტით გათვალისწინებულ იქნას ერთად ცხოვრების პერიოდში შეძენილი ქონების არათანაბრად გაყოფა ან თითოეული მათგანის მიერ საერთო-საოჯახო მიზნებისათვის შეძენილი ქონების ჩათვლა შემძენის განცალკევებულ საკუთრებად. აგრეთვე შესაძლებელია, კონტრაქტის დადებით მეუღლეთა განცალკევებულმა საკუთრებამაც შეიცვალოს თავისი ბუნება.

მეუღლეები უფლებამოსილნი არიან, საკუთარი შეხედულებისამებრ, დაადგინონ ისეთი სამართლებრივი რეჟიმი, რომელიც მოიცავს ქონების განცალკევებისა და მათი ერთიანობის ცალკეულ ნიშნებს. მაგალითად, მეუღლეთა მიმდინარე შემოსავალი მომავალში შეიძლება იყოს მეუღლეთა საერთო საკუთრება, ხოლო სამეწარმეო საქმიანობისათვის გამოყენებული ქონება კი – განცალკევებული. საქორწინო კონტრაქტი შეიძლება ეხებოდეს როგორც მომავალში მეუღლეთა მიერ შეძენილ ქონებას, ისე მის ცალკეულ სახეებს.

კონტრაქტში მეუღლეებმა შეიძლება გაითვალისწინონ წილობრივი სახის საკუთრების სამართლებრივი რეჟიმი ქორწინების პერიოდში შეძენილ ქონებაზე მათ შორის, საცხოვრებელ ფართობზე. მაგალითად, საქორწინო კონტრაქტში მეუღლეებს შეუძლიათ მიუთითონ, რომ ქორწინების განმავლობაში შეძენილ ქონებაზე (ან უძრავ ქონებაზე, შეიძლება მიეთითოს - საცხოვრებელ ბინაზე და ა.შ.) ერთი მეუღლის წილი შეადგენდეს  $\frac{1}{4}$ -ს, ხოლო მეორის –  $\frac{3}{4}$ . ამავე დროს, არ არის გამორიცხული, რომ მეუღლეები შეთანხმდნენ იმაზე, რომ თითოეული მათგანის მიერ შეძენილი ქონება შეადგენდეს მის განცალკევებულ (კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურ) საკუთრებას.

საქორწინო კონტრაქტის საფუძველზე, მეუღლეებმა შეიძლება გააერთიანონ მთელი თავიანთი ქონება. ასეთ ქონებაში ჩაირიცხება არამარტო ინდივიდუალური საკუთრების ობიექტები, არამედ საერთო-თანაზიარი საკუთრებაც. შესაძლებელია არა მთელი ქონების, არამედ ინდივიდუალური და თანაზიარი საკუთრების მხოლოდ ნაწილის გაერთიანება. დანარჩენი ნაწილი კვლავ შეინარჩუნებს, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, მისთვის დადგენილ სამართლებრივ რეჟიმს. რაც შეეხება გაერთიანებულ ქონებას, იგი მეუღლეთა შეთანხმების საფუძველზე შეიძლება იყოს მათი საერთო საკუთრება, როგორც თანაზიარი, ისე წილობრივი ფორმით არსებული. თუ მხარეები უარს იტყვიან მთელი ქონების ან მისი ნაწილის გაერთიანებაზე, მათ შესაძლებლობა აქვთ ერთად ცხოვრების პერიოდში შეძენილი ქონების მიმართ დააწესონ წილობრივი ან განცალკევებული ქონების სამართლებრივი რეჟიმი.

საქორწინო კონტრაქტი შეიძლება ითვალისწინებდეს მხარეთა შემოსავლებში მონაწილეობის შესაძლებლობასაც. მაგალითად, ერთი მეუღლე კონტრაქტით იღებდეს ვალდებულებას სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის ნახევარი გადასცეს მეორე მეუღლეს, ხოლო მეორე მეუღლე კი იღებდეს ვალდებულებას მის მიერ მიღებული დივიდენდების პირველი მეუღლისათვის გადაცემის შესახებ.

მეუღლეებს ასევე შეუძლიათ განსაზღვრონ საოჯახო ხარჯების გაწევის წესიც. ასე მაგალითად, შესაძლებელია საერთო შემოსავლებიდან ყოველწლიური დასასვენებელი ფულადი სახსრების გამოყოფა (საკომუნიკაციო ხარჯები, ბავშვის განათლებაზე გაღებული ხარჯი და სხვა).

საქორწინო კონტრაქტის შინაარსის მნიშვნელოვან და აქტუალურ ნაწილს შეადგენს მეუღლეების მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონების განაწილების წესი განქორწინების შემთხვევისათვის. (მეუღლეების მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონების განაწილების წესი განქორწინების შემთხვევისათვის) არის მეტად მნიშვნელოვანი, რადგან მეუღლეებს შეუძლიათ თავიდანვე განსაზღვრონ, ქონების ესა თუ ის ცალკეული ნაწილი რომელ მეუღლეს დარჩება განქორწინებისას. აღნიშნულის გათვალისწინება საქორწინო კონტრაქტში აადვილებს განქორწინებისას ქონებრივი დავის გადაწყვეტას, რადგანაც ქონება ან ქონების ცალკეული ნაწილები, რომელზედაც მათ პოტენციურად შეიძლება ჰქონდეთ დავა, განსაზღვრულია და მას შესაძლებელია საქორწინო კონტრაქტის მეშვეობით უკვე ჰქონდეს დაწესებული საკუთრების გარკვეული სახე.

### **დათქმა ცოლ-ქმრული ღალატის შესახებ, როგორც საქორწინო კონტრაქტის შემადგენელი ნაწილი**

საქორწინო კონტრაქტით გათვალისწინებული უფლებები და მოვალეობები შეიძლება შეიზღუდოს განსაზღვრული ვადით ან/და ამა თუ იმ პირობის დადგომით. კანონი ზუსტად არ მიუთითებს იმ პირობებზე, რომელნიც შეიძლება საფუძვლად დაედოს მეუღლეთა ქონებრივ უფლება-მოვალეობათა შეზღუდვას. ასეთი პირობების განსაზღვრა მეუღლეთა კომპეტენციაში შედის.

---

© გიორგი გ. თუმანიშვილი, 2010  
საქორწინო კონტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის არც ერთი ნაწილი, არანაირი მიზეზით, არ შეიძლება კვლავწარმოებული (რეპროდუცირებული) იყოს ნებისმიერი ფორმით და ხერხით - იქნება ეს ელექტრონული თუ მაგნიტური, ციფრული თუ ფოტოკოპირებული ან სხვა საშუალებით, საავტორო უფლების მფლობელის წერილობითი თანხმობის ან/და სათანადო წესით გახსოვრიელებული მითითების გარეშე.

საუბარი მექნება აშშ-ში და ევროპის რამოდენიმე სახელმწიფოში გავრცელებული პრაქტიკის შესახებ, რომელიც ეხება დათქმას ცოლ-ქმრული ღალატის შესახებ, ანუ საქორწინო კონტრაქტის ერთ-ერთ გავრცელებულ პირობაზე – როდესაც განქორწინების საფუძველია ერთ-ერთი მხარის უღირსი საქციელი (ცოლ-ქმრული ღალატი, ქრონიკული ალკოჰოლიზმი, ნარკომანია, ხულიგნური ქმედებები).

ზემოხსენებული ჩამონათვალი ასევე ხშირად გვხვდება დსთ-ს ქვეყნებში დადებულ საქორწინო კონტრაქტებში. ასე მაგალითად: რუსეთის ფედერაციაში დადებულ საქორწინო კონტრაქტთა 96 %, უკრაინა 89 %, ესტონეთი 98 %, საქართველო 70 % და ა.შ.

აღნიშნული დათქმის შინაარსი მდგომარეობს იმაში, რომ მხარეები თანხმდებიან იმაზე, თუ განქორწინების მიზეზი ერთ-ერთი მხარის უღირსი საქციელია (ცოლ-ქმრული ღალატი, ქრონიკული ალკოჰოლიზმი, ნარკომანია, ხულიგნური ქმედებები) მაშინ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება განქორწინების მომენტიდან მოექცევა მეუღლეთა საკუთრების წილობრივ რეჟიმში, ამასთან მხარე რომელმაც ჩაიდინა უღირსი საქციელი ღებულობს საერთო თანაზიარი საკუთრების  $\frac{1}{4}$ -ს, ხოლო მეორე მხარე შესაბამისად დარჩენილ  $\frac{3}{4}$ -ს. ამგვარი დათქმა საკმაოდ პრაგმატულად და მიზანშეწონილად მიმაჩნია თუ არ ჩავთვლით ერთ გარემოებას, რომელზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

განქორწინებისას საქორწინო კონტრაქტის არსებობისას (მხედველობაში მაქვს მეუღლეთა შორის ქონებრივი დავის არსებობა) განქორწინება ხდება სასამართლო წესით. თუ განქორწინების საფუძველია ზემოაღნიშნული დათქმა მაშინ სასამართლომ უნდა შეაფასოს მომხდარი და მტკიცებულებებზე დაყდრნობით გამოიტანოს მოტივირებული გადაწყვეტილება.

თუ განქორწინების მიზეზი არის ერთ-ერთი მხარის ხულიგნური ქმედებები, მაშინ ჩვენ საქმე გვაქვს სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე მუხლთან, ვინაიდან ხულიგნობა წარმოადგენს სისხლის სამართლებრივ დანაშაულს და დასჯადია კანონით დადგენილი წესით. შესაბამისად კონტრაქტის ერთ-ერთი მხარის წინააღმდეგ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე. აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლომ,

მტკიცებულებად შეიძლება მიიჩნიოს კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი ან/და მოწმეთა ჩვენებები. თუ განქორწინების მიზეზია ერთ-ერთი მხარის ქრონიკული ალკოჰოლიზმი ან ნარკომანია, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ის გარემოება, რომ ორივე მათგანი წარმოადგენს სამედიცინო ხასიათის დიაგნოზს და შესაბამისად სასამართლომ, მტკიცებულებად შეიძლება მიიღოს ცნობა სამედიცინო დაწესებულებიდან ან სხვა დოკუმენტაცია გაცემული ჯანმრთელობის დაცვის სისტემის დაწესებულებებიდან ან/და მოწმეთა ჩვენებები.

ზემომოყვანილ შემთხვევებში სასამართლოს აქვს საშუალება შეკრიბოს მტკიცებულებები და მათზე დაყდრნობით გამოიტანოს მოტივირებული გადაწყვეტილება. სხვაგვარად არის საქმე ცოლ-ქმრული ღალატის ფაქტის დადგომის საკითხთან მიმართებაში, ვინაიდან არ არსებობს თვით ცნების – "ცოლ-ქმრული ღალატი" - ს განმარტება იურიდიულ სიბრტყეში. აღნიშნული ცნების განმარტება მოცემულია გ. პ. თუმანიშვილის მიერ სტატიაში - "ცოლ-ქმრული ღალატის შესახებ: არსობრივი, სოციალური, ფსიქოლოგიური და სამართლებრივი ასპექტი"<sup>24</sup>. ავტორი იძლევა შემდეგ განმარტებას: „ცოლ-ქმრული ღალატი არის ცოლის ან ქმრის მიერ სქესობრივი კავშირის დამყარება და სექსუალური აქტის შესრულება სხვა (გარე) პირთან და არა თავის ცოლთან ან თავის ქმართან“. სრულად ვიზიარებ ამ განმარტებას და ვეყდრნობი მას. ზემოხსენებული სამეცნიერო სტატიიდან გამომდინარე გამოვთქვამ მტკიცებულებას, რომ ცოლ-ქმრული ღალატი, როგორც ასეთი, გახლავთ ბევრად უფრო ფართო ცნება ვიდრე იგი აღიქმება საზოგადოებრივ (კარლ იუნგის ტერმინოლოგიით - "კოლექტიურ ცნობიერებაში") აზროვნებაში. ასე მაგალითად, სხვადასხვა ხალხისა თუ ერისათვის, ისევე როგორც სხვადასხვა სახელმწიფოში მცხოვრები პირებისათვის, სხვადასხვა აღზრდისა თუ პიროვნული თვისებების მატარებელი ადამიანებისათვის ცოლ-ქმრული ღალატი შესაძლოა სხვადასხვაგვარად იქნეს გაგებული. ერთისთვის ღალატად შეიძლება ჩაითვალოს როდესაც მეორე მეუღლე გვიან მოდის სამსახურიდან, ხოლო მეორესათვის ის, რომ პირველი

<sup>24</sup> თუმანიშვილი, გ. პ. (2002 წლის 11-12). ცოლ-ქმრული ღალატის შესახებ: არსობრივი, სოციალური, ფსიქოლოგიური და სამართლებრივი ასპექტი. *სამეცნიერო-პრაქტიკული იურიდიული ჟურნალი „სამართალი“*, გვ. 81-85.

ეამბორა მესამეს, თუმცა ეს უკანასკნელი შესაძლოა სხვა ადამიანისათვის სავსებით მისაღები და ჩვეულებრივი იყოს. ამგვარად შესაძლებელია ითქვას, რომ ცოლ-ქმრული ღალატისადმი დამოკიდებულება ინდივიდუალური ხასიათისაა, რომელიც დამოკიდებულია ადამიანის პიროვნებაზე, მის აღზრდასა და გარე სამყაროზე, რომელშიც იგი ცხოვრობს, ასევე მენტალურ ღირებულებებზე, რომლებითაც ოპერირებს ეს ადამიანი.

ზემომოცემული მსჯელობიდან გამომდინარე „შიშველი“ დათქმა ცოლ-ქმრული ღალატის შესახებ, არ არის საკმარისი და საჭიროებს შინაარსობრივ შევსებას და ახსნა-განმარტებას. მარტივად რომ ვთქვათ, თუ კონტრაქტში არის პირობა, რომლის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს ცოლ-ქმრული ღალატის ფაქტის დადგომა, მაშინ იქვე უნდა იყოს მოცემული ამომწურავი ხასიათის ახსნა-განმარტება, თუ რას მიიჩნევენ მხარეები ცოლ-ქმრულ ღალატად. ამით შესაძლოა აცილებულ იქნას ინდივიდუალური მიდგომის მეორე მხარის მიერ არაადეკვატურად აღქმის შესაძლებლობა, რაც თავიდან ააცილებს მათ აღნიშნული დათქმიდან წარმოშობილ გაუგებრობას. ხოლო თუ საქორწინო კონტრაქტში არ არსებობს ამგვარი ახსნა-განმარტება, მაშინ ცოლ-ქმრულ ღალატად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ სქესობრივი კავშირის დამყარება სხვა ადამიანთან (არამეუღლესთან). სასამართლომ, ჩემი აზრით საქმის განხილვისას ყურადღება უნდა გაამახვილოს აღნიშნულ განმარტების შინაარსზე და მის არსობრივ დატვირთვაზე, ხოლო უკანასკნელის არარსებობის შემთხვევაში ცოლ-ქმრულ ღალატად უნდა ჩათვალოს მხოლოდ სქესობრივი აქტი, რომელიც განხორციელდა სხვა ნებისმიერ პირთან (განურჩევლივ მისი სქესისა), რომელიც არ წარმოადგენს საქორწინო კონტრაქტის მხარეს<sup>25</sup>.

<sup>25</sup> თუმანიშვილი, გ. გ. (2003 წლის მარტი). დათქმა ცოლ-ქმრული ღალატის შესახებ, როგორც საქორწინო ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილი. *სამეცნიერო-პრაქტიკული იურიდიული ჟურნალი „სამართალი“*, გვ. 36-38.

**თეორიულ-პრაქტიკული ხასიათის წინადადებები,  
რეკომენდაციები,  
წინასწარი მცირე დასკვნები**

მეუღლეთა ქონებრივი ხასიათის ურთიერთობის კანონით რეგულირების დროს არ არის გათვალისწინებული მეუღლეთა უფლება-მოვალეობების შეზღუდვა, ხოლო საქორწინო კონტრაქტით კი მეუღლეებს შეუძლიათ თავიანთი ნების გამოვლენის საფუძველზე შეზღუდონ ისინი, ოღონდ ერთი პირობით – ასეთი შემთხვევისათვის საერთო საფუძველს განსაზღვრავს კანონი, მათი კონკრეტული რეალიზაცია კი მეუღლეებზეა დამოკიდებული. კანონი ადგენს, რომ საქორწინო კონტრაქტით შესაძლებელია მეუღლეთა ქონებრივი უფლება მოვალეობების შეზღუდვა განსაზღვრული დროით ან რომელიმე პირობის დადგომით. სხვა საფუძველით მათი შეზღუდვა არ შეიძლება. მეუღლეებს უფლება მოვალეობათა შეზღუდვა მათი ინტერესებიდან გამომდინარე შეიძლება მოხდეს.

ვადით შეზღუდვას მაშინ ექნება ადგილი, როცა საქორწინო კონტრაქტი იდება განსაზღვრული დროით. ასეთ შემთხვევაში, ბუნებრივია, მეუღლეთა მიერ განსაზღვრული ქონებრივი უფლება-მოვალეობები მოქმედებს შესაბამისი ვადით. ამასთან ერთად, შესაძლებელია ისეთი შემთხვევაც, როდესაც ვადიან საქორწინო კონტრაქტში ვადასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვაც არის გათვალისწინებული. მაგალითად, შეიძლება მეუღლეები შეთანხმდნენ იმაზე, რომ მათ შორის დადებული ათწლიანი საქორწინო კონტრაქტის პირველი ხუთი წლის მანძილზე, თითოეულის მიერ მიღებული შემოსავალი მათი ინდივიდუალური საკუთრება იყოს, ხოლო, მეორე ხუთი წლის მანძილზე მიღებული შემოსავალი – საერთო თანაზიარი. ან მაგალითად, მეუღლეებს კონტრაქტით შეუძლიათ გააკეთონ დათქმა, რომ ბავშვის დაბადებამდე მათი ქონება იქნება განცალკევებული, ხოლო დაბადების შემდგომ საერთო, ან პირიქით, და ა.შ.

კანონი ზუსტად არ მიგვითითებს იმ პირობაზე, რომელიც შეიძლება საფუძველად დაედოს მეუღლეთა ქონებრივ უფლება მოვალეობათა შეზღუდვას. ასეთი პირობების განსაზღვრა მეუღლეთა კომპეტენციაში შედის. მაგალითად: საქორწინო კონტრაქტის შინაარსში შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნას პირობა, რომლის მიხედვითაც, მეუღლეთა

© გიორგი გ. თუმანიშვილი, 2010  
საქორწინო კონტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის არც ერთი ნაწილი, არანაირი მიზეზით, არ შეიძლება კვლავწარმოებული (რეპროდუცირებული) იყოს ნებისმიერი ფორმით და ხერხით - იქნება ეს ელექტრონული თუ მაგნიტური, ციფრული თუ ფოტოკოპირებული ან სხვა საშუალებით, საავტორო უფლების მფლობელის წერილობითი თანხმობის ან/და სათანადო წესით განხორციელებული მითითების გარეშე.

მიერ ქორწინების დროის მონაკვეთში შვილის სასკოლო ასაკის მიღწევამდე მიღებული ყველა საჩუქარი (მაგალითად ფინანსური) ჩაითვალოს თანაზიარ საკუთრებათ და გამოყენებულ (გადადებულ) იქნას ზავშვისათვის დამატებითი განათლების მისაღებათ.

მეტად მნიშვნელოვანია სსკ-ს 1179-ე მუხლი, რომელიც ამბობს, რომ საქორწინო კონტრაქტით არ შეიძლება შეიცვალოს მეუღლეთა ურთიერთრჩენის მოვალეობა, მშობლების მოვალეობანი შვილების მიმართ, საალიმენტო მოვალეობანი და დავის შემთხვევაში სასამართლოში მიმართვის უფლება. საქორწინო კონტრაქტით ასევე არ შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ისეთი პირობების დადგომა, რომლებიც მძიმე მდგომარეობაში აყენებენ ერთ-ერთ მეუღლეს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ზემოხსენებული მუხლი ზუსტად განსაზღვრავს იმ უფლებებსა და მოვალეობებს, რომელთა შეზღუდვა ან შეცვლა იმპერატიულად არის დაუშვებელი საქორწინო კონტრაქტში.

თანამედროვე "ქართული საქორწინო კონტრაქტი" განსახილველი საკითხიდან გამომდინარე (დაუშვებელია ისეთი პირობის გათვალისწინება, რომელიც მძიმე მატერიალურ ან ზნეობრივ მდგომარეობაში აყენებს ერთ-ერთ მეუღლეს) არ ამღევს კონტრაქტის მხარეებს სრულ შესაძლებლობას გამოავლინონ თავიანთი ნება მათი სურვილის შესაბამისად. განქორწინების საქის განხილვისას სასამართლოში, როდესაც შესაძლებელია სადავო გახდეს საქორწინო კონტრაქტის რომელიმე მუხლი, რომლის მიმართ არსებობს (ან გამოითქმება) ვარაუდი, რომ მისი მოქმედების შედეგად ერთ-ერთი მხარე მძიმე მატერიალურ ან ზნეობრივ მდგომარეობაში არის ჩაყენებული ისმის კითხვა - რით უნდა იხელმძღვანელოს სასამართლომ? რა უნდა იქნას მიჩნეული „რთულ მატერიალურ ან/და ზნეობრივ მდგომარეობად“? აღნიშნული საკითხი შეფასებით კატეგორიას განეკუთვნება, ვინაიდან, ნებისმიერ შემთხვევაში, მაღალია ალბათობა იმისა, რომ უკმაყოფილო მეუღლე შეეცდება გამოიყენოს ზემოაღნიშნული სამართლის ნორმა კონტრაქტის კონკრეტული მუხლის, დებულების, სამართალმდგომარეობის (ან მთლიანად კონტრაქტის) გასაბათილებლად.



საქართველოში საქორწინო კონტრაქტის დაბალი პოპულარობის ერთ-ერთი საფუძველი, არის ზუსტად კანონის ზემოაღნიშნული დათქმა. მართალია იგი ერთ-ერთი (შესაძლოა კეთილსინდისიერი) მეუღლის სამართლებრივი ინტერესების დაცვას ემსახურება, მაგრამ, როდესაც საქმე გვაქვს გარიგებასთან – საქორწინო კონტრაქტთან, რომლის სუბიექტები არიან ქმედუნარიანი პირები, რომლებსაც შეუძლიათ განაგონ თავისი მოქმედებანი, განახორციელონ თავიანთი უფლებანი და იკისრონ გარკვეული მოვალეობანი, მათ უნდა მიეცეთ შესაძლებლობა სრულად განახორციელონ თავიანთი უფლებები.

განსახილველ საკითხთან მიმართებაში მიიწინააღმდეგება, რომ როდესაც სასამართლო განიხილავს განქორწინების საქმეს და მასთან ერთად საქორწინო კონტრაქტს, და როდესაც დგება საკითხი იმის შესახებ, რომ შესაძლებელია ერთ-ერთი მეუღლე მიიმე მატერიალურ ან ზნეობრივ მდგომარეობაში აღმოჩნდეს, სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს იმ გარემოების ანალიზით თუ რა გარემოებაში იმყოფებოდა „უკმაყოფილო“ მხარე ქორწინებამდე და უარესდება თუ არა მისი (ქორწინებამდელი) მდგომარეობა განქორწინების (საქორწინო კონტრაქტის შესაბამისი მუხლის ან დებულების ამოქმედების) შემთხვევაში. თუ ანალიზის და მტკიცებულებათა შეგროვების (მტკიცებულებად ამ შემთხვევაში სასამართლომ უნდა მიიჩნიოს საქორწინო კონტრაქტის შესაბამისი დებულებანი და იმ ქონების აღწერა, რომელიც თითოეულ მხარეს ეკუთვნოდა დაქორწინებამდე) გამოირკვევა რომ, თუ „უკმაყოფილო“ მოდავე მხარის მდგომარეობა უარესდება, (ქორწინებამდელ მდგომარეობასთან შედარებით) მაშინ მიიჩნიოს საქორწინო კონტრაქტის შესაბამისი მუხლი ბათილად იმ საფუძველით, რომ იგი მიიმე მატერიალურ მდგომარეობაში აყენებს ერთ-ერთ მეუღლეს. ყველა სხვა შემთხვევაში სასამართლომ საქორწინო კონტრაქტის ის სადავო მუხლი, რომელიც თითქოსდა აუარესებს პირის მატერიალურ მდგომარეობას და ამ მდგომარეობას „მიიმედ“ ხდის, უნდა დატოვოს ძალაში. პირის შუამდგომლობა კი სასამართლოს წინაშე ამ მუხლის ბათილად ცნობის შესახებ, სასამართლომ არ უნდა დააკმაყოფილოს დაუსაბუთებლობის და უსაფუძველობის მოტივით.

მნიშვნელოვნად მიმაჩნია, რომ საქორწინო კონტრაქტი შესაძლებელია ერთგვარ გარანტად მოგვევლინოს კონტრაქტის მხარეების მომავალი ან უკვე დაბადებული შვილებისათვის, ვინაიდან კონტრაქტში

---

© გიორგი გ. თუმანიშვილი, 2010  
საქორწინო კონტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის არც ერთი ნაწილი, არანაირი მიზეზით, არ შეიძლება კვლავწარმოებული (რეპროდუცირებული) იყოს ნებისმიერი ფორმით და ხერხით - იქნება ეს ელექტრონული თუ მაგნიტური, ციფრული თუ ფოტოკოპირებული ან სხვა საშუალებით, საავტორო უფლების მფლობელის წერილობითი თანხმობის ან/და სათანადო წესით განხორციელებული მითითების გარეშე.

შესაძლებელია განსაზღვრული იყოს სპეციალური პირობანი, რომლებიც უზრუნველყოფენ მხარეთა (შესაძლებელია ერთი მხარის) შვილ(ებ)ის მომავალი განათლების ღირებულების აკუმულაციას მაგ.: რომელიმე საბანკო ანგარიშზე. შესაძლებელია ორივე მეუღლე შეთანხმდეს, რომ მათი კუთვნილი შემოსავლის გარკვეული (მაგ.: ფიქსირებული ნაწილი მოხმარდება მათი შვილ(ებ)ის აღზრდას და სამომავლო განათლების საფასურის გადახდის უზრუნველყოფას მოემსახურება, ან მაგ.: რომელიმე გარკვეული შემოსავლის წყაროდან (ფიქსირებული) თანხა, (ყოველთვიურად, ყოველკვარტალურად ან ყოველწლიურად) გადაინახება (შენახულ იქნება) ამ მიზნისათვის, და ა. შ.).

საქორწინო კონტრაქტი რეგულირების შესაძლებლობით მოიცავს მეუღლეთა შორის არსებული ქონებრივი ურთიერთობის თითქმის ყველა ასპექტს. მეუღლეთა ქონების სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრა მთლიანად დამოკიდებულია მათ ნებასურვილზე. რაც შეეხება მეუღლეთა ქონებრივ უფლებას მოვალეობათა სხვა სახეებს, მათ მიმართ კანონმდებელი განსაზღვრულ სიფრთხილეს იჩენს. ეს სფერო ძირითადად მოიცავს მეუღლეთა ქონებრივ ვალდებულებებს და ზოგიერთ მათთან დაკავშირებულ უფლებას. კერძოდ, საქორწინო კონტრაქტით არ შეიძლება მეუღლეთა სურვილის მიხედვით შეიცვალოს კანონით დადგენილი ურთიერთრჩენის მოვალეობა, რადგან მის შეცვლას შესაძლებელია მოჰყვეს ერთ-ერთი მეუღლის ან ორივეს მატერიალური მდგომარეობის გაუარესება. არ შეიძლება მშობლები შეთანხმდნენ იმაზე, რომ შვილები მხოლოდ ერთ-ერთმა მეუღლემ არჩინოს და აღზარდოს და მეორე საერთოდ გათავისუფლებული იყოს მშობლის უფლება-მოვალეობისაგან; არ შეიძლება მეუღლეთა შეხედულებით შეიცვალოს მათი საალიმენტო ვალდებულებანი, არამარტო ერთმანეთის მიმართ, არამედ სხვა პირთა მიმართაც. საქორწინო კონტრაქტით არ შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს მხარეთა შორის დავის შემთხვევაში, მის გადასაწყვეტად სასამართლოსადმი მიმართვის კანონით გათვალისწინებული უფლების შეცვლა, რადგანაც ეს ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა შესახებ კონსტიტუციურ პრინციპებსა და დებულებებს.

## § II

## საქორწინო კონტრაქტის შეცვლა, შეწყვეტა, ბათილად ცნობა

საქორწინო კონტრაქტი, ისევე როგორც ნებისმიერი შეთანხმება მხარეთა შორის, ნებელობითი აქტია. ამრიგად მისი დადება და შეწყვეტა მეუღლეთა ნება-სურვილზეა დამოკიდებული. სწორედ ამიტომ სამოქალაქო კოდექსში აღნიშნულია, რომ საქორწინო ხელშეკრულების შეცვლა ან შეწყვეტა ნებისმიერ დროსა არის შესაძლებელი. აუცილებელ პირობად იმისათვის, რომ ხსენებული "შეცვლა" ან "შეწყვეტა" სამართლებრივი თვალსაზრისით იყოს გამართული და მას გააჩნდეს სამართლებრივი შედეგები, მიჩნეულია მეუღლეთა ურთიერთშეთანხმების ფაქტორის არსებობა. სსკ 1180-ე მუხლის მეორე ნაწილი გასაგებად აყალიბებს კანონმდებლის პოზიციას განხილულ საკითხთან მიმართებაში. კანონმდებელი იმპერატიული ხასიათის ნორმით კრძალავს საქორწინო კონტრაქტის ცალმხრივ, თვითნებურ მოშლას რომელიმე ერთი მხარის მიერ. მეუღლეები ვალდებული არიან შეატყობინონ თავის კრედიტორებს საქორწინო კონტრაქტის დადების, შეცვლის ან შეწყვეტის შესახებ წინააღმდეგ შემთხვევაში მოვალე-მეუღლე, თუ კრედიტორთან ურთიერთობისას წამოიჭრა ქონებრივი დავა, ვერ დაეყდრნობა საქორწინო კონტრაქტს და მასში ასრებულ სამართალმდგომარეობებს, რომლის მიხედვითაც განსაზღვრულია (შესაძლო) კრედიტორთან ურთიერთობის საკითხები. ამდენად, მოვალე-მეუღლე ვალდებული იქნება დააკმაყოფილოს კრედიტორის მოთხოვნა. ესე იგი, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა შეცვლილი იყოს მოვალე-მეუღლის მატერიალური მდგომარეობა (მაგალითად: მოვალე-მეუღლის ქონება გადავიდა მეორე მეუღლის საკუთრებაში, ან გადაიქცა მეუღლეთა თანასაკუთრებად, ან შეეცირდა მოვალე-მეუღლის წილი მეუღლეთა საერთო საკუთრებაში, და სხვა...). თუ არ არსებობს დადასტურება იმისა, რომ კრედიტორი შეტყობინებული იყო კონტრაქტის ტექსტში განხორციელებულ ცვლილებების თაობაზე, მოვალე-მეუღლე ვალდებულია დააკმაყოფილოს კრედიტორის (კრედიტორების) მოთხოვნა. მიმაჩნია, რომ კანონმდებლის პოზიცია ამ საკითხთან მიმართებაში არის სწორი და გამართლებული, თუნდაც იმიტომ, რომ: პირველი - მეუღლე ვალდებულია, შეატყობინოს თავის კრედიტორს საქორწინო კონტრაქტის დადების, შეცვლის ან შეწყვეტის შესახებ; მეორე - შეტყობინება შესაძლებლობას აძლევს კრედიტორს დროულად მიიღოს ინფორმაცია მოვალის მატერიალური მდგომარეობის შესახებ და

© გიორგი გ. თუმანიშვილი, 2010

საქორწინო კონტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის არც ერთი ნაწილი, არანაირი მიზეზით, არ შეიძლება კვლავწარმოებული (რეპროდუცირებული) იყოს ნებისმიერი ფორმით და ხერხით - იქნება ეს ელექტრონული თუ მაგნიტური, ციფრული თუ ფოტოკოპირებული ან სხვა საშუალებით, საავტორო უფლების მფლობელის წერილობითი თანხმობის ან/და სათანადო წესით გახორციელებული მითითების გარეშე.

შესაბამისად, თუ იგი გაუარესდა, მიიღოს აუცილებელი ზომები თავისი ინტერესების დასაცავად. სრულიად გასაგებია, რომ ამგვარი ინფორმაციის შემდეგ, კრედიტორი მოსთხოვს მეუღლეებს არ მოახდინონ კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების შეცვლა. ასევე ბუნებრივია, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში, კრედიტორი დაუყოვნებლივ მოითხოვს ვალდებულ მეუღლესა და მას (კრედიტორს) შორის არსებული ხელშეკრულების მოშლას და მიყენებული ზიანის ანაზღაურებას კანონით განსაზღვრული წესისა და კონტრაქტის პირობების მიხედვით.

ზემომოყვანილი კონტექსტის გათვალისწინებით, საჭიროდ მიმაჩნია ავლნიშნო, რომ თუნდაც საოჯახო კანონმდებლობა (პირდაპირ) არ ავალდებულებს მოვალე-მეუღლეს გააცნოს კრედიტორს საქორწინო კონტრაქტის შინაარსი, მაგრამ ზემოაღნიშნული ნორმის მიხედვით, მოვალე-მეუღლემ უნდა გააცნოს („უნდა“ გააცნოს – ესე იგი, „ვალდებულია“ გააცნოს) კრედიტორს კონტრაქტის ის ნაწილი, რომელიც შეეხება მოვალის მატერიალური მდგომარეობის შეცვლის საკითხს.

ამრიგად, სრულიათ სამართლიანად მიმაჩნია კანონმდებლის პოზიცია, რომლის მიხედვითაც მოვალე მეუღლის მიერ ზემოაღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა საკმარის (ამომწურავ) გარემოებად უნდა იყოს ჩათვლილი, რათა კრედიტორს უფლება მიენიჭოს, რომ მან თავისი უფლებების დასაცავად მიმართოს სასამართლოს.

დავსვით კითხვა: – რა შეუძლია აღწერილ სიტუაციაში კრედიტორს? პირველი - მოითხოვოს მეუღლეებს შორის დადებული ხელშეკრულების პირობების შეცვლა; მეორე – მოითხოვოს ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა გარემოებების არსებითი ცვლილებების გამო. (შენიშვნა: გარემოებების არსებითი ცვლილებად შეიძლება ჩაითვალოს მეუღლეთა შორის საქორწინო კონტრაქტის პირობების ისეთი შეცვლა, რომელმაც მოვალე მეუღლის მატერიალური მდგომარეობის თვისობრივი გაუარესება გამოიწვია, და შეუძლებელს ხდის მის მიერ კრედიტორის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას. ბუნებრივია კრედიტორს წინასწარ არ შეეძლო გარემოებათა არსებითი ცვლილებები გაეთვალისწინებინა და ამრიგად, კრედიტორის „ინფორმაციული ვაკუუმის“ მდგომარეობაში ყოფნა აღწერილი დროის მონაკვეთში თავისთავად იგულისხმება.)

თუ კრედიტორის მოთხოვნის შემდეგ მეუღლეები გარიგების პირობების შეცვლაზე ვერ შეთანხმდებიან, ასეთ შემთხვევაში, სასამართლოს შეუძლია გარიგება მოშალოს ზოგადი წესით, ან შეცვალოს ზოგადი წესიდან გამონაკლისის სახით. ხელშეკრულების პირობების შეცვლა, მოვალის მატერიალური მდგომარეობის არსებითი გაუარესების საფუძველზე, შესაძლებელია სასამართლოს გადაწყვეტილებით გამონაკლის შემთხვევებში მაგალითად: გარიგების შეწყვეტა ეწინააღმდეგება საზოგადოებრივ ინტერესებს, ან ერთ-ერთ მხარეს მიაყენებს მნიშვნელოვან ზიანს, ან სხვა.

თუ მეუღლეები, კრედიტორთან შეთანხმებით, მოშლიან ან შეცვლიან გარიგების პირობებს, ასეთ შემთხვევაში, ახალი პირობები ან გარიგების მოშლა ძალაში უნდა ჩაითვალოს მხარეთა შეთანხმების მომენტიდან (ფორმის დაცვით), თუ ახალი გარიგებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო კოდექსი განიხილავს საქორწინო კონტრაქტს, როგორც ჩვეულებრივი ხასიათის გარიგებას, და ამრიგად, ავრცელებს მასზე გარდა კანონით დადგენილი სპეციალური საფუძვლებისა ასევე გარიგებების შეწყვეტის საერთო პრინციპებს.

### **საქორწინო კონტრაქტის შეწყვეტის კანონით დადგენილი საფუძვლები:**

1. მეუღლეთა ურთიერთშეთანხმება;
2. განქორწინება;
3. კონტრაქტის ვადის გასვლა.

ვერ მივიჩნევთ სამართლებრივი თვალსაზრისით გამართულად, საქორწინო კონტრაქტის შეწყვეტის საფუძვლად სამოქალაქო კოდექსის 1180-ე მუხლში მოცემულ ფორმულირებას - „საქორწინო კონტრაქტი წყდება განქორწინებისას“. გასაგებია კანონმდებლის მიდგომა ამ საკითხთან მიმართებაში. კანონმდებელი საქორწინო კონტრაქტის მოქმედებას უკავშირებს მხოლოდ ქორწინების და განქორწინების რეგისტრაციის იურიდიულ ფაქტს. ამ მიდგომის სიბრტყეში, სრულიათ უგულველყოფილია საქორწინო კონტრაქტის სპეციფიკა. კერძოდ, საქორწინო კონტრაქტისათვის დამახასიათებელი თვისება, რომ ის იწყებს თავის „აქტიურ მოქმედებას“, და საერთოდ, მისი არსებობის საჭიროების სრულფასოვანი აღქმა, მისი მნიშვნელობა და შესაზღვებლობა ან თავს იჩენს განქორწინების იურიდიული ფაქტის დადგომისას და მის შემდეგ.

---

© გიორგი გ. თუმანიშვილი, 2010  
საქორწინო კონტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის არც ერთი ნაწილი, არანაირი მიზეზით, არ შეიძლება კვლავწარმოებული (რეპროდუცირებული) იყოს ნებისმიერი ფორმით და ხერხით - იქნება ეს ელექტრონული თუ მაგნიტური, ციფრული თუ ფოტოკოპირებული ან სხვა საშუალებით, საავტორო უფლების მფლობელის წერილობითი თანხმობის ან/და სათანადო წესით გახშირციელებული მითითების გარეშე.

გამონაკლისს წარმოადგენს შემთხვევა, როდესაც სასამართლოს მიერ მეუღლეთა შორის ქონებრივი დავა განქორწინების საქმესთან ერთად იხილება. სხვა შემთხვევებში მეუღლეებს განქორწინების იურიდიული ფაქტის დადგომის შემდგომ სამი წლის განმავლობაში აქვთ უფლება დააყენონ თავიანთი ქონებრივი მოთხოვნები და მოსთხოვონ მეორე მხარეს კონტრაქტით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

ზემომოყვანილი კონტექსტის გათვალისწინებით, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია აღვნიშნო, რომ საქორწინო კონტრაქტი სამართლებრივად შეწყვეტილად შეიძლება ჩაითვალოს, მხოლოდ იმ მომენტის დადგომისას, როდესაც საქორწინო კონტრაქტში გათვალისწინებული პირობები (ვალდებულებები) შესრულდება სრულად. გამოთქმული მტკიცებულების სამართლებრივი საყრდენი არის ის გარემოება, რომ არსებობს მთელი რიგი შემთხვევებისა, როდესაც მეუღლეებს შეუძლიათ საქორწინო კონტრაქტში გაითვალისწინონ ისეთი პირობები, რომელთა შესრულების ვალდებულება დგება განქორწინების შემდეგ პერიოდში. ეს კი ნიშნავს იმას, რომ საქორწინო კონტრაქტი ძალაშია იმ დრომდე, სანამ არსებობს აღნიშნული ვალდებულებების შესრულების მოთხოვნა.

### საქორწინო კონტრაქტის ბათილობა

საქორწინო კონტრაქტი ბათილად შეიძლება იქნეს ცნობილი იმავე საერთო წესის მიხედვით, რომელიც დადგენილია საქართველოს სამოქალაქო კოდექსით ზოგადად გარიგებებისათვის.

1. ბათილია ის საქორწინო კონტრაქტი, რომელიც დადებულია ერთი მხარის მეორეზე გავლენის ბოროტად გამოყენებით;
2. ბათილია ის საქორწინო კონტრაქტი, რომელიც დადებულია მხოლოდ მოსაჩვენებლად, იმ განზრახვის გარეშე, რომ მას შესაბამისი იურიდიული შედეგები მოჰყვეს;
3. ბათილია ის საქორწინო კონტრაქტი, რომელიც დადებულია მცირეწლოვანის ან სასამართლოს მიერ ქმედუწუნაროდ აღიარებული პირის მიერ;

4. ბათილია ის საქორწინო კონტრაქტი, რომელიც დადებულია სულით ავადმყოფის მიერ, თუნდაც ის არ იყოს სასამართლოს მიერ ქმედუქნაროდ აღიარებული;
5. ბათილია კანონით გათვალისწინებული აუცილებელი ფორმის დაუცველად დადებული საქორწინო კონტრაქტი;
6. ბათილია მოტყუებით დადებული საქორწინო კონტრაქტი;
7. ბათილია იძულებით დადებული საქორწინო კონტრაქტი.

შენიშვნა: კონტრაქტის ბათილობას იწვევს ისეთი სახის იძულება, რომელსაც თავისი ხასიათით შეუძლია ფსიქიური გავლენა მოახდინოს პირზე და ჩაუწერგოს მას აზრი, რომ მის პიროვნებას ან ქონებას რეალური საფრთხე ემუქრება (თუ კი იგი ხელს არ მოაწერს საქორწინო კონტრაქტს).

საქორწინო კონტრაქტის ბათილობის საკითხთან დაკავშირებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საქორწინო კონტრაქტის ნაწილის ბათილობა, თანახმად სსკ 62-ე მუხლისა, არ იწვევს კონტრაქტის სხვა ნაწილის ბათილობას. აქვე კანონმდებელი აკეთებს დათქმას, რომ კონტრაქტის სხვა ნაწილების ბათილობა არ გამოიწვევს, თუ გარიგება დაიდებოდა მისი ბათილი ნაწილის გარეშე.

## § III

## საქორწინო კონტრაქტის ფორმულარის სრულყოფისათვის

საქართველოში დღევანდელი დღისათვის არ არსებობს საქორწინო კონტრაქტის შემუშავებული ერთიანი ფორმულარი, რომელიც გამოყენებულ იქნება საქართველოში ნოტარიუსების მიერ საქორწინო კონტრაქტის დადებისას. პრაქტიკოს იურისტებს ამ საკითხზე საფუძვლიანად ჯერ არ უმუშავიათ, გამომდინარე იმ გარემოებიდან, რომ საქორწინო კონტრაქტისადმი მოთხოვნილება (საზოგადოებრივი დაკვეთა) საქართველოში საკმაოდ დაბალია. საქორწინო კონტრაქტის ერთიანი ფორმულარის არსებობა მნიშვნელოვანია, როგორც იურისტებისათვის (ნოტარიუსი, ადვოკატი, მოსამართლე) ისე თვით იმ მოქალაქეებისათვის, რომლებსაც აქვთ სურვილი დადონ საქორწინო კონტრაქტი.

წინამდებარე პარაგრაფში ჩვენ შევეცდებით იმ ძირითად საკითხებზე შეჩერებას და მათ ერთგვარ სისტემატიზაციას რომელნიც შეადგენენ საქორწინო კონტრაქტს. ასევე პარაგრაფში შემუშავებული იქნება სავარაუდო, ჩემს მიერ რეკომენდირებული საქორწინო კონტრაქტის ფორმულარი, რომელიც შესაძლებელია გამოყენებულ იქნას პრაქტიკულ საქმიანობისას, როგორც იურისტებისათვის, ისე იმ პირების მიერ ვინც აპირებს საქორწინო კონტრაქტის დადებას.

როდესაც საუბარი გვაქვს საქორწინო კონტრაქტის ფორმულარზე, ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ საქორწინო კონტრაქტი, რომლის სუბიექტები არიან დასაქორწინებელი პირები და ის საქორწინო კონტრაქტი, რომლის სუბიექტებად გვევლინებიან უკვე რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი მოქალაქეები. სახესხვაობა ამ ორი კონტრაქტისა მდგომარეობს იმაში, რომ პირველ შემთხვევაში დასაქორწინებელი პირები თანხმდებიან რა სამართალმდგომარეობებზე განსაზღვრავენ უფლებებსა და მოვალეობებს ქორწინების რეგისტრაციის დღიდან – განქორწინებამდე (ან გარკვეული ვადით, თუ საქორწინო კონტრაქტი დადებულია განსაზღვრული ვადით), ხოლო მეორე შემთხვევაში მეუღლეები უპირველესად განსაზღვრავენ თუ რომელი სამართლებრივი რეჟიმის ქვეშ (საკუთრების რომელი სახისადმი) იქნება მოქცეული (მიკუთვნებული) კონტრაქტის დადებამდე, ქორწინების რეგისტრაციიდან შემდგომი ქონება, შემდგომ კი ირჩევენ მათთვის

---

© გიორგი გ. თუმანიშვილი, 2010

საქორწინო კონტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის არც ერთი ნაწილი, არანაირი მიზეზით, არ შეიძლება კვლავწარმოებული (რეპროდუცირებული) იყოს ნებისმიერი ფორმით და ხერხით - იქნება ეს ელექტრონული თუ მაგნიტური, ციფრული თუ ფოტოკოპირებული ან სხვა საშუალებით, საავტორო უფლების მფლობელის წერილობითი თანხმობის ან/და სათანადო წესით გახშირციელებული მითითების გარეშე.



სასურველ სამართლებრივ რეჟიმებს მომავალში შემენილი ქონებისათვის და მიაკუთვნებენ მას შესაბამის საკუთრების სახეს (განცალკევებულს, წილობრივს, საერთო-თანაზიარს).

### საქორწინო კონტრაქტის შესავალი ნაწილი (პრემბულა)

საქორწინო კონტრაქტის შესავალ ნაწილში აღნიშნული უნდა იყოს კონტრაქტის დადების ადგილი (ქალაქი, რაიონი), კონტრაქტის დადების თარიღი (რიცხვი, თვე, წელი). მითითებული იყოს მხარეების სახელი, გვარი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი (რეგისტრაციის მისამართი პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მიხედვით) და პირადი ნომერი. თუ კონტრაქტის მხარეები კონტრაქტის დადების მომენტისათვის უკვე იმყოფებიან რეგისტრირებულ ქორწინებაში, მაშინ კონტრაქტში უნდა იყოს შემდეგი ფორმულირება "ვიმყოფებით რა რეგისტრირებულ ქორწინებაში", იქვე მითითებული უნდა იყოს ქორწინების რეგისტრაციის მოწმობის ნომერი.

|           |   |                                        |
|-----------|---|----------------------------------------|
| რეკვიზიტი | - | "კონტრაქტის შიდა აღრიცხვის ნომერი"     |
| რეკვიზიტი | - | "კონტრაქტის სახელწოდება"               |
| რეკვიზიტი | - | "კონტრაქტის დადების (შედგენის) ადგილი" |
| რეკვიზიტი | - | "კონტრაქტის დადების (შედგენის) თარიღი" |

*მხარეთა აღწერა:*

ერთის მხრივ,

სახელი, გვარი

რეგისტრაციის მისამართი (იმ შემთხვევაში თუ განსხვავდება ფაქტობრივი საცხოვრებელი მისამართისგან, მაშინ ფაქტობრივი საცხოვრებელი მისამართიც) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (მოქალაქის პირადობის მოწმობა ან პასპორტი) ნომერი; ინფორმაცია იმის შესახებ თუ ვის მიერ იქნა გაცემული ზემოაღნიშნული დოკუმენტი და მისი გაცემის თარიღი;

რა ტერმინით იქნება აღნიშნული ხელშეკრულების ტექსტში (მაგალითად: წინამდებარე კონტრაქტის ტექსტში, შემდგომში წოდებული, როგორც მეუღლე-ქმარი), ან მოკლე ფორმულირება (შემდგომში - მეუღლე-ქმარი)

© გიორგი გ. თუმანიშვილი, 2010

საქორწინო კონტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის არც ერთი ნაწილი, არანაირი მიზეზით, არ შეიძლება კვლავწარმოებული (რეპროდუცირებული) იყოს ნებისმიერი ფორმით და ხერხით - იქნება ეს ელექტრონული თუ მაგნიტური, ციფრული თუ ფოტოკოპირებული ან სხვა საშუალებით, საავტორო უფლების მფლობელის წერილობითი თანხმობის ან/და სათანადო წესით განხორციელებული მითითების გარეშე.

მეორეს მხრივ,

რეგისტრაციის მისამართი (იმ შემთხვევაში თუ განსხვავდება ფაქტობრივი საცხოვრებელი მისამართისგან, მაშინ ფაქტობრივი საცხოვრებელი მისამართიც) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (მოქალაქის პირადობის მოწმობა ან პასპორტი) ნომერი; ინფორმაცია იმის შესახებ თუ ვის მიერ იქნა გაცემული ზემოაღნიშნული დოკუმენტი და მისი გაცემის თარიღი;

რა ტერმინით იქნება აღნიშნული ხელშეკრულების ტექსტში (მაგალითად: წინამდებარე კონტრაქტის ტექსტში, შემდგომში წოდებული, როგორც მეუღლე-ქმარი), ან მოკლე ფორმულირება (შემდგომში - მეუღლე-ქმარი)

რა ტერმინით იქნება აღნიშნული ხელშეკრულების ტექსტში (მაგალითად: წინამდებარე კონტრაქტის ტექსტში, შემდგომში წოდებული, როგორც მეუღლე-ცოლი), ან მოკლე ფორმულირება (შემდგომში - მეუღლე-ცოლი)

ეფუძნება თუ არა ხელშეკრულება რაიმე შეთანხმებას?

კონტრაქტის ეს ნაწილი პირობითად შეიძლება გამოიყურებოდეს შემდეგნაირად:

# \_\_\_\_\_

### საქორწინო ხელშეკრულება

ქ. თბილისი

27.07.2010

**ერთის მხრივ,** მოქალაქე:

\_\_\_\_\_ რეგისტრირებული მისამართზე: \_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_, პირადი # \_\_\_\_\_  
პირადობის მოწმობის # \_\_\_\_\_, გაცემული  
\_\_\_\_\_ შს სამმართველოს მიერ \_\_\_\_\_ / \_\_\_\_\_ / \_\_\_\_\_  
წელს (შემდგომში, ხელშეკრულების ტექსტში „\_\_\_\_\_“),

**მეორეს მხრივ,** მოქალაქე:

\_\_\_\_\_ რეგისტრირებული მისამართზე: \_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_, პირადი # \_\_\_\_\_  
პირადობის მოწმობის # \_\_\_\_\_, გაცემული  
\_\_\_\_\_ შს სამმართველოს მიერ \_\_\_\_\_ / \_\_\_\_\_ / \_\_\_\_\_  
წელს (შემდგომში, ხელშეკრულების ტექსტში „\_\_\_\_\_“),

© გიორგი გ. თუმანიშვილი, 2010

საქორწინო კონტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის არც ერთი ნაწილი, არანაირი მიზეზით, არ შეიძლება კვლავწარმოებული (რეპროდუცირებული) იყოს ნებისმიერი ფორმით და ხერხით - იქნება ეს ელექტრონული თუ მაგნიტური, ციფრული თუ ფოტოკოპირებული ან სხვა საშუალებით, საავტორო უფლების მფლობელის წერილობითი თანხმობის ან/და სათანადო წესით გახსორციელებული მითითების გარეშე.

ვთანხმდებით და ვდებთ ამ ხელშეკრულებას შემდეგზე:

----- / -----

მხარეთა აღწერის შემდეგ კონტრაქტებთან მუშაობის ტექნიკის გათვალისწინებით მიზანშეწონილია, რომ გაკეთდეს სპეციალური მუხლი, რომელიც მიეძღვნება კონტრაქტში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებებს. ხშირია იურიდიულ პრაქტიკაში შემთხვევები, როდესაც თითოეული ტერმინის ბუნდოვანებამ ან ორმნიშვნელობამ შესაძლოა აბსოლუტურად საპირისპირო შედეგები გამოიწვიოს მისი განმარტების დროს. ზუსტად ამ მიზეზიდან გამომდინარე თუნდაც ერთი შეხედვით ყველასათვის გასაგები სიტყვები (იმ შემთხვევაში თუ ისინი გამოიყენებიან კონტრაქტში, როგორც ტერმინები) უნდა იქნან განმარტებულნი. მაგალითად:

**მხარე** - წინამდებარე ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე (მეუღლე-ქმარი ან მეუღლე-ცოლი) კონკრეტული მუხლის კონტექსტიდან გამომდინარე).

**მხარეები** - წინამდებარე ხელშეკრულების ორივე მხარე ერთდროულად.

**ქონება** - ყველა ნივთი (უძრავი და მოძრავი) და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომელთა ფლობაც, სარგებლობა და განკარგვა არის შესაძლებელი, როგორც საქართველოს ისე უცხო ქვეყნების კანონმდებლობის ფარგლებში და რომელთა შეძენაც შეიძლება შეუზღუდავად, თუკი ეს პირდაპირ აკრძალული არ არის კანონით ან არ ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებს.

**უძრავი ნივთი** - მიწის ნაკვეთი მასში არსებული წიაღისეულით, მიწაზე აღმოცენებული მცენარეები, ასევე შენობა-ნაგებობანი, რომლებიც მყარად დგას მიწაზე.

**საერთო თანაზიარი საკუთრება** - მხარეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება (თანასაკუთრება), გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც წინამდებარე ხელშეკრულებით ქონებისათვის ან მისი ნაწილისათვის (ან ნაყოფისათვის) დადგენილია საკუთრების სხვა სამართლებრივი სახე (ინდივიდუალური).

© გიორგი გ. თუმანიშვილი, 2010  
საქორწინო კონტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის არც ერთი ნაწილი, არანაირი მიზეზით, არ შეიძლება კვლავწარმოებული (რეპროდუცირებული) იყოს ნებისმიერი ფორმით და ხერხით - იქნება ეს ელექტრონული თუ მაგნიტური, ციფრული თუ ფოტოკოპირებული ან სხვა საშუალებით, საავტორო უფლების მფლობელის წერილობითი თანხმობის ან/და სათანადო წესით გაწვრივებული მითითების გარეშე.

**ინდივიდუალური საკუთრება** - ქონება, რომელიც თითოეულ მხარეს ეკუთვნოდა დაქორწინებამდე, ქონება, რომელიც ქორწინების განმავლობაში მიღებულია მემკვიდრეობით ან ჩუქებით, ქონება რომლის მიმართაც წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილია ინდივიდუალური საკუთრების სამართლებრივი სახე.

**ინდივიდუალური სარგებლობის ნივთები** - ის ნივთები, რომლებსაც იყენებს თითოეული მხარე დამოუკიდებლად თავისი ყოველდღიური საქმიანობისათვის იმის გათვალისწინებით, რომ მათი გამოყენება არ ხდება მხარეების მიერ.

**მკირფასეულობა** - ფერადი ლითონებისგან დამზადებული სამკაულები და ასევე ფერადი ლითონებისგან დამზადებული ინდივიდუალური სარგებლობის სხვა ნივთები, მხატვრული ტილოები.

ზემოაღნიშნული მუხლის შემდეგ საქორწინო კონტრაქტში უნდა იყოს მოცემული ერთგვარი შესავალი, რომელშიც აღნიშნული იქნება კონტრაქტის მხარეთა ნების გამოხატვის თავისუფლების შესახებ. კონტრაქტის ამ მუხლს შესაძლოა ეწოდოს: ხელშეკრულების ზოგადი დებულებანი. ასევე შესაძლებელია კონტრაქტის ამ ნაწილში იყოს მხარეების დეკლარაციული ხასიათის ფორმულირებანი, რომელიც მიმართულნი იქნებიან ოჯახის სიმტკიცის უზრუნველყოფასა და მხარეთა სიყვარულის განმტკიცებისკენ. შესაძლებელია აღნიშნული იყოს, რომ მხარეებს შორის არსებობს სიყვარულის გრძნობა, რომელიც განაპირობებს მათ სურვილს იყვნენ ერთად და შექმნან ოჯახი და რომ მათ არ სურთ ყოველდღიური პრობლემების ფონზე მატერიალური და არამატერიალური სიკეთის ისეთი განკარგვა, რომელიც შესაძლოა გახდეს კონფლიქტის შედეგი და მათ შორის გაუგებრობის მიზეზი. იმისათვის რათა თავი აარიდონ ზემოაღნიშნულ პრობლემებს და არ მისცენ საშუალება "მიწიერ" საჭირობოტო ხასიათის საკითხებს რაიმე უარყოფითი ზეგავლენა იქონიონ მათ სიყვარულზე, ისინი ადგენენ საქორწინო კონტრაქტს, რომელიც .... და ა.შ. მართალია ზემოაღნიშნული ფორმულირება იურიდიული შედეგების მიხედვით არაფრის მომტანია, მაგრამ ვფიქრობთ, რომ იგი მხოლოდ გაამდიდრებს საქორწინო კონტრაქტს და უფრო მისაღებს გახდის მხარეებისათვის.

საქორწინო კონტრაქტის ამ ნაწილში მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ აღნიშნული იყოს ასევე დეკლარაციული ხასიათის დებულებანი, რომლებიც მიმართულნი იქნებიან:

- 1. მხარეებს შორის არსებული სიყვარულისაკენ:** მაგ.: გვესმის რა ჩვენი მოქმედებების შინაარსი და ამ მოქმედებათა მოსალოდნელი შედეგები, გვსურს ჩვენი სიყვარულის დადასტურების ნიშნად დავექორწინდეთ, რათა შევქმნათ ოჯახი, გავუზიაროთ რა ერთმანეთს სიხარული და ერთად ცხოვრების ბედნიერი წუთები, ხოლო გაჭირვების ჟამს ამოვუდგეთ ერთმანეთს გვერდში.
- 2. მხარეებს შორის ნდობის განმტკიცებისაკენ:** მაგ.: იმისათვის რათა ჩვენი სიყვარული იყოს ნათელი, ხოლო ოჯახი – თბილი და უკარებელი, ვაცხადებთ, რომ ვენდობით ერთმანეთს უპირობოთ, ეს ნდობა აბსოლუტურია და სხვათა მხრიდან მასში ეჭვის მარცვალის დათესვა ჩვენს მიერ იქნება დაგმობილი, როგორც ჩვენი საერთო კეთილდღეობისაკენ მიმართული საზიანო ქმედება.
- 3. მხარეებს შორის პატივისცემის განმტკიცებისაკენ:** მაგ.: იმისათვის რათა ოჯახში არ დაიკნინოს თითოეული ჩვენთაგანის პიროვნული ღირსებები და ინდივიდუალობა ვთანხმდებით, რომ პატივი ვცეთ ერთმანეთს ყოველთვის და ყველგან, მიუხედავად იმ შესაძლებელი სიტუაციის სიმწვავისა და ავკარგიანობისა, რომელშიც შესაძლებელია დროის რომელიმე მონაკვეთში აღმოვჩნდეთ.
- 4. მხარეებს შორის ერთგულებისაკენ:** მაგ.: ვაღიარებთ რა ქართულ ეროვნულ ტრადიციებსა და ჩვეულებებს, ვიზიარებთ რა მონოგამიური ცოლ-ქმრობის პრინციპებს, მივიჩნევთ რა დამამცირებლად, შეურაცმყოფელად, ჩვენი სიყვარულისათვის და ოჯახისათვის ღალატად, ვგმობთ ცოლ-ქმრულ ღალატს, და ვთანხმდებით, რომ ერთგულნი ვიქნებით ერთმანეთის მიმართ, მიუხედავად იმ ცხოვრებისეული გარემოებებისა, რომელთაგანაც შესაძლოა ჩვენი ცხოვრების განმავლობაში თავი იჩინონ.
- 5. მხარეებს შორის ურთიერთგაგებისაკენ და სხვადასხვა სიტუაციებში დათმობისაკენ:** მაგ.: ვიცნობთ რა თითოეული ჩვენგანის პიროვნულ თვისებებს, ვაღიარებთ რა თითოეული ჩვენგანის ინდივიდუალობას

---

© გიორგი გ. თუმანიშვილი, 2010

საქორწინო კონტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის არც ერთი ნაწილი, არანაირი მიზეზით, არ შეიძლება კვლავწარმოებული (რეპროდუცირებული) იყოს ნებისმიერი ფორმით და ხერხით - იქნება ეს ელექტრონული თუ მაგნიტური, ციფრული თუ ფოტოკოპირებული ან სხვა საშუალებით, საავტორო უფლების მფლობელის წერილობითი თანხმობის ან/და სათანადო წესით გაწვრცელებული მითითების გარეშე.

ვაცხადებთ, რომ ვიქნებით ურთიერთგამგებიაწნი ერთმანეთის მიმართ, ვეცდებით გავუგოთ ერთმანეთს და არ დავიწყებთ ოჯახში მეუღლის ხარჯზე თვითგანმტკიცებას, შევეცდებით ერთმანეთს დავუთმოთ და გავუგოთ, იმის გათვალისწინებით რომ ეს ქმედებანი არ იქნებიან ცალმხრივი.

როგორც ზემოთ აღინიშნა დეკლარაციული ხასიათის ეს ფორმულირებანი მოკლებულნი არიან სამართლებრივი შედეგების წარმოშობას, ვინაიდან საერთოდ არ ექცევიათ სამართლებრივი რეგულირების ქვეშ. მაგრამ მიუხედავად ამ გარემოებისა მსოფლიოს მრავალი ქვეყნის პრაქტიკა საქორწინო კონტრაქტებთან მიმართებაში იყენებს ამგვარ ფორმულირებებს. ფსიქოლოგიურად მათი არსებობა საქორწინო კონტრაქტში ხელს უწყობს მეუღლეებს გაითავისონ საქორწინო კონტრაქტი და არ მოახდინონ მთლიანი ფოკუსირება ქონებრივ საკითხებზე, რაც ზოგადად დადებითად აისახება მათ შემდგომ ურთიერთობაზე და მათ დამოკიდებულებაზე კერძოდ იმ დოკუმენტის მიმართ, რომელსაც ისინი აწერენ ხელს - საქორწინო კონტრაქტს.

საქორწინო კონტრაქტის შემდეგი მუხლი უნდა ეხებოდეს საქორწინო კონტრაქტის საგანს. აქ (ერთი ან რამოდენიმე წინადადებით უნდა იქნას მოცემული ინფორმაცია იმის შესახებ თუ რაზე (რის შესახებ) იდება ეს კონტრაქტი) მაგალითად: წინამდებარე საქორწინო კონტრაქტის საგანს წარმოადგენს მეუღლეთა ქონებრივი და არაქონებრივი ხასიათის ურთიერთობანი, უფლებანი და მოვალეობანი, რომლებიც წარმოიშობიან, იცვლებიან და წყდებიან როგორც მეუღლეთა ქორწინების განმავლობაში ასევე განქორწინების რეგისტრაციის შემდგომ. (ეს არის ზოგადი ფორმულირების მაგალითი. იგი გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ კონტრაქტის სხვა მუხლებში დეტალურად არის მოცემული ხელშეკრულების საგანთა ჩამონათვალი), მაგალითად:

*წინამდებარე ხელშეკრულება არეგულირებს მეუღლეთა ქონებრივ და არაქონებრივი ხასიათის ურთიერთობებს (უფლებებს და მოვალეობებს), რომლებიც წარმოიშობა, როგორც ქორწინების განმავლობაში ისე განქორწინებისას. ამავდროულად იგი ადგენს მეუღლის ან მეუღლეების მიერ ქორწინების სახელმწიფო რეგისტრაციის დღიდან ამ საქორწინო ხელშეკრულების ხელმოწერამდე შეძენილი ქონების მიმართ*

სამართლებრივ რეჟიმ(ებ)ს (იმ შემთხვევაში, როდესაც საქორწინო კონტრაქტი იდება რეგისტრირებული ქორწინების პერიოდში)

ამის გარდა, საქორწინო კონტრაქტის ზოგად ნაწილში მითითებული უნდა იყოს კონტრაქტის მოქმედების ვადა (დადებულია იგი გარკვეული ვადით თუ უვადოა).

ფორმულირების მაგალითი (გარკვეული ვადით დადებული კონტრაქტისათვის):

**მუხლი —**

**ხელშეკრულების მოქმედების პერიოდი და ძალაში შესვლის პირობები**

- \_\_\_ .1. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდი განისაზღვრება \_ (\_\_\_\_\_) თვით (წლით).
- \_\_\_ .2. ხელშეკრულების მოქმედების დაწყების თარიღი: \_\_\_\_\_  
/ \_\_\_ / 2009 წელი.
- \_\_\_ .3. ხელშეკრულების მოქმედების დამთავრების თარიღი: \_\_\_ / \_\_\_ / 200\_ წელი.

ამ მუხლის ფორმულირებისას მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ რეალურად კონტრაქტს იურიდიული ძალა ენიჭება მხოლოდ ქორწინების რეგისტრაციის მომენტიდან. ამიტომ ამ მუხლს იმ შემთხვევაში თუ კონტრაქტს დებენ დასაქორწინებელი პირები შესაძლებელია დაემატოს:

- \_\_\_ .4. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ მისი ხელმოწერის დღიდან (ფორმის დაცვით დადებული გარიგება), ხოლო თუ ეს დღე (თარიღი) განსხვავებულია ამ მხარეთა მიერ (კანონით დადგენილი წესით) ქორწინების რეგისტრაციის თარიღისაგან, რომელიც მითითებულია ამ ხელშეკრულების \_\_\_-\_\_\_ მუხლში, მაშინ ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღად მიიჩნევა ამ ხელშეკრულების \_\_\_-\_\_\_ მუხლში მითითებული თარიღი.

ან შესაძლებელია შემდეგი ფორმულირება:

- \_\_\_ .1. წინამდებარე ხელშეკრულება იდება უვადოთ.

- 2.** წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ მისი ხელმოწერისა და ამ ხელშეკრულების სანოტარო დადასტურების დღიდან.
- 3.** თუ წინამდებარე ხელშეკრულების პრეამბულაში არსებული თარიღი განსხვავდება მხარეების მიერ ამ ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღისაგან, მხედველობაში მიიღება თარიღი, რომელიც აღნიშნულია ნოტარიუსის მიერ საანოტარო მოქმედების შესრულებისას ამ ხელშეკრულების ბოლო გვერდზე.

ამგვარად ხელშეკრულების ზოგადი ნაწილი გამოიყურება შემდეგნაირად:

- მხარეთა აღწერის შემდეგ:
- ტერმინთა განმარტება;
  - ზოგადი დებულებანი
  - მოქმედების პერიოდი და ძალაში შესვლის პირობები
  - ხელშეკრულების საგანი

### **საქორწინო კონტრაქტის ძირითადი ნაწილი**

საქორწინო კონტრაქტის ეს მნიშვნელოვანი ნაწილი უპრიანად მიმაჩნია, რომ თავის მხრივ შედგებოდეს რამოდენიმე შემადგენელი ნაწილისაგან.

გთავაზობთ საქორწინო კონტრაქტის ძირითადი ნაწილის დაყოფას:

პირველი ნაწილი: დათქმები, რომელთა ამოცანაა მეუღლეთა შორის არაქონებრივი ხასიათის ურთიერთობის საკითხების რეგულირება;

მეორე ნაწილი: მეუღლეთა შორის ქონებრივი ურთიერთობის საკითხების მარეგულირებელი ნორმების თანმიმდევრული რიგი.

მესამე ნაწილი: მეუღლეთა უფლებები და მოვალეობები;

მეოთხე ნაწილი: მეუღლეთა პასუხისმგებლობა;

მეხუთე ნაწილი: ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის საფუძვლები;

მეექვსე ნაწილი: დამატებითი დებულებანი.

საქორწინო კონტრაქტის ფორმულარის სრულყოფისათვის მივიჩნევ, რომ ზემოხსენებული ნაწილები სასურველია მოიცავდეს შემდეგს:

© გიორგი გ. თუმანიშვილი, 2010

საქორწინო კონტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის არც ერთი ნაწილი, არანაირი მიზეზით, არ შეიძლება კვლავწარმოებული (რეპროდუცირებული) იყოს ნებისმიერი ფორმით და ხერხით - იქნება ეს ელექტრონული თუ მაგნიტური, ციფრული თუ ფოტოკოპირებული ან სხვა საშუალებით, საავტორო უფლების მფლობელის წერილობითი თანხმობის ან/და სათანადო წესით გაწვრივებული მითითების გარეშე.



**ნაწილი პირველი**

(დათქმები, რომელთა ამოცანაა მეუღლეთა შორის არაქონებრივი  
ხასიათის

ურთიერთობის საკითხების რეგულირება)

როდესაც ადამიანები ქორწინდებიან ისინი ამ იურიდიული ფაქტის დადგომით იძენენ მეუღლის სტატუსს. ამ სტატუსის შეძენა, ერთგვარ კატალიზატორად გვევლინება ადამიანის უფლებების დაცვის პროცესში და არა პირიქით, როგორც ეს არაერთ შემთხვევაში ხდება ოჯახში მეუღლეებს შორის ურთიერთობის დროს. ამ მიზნით, ოჯახურ ცხოვრებაში მეუღლეებს რომლებმაც გადაწყვიტეს შეადგინონ და დადონ საქორწინო კონტრაქტი განმტკიცებულნი ჰქონდეთ ის ფუძემდებლური თავისუფლებები, რომლებიც ადამიანისათვის თანდაყოლილია და უფლებები, რომლებიც მას მინიჭებული აქვს მოქმედი კონსტიტუციით და მრავალი საერთაშორისო ხელშეკრულებით ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში მიზანშეწონილად მიმაჩნია, რომ საქორწინო კონტრაქტის ძირითადი ნაწილის პირველი ნაწილი მოიცავდეს შემდეგს:

1. დათქმას მეუღლეთა მიერ საოჯახო ცხოვრების შესახებ გარკვეული „პირადი ხასიათის“ ინფორმაციის გაუვრცელებლობის შესახებ (მივიჩნევ, რომ, უპრიანია კონტრაქტის ამ ნაწილში ასევე გათვალისწინებული იყოს ის, რომ ოჯახში შექმნილი კონფლიქტური და უსიამოვნო სიტუაციების შესახებ ინფორმაციას მეუღლეები არ გაავრცელებენ. ამ წესიდან გამონაკლისად შესაძლებელია მიჩნეული იყოს ინფორმაციის გაზიარება სასულიერო პირისათვის და ფსიქოანალიტიკოსისათვის.
2. დათქმას თითოეული მეუღლის მიერ წარმოებული პირადი მიმოწერის, პირადი ხასიათის ჩანაწერების ხელშეუვალობის შესახებ. ასევე პირადი სარგებლობის მობილური ტელეფონის და მასში შენახული ინფორმაციის ხელშეუხებლობის შესახებ. ზემოაღნიშნული ინფორმაციის გაცნობა მეორე მეუღლის მიერ დაშვებული უნდა იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ზემოაღნიშნული ინფორმაციის გაცნობის ინიციატივა და სურვილი პირველი მეუღლისაგან გამომდინარეობს (დათქმის ფარგლებში პირად მიმოწერად და პირადი ხასიათის ჩანაწერად მიჩნეულ უნდა იქნას, ნებისმიერი ინფორმაცია, იქნება ის წარმოებული ხელნაწერი, მექანიკური თუ

---

© გიორგი გ. თუმანიშვილი, 2010

საქორწინო კონტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის არც ერთი ნაწილი, არანაირი მიზეზით, არ შეიძლება კვლავწარმოებული (რეპროდუცირებული) იყოს ნებისმიერი ფორმით და ხერხით - იქნება ეს ელექტრონული თუ მაგნიტური, ციფრული თუ ფოტოკოპირებული ან სხვა საშუალებით, საავტორო უფლების მფლობელის წერილობითი თანხმობის ან/და სათანადო წესით გაწვრთნილებული მითითების გარეშე.

ელექტრონული საშუალებით, რომელსაც ამ ჩანაწერის მწარმოებელი მეუღლე ასეთად მიიჩნევს).

3. დათქმას დასვენების დროის ხელშეუვალობის შესახებ. ასე მაგალითად, შესაძლებელია საქორწინო კონტრაქტში მოცემული იყოს შემდეგი ფორმულირება: თითოეული მეუღლის დასვენების დრო ხელშეუვალია; დასვენების მიზნით თითოეული მეუღლე უფლებამოსილია მისი შეხედულებისამებრ გამოიყენოს დღე-ღამეში 10 საათი, ამ დროში ასევე შედის ძილისათვის განკუთვნილი საათები; თითოეულ მეუღლეს აქვს ხელშეუვალი უფლება გაანაწილოს მისი დასვენების საათები თავისი შეხედულებისამებრ.
4. დათქმას ერთად (ცოლ-ქმრულ სარეცელში) ძილის შესახებ. მართალია, საქართველოში მიღებულია რომ მეუღლეებს ერთ სარეცელზე ეძინოთ, მაგრამ მიუხედავად ამისა ზემოაღნიშნული შესაძლებელია ლახავდეს ერთ-ერთი მეუღლის უფლებას აირჩიოს დასაძინებელი ადგილი თავისი შეხედულებისამებრ, და შესაბამისად, უზღუდავს უფლებას გამოიყენოს თავისი დასვენების საათები ისე როგორც მას სურს. ამგვარი ფორმით მისი ადამიანის უფლებების შელახვის აცილების მიზნით, საქორწინო კონტრაქტში შესაძლებელია გაკეთდეს მინიშნება, რომ, მაგ: "მეუღლეები თანხმდებიან, რომ ერთი კალენდარული თვის განმავლობაში ისინი დაიძინებენ ერთ სარეცელში არაუმეტეს (ან არანაკლებ) ათი ღამისა, ხოლო დანარჩენ ღამეებს დაიძინებენ თავისი სურვილით ამორჩეულ სარეცელზე". უკანასკნელი მინიშნება ერთგვარად კომპრომისის ხასიათს ატარებს, რადგან, ერთის მხრივ, მეუღლეები იზღუდავენ უფლებას აირჩიონ დასაძინებელი ადგილი, ხოლო მეორეს მხრივ განსაზღვრავენ და ადგენენ, რომ სხვა დროს დასაძინებელი ადგილი არჩეული იქნება მათი სურვილისამებრ (რაც, უთუოდ, არ გამოირიცხავს იმას, რომ თუ არსებობს სურვილი (მათი თავისუფალ ნებიდან გამომდინარე), მეუღლეებმა გაატარონ ერთ სარეცელში 30 ღამე. მთავარია, ამ შემთხვევაში, შემოთავაზებული კონსტრუქცია იძლევა სრულ გარანტიას იმისა, რომ მეუღლეების თავისუფალ ნებას არ ემუქრება იმპერატიული ხასიათის იძულება და დაკნინება.
5. იმ შემთხვევაში თუ ერთ-ერთი მეუღლე აპირებს სახლში მუშაობას (მუშაობაში იგულისხმება ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც

---

© გიორგი გ. თუმანიშვილი, 2010  
საქორწინო კონტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის არც ერთი ნაწილი, არანაირი მიზეზით, არ შეიძლება კვლავწარმოებული (რეპროდუცირებული) იყოს ნებისმიერი ფორმით და ხერხით - იქნება ეს ელექტრონული თუ მაგნიტური, ციფრული თუ ფოტოკოპირებული ან სხვა საშუალებით, საავტორო უფლების მფლობელის წერილობითი თანხმობის ან/და სათანადო წესით გახორციელებული მითითების გარეშე.

მიმართულია საქორწინო კონტრაქტის მხარის პროფესიული ცოდნისა და/ან უნარჩვევების დონის ამაღლებისაკენ, ან ემსახურება ოჯახისათვის ფულადი სარგებელის მოტანას), მეუღლეები თანხმდებიან, რომ მეორე მეუღლე იზრუნებს ხელსაყრელი სამუშაო გარემოს და პირობების შექმნაზე.

**6. დათქმას რელიგიურ დღესასწაულებზე თავისუფლად დასწრების შესახებ.**

საქორწინო კონტრაქტის ეს ნაწილი შესაძლებელია ასევე შეიცავდეს სხვადასხვა შეზღუდვებს დაკავშირებულს მეუღლეთა არაქონებრივ ურთიერთობებთან, რომელნიც მისაღები იქნება კონტრაქტის მხარეებისათვის. მესმის, რომ შესაძლებელია საზოგადოების გარკვეულ ნაწილს რბილად რომ ვთქვათ გაედიშოს, ზემოჩამოთვლილ დათქმებზე და მათ შინაარსობრივ შევსებაზე, მაგრამ ამავდროულად უნდა გვახსოვდეს იმის შესახებ, რომ საზოგადოება არ შედგება მხოლოდ ერთი ნაწილისაგან, საზოგადოება შედგება მასში შემავალი ინდივიდებისაგან-ადამიანებისაგან, რომლებსაც აქვთ სხვადასხვაგვარი ხედვა და სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება მოვლენათა თუ ფაქტთა მიმართ, ისევე როგორც ამ უკანასკნელთა სხვადასხვაგვარი, არაერთგვაროვანი აღქმა.

**მეორე ნაწილი**

(მეუღლეთა შორის ქონებრივი ურთიერთობის  
მარეგულირებელი სამართალმდგომარეობანი)

საქორწინო კონტრაქტის ძირითადი ნაწილის მეორე ნაწილი ლოგიკურია, რომ ეძღვნებოდეს მეუღლეთა ქონებრივი ხასიათის ურთიერთობებს. ეს არის საქორწინო კონტრაქტის ბირთვი, რომელშიც მოქცეულია ის მრავალმხრივი დათქმები, რომლებიც გათვალისწინებული იქნება საქორწინო კონტრაქტის მხარეების მიერ ამა თუ იმ ქონების სამართლებრივი რეჟიმის სახეცვლილებასთან დაკავშირებით. მართალია, ისევე, როგორც მთლიანად საქორწინო კონტრაქტი, ასევე მისი შემადგენელი ნაწილები დამოკიდებულია კონტრაქტის მხარეთა ინდივიდუალობაზე და შესაბამისად მათ სპეციფიურ სურვილებზე. საკმაოდ რთულია ერთგვარი საშუალო მაჩვენებლის პოვნა ამ საკითხთან დაკავშირებით. მიუხედავად ხსენებული გარემოებისა, წინამდებარე პარაგრაფის ამოცანიდან გამომდინარე, მივიჩნევ, რომ კონტრაქტის ამ

ნაწილში შესაძლოა მოცემული იყოს ისეთი შინაარსის დებულებანი, რომლებიც ბევრი წყვილისათვის მისაღები იქნება, რადგან ისინი ადგენენ ერთგვაროვან სტანდარტულ პოზიციას ამა თუ იმ საკითხთან მიმართებაში.

მაგალითად, ზოგადი თვალსაზრისით, მისაღებად შესაძლებელია იყოს ჩათვლილი შემდეგი შინაარსის დებულებანი:

1. ქორწინების პერიოდში მეუღლეთა მიერ შეძენილი ქონება, მიუხედავად იმისა თუ რომელი მეუღლის შემოსავლით არის იგი შეძენილი, წარმოადგენს მათ საერთო თანაზიარ საკუთრებას, იმ ქონების გამოკლებით რომელზეც საქორწინო კონტრაქტით დადგენილია სხვა სამართლებრივი რეჟიმი.
2. ის ქონება რომელიც შეძენილია თითოეული მეუღლის მიერ ქორწინების რეგისტრაციამდე, ასევე ქონება მიღებული მეუღლის მიერ ქორწინების პერიოდში ჩუქებით ან მემკვიდრეობით, წარმოადგენს იმ მეუღლის საკუთრებას ვის მიერაც შეძენილ იქნა ეს ქონება ან/და ვინც მიიღო მემკვიდრეობა ან საჩუქარო.
3. წინამდებარე ხელშეკრულების დადების მომენტისათვის, თითოეულ მეუღლეს განცალკევებულ საკუთრებაში აქვს შეძენილი ქონება: (ამ ადგილას უნდა იყოს მოცემული იმ ქონების სრული ჩამონათვალი (ასევე ტექნიკური თუ სხვა სახის მახასიათებლები), რომელიც გააჩნია კონტრაქტის დადებისას თითოეულ მხარეს).  
შენიშვნა: სრული ჩამონათვალის არსებობის შემთხვევაში, მხარეებს შეუძლიათ თავი აარიდონ იმ მრავალ გაუგებრობას, რომელიც შესაძლოა განქორწინებისას წარმოიქმნას იმ ქონებასთან მიმართებაში, რომელიც მათ საკუთრებაში იმყოფებოდა ქორწინების რეგისტრაციამდე. აქვე დავძენ, რომ ასეთი შემთხვევები არ წარმოადგენს იშვიათობას. ამრიგად, ზემოაღნიშნულის გათვალისწინება მიმაჩნია მნიშვნელოვანად.
4. ქორწინების განმავლობაში მეუღლეთა მიერ მიღებული შემოსავლები შეადგენს მეუღლეთა საერთო თანაზიარ საკუთრებას. ამ წესიდან გამონაკლისს შეადგენს:

- ა). შემოსავალი, რომელიც მიღებულია მეუღლის მიერ დაფუძნებული ან შეძენილი იურიდიული პირისაგან ან მისი წილიდან იურიდიული პირის საწესდებო კაპიტალში, ჩაითვლება იმ მეუღლის საკუთრებად რომლის სახელზეც არის იგი გაფორმებული (რეგისტრირებული). შესაძლოა გაკეთდეს საპირისპირო დათქმა. მაგ: ჩაიწეროს: "მიუხედავად იმისა, რომ", როდესაც იურიდიული პირის დაფუძნებისათვის ან შეძენისათვის განხორციელებული შენატანი არ წარმოადგენდა მეუღლეთა საერთო თანაზიარი საკუთრებას;
- ბ). შემოსავალი, რომელიც მიღებულია ერთ-ერთი მეუღლის მიერ ინტელექტუალური საქმიანობის განხორციელების შედეგად (ინტელექტუალურ საქმიანობის შედეგად განხორციელებულ ქმედებად ამ მუხლის მიზნებისათვის ჩაითვლება ის საქმიანობა, რომლის სამართლებრივი რეგულირებაც ხორციელდება სპეციალური კანონებით (საქართველოს საპატენტო კანონი და საქართველოს კანონი საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ) ასევე მეცნიერული მიღწევების შედეგად მიღებული შემოსავალი);
- გ). მიზნობრივი შემოსავალი მიღებული იმ ზიანის ასანაზღაურებლად რომელიც დაკავშირებულია ერთ-ერთი მეუღლის შრომითი საქმიანობის განხორციელების შეზღუდვასთან ან/და ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებასთან;
- დ). საბანკო შენატანები და მათზე დარიცხული პროცენტები შეძენილი ქორწინების განმავლობაში, მიუხედავად შენატანის წარმოშობისა, ჩაითვლება იმ მეუღლის საკუთრებად, რომლის სახელზეც არის რეგისტრირებული ეს შენატანი (შენატანები);
- ე). ქორწინების განმავლობაში შეძენილი ფასიანი ქაღალდები ჩაითვლება იმ მეუღლის საკუთრებად ვის სახელზეც არიან ისინი შეძენილნი და გაფორმებულნი (რეგისტრირებულნი);
- ვ). ქორწინების განმავლობაში შეძენილი უძრავი ქონება უპირობოდ წარმოადგენს იმ მეუღლის საკუთრებას, რომლის სახელზეც არის ის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში;

- ზ).** ქორწინების განმავლობაში შეძენილი ავტო-მოტო, საჰაერო და საზღვაო ტრანსპორტის საშუალებანი უპირობოდ წარმოადგენს იმ მეუღლის საკუთრებას ვის სახელზეც არის იგი რეგისტრირებული, მიუხედავად მისი შემძენის ვინაობისა;
- თ).** ჩუქებით მიღებული ნებისმიერი ქონება წარმოადგენს იმ მეუღლის საკუთრებას რომელსაც იგი გადაეცა ჩუქებით მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს ჩუქების დამადასტურებელი ხელშეკრულება (წერილობითი ფორმით დადებული). ყველა სხვა შემთხვევაში ჩუქებით მიღებული ქონება ჩაითვლება მეუღლეთა საერთო თანაზიარ საკუთრებად;
- 5.** მეუღლეები ურთიერთშეთანხმებით განკარგავენ საერთო თანაზიარ საკუთრებაში არსებულ ქონებას. თითოეული მეუღლე უფლებამოსილია მეორე მეუღლის წერილობითი თანხმობის გარეშე განკარგოს საერთო თანაზიარ საკუთრებაში არსებული ქონება რომლის ღირებულებაც არ აღემატება 5 000 (ხუთი ათას) ლარს. თუ ქონების ღირებულება აღემატება 5 000 (ხუთი ათას) ლარს, მაშინ აუცილებელია მეორე მეუღლის წერილობითი თანხმობა. ამ თანხმობის გარეშე დადებული გარიგება მიიჩნევა ბათილად (ზემოაღნიშნული წერილობითი თანხმობა აუცილებლად უნდა იქნას დადასტურებული სანოტარო წესით);
- 6.** ერთ-ერთი მეუღლის კუთვნილი ქონება არ შეიძლება ჩაითვალოს საერთო თანაზიარ საკუთრებად იმ საფუძველზე, რომ იგი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა (იგულისხმება მისი ღირებულების გაზრდა). მეორე მეუღლეს აქვს მის მიერ ამ ქონების გასაუმჯობესებლად წარმოებული დაბანდების ღირებულების პროპორციულად ანაზღაურების უფლება;
- 7.** განცალკევებული საკუთრების სამართლებრივი რეჟიმი ვრცელდება მეუღლეთა პროფესიულ საქმიანობისათვის განკუთვნილ ქონებაზე, მათ შორის ბიბლიოთეკაზე, რომელიც ამ მიზანს ემსახურება;
- 8.** წინამდებარე კონტრაქტის სამართალმდგომარეობანი, რომლებიც აწესებენ ამა თუ იმ ქონებაზე საკუთრების გარკვეულ სამართლებრივ

რეჟიმს და მიეკუთვნებიან რომელიმე მეუღლეს, მოქმედებენ როგორც ქორწინების დროს, ისე განქორწინებისას;

**9.** თუ განქორწინების მიზეზია ერთ-ერთი მეუღლის შეუფერებელი, უღირსი საქციელი (ნარკომანია, ალკოჰოლიზმი ან ცოლქმრული ღალატი), მეუღლეს რომლის მიერაც განხორციელდა ეს საქციელი ზემოხსენებული მიზეზით განქორწინების შემთხვევაში ეკუთვნის საერთო თანაზიარი საკუთრების 1/5. ამ მუხლის მიზნებისათვის მეუღლეები ცოლქმრულ ღალატად მიიჩნევენ სქესობრივ კავშირს დამყარებულს ერთ-ერთი მეუღლის მიერ სხვა ნებისმიერ ადამიანთან, რომელიც არ წარმოადგენს წინამდებარე კონტრაქტის ერთ-ერთი მხარეს.

**10.** განქორწინების შემთხვევაში მეუღლეთა საერთო თანაზიარი საკუთრება იყოფა მეუღლეთა შორის თანაბრად.

### **მესამე ნაწილი** **მეუღლეთა უფლებები და მოვალეობები**

საქორწინო კონტრაქტის ამ ნაწილში მოქცეულია მეუღლეთა უფლებები და მოვალეობები. კონტრაქტის შედგენის ტექნიკიდან გამომდინარე უპრიანია ამ მუხლის კონსტრუქცია აიგოს შემდეგი მოდელის მხიედვით:

#### **\_\_\_1. მეუღლე #1 უფლება აქვს:**

\_\_\_1.1. უფლება #1

\_\_\_1.2. უფლება #2

\_\_\_1.3. უფლება #3

#### **\_\_\_2. მეუღლე #1 ვალდებულია:**

\_\_\_2.1. ვალდებულება #1

\_\_\_2.2. ვალდებულება #2

\_\_\_2.3. ვალდებულება #3

#### **\_\_\_3. მეუღლე #2 უფლება აქვს:**

\_\_\_3.1. უფლება #1

\_\_\_3.2. უფლება #2

\_\_\_3.3. უფლება #3

**\_\_\_4. მეუღლე #2 ვალდებულია:****\_\_\_4.1. ვალდებულება #1****\_\_\_4.2. ვალდებულება #2****\_\_\_4.3. ვალდებულება #3**

საკმაოდ რთულია მეუღლეთა უფლება-მოვალეობების ზოგადი მოდელის შექმნა, რომელიც მისაღები იქნებოდა მეუღლეთა უმრავლესობისათვის. მიუხედავად ამისა, შემოგთავაზებთ რამოდენიმე ფორმულირებას.

**1. თითოეული მეუღლეს უფლება აქვს:**

ა). სრულად და შეუზღუდავად ფლობდეს, სარგებლობდეს და განკარგავდეს იმ ქონებას, რომელიც მის განცალკევებულ ან საერთო თანაზიარ ქონებას წარმოადგენს, თუ ამ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი;

ბ). უპირობოდ, სრულად და შეუზღუდავად ფლობდეს, სარგებლობდეს და განკარგავდეს იმ ქონებას, რომელიც მის განცალკევებულ საკუთრებას წარმოადგენს;

გ). მოითხოვოს მეორე მეუღლისაგან წინამდებარე კონტრაქტით განსაზღვრული სამართალმდგომარეობების შესრულება. არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

**2. თითოეული მეუღლე მოვალეა:**

ა). დაიცვას წინამდებარე კონტრაქტის სამართალმდგომარეობანი;

ბ). გაუფრთხილდეს საერთო თანაზიარ საკუთრებაში არსებულ ქონებას და იმ ქონებას, რომელიც მეორე მეუღლის საკუთრებას წარმოადგენს;

გ). თავი შეიკავოს სარისკო ხელშეკრულებების დადებისაგან (სარისკო ხელშეკრულებებში მოიაზრება ისეთი გარიგებანი, რომელთა დადებით შესაძლებელია მნიშვნელოვანი ზიანი მიადგეს საერთო თანაზიარ ქონებას, ასევე ვალდებულებები, რომელთა შესრულებამ



შეიძლება გამოიწვიოს მეუღლეთა შემოსავლის მნიშვნელოვანი შემცირება);

დ).შეატყობინოს და გააცნოს თავის კრედიტორს (კრედიტორებს) ან საერთო კრედიტორს (კრედიტორებს) საქორწინო კონტრაქტის ის დებულებები, რომლებსაც შეუძლიათ გარკვეული ზემოქმედება იქონიონ ვალდებულების შესრულებაზე. ასევე შეატყობინოს ზემონახსენებ კრედიტორებს საქორწინო კონტრაქტის შეცვლის ან შეწყვეტის შესახებ.

### მეთხე ნაწილი

(მეუღლეთა პასუხისმგებლობა)

საქორწინო კონტრაქტის ეს ნაწილი ეძღვნება მეუღლეთა პასუხისმგებლობის საკითხს. საქორწინო კონტრაქტის ფორმულარის სრულყოფის მიზნით, ჩემი შეხედულებით, მეუღლეთა პასუხისმგებლობის საერთო სამართალმდგომარეობანი შეიძლება იყოს შემდეგი:

1. თითოეული მეუღლე პასუხისმგებელია იმ ვალდებულებებზე, რომლებიც მან აიღო კრედიტორის (კრედიტორების) წინაშე თავისი განცალკევებული ქონების ფარგლებში. თუ მეუღლის განცალკევებული ქონება ვალდებულების (სრულად) დასაფარად არ არის საკმარისი, კრედიტორი უფლებამოსილია მოითხოვოს მოვალე მეუღლის კუთვნილი წილის გამოყოფა მეუღლეთა საერთო თანაზიარი საკუთრებიდან, რომელიც ერგებოდა ამ მეუღლეს საერთო თანაზიარი საკუთრების გაყოფის შემთხვევაში;
2. მეუღლე არ არის პასუხისმგებელი იმ გარიგებაზე, რომელიც დადებულია მეორე მეუღლის მიერ მისი წერილობითი თანხმობის გარეშე.
3. მეუღლეები პასუხისმგებლები არიან საერთო თანაზიარ საკუთრებით იმ ვალდებულებებზე, რომლებიც აიღეს ორივემ. ამ შემთხვევაში მათ ეკისრებათ სოლიდარული პასუხისმგებლობა.

კონტრაქტის მეხუთე ნაწილში შეტანილ უნდა იყოს საქორწინო კონტრაქტის შეწყვეტის საფუძვლები.

ხოლო კონტრაქტის მეექვსე ნაწილი - შეიცავს კონტრაქტის დამატებით (სპეციფიურ) დებულებებს მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ იყოს ღია. ანუ მხარეებს მათი სურვილისამებრ შეეძლებად კონტრაქტის ამ ნაწილში მიუთითონ ის დამატებითი დებულებები, რომლებიც არ იქნა გათვალისწინებული კონტრაქტის სხვა ნაწილების მიერ. მივიჩნევ, რომ საქორწინო კონტრაქტის ფორმულარი არ უნდა შეიცავდეს სტანდარტულ დამატებით დებულებებს, ვინაიდან ისინი არ შეიძლება იყვნენ თავისი ბუნებიდან გამომდინარე სტანდარტულნი.

### საქორწინო კონტრაქტის დასკვნითი ნაწილი

საქორწინო კონტრაქტის ეს ნაწილი მოიცავს დასკვნით (დამატებით) დებულებებს. ეს დებულებანი, ისევე როგორც კონტრაქტის შესავალი ნაწილის დებულებები, შესაძლებელია პრაქტიკულად ყველა შემთხვევაში წყვილისათვის იყოს ერთნაირი, ვინაიდან ისინი დიდად არ უკავშირდებიან პიროვნულ ფაქტორებს, არამედ უფრო ხელშეკრულების შედგენის ტექნიკასთან არიან დაკავშირებულნი.

საქორწინო კონტრაქტის დასკვნითი ნაწილი უპრიანია რომ მოიცავდეს შემდეგ სამართალმდგომარეობებს:

დათქმას ფორს მაჟორული სიტუაციის შესახებ, მაგ: (მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან აღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ნაწილობრივ ან მთლიანად შესრულებაზე, თუ ეს გამოწვეულია გაფიცვების, ომის, წყალდიდობის, ხანძრის ან/და სხვა სტიქიური მოვლენების შედეგად.)

დათქმას სადავო საკითხების გადაწყვეტის შესახებ; მაგ.: მხარეთა შორის ყველა სადავო საკითხი გადაწყდება ურთიერთმოლაპარაკების გზით. მხარეთა მიერ ოცდაათი კალენდარული დღის განმავლობაში თანხმობის მიუღწევლობის შემთხვევაში, საქმე შეიძლება თითოეული მხარის მიერ განსახილველად გადაეცეს საქართველოს სასამართლოს.

დათქმას გამოსაყენებელის სამართლის შესახებ; მაგ.: წინამდებარე კონტრაქტზე ვრცელდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის ნორმები.

დათქმას დამატებითი შეთანხმების არარსებობის შესახებ, რომელიც შესაძლოა იქნეს ფორმულირებული, როგორც: ხელშეკრულება არ შეიცავს რაიმე დამატებით სიტყვიერ შეთანხმებას.

დათქმას იმის შესახებ რომ კონტრაქტის რომელიმე მუხლის, დებულების ან პუნქტის ბათილობა არ იწვევს მთლიანად კონტრაქტის ბათილობას.

დათქმას კონტრაქტში ცვლილებების განხორციელების შესახებ; მაგ.: წინამდებარე კონტრაქტში ნებისმიერი ცვლილების შეტანა იწვევს ახალი საქორწინო კონტრაქტის დადებას.

კონტრაქტის გვერდების და ეგზემპლიართა რაოდენობის, შედგენის ენის, და მათი შენახვის ადგილის შესახებ მონაცემებს; მაგ.: კონტრაქტი შედგენილია ქართულ ენაზე 3 (სამ) გვერდზე, 4 (ოთხ) ეგზემპლიარად, რომლებსაც გააჩნიათ თანაბარი იურიდიული ძალა. თითო ეგზემპლიარი გადაეცემა კონტრაქტის მხარეებს, ერთი ეგზემპლიარი ინახება ნოტარიუსთან, ხოლო ერთი ეგზემპლიარი რეგისტრირდება საჯარო რეესტრში და შესაძლავს გადაეცემა მას.

დათქმას მხარეების თავისუფალი ნების გამოვლენის შესახებ:

მაგ.: მხარეებმა წავიკითხეთ წინამდებარე ხელშეკრულება, მკაფიოდ და ნათლად განვაცხადეთ, რომ ხელშეკრულება ზუსტად გამოხატავს ჩვენს ნებას და ერთმანეთის თანდასწრებით მოვაწერეთ მას ხელი.

ზემომოცემულ სამართალმდგომარეობათა შემდეგ კონტრაქტში უნდა იქნეს განსაზღვრული მხარეების ხელმოწერებისათვის გათვალისწინებული ადგილი.

---

© გიორგი გ. თუმანიშვილი, 2010  
საქორწინო კონტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის არც ერთი ნაწილი, არანაირი მიზეზით, არ შეიძლება კვლავწარმოებული (რეპროდუცირებული) იყოს ნებისმიერი ფორმით და ხერხით - იქნება ეს ელექტრონული თუ მაგნიტური, ციფრული თუ ფოტოკოპირებული ან სხვა საშუალებით, საავტორო უფლების მფლობელის წერილობითი თანხმობის ან/და სათანადო წესით განხორციელებული მითითების გარეშე.

## მ ე ს ა მ ე თ ა ვ ი

### საქორწინო კონტრაქტი საერთაშორისო კერძო სამართლის სიბრტყეში

---

© გიორგი გ. თუმანიშვილი, 2010

საქორწინო კონტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის არც ერთი ნაწილი, არანაირი მიზეზით, არ შეიძლება კვლავწარმოებული (რეპროდუცირებული) იყოს ნებისმიერი ფორმით და ხერხით - იქნება ეს ელექტრონული თუ მაგნიტური, ციფრული თუ ფოტოკოპირებული ან სხვა საშუალებით, საავტორო უფლების მფლობელის წერილობითი თანხმობის ან/და სათანადო წესით განხორციელებული მითითების გარეშე.

---

© გიორგი გ. თუმანიშვილი, 2010  
საქორწინო კონტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის არც ერთი ნაწილი, არანაირი მიზეზით, არ შეიძლება კვლავწარმოებული (რეპროდუცირებული) იყოს ნებისმიერი ფორმით და ხერხით - იქნება ეს ელექტრონული თუ მაგნიტური, ციფრული თუ ფოტოკოპირებული ან სხვა საშუალებით, საავტორო უფლების მფლობელის წერილობითი თანხმობის ან/და სათანადო წესით განხორციელებული მითითების გარეშე.

## თავი III

საქორწინო კონტრაქტი საერთაშორისო კერძო სამართლის სიბრტყეში  
შესავალი

წინამდებარე ნაშრომის მესამე თავი შედგება შესავლის, ხუთი პარაგრაფისა და დასკვნისაგან. კვლევა-ძიების ძირითადი საკითხები, რომელსაც ეძღვნება მესამე თავი არის საქორწინო კონტრაქტის როგორც სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგების საერთაშორისო კერძო სამართლებრივი რეგულირების საკითხი, საქორწინო კონტრაქტის კოლიზიური რეგულირების საკითხი ქართულ საერთაშორისო კერძო სამართალში, საქორწინო კონტრაქტი დსთ-ში შემავალი ქვეყნების კოლიზიურ სამართალში, საქორწინო კონტრაქტი ზოგიერთი საზღვარგარეთის ქვეყნის კოლიზიურ სამართალში და კონცეფცია საქორწინო კონტრაქტთა ერთიანი რეესტრის შესახებ.

შესავალში აღნიშნულია ის საკითხები, რომელთა კვლევა-ძიება წარმოებს წინამდებარე ნაშრომის მესამე თავში.

**პირველი პარაგრაფი** შედგება ორი ნაწილისაგან (წინამდებარე ნაშრომში არ არის გამოყოფილი ცალკეული ნაწილების სახით). პარაგრაფს აქვს შესავალი, რომელიც წარმოადგენს მის განუყოფელ შინაარსობრივ ერთეულს. პარაგრაფის პირველ ნაწილში განხილულია ჰააგის 1905 და 1978 წლის კონვენციების ზოგიერთი მდგომარეობანი, რომლებიც უშუალოდ ეხება გამოსაყენებელი სამართლის საკითხს მეუღლეთა ქონებრივ ურთიერთობასთან მიმართებაში, და მათ შორის მეუღლეთა საკონტრაქტო ურთიერთობასთან მიმართებაში. მეორე ნაწილი ეძღვნება საფრანგეთის და გერმანიის სამოქალაქო კოდექსში არსებულ იმ მუხლების განხილვას, რომელთა მეშვეობით ხდება მეუღლეთა შორის არსებულ კანონით დადგენილ ან/და საქორწინო კონტრაქტით განსაზღვრული ქონებრივი ურთიერთობის რეგულირება.

**მეორე პარაგრაფში** განხილულია საქორწინო კონტრაქტთან დაკავშირებული სამართლებრივი რეგულირების საკითხი საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართალში. პარაგრაფში გამახვილებულია ყურადღება კოლიზიური ნორმის თავისებურებებზე და მისი სტრუქტურული აგებულების სპეციფიურობაზე. საქართველოში მოქმედ სამართლის ნორმებზე დაყდრნობით გაანალიზებულია საქორწინო

---

© გიორგი გ. თუმანიშვილი, 2010  
საქორწინო კონტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის არც ერთი ნაწილი, არანაირი მიზეზით, არ შეიძლება კვლავწარმოებული (რეპროდუცირებული) იყოს ნებისმიერი ფორმით და ხერხით - იქნება ეს ელექტრონული თუ მაგნიტური, ციფრული თუ ფოტოკოპირებული ან სხვა საშუალებით, საავტორო უფლების მფლობელის წერილობითი თანხმობის ან/და სათანადო წესით გახშირციელებული მითითების გარეშე.

კონტრაქტის ნამდვილობის, საქორწინო კონტრაქტის ფორმის, კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვის საკითხები. ასევე განხილულია ის სამართალმდგომარეობანი, რომელნიც აწესრიგებენ საქორწინო კონტრაქტთან დაკავშირებულ გამოსაყენებელ სამართალს და მის არჩევის თავისებურებებს.

**მესამე პარაგრაფი** ეძღვნება საქორწინო კონტრაქტის საკითხს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში შემავალი ქვეყნების კოლიზიურ სამართალში. პარაგრაფში განხილულია სომხეთის, ბელორუსიის, ყაზახეთის, ყირგიზეთის და უზბეკეთის შიდაკანონმდებლობაში არსებული სამართლებრივი ნორმების საქორწინო კონტრაქტთან მიმართებაში. გამახვილებულია ყურადღება დსთ-ში შემავალი ქვეყნების საერთაშორისო კერძო სამართლის საკითხების სპეციფიურობაზე და დამახასიათებელ ნიშნებზე.

**მეოთხე პარაგრაფში** განხილული და გაანალიზებულია საქორწინო კონტრაქტის საკითხი ზოგიერთი საზღვარგარეთის ქვეყნის კოლიზიურ სამართალში. მოცემულია საერთაშორისო სამართლის კოდიფიკაციის ისტორიის ქრონოლოგია. ეს ქრონოლოგია პირობითად დაყოფილია სამ ეტაპად. შესწავლილია ხსენებული ეტაპების სპეციფიურობა. პარაგრაფში წარმოებული კვლევა-ძიება მოიცავს ავსტრიის, ბურკინა-ფასოს, ინგლისის, უნგრეთის, ვენესუელის, გერმანიის, საფრანგეთის, შვეიცარიის, ესპანეთის, პოლონეთის, პორტუგალიის, ტაილანდის, ირანისა და იაპონიის საერთაშორისო კერძო-სამართლებრივი რეგულირების საკითხებს, საქორწინო კონტრაქტთან მიმართებაში. კვლევა-ძიება წარმოებს ზემოჩამოთვლილი ქვეყნების შიდაკანონმდებლობაზე დაყრდნობით.

**მეხუთე პარაგრაფი** ეძღვნება საქორწინო კონტრაქტთა ერთიანი რეესტრის კონცეფციას. პარაგრაფში განხილულია საქართველოში მოქმედი სახელმწიფო რეესტრის თავისებურებანი და ნაკლოვანებანი. გამახვილებულია ყურადღება იმ პრობლემატურ საკითხებზე, რომელნიც ეხება საქორწინო კონტრაქტთა აღრიცხვას და ერთიან სისტემატიზაციას. შემოთავაზებულია მთელი რიგი რეკომენდაციები ზემოხსენებული პრობლემეტიკის დადებითად გადაჭრის მიზნით. ამასთან ერთად შემოთავაზებულია და განხილულია საქორწინო კონტრაქტთა მსოფლიო რეესტრის იდეა, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები.



## § I

**საქორწინო კონტრაქტის, როგორც სამოქალაქო-სამართლებრივი  
გარიგების საერთაშორისო კერძო სამართლებრივი რეგულირების  
საკითხი**

პარაგრაფის შესავალში, მართებულად მიმაჩნია ჩვენი პოზიციის ახსნა-განმარტების ჩამოყალიბება - თუ რატომ ჩვენ განგებ თავს ვარიდებთ ნაშრომში წარმოებულ კვლევა-ძიების დროს რუსეთის კანონმდებლობის განხილვას საქორწინო კონტრაქტთან მიმართებაში. ჩვენი არგუმენტაცია მარტივია - რუსეთის კანონმდებლობა ფაქტობრივად იდენტურია საქართველოს კანონმდებლობის სასაქორწინო კონტრაქტთან, და მასთან დაკავშირებულ პრობლემატიკასთან მიმართებაში. საუბარი შესაძლებელია მხოლოდ თვით საქორწინო კონტრაქტის ადგილზე რუსეთისა და საქართველოს სამართლის მეცნიერებათა სისტემაში. კერძოდ, მხედველობაში გვაქვს შემდეგი: თუ საქართველოს სამოქალაქო სამართლის სიბრტყეში საქორწინო კონტრაქტი წარმოადგენს სამოქალაქოსამართლებრივი გარიგების ერთ-ერთ სახეს, ანუ საოჯახოსამართლებრივ ხელშეკრულებას, თანამედროვე რუსეთის სამოქალაქო და საოჯახო სამართლის სიბრტყეში არსებულმა დაპირისპირებამ მეცნიერების ამ ორ დარგს შორის ერთმნიშვნელოვნად ვერ დაადგინა საქორწინო კონტრაქტის ადგილი სამართლის მეცნიერებათა სისტემაში.

დღეს-დღეობით რუსი მეცნიერთა უმრავლესობა მიიჩნევს რომ საქორწინო კონტრაქტი განეკუთვნება საოჯახო სამართლის რეგულირების სფეროს და შესაბამისად მისი სამართლებრივი რეგულირება უნდა ხორციელდებოდეს მხოლოდ საოჯახო სამართლის კოდექსის მეშვეობით.

აღნიშნული მიდგომა წინააღმდეგობას პოულობს საკანონმდებლო დონეზე, ვინაიდან საოჯახო სამართლის კოდექსი მთელ რიგ შემთხვევაში ესესხება სამოქალაქო სამართლის კოდექსში არსებულ ნორმებს და შესაბამისად დამოუკიდებლად ვერ წყვეტს საქორწინო კონტრაქტთან დაკავშირებულ საკითხებს.

ზემოაღნიშნული ვითარება და არსებული მდგომარეობა რუსულ სამართალში არ წარმოადგენს წინამდებარე პარაგრაფის (და ზოგადად –

ნაშრომის) კვლევა-ძიების საგანს. ამრიგად, აღნიშნულ საკითხებზე ჩვენ საუბარი არ გვექნება.

ვერ დავეთანხმები იმ მეცნიერებს, რომლებიც მიიჩნევენ რომ საქორწინო კონტრაქტის სამართლებრივი რეგულირება უნდა ხორციელდებოდეს მხოლოდ საოჯახო სამართლის სპეციალური ნორმატიული აქტების მეშვეობით.

აღნიშნული მიდგომა წინააღმდეგობას პოულობს საკანონმდებლო დონეზე, ვინაიდან იმ ქვეყნებში სადაც არის დამოუკიდებელი საოჯახო სამართლის კოდექსი, იგი მთელ რიგ შემთხვევაში ეხსენება სამოქალაქო სამართლის კოდექსში არსებულ ნორმებს და შესაბამისად დამოუკიდებლად ვერ წყვეტს საქორწინო კონტრაქტთან დაკავშირებულ საკითხებს.

ხშირია შემთხვევა როდესაც საოჯახო სამართლებრივ ურთიერთობებში თავს იჩენენ კოლიზიური სამართლის საკითხები, რომლებიც მიეკუთვნებიან საერთაშორისო კერძო სამართლის სიბრტყეს.

აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო სამართლებრივ დონეზე საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობების საკითხების გადაწყვეტამ ასევე ფართო გამოხატულება ჰპოვა. ამ საკითხებს მიეძღვნა არაერთი საერთაშორისო ხელშეკრულება, როგორც მრავალმხრივი, ასევე ორმხრივი.

საერთაშორისო სამართლებრივ დოკუმენტებში დიდი ყურადღება არის გამახვილებული საქორწინო კონტრაქტის ინსტიტუტზე. მნიშვნელოვანია, რომ შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი სისტემები უმეტეს წილად ეყრდნობიან იმ ფუძემდებლურ პრინციპებს, რომლებიც ასახულია საერთაშორისო სამართლებრივ დოკუმენტებში.

ჩვენმა კანონმდებელმაც გაიზიარა რამოდენიმე პრინციპთაგანი რომლებსაც ეძღვნებოდა ესა თუ ის საერთაშორისო სამართლებრივი ნორმატიული აქტი, რაც განპირობებულია ნორმატიული აქტების იერარქიული წყობის სპეციფიურობით და ამავედროულად სურვილით, რომ შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა შეძლებისდაგვარად შესატყვისობაში (ჰარმონიაში) იყოს მოყვანილი "მსოფლიოს

სამართლებრივ პრაქტიკასთან", საერთაშორისო სამართლის პრინციპებთან და ასევე საერთაშორისო სამართლებრივ ნორმატიულ აქტებთან.

ზემოაღნიშნული, უპირველეს ყოვლისა, განპირობებულია მსოფლიოს მრავალ ქვეყნებში არსებულ საერთაშორისო კერძო სამართლის მატერიალურ-სამართლებრივ ნორმათა უნიფიკაციის ტენდენციით.

ერთ-ერთი პირველი კონვენცია "Convention relating to conflicts of laws with regard to the effects of marriage on the rights and duties of the spouses in their personal relationship and with regard to their estates", რომელიც ეძღვნება საოჯახო-სამართლებრივ ურთიერთობებს, კერძოდ, საქორწინო კონტრაქტს, მიღებულ იქნა ჰააგაში 1905 წლის 17 ივლისს. აღნიშნული კონვენცია ეხება კანონთა კოლიზიის საკითხებს მეუღლეთა შორის არსებულ ქონებრივ ურთიერთობებთან მიმართებაში. ამ კონვენციის სპეციფიურობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი ამოსავალ წერტილს იღებს შესაბამის შიდასამართლებრივ კანონმდებლობებიდან. კონვენციის პირველივე მუხლებიდან ნათლად ჩანს საქორწინო კონტრაქტის მოქმედების პირობები. კონვენციის მრავალი ნორმა მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ სხვა რამ (სხვა განსხვავებული წესი) არ არის დადგენილი საქორწინო კონტრაქტით. აქედან გამომდინარე მკვიდრდება პრინციპი, რომ კონვენციის გარკვეული მუხლები იმოქმედებენ მხოლოდ საქორწინო კონტრაქტის არარსებობისას. კონვენცია დიდ ყურადღებას უთმობს ასევე, თვით საქორწინო კონტრაქტს და მის ბათილობის საკითხს.

1905 წლის ჰააგის კონვენცია ადგენს საქორწინო კონტრაქტთან მიმართებაში კოლიზიურ პრინციპს, რომელიც მდგომარეობს შემდეგში: იმ შემთხვევაში თუ ერთ-ერთი მეუღლე სხვა ქვეყნის მოქალაქეა, მეუღლეთა შორის დადებული საქორწინო კონტრაქტის ნამდვილობის საკითხი, ასევე, კონტრაქტიდან გამომდინარე შედეგები, განისაზღვრება მეუღლე-ქმარის ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად. კონვენცია ადგენს, რომ საქორწინო კონტრაქტის ფორმა განსაზღვრული უნდა იყოს იმ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად სადაც საქორწინო კონტრაქტის დადებასთან დაკავშირებული მოქმედებანი უნდა იქნენ შესრულებული.

მოგვიანებით, 1978 წლის 14 მარტს, მიღებულ იქნა კონვენცია "Convention on the Law Applicable to Matrimonial Property Regimes", რომელმაც უფრო დაწვრილებით შეისწავლა ზემოაღნიშნული საკითხები და განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო საქორწინო კონტრაქტს, ასევე მეუღლეთა შორის არსებული ქონებრივი ურთიერთობების მიმართ გამოსაყენებელი სამართლის საკითხს, იმ შემთხვევისათვის, როდესაც ერთ-ერთი მეუღლე სხვა ქვეყნის მოქალაქეა.

მეუღლეთა ქონების რეჟიმის მიმართ გამოსაყენებელი სამართლის შესახებ კონვენცია მიუთითებს, რომ მასში არსებული ნორმები არ გამოიყენება:

- ა) მეუღლეთა საალიმენტო ვალდებულებებთან დაკავშირებით;
- ბ) მეუღლეთა მემკვიდრეობით უფლებებთან დაკავშირებით;
- გ) მეუღლეთა სამართალუნარიანობასთან დაკავშირებით.

ზემოაღნიშნული ნორმა ასახავს იმ ქვეყნების შიდასახელმწიფოებრივი სამართლის ტენდენციას და სულისკვეთებას რომლებშიც არსებობს საქორწინო კონტრაქტის ინსტიტუტი.

ყურადღების ღირსია, რომ ზემოაღნიშნული მდგომარეობანი გაიზიარა ასევე ჩვენი ქვეყნის კანონმდებელმაც და საქორწინო კონტრაქტის ცნების განსაზღვრისას ზემოჩამოთვლილი საკითხების მიმართ არ მისცა მხარეებს უფლება მათი სურვილისამებრ (კონტრაქტის მეშვეობით) მოეწესრიგებინა ეს ურთიერთობანი.

1978 წლის კონვენცია ადგენს, რომ ქორწინების განმავლობაში მეუღლეების მიერ შეძენილი ქონების მიმართ გამოყენებულ უნდა იქნას იმ ქვეყნის სამართალი, რომელიც მათ აირჩიეს ქორწინების დროს (ფრაზა "ქორწინების დროს" გულისხმობს ქორწინების ოფიციალური (ამა თუ იმ სახელმწიფოში, სათანადო, უფლებამოსილი ორგანოს მიერ განხორციელებულ) რეგისტრაციის მომენტს). ამავდროულად კონვენციაში აღიარებულია მეუღლეთა უფლება, რომ მათ საქორწინო კონტრაქტში მოახდინონ გამოსაყენებელი სამართლის არჩევა. აქვე კონვენცია ადგენს გამოსაყენებელი სამართლის ჩამონათვალს. ანუ მეუღლეებს შეუძლიათ აირჩიონ:

1. იმ სახელმწიფოს სამართალი, რომელსაც ეროვნებით მიეკუთვნება ერთ-ერთი მეუღლე არჩევანის გაცემის მომენტში;

2. იმ სახელმწიფოს სამართალი, რომლის ტერიტორიაზეც ერთ-ერთ მეუღლეს აქვს ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილი, სამართლის არჩევის მომენტისათვის;
3. იმ ქვეყნის სამართალი, რომლის ტერიტორიაზეც ერთ-ერთმა მეუღლემ ქორწინების შემდეგ, პირველად მიიღო მუდმივი საცხოვრებელი ადგილი.

კონვენცია ადგენს ისეთ მდგომარეობას, რომლის მიხედვითაც, სამართალი, რომელიც იქნა არჩეული საქორწინო კონტრაქტის დადების დროს, გამოყენებული იქნება მეუღლეთა მიერ ერთად ცხოვრების განმავლობაში შეძენილი მთელი ქონების მიმართ. აქვე კონვენცია განმარტავს, რომ: უძრავი ქონების მთლიანად ან ნაწილობრივ განკარგვასთან დაკავშირებით გამოყენებული უნდა იყოს იმ ქვეყნის სამართალი, სადაც მდებარეობს აღნიშნული უძრავი ქონება. კონვენცია უფლებას აძლევს მეუღლეებს როგორც ქორწინების რეგისტრაციამდე, ასევე მის შემდეგაც (ქორწინების პერიოდში) დადონ საქორწინო კონტრაქტი და აირჩიონ გამოსაყენებელი სამართალი, რომლითაც რეგულირებულ (მოწესრიგებულ) იქნება მათი ქონებრივი ურთიერთობანი.

იმ შემთხვევისათვის როდესაც მეუღლეებს არ აურჩევიათ გამოსაყენებელი სამართალი ან/და არ დაუდიათ საქორწინო კონტრაქტი, კონვენცია მიუთითებს, რომ გამოყენებული უნდა იყოს იმ ქვეყნის სამართალი სადაც მეუღლეებს აქვთ მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, იმ პირობით, რომ ეს ადგილი მათ მიერ "საცხოვრებლად გამოიყენებოდა" სულ მცირე ათი წლის განმავლობაში, ქორწინების შემდეგ. ნებისმიერ სხვა შემთხვევაში პრიმატი ენიჭება იმ ქვეყნის სამართალს, რომელსაც ისინი "ეროვნებით მიეკუთვნებიან". 1905 წლის კონვენციისაგან განსხვავებით, რომლის მიხედვითაც მეუღლეთა უფლებები და მოვალეობები განისაზღვრებოდა მხოლოდ მათი შიდასახელმწიფოებრივი სამართლით, 1978 წლის კონვენცია უფრო ფართოდ უყურებს აღნიშნულ საკითხს და აძლევს მეუღლეებს უფლებას, რომ მათ შორის არსებული ქონებრივი ურთიერთობების რეგულირებისათვის გამოსაყენებელი სამართალი იყოს იმ ქვეყნის სამართალი, რომლის სასარგებლოდაც მეუღლეები გააკეთებენ არჩევანს.

მნიშვნელოვანია, რომ 1978 წლის კონვენციაში არსებობს მუხლი (მე-11 მუხლი), რომლის მიხედვითაც ფიქსირდება ის გარემოება, რომ გამოსაყენებელი სამართლის არჩევის უფლება საგანგებოდ უნდა იყოს აღნიშნული საქორწინო კონტრაქტში და გამომდინარეობდეს კონტრაქტში არსებული დებულებებიდან.

ასევე მეტად საყურადღებოა სხვაობა ზემოაღნიშნული ორი კონვენციის მიდგომაში, იმ შემთხვევისათვის, როდესაც მეუღლეებს არ აურჩევიათ გამოსაყენებელი სამართალი.

1905 წლის კონვენცია ერთმნიშვნელოვნად აღნიშნავს, რომ: საქორწინო კონტრაქტის არარსებობისას, მეუღლეთა ერთადცხოვრების განმავლობაში შეძენილი ქონების განკარგვა ხდება მეუღლეთა შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის მიხედვით. პრაქტიკულად ამავე კანონმდებლობის საფუძველზე რეგულირდება კონტრაქტის დადებასთან დაკავშირებული საკითხები, ხოლო რაც შეეხება ამ კონტრაქტის იურიდიული ძალის საკითხს იგი განისაზღვრება იმ ქვეყნის კანონით, რომლის მოქალაქეებიც არიან მხარეები.

1978 წლის კონვენცია უფრო ფართოდ უდგება აღნიშნულ საკითხს. ზემოთაღნიშნული საკითხების გადაწყვეტისას იგი ემხრობა ბუსტამანტეს კოდექსში ასახულ იდეებს და პრინციპებს. ძირითადი პრინციპთაგანი რომელსაც ეყდრნობიან ბუსტამანტეს კოდექსი და 1978 წლის ჰააგის კონვენცია მდგომარეობს იმაში, რომ მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობის რეგულირებისას გამოსაყენებელი სამართალი განისაზღვრება სამართლის სუბიექტთა კონკრეტული და ინდივიდუალური არჩევანით. უნდა აღინიშნოს, რომ ეს პრინციპი გამოიყენებოდა არა მხოლოდ კოლიზიური ნორმის მითითებით ნაწილთან მიმართებაში.

საქორწინო კონტრაქტის მეშვეობით, მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობის რეგულირებამ, ფართო გავრცელება ჰპოვა სხვადასხვა სამართლებრივ სისტემებში. ბევრი ქვეყანა იცნობს საქორწინო კონტრაქტის ინსტიტუტს. არც მეცნიერებს და არც კანონმდებლებს არ აქვთ ერთიანი ჩამოყალიბებული მიდგომა საქორწინო კონტრაქტის არსებობის საჭიროებასთან დაკავშირებით. მართალია, უმრავლესობა აღიარებს მისი არსებობის აუცილებლობას, მაგრამ, ამავდროულად, ზოგიერთი მიიჩნევს რომ ზემოაღნიშნული კონტრაქტის არსებობით,

მეუღლეებისათვის არჩევანის მინიჭება ქონებრივი ურთიერთობების რეგულირების საკითხში, ეწინააღმდეგება საოჯახო სამართლის "მკაცრ მოთხოვნებს", რომელიც მოწოდებულია დაიცვას საოჯახო ურთიერთობანი, მათ შორის ქონებრივი ურთიერთობების ასპექტშიც. ამ ტენდენციამ ასახვა ჰპოვა საკანონმდებლო დონეზეც. ასე მაგალითად, შვეიცარიაში 1970 წელს განხორციელებულ იქნა მცდელობა გაეუქმებინათ საქორწინო კონტრაქტის ინსტიტუტი.

საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობაში ხშირია მსგავსება და ანალოგია საქორწინო კონტრაქტის საკითხთან მიმართებაში. ერთი შეხედვით შეიძლება ითქვას, რომ საქორწინო კონტრაქტის სამართლებრივი რეგულირების საკითხი მეტნაკლებად ერთნაირად ხორციელდება. ძირითადი სხვაობა დაკავშირებულია საქორწინო კონტრაქტისათვის ამა თუ იმ ქვეყნის კანონმდებლობით განსაზღვრულ სამართლებრივი რეგულირების მოცულობასთან.

ერთ-ერთ მსგავსებად ჩვენ შეგვიძლია მივიჩნიოთ ის, თუ სად არიან განთავსებულნი (განლაგებულნი) ის სამართლის ნორმები, რომლებიც ეხება საქორწინო კონტრაქტს. ბევრი ქვეყნისათვის დამახასიათებელია მათი განლაგება სამოქალაქო კანონმდებლობაში. მაგრამ ბუნებრივია, რომ არის გამოწკლისებიც. აღნიშნული საკითხი უპირველესყოვლისა დაკავშირებულია საზღვარგარეთის ქვეყნებში გაბატონებულ დოქტრინებთან, რომელთა მიხედვითაც იგება ამა თუ იმ ქვეყნის კანონმდებლობა და რომელთა ძირითადი დებულებების შინაარსის მიხედვით დგინდება საოჯახო სამართლის ადგილი ამა თუ იმ ქვეყნის სამართლის მეცნიერების სისტემაში.

აღსანიშნავია, რომ მრავალი ქვეყნის კანონმდებელი არ იძლევა საქორწინო კონტრაქტის განსაზღვრებას (დეფინიციას). აღნიშნული განსაზღვრების (ასხნა-განმარტების) მოძიება შესაძლებელია, მხოლოდ ამ ქვეყნებში მოქმედ სამართლებრივ დოქტრინებში.

აშშ, საფრანგეთი, გერმანიის კანონმდებლობა თავისი სამოქალაქო-სამართლებრივი ნორმების განსაზღვრისას (საოჯახო-სამართლებრივ ურთიერთობებში) გამომდინარეობს საქორწინო კონტრაქტის, როგორც ასეთის, გამონაკლისობის პრინციპიდან. ანუ აღიარებულია მეუღლეთა

საერთო თანაზიარი საკუთრების უპირატესობის პრინციპი საქორწინო კონტრაქტის არარსებობისას.

სხვა ქვეყნები, მაგალითად - ავსტრია, შვეიცარია, შიდასახელმწიფოებრივ სამართალში ასახავენ ქონებრივი ურთიერთობების სპეციფიურობას და მით უფრო საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობების დროს, პირიქით ამაღლებენ საკონტრაქტო რეჟიმის მნიშვნელობის ფაქტს, და მეორეხარისხოვან ადგილს ანიჭებენ კანონით დადგენილ სამართლებრივ რეჟიმს. ამ ქვეყნებში კანონით მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობები რეგულირებულ იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც მეუღლეთა შორის არ არსებობს საქორწინო კონტრაქტი.

ერთი შეხედვით, ამ ორ მიდგომას შორის სხვაობა არ არის, მაგრამ ეს ესე როდია. საქმე იმაში გახლავთ, რომ ეს მიდგომები ერთმანეთისაგან განსხვავდება იმ იდეოლოგიური დამოკიდებულებით, რომელიც ამ ქვეყნების კანონმდებლებს გააჩნიათ კერძო საკუთრების და შესაბამისად მეუღლეთა საკუთრების საკითხთან მიმართებაში.

საფრანგეთის კანონმდებელი მისი სამოქალაქო კოდექსის 1393-ე მუხლში განსაზღვრავს, რომ "...მეუღლეებს შეუძლიათ ჩვეულებრივი წესით განაცხადონ", ანუ არ არის განსაზღვრული (დადგენილი) წესი საქორწინო კონტრაქტის დადებისათვის. საფრანგეთის სამოქალაქო კანონმდებლობის მიხედვით გათვალისწინებულია საერთო წესი, რომელიც გამოიყენება ჩვეულებრივი სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგებების დადებისათვის. ამგვარად საკმარისია, რომ მეუღლეებმა განაცხადონ, რომ მათ სურთ "...თავიანთი ქორწინება დაექვემდებაროს" ერთ-ერთ საკუთრების რეჟიმის სახეობას, რომელიც გათვალისწინებულია სამოქალაქო კოდექსით. ამგვარად საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი საქორწინო კონტრაქტის შინაარსობრივი დატვირთვის ასპექტს პირდაპირ დამოკიდებულს ხდის ქონების სამართლებრივი რეჟიმის არჩევის საკითხთან.

საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობები ინგლისში ხორციელდება არა მხოლოდ საქორწინო კონტრაქტით, არამედ ასევე მეუღლეებს შორის ქონებრივი ურთიერთობების მარეგულირებელი მინდობილობითი საკუთრების ხელშეკრულების ("Trust") საფუძველზე. საერთო სამართალი იძლევა იმის საშუალებას, რომ პირადი არაქონებრივი უფლებები



გარდაიქმნას ქონებრივი ურთიერთობების ობიექტად და შესაბამისად ქონებრივი გარიგების ობიექტად იქცეს. სამართლებრივი ფორმით შესაძლებელია გასხვისებულ იქნეს პირადი არაქონებრივი უფლებები. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საერთო სამართლის ქვეყნებში დასაშვებია, რომ საქორწინო კონტრაქტში განსაზღვრული იყოს ისეთი დებულებები, რომელნიც ერთი შეხედვით კონტინენტური სამართლის ქვეყნების იურისტებისათვის არ შეიძლება მოიაზრებოდნენ საქორწინო კონტრაქტის საგნად, ვინაიდან ისინი განეკუთვნებიან პირად არაქონებრივ უფლებებს და არ არიან უზრუნველყოფილნი სასარჩელო დაცვით.

*(შენიშვნა: აღსანიშნავია ზემომოყვანილ კონტექსტთან დაკავშირებით, რომ იურიდიულ ლიტერატურაში გავრცელებული მოსაზრების თანახმად, პირადი არაქონებრივი უფლებები არ შეიძლება იყოს საქორწინო კონტრაქტის საგანი. ამ მოსაზრების ავტორები ხაზს უსვამენ საქორწინო კონტრაქტის ქონებრივ ხასიათს. ზოგადად ასეთი მიდგომა საქორწინო კონტრაქტის მიმართ აკნინებს და საგრძნობლად ზღუდავს მის პოტენციალში არსებულ შესაძლებლობებს, და არ არის პერსპექტიული).*

განვიხილოთ შემდეგი: როგორ ხორციელდება ამა თუ იმ ქვეყანაში საქორწინო კონტრაქტის დადების წესი, რომელიც განსაზღვრულია ამ ქვეყნის შიდასახელმწიფოებრივი სამართლის ნორმებით.

შეიძლება ითქვას, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით მრავალ ქვეყანაში შემუშავებული და განსაზღვრულია საერთო მიდგომა. ასე მაგალითად, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 1410-ე მუხლი მიუთითებს ორივე მხარის დასწრების ფაქტის სავალდებულობაზე, დაუშვებლად მიიჩნეეს მხარეების მიერ განსხვავებული დროის მონაკვეთებში საქორწინო კონტრაქტზე ხელისმოწერის განხორციელებას, თუნდაც კანონით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნები სრულად იყოს დაცული.

საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი ასევე ითხოვს ორივე მხარის სავალდებულო დასწრებას და ერთდროულად ხელმოწერის შესრულებას, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამავე კოდექსის 1394-ე მუხლი გერმანიის სამოქალაქო კოდექსისაგან განსხვავებით შესაძლებლობას აძლევს მხარეებს, რომ კონტრაქტი დაიდოს წარმომადგენლის მეშვეობით.

საინტერესოდ მიმაჩნია საქორწინო კონტრაქტის ნოტარიულად დადასტურების საკითხი. გერმანიის სამოქალაქო კანონმდებლობა არ ითხოვს საქორწინო კონტრაქტის ნოტარიუსის თანდასწრებით დადებას. იგი ითვალისწინებს მხოლოდ ხელმოწერების ნამდვილობის დადასტურებას, ხოლო თვით საქორწინო კონტრაქტის დადების პროცესი შესაძლოა წარიმართოს მხარეების მიერ მათი ადვოკატების დახმარებით. რაც შეეხება საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსს, იგი 1394-ე მუხლში პირდაპირ მიუთითებს, რომ კონტრაქტი დადებულ და ხელმოწერილ უნდა იქნეს ნოტარიუსის თანდასწრებით, რომელიც ახდენს შემდგომ კონტრაქტის ნოტარიულად დადასტურებას.

რაც შეეხება კომერციული ინტერესების დაცვას, ვფიქრობ, რომ აუცილებელია ზოგიერთი დებულების და პრინციპის დანერგვა, რომლებიც შემუშავებულია საზღვარგარეთის მეცნიერთა და პრაქტიკოსების მიერ, ჩემი აზრით, მიზანშეწონილია იმპლემენტირებულ იქნას საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობაში. ამ საკითხთან დაკავშირებით ყურადღებას გავამახვილებ საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის ზემონახსენებ 1394-ე მუხლის მეოთხე (IV) ნაწილზე, რომლის მიხედვითაც საფრანგეთის კანონმდებელი ადგენს იმპერატიულ ნორმას, რომელიც ეხება საქორწინო კონტრაქტის საჯაროდ გამოქვეყნების ვალდებულებას. გარდა ზემოაღნიშნულისა, ხსენებულ ნორმაში მოცემული არის სანქცია, რომელიც მოჰყვება ნორმის მოთხოვნის შეუსრულებლობას. სანქციის მიხედვით, თუ საქორწინო კონტრაქტი არ იქნება საჯაროდ გამოქვეყნებული (იგულისხმება, შემთხვევა, როდესაც ერთ-ერთი მხარე მეწარმე ან მომავალში აპირებს სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებას), მაშინ მეუღლე-მეწარმის შესახებ გამოყენებული იქნება სასჯელის ის ღონისძიება, რომელიც გათვალისწინებულია სავაჭრო რეესტრის მიმართ. აღნიშნული სამართლის ნორმა განკუთვნილია სამეწარმეო ურთიერთობათა დასაცავად. ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა ქონება ეკუთვნის თითოეულ პირს, საშუალებას აძლევს მესამე პირებს რომლებიც გარიგებაში მონაწილეობენ ერთ-ერთ მეუღლესთან ერთად, სათანადოდ და დროულად დაიცვან თავისი ინტერესები. ვფიქრობ, რომ სრულიად სამართლიანი და საქმისთვის სწორი, ჯანსაღი მიდგომა არის ჩადებული მოყვანილ ნორმაში.

აღსანიშნავია, რომ სამართლებრივი რეჟიმის საკითხზე, სხვა ქვეყნებთან შედარებით, საფრანგეთის კანონმდებლობა ზედმიწევნით ამახვილებს

---

© გიორგი გ. თუმანიშვილი, 2010  
საქორწინო კონტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის არც ერთი ნაწილი, არანაირი მიზეზით, არ შეიძლება კვლავწარმოებული (რეპროდუცირებული) იყოს ნებისმიერი ფორმით და ხერხით - იქნება ეს ელექტრონული თუ მაგნიტური, ციფრული თუ ფოტოკოპირებული ან სხვა საშუალებით, საავტორო უფლების მფლობელის წერილობითი თანხმობის ან/და სათანადო წესით გახორციელებული მითითების გარეშე.

თავის ყურადღებას. ასე მაგალითად, საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის Y ტიტული მთლიანად ეძღვნება იმ საკითხებს, რომელთა შეცვლაც შეუძლიათ მეუღლეებს, საერთო საკუთრების რეჟიმის არჩევისას. ნუსხა, რომელიც განსაზღვრულია 1497-ე მუხლში ამომწურავია და ითვალისწინებს მეუღლეების შესაძლებლობას შეთანხმდნენ შემდეგზე:

1. საერთო საკუთრება შეიცავს მოძრავ ნივთებს და შემოსავლებს;
2. მასზე გავრცელდება ის წესები, რომლებიც გათვალისწინებულია საერთო საკუთრების განკარგვისათვის;
3. ერთ-ერთ მეუღლეს ექნება საშუალება საერთო საკუთრებიდან ამოიღოს გარკვეული ნივთები, ზიანის ანაზღაურების ხარჯზე;
4. ერთ-ერთ მეუღლეს ექნება საშუალება მიიღოს წილი საერთო საკუთრებიდან მის გაყოფამდე;
5. მეუღლეებს მიეკუთვნებათ არათანაბარი წილები;
6. მეუღლეებს შორის დადგენილი იქნება მთელი ქონების მომცველი საერთო საკუთრება.

აღნიშვნის ღირსია ასევე შემდეგი: საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის Y ტიტულის III (მესამე) თავი ეძღვნება განცალკევებული საკუთრების რეჟიმს. ხსენებული რეჟიმი, თავისი კლასიკური სახით, წარმოდგენილია 1536-ე მუხლში. ამ მუხლის მიხედვით, - "თუ მეუღლეები საქორწინო კონტრაქტში გააკეთებენ დათქმას განცალკევებული საკუთრების შესახებ, მაშინ თითოეული მათგანი ინარჩუნებს ამა თუ იმ ქონების ფლობის, სარგებლობის და განკარგვის შეუზღუდავ უფლებას". საფრანგეთის კანონმდებლობის ანალიზის დროს აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ფაქტობრივად არც ერთი სხვა ქვეყნის კანონმდებელი არ უდგება ესოდენ ზედმიწევნით საქორწინო კონტრაქტის საკითხს, და არ ახდენს მის დეტალურ რეგლამენტაციას, ვიდრე ეს არის მოცემული საფრანგეთის კანონმდებლობაში საქორწინო კონტრაქტთან მიმართებაში.

რაც შეეხება სხვა ასპექტებს, რომლებზედაც ზემოთხსენებულ ტექსტში სათანადოთ არ არის გამახვილებული ყურადღება, მაგ: საქორწინო კონტრაქტის პირობების შეცვლის ან კონტრაქტის მოქმედების შეწყვეტასთან დაკავშირებულ საკითხებზე, უცხო ქვეყნების კანონმდებლობა ფაქტობრივად ერთსულოვანია თავის მიდგომებში.

ქვეყნების უმრავლესობა აღიარებს პრინციპს: საქორწინო კონტრაქტი შესაძლებელია შეცვლილ ან შეწყვეტილ იქნეს ნებისმიერ დროს მხარეთა შეთანხმებით, იმ წესის განმეორებით რომელსაც ადგილი ჰქონდა მისი დადებისას.

## § II

### საქორწინო კონტრაქტი ქართულ კოლიზიურ სამართალში

კოლიზიური პრობლემა არის სამართლის არჩევის პრობლემა, რომელიც უნდა იყოს გამოყენებული ამა თუ იმ ურთიერთობის მოსაწესრიგებლად. ეს საკითხი ახასიათებს საერთაშორისო კერძო სამართალს და შეიძლება ჩაითვალოს მისთვის ტიპიურ საკითხად. აღსანიშნავია, რომ ის სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობები, რომელნიც მოიცავენ "უცხო ელემენტს", წარმოქმნიან ხშირ შემთხვევაში კოლიზიას სხვადასხვა ქვეყნის სამოქალაქო სამართალს შორის. პრობლემატური საკითხის არსი მდგომარეობს იმ გარემოების დაზუსტებაში, თუ რომელი ქვეყნის სამოქალაქო სამართლის მიხედვით უნდა წყდებოდეს ხსენებული ურთიერთობის მოწესრიგება.

#### აღსანიშნავია შემდეგი ორი გარემოება:

**პირველი** - სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობები, როგორც ასეთი, წარმოადგენენ საერთაშორისო კერძო სამართლის რეგულირების საგანს, იმ შემთხვევაში, თუ ხსენებულ ურთიერთობებში, განუყოფელ ფუნქციონალურ-შინაარსობრივ ერთეულად წარმოდგენილია, ე.წ. "უცხო ელემენტი", და ამრიგად, ისინი უკავშირდებიან რამოდენიმე ქვეყნის სამოქალაქო სამართალს, პოტენციურად, წამოჭრილი პრობლემატური საკითხი, შესაძლებელია მოწესრიგდეს რამოდენიმე ქვეყნის სამართლის მიხედვით.

**მეორე** - ამა თუ იმ სახელმწიფოს სამოქალაქო სამართლის სისტემა განსხვავდება ერთმანეთისაგან, და ამ განსხვავებასთან შესაბამისად, სხვადასხვანაირად აწესრიგებს გადასაწყვეტად გამოტანილ საკითხს. სამართლის კოლიზია მდგომარეობს იმაში, რომ ერთი და იგივე საკითხის ფაქტობრივ გარემოებებს, სხვადასხვა ქვეყნის სამოქალაქო სისტემის არეალში შესაძლებელია მიეცეს სხვადასხვა სამართლებრივი შეფასება, და შესაბამისად, სხვადასხვაგვარად იყოს რეგულირებული.

---

© გიორგი გ. თუმანიშვილი, 2010

საქორწინო კონტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის არც ერთი ნაწილი, არანაირი მიზეზით, არ შეიძლება კვლავწარმოებული (რეპროდუცირებული) იყოს ნებისმიერი ფორმით და ხერხით - იქნება ეს ელექტრონული თუ მაგნიტური, ციფრული თუ ფოტოკოპირებული ან სხვა საშუალებით, საავტორო უფლების მფლობელის წერილობითი თანხმობის ან/და სათანადო წესით გაწვრივებული მითითების გარეშე.

ზემომოყვანილ კონტექსტთან მნიშვნელოვნად გვესახება შემდეგი ორი დაზუსტების მოყვანა:

პირველი -საერთაშორისო კერძო სამართლებრივი ურთიერთობების მოწესრიგება შესაძლებელია როგორც კოლიზიური ისე მატერიალურ-სამართლებრივი მეთოდით.

მეორე - სამართლის კოლიზიის აღმოფრხვა შესაძლებელია კოლიზიური ნორმების გამოყენების მეშვეობით, რომელიც მიუთითებს - თუ რომელი ნორმატიული აქტი უნდა იქნას გამოყენებული ამ ურთიერთობის მოსაწესრიგებლად ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში, სხვა რომელიმე ქვეყნის თუ პირველი ქვეყნის შიდასახელმწიფოებრივი.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში, კოლიზიური ნორმები მოქცეულნი არიან ერთიან კანონში - საქართველოს კანონში საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ. კანონი იძლევა მრავალი კოლიზიური პრობლემების გადაჭრის შესაძლებლობას.

კოლიზიურ ნორმებზე საუბრისას, მნიშვნელოვან საკითხად გვევლინება კოლიზიურ ნორმათა უნიფიკაციის საკითხი. საკითხის არსი მდგომარეობს სხვადასხვა სახელმწიფოთა მიერ ერთიანი საერთაშორისო კერძო სამართლებრივი ნორმების შემუშავების პრობლემატიკაში. დღეისათვის არსებული მდგომარეობით, სწორად არის მიჩნეული მიდგომა, რომლის მიხედვითაც საერთაშორისო კერძო სამართალში უნიფიცირებული ნორმები დაყოფილია ორ დამოუკიდებელ ჯგუფად: პირველი - უნიფიცირებული მატერიალური ნორმები; მეორე - უნიფიცირებული პროცესუალური ნორმები.

უნიფიკაცია თავისი დანიშნულების მიხედვით შესაძლებელია იყოს უნივერსალური (გამოიყენებოდეს ყველა ქვეყნის მიერ) და რეგიონალური (ვიწრო ხასიათის, ანუ განკუთვნილი განსაზღვრული სახელმწიფოების იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის)<sup>26</sup>.

სამართლებრივი უნიფიკაციის ფორმაა საერთაშორისო კერძო სამართლებრივ საკითხებზე ხელშეკრულებების დადება, რომელიც უნიფიცირებული ნორმებს მოიცავს.

---

<sup>26</sup> Жильцов, А., & Муранов, А. (2001). *Международное частное право*. (стр. 30), Москва: издательство "статут".

უნიფიცირებული მატერიალური ნორმები განსაზღვრავს უცხო ელემენტების მქონე კერძო ხასიათის სამოქალაქო ურთიერთობების მონაწილეთა უფლებებს და ვალდებულებებს.

უნიფიცირებული პროცესუალური ნორმები ადგენენ ერთიან წესებს უცხოური ელემენტის მქონე კერძო ხასიათის სამართლებრივი ურთიერთობების საპროცესო მოწესრიგების მიზნით.

უნივერსალურმა უნიფიკაციამ ფართო განმტკიცება ვერ ჰპოვა რეალურ სინამდვილეში. უნიფიკაციის პროცესი დაიწყო მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს: 1902-1905 წლებში მიღებულ იქნა ხუთი კონვენცია, საოჯახო ურთიერთობების რეგულირების სფეროში. ამ კონვენციებმა ვერ დაიმკვიდრეს თავი, ვინაიდან მათში მონაწილეობა მხოლოდ რამოდენიმე ევროპულმა სახელმწიფომ მიიღო. მეტნაკლებად წარმატებული რეგიონალური უნიფიკაციის შედეგად შეიძლება მიჩნეულ იყოს 1928 წელს მიეცეს პანამერუკულ კონფერენციაზე მიღებული ხელშეკრულება, რომელმაც მიიღო ბუსტამანტეს კოდექსის სახელწოდება. ბუსტამანტეს კოდექსი შედგება 437 მუხლისაგან. იგი რატიფიცირებულ იქნა ცენტრალური და დასავლეთი ამერიკის 15 სახელმწიფოს მიერ. აშშ მას არ შეუერთდა.

ხშირ შემთხვევაში კოლიზიური ნორმების უნიფიკაცია ხორციელდება ორმხრივი ხელშეკრულებების მეშვეობით. განსახილველ საკითხთან მიმართებაში კოლიზიური ნორმები ქართული სამართლის სივრცეში მოცემულია და შეკრებილია საქართველოს კანონში საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ და იმ ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებში, რომლის მონაწილეც არის საქართველო. საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ წესებს აქვთ უპირატესი იურიდიული ძალა ვიდრე "საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" კანონით დადგენილ წესებს.

საქართველოს კოლიზიური სამართლის მიხედვით, თუ პირი რამოდენიმე ქვეყნის მოქალაქეა, მის მიმართ გამოიყენება იმ ქვეყნის სამართალი, რომელთანაც იგი ყველაზე მჭიდროდაა დაკავშირებული, აქვს ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი ან ეწევა ძირითად საქმიანობას. როგორც ვხედავთ, კანონმდებელი ამ კოლიზიურ ნორმაში იყენებს რამოდენიმე სახის მითითებას.

აღსანიშნავია, რომ კოლიზიური ნორმის მითითებით ნაწილში შესაძლებელია იყოს მითითებული იმ კონკრეტული ქვეყნის სამართალზე, რომელიც უნდა იყოს გამოყენებული ან შესაძლებელია მოცემული იყოს ზოგადი ხასიათის მითითება, რომლის საფუძველზედაც განისაზღვრება გამოსაყენებელი სამართალი.

ასეთი ზოგადი ხასიათის მითითება შესაძლებელია პირობითად დაიყოს რამოდენიმე ჯგუფად, მაგალითად:

1. მითითება სამართალურთიერთობის მონაწილეს პიროვნულ კანონზე (Lex Personalis);
2. მითითება ნივთის ადგილმდებარეობის კანონზე (Lex rei sitae);
3. მითითება აქტის შესრულების ადგილის კანონზე (Lex loci actus);
4. მითითება საქმიანობის განხორციელების ადგილის კანონზე (Lex loci activitatis);
5. მითითება სასამართლოს, არბიტრაჟის ადგილმდებარეობის კანონზე (Lex fori);
6. მითითება იმ ქვეყნის კანონზე, რომელთანაც მოცემული ურთიერთობა ყველაზე მჭიდროდ არის დაკავშირებული (Lex causae).

ზემოაღნიშნული ჩამონათვალი (მითითების ფორმულების ) არ არის სრული.

განვიხილოთ შემდეგი რიგი მნიშვნელოვანი საკითხებისა, რომლებიც წარმოადგენენ საქორწინო კონტრაქტის პრობლემატიკის დამოუკიდებელ საკითხებს საერთაშორისო კერძო სამართლის ქრილში.

პირველი - საქორწინო კონტრაქტის ნამდვილობის საკითხი.

გამოტანილ საკითხთან დაკავშირებით ქართული კანონმდებლობა განმარტავს, რომ გარიგების ან მისი ცალკეული დებულების ძალაში შესვლა და ნამდვილობა განისაზღვრება იმ ქვეყნის სამართლით, რომელიც გამოყენებული უნდა ყოფილიყო გარიგების ან მისი რომელიმე დებულების ნამდვილობისათვის.

მეორე - საქორწინო კონტრაქტის ფორმა.

საქართველოს მოქმედი საერთაშორისო-კერძოსამართლებრივი კანონმდებლობის საფუძველზე საქორწინო კონტრაქტის ფორმა უნდა იყოს განსაზღვრული იმ ქვეყნის სამართლით, სადაც დაიდო კონტრაქტი ან იმ ქვეყნის სამართლით, რომელიც გამოიყენება საქორწინო კონტრაქტის საგნის მიმართ. თუ საქორწინო კონტრაქტით მეუღლეები

გადასცემენ საკუთრების უფლებას მიწის ნაკვეთზე, მიუხედავად კონტრაქტის დადების ადგილისა და ამ ადგილას მოქმედი სამართლისა კონტრაქტის ფორმის მიმართ გამოიყენება იმ ქვეყნის სამართლის იმპერატიული ნორმები გარიგების ფორმის შესახებ, სადაც არის მიწის ნაკვეთი.

მესამე - კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვა.

ამ საკითხის მიმართ გამოიყენება საერთო წესი რომლის მიხედვითაც: თუ კონტრაქტი დაიდო ერთ ქვეყანაში მყოფ პირებს შორის, მაშინ იმ ფიზიკურ პირს, რომელიც კონკრეტული საქმის გარემოებებთან დაკავშირებით სამართლის ნორმების მიხედვით ქმედუუნაროა, მხოლოდ მაშინ შეუძლია მიუთითოს უცხო ქვეყნის სამართლის ნორმების მიხედვით თავის უუნარობაზე, თუ კონტრაქტის მონაწილე მეორე მხარემ კონტრაქტის დადებისას იცოდა ან უნდა სცოდნოდა ამის შესახებ.

#### **აღსანიშნავია ასევე შემდეგი:**

1. არაქონებრივი უფლებებთან მიმართებაში გამოსაყენებელ სამართალთან დაკავშირებით გამოიყენება იმ ქვეყნის სამართალი სადაც ეს უფლებანი უნდა იქნას გამოყენებული;
2. საქორწინო კონტრაქტის მხარეებს საქორწინო კონტრაქტში შეუძლიათ აირჩიონ კონტრაქტის მიმართ გამოსაყენებელი სამართალი;
3. საკონტრაქტო ურთიერთობებიდან გამომდინარე უფლება-მოვალეობების განსაზღვრა, კერძოდ კი: კონტრაქტის განმარტება, შესრულება, შეწყვეტა, აგრეთვე ბათილობის შედეგები, ვალდებულებათა დარღვევა (კონტრაქტის შემდგომი ვალდებულებების დარღვევის ჩათვლით), შესაძლებელია მოწესრიგებულ იქნეს საქორწინო კონტრაქტის მხარეების მიერ არჩეული ქვეყნის სამართლით;
4. საქორწინო კონტრაქტის მხარეებს შეუძლიათ აირჩიონ იმ ქვეყნის სამართალი, რომელიც მიუთითებს იმ ქვეყნის სამართალზე რომელსაც ერთ-ერთი მეუღლე განეკუთვნება, ან სადაც ერთ-ერთ მეუღლეს აქვს ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი, ან სადაც იმყოფება უმრავი ქონება. მხარეების მიერ არჩეული ქვეყნის სამართალი



შეიძლება შეიცვალოს სხვა ქვეყნის სამართლით კონტრაქტის დადების შემდეგაც;

5. სამართლის არჩევა აუცილებლად უნდა გაფორმდეს საერთაშორისო წესით. მნიშვნელოვნად მიგვაჩნია საქართველოს კანონმდებლის მიერ მოცემული განსაზღვრება, რომ „სამართლის არჩევა ბათილად იქნება მიჩნეული, თუ იგი უგულებელყოფს კონტრაქტთან ყველაზე მჭიდროდ დაკავშირებული ქვეყნის სამართლის იმპერატიულ ნორმებს“.

და ბოლოს, ქართველი კანონმდებელი ადგენს, რომ:

- ა) იმ შემთხვევაში, თუ მხარეები არ აირჩევენ რომელიმე ქვეყნის სამართალს, საქორწინო კონტრაქტი დაექვემდებარება მასთან ყველაზე მჭიდროდ დაკავშირებული ქვეყნის სამართალს. (შენიშვნის სახით: ამ ნორმაში, კანონმდებლის მიერ იგულისხმება, რომ კონტრაქტი ყველაზე მჭიდროდ არის დაკავშირებული იმ ქვეყანასთან, სადაც კონტრაქტის მხარეს, რომელსაც კონტრაქტიდან გამომდინარე უნდა შეესრულებინა გარკვეული ვალდებულება, კონტრაქტის დადებისას ჰქონდა ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი);
- ბ) საქორწინო კონტრაქტიდან გამომდინარე კონტრაქტის მხარ(ე)ების მოთხოვნათა ხანდაზმულობა განისაზღვრება იმ ქვეყნის სამართლით, რომელიც ამ მოთხოვნის მიმართ გამოიყენება.

### § III

#### საქორწინო კონტრაქტი დსთ-ში შემავალი ქვეყნების კოლიზიურ სამართალში

დღეისათვის, კოლიზიური რეგულირების ახალი ნორმატიული აქტები დსთ-ს ფარგლებში მიღებულია ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა სომხეთი, ბელორუსია, ყაზახეთი, უზბეკეთი, რუსეთი. ყველა ზემოჩამოთვლილი სახელმწიფო, საქართველოს გარდა წავიდა იმ გზით, რომ გამოიყენა რა სამოქალაქო კოდექსის VII თავი "საერთაშორისო კერძო სამართალი", ანუ (დსთ-ს ქვეყნებისათვის რეკომენდირებული) სამოქალაქო კოდექსის მესამე მოდელური ვარიანტის ერთ-ერთი თავი, რომელიც თავდაპირველად შემოთავაზებული იყო, ხოლო შემდგომ 1996 წლის 17

თებერვალს მიღებულ იქნა დსთ-ს საპარლამენტაშორისო ასსამბლეის მიერ.

დსთ-ს მოდელურ სამოქალაქო კოდექსზე დაფუძნებულ კოლიზიურ სამართალს, რომელსაც იყენებენ ჩამოთვლილი ქვეყნები, ახასიათებს შემდეგი ნიშნები:

- ა) კოლიზიური რეგულირების ნორმები თავმოყრილია სამოქალაქო კოდექსში და მათი ერთობლიობა წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს. ამ ქვეყნებში არ არსებობს ერთიანი დამოუკიდებელი ნორმატიული აქტი, რომელიც აწესრიგებს საერთაშორისო კერძოსამართლებრივ ურთიერთობებს;
- ბ) არსებული ნორმები მიმართულია მხოლოდ კოლიზიური რეგულირებისაკენ. ხსენებულ კოდექსებში არ არის მოცემული ნორმები, რომლებიც აწესრიგებდნენ საერთაშორისო კერძო სამართლის პროცესთან დაკავშირებულ საკითხებს;
- გ) არასაკმარისად მოიცავს იმ საკითხთა წრის რეგულირებას, რომელსაც შეიცავს ერთიანი ნორმატიული აქტი, რომელიც ემსახურება საერთაშორისო კერძოსამართლებრივი საკითხების მოწესრიგებას. გამონაკლისს შეადგენს "ნების ავტონომიის ინსტიტუტი" რომელიც დაწვრილებით არის რეგულირებული იმ ქვეყნების სამოქალაქო კოდექსებში, რომლებიც შეიცავენ საერთაშორისო კერძო სამართლის საკითხებს.
- დ) ერთიანი "კოლიზიური სივრცე" რომელიც ჩაფიქრებული იყო დსთ-ში შემავალი სახელმწიფოებისათვის იმისათვის, რომ ერთი შეხედვით გაემარტივებინათ "პოსტკომუნისტურ სივრცეში" აღმოცენებული დამოუკიდებელი სახელმწიფოებისათვის კოლიზიური საკითხების გადაწყვეტა, მაგრამ, მისი არსობრივი დატვირთვა უშუალოდ დაკავშირებულია რუსეთისათვის ჩვეულ იმპერიულ ამბიციასთან, და მის სურვილთან, მოახდინოს ხსენებული სახელმწიფოების ერთიან სამართლებრივ სივრცეში მოქცევა, და ამით, რუსული სულისკვეთების და სოციალურ-პოლიტიკური გავლენის დამკვიდრება და გაბატონება.

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით ქვემოთ მოცემულია ის კოლიზიური სამართალმდგომარეობანი, რომელნიც ასახულია დსთ-ს ქვეყნებში შემავალი რამოდენიმე სახელმწიფოს სამოქალაქო კოდექსებში. ეს სამართალმდგომარეობანი შესაძლებელია გამოყენებულ იქნას საქორწინო კონტრაქტთან მიმართებაში, თუ რომელიმე "უცხო ელემენტი" უკავშირდება იმ ქვეყანას, რომლის სამოქალაქო კოდექსებზეც ზემოთ გვქონდა საუბარი.

### **სომხეთი**

პირის ქმედუნარიანობა სომხეთის საერთაშორისო კერძო სამართლებრივი კანონმდებლობის მიხედვით განისაზღვრება მისი პიროვნული კანონით. საქორწინო კონტრაქტი სომხეთში ფორმის დაცვით ჩაითვლება დადებული, თუ იგი შედგენილია იმ ქვეყნის სამართლის მოთხოვნათა დაცვით, სადაც იგი დაიდო. ამავდროულად, სხვა სახელმწიფოში დადებული საქორწინო კონტრაქტი არ შეიძლება ჩაითვალოს ბათილად ფორმის დაუცველობის მოტივით, თუ იგი შეესაბამება სომხეთის რესპუბლიკის სამართლის მოთხოვნებს საქორწინო კონტრაქტის ფორმასთან დაკავშირებით.

სახელშეკრულებო ვალდებულებებთან დაკავშირებით გამოსაყენებელი სამართლის არჩევის საკითხი სომხეთის საერთაშორისო კერძოსამართლებრივი კანონმდებლობის მიხედვით ითვალისწინებს სამართლის არჩევის შესაძლებლობას, როგორც მთლიანად საქორწინო კონტრაქტისათვის, ისე მისი თითოეული შემადგენელი ნაწილისათვის. არჩეული სამართლის მოქმედება ვრცელდება: კონტრაქტის განმარტების, მხარეთა უფლებებისა და მოვალეობების, კონტრაქტის შესრულების, არასათანადო შესრულების ან შეუსრულებლობის, შეწყვეტის და კონტრაქტის ბათილობის შედეგების მიმართ.

### **ბელორუსია**

ბელორუსიის სამოქალაქო კოდექსი განსაზღვრავს, რომ სამართალი, რომელიც უნდა იქნას გამოყენებული ამა თუ იმ სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგების მიზნით, განისაზღვრება ბელორუსიის კონსტიტუციით, სამოქალაქო კოდექსით და სხვა საკანონმდებლო აქტებით, ბელორუსიის რესპუბლიკის მიერ დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებებით. თუ ზემოთქმულიდან

შეუძლებელია არჩეულ იქნას გამოსაყენებელი სამართალი იმ სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგებისათვის რომელიც გართულებულია უცხო ელემენტით, ასეთ შემთხვევაში, ბელორუსიის საერთაშორისო კერძოსამართლებრივი კანონმდებლობის მიხედვით, გამოიყენება იმ ქვეყნის სამართალი, რომელთანაც უფრო მჭიდროდ არის დაკავშირებული ის ურთიერთობანი, რომლებიც შეიცავს უცხო ელემენტს.

პირის ქმედუნარიანობის საკითხთან მიმართებაში ბელორუსიის კანონმდებელი სომხეთის კანონმდებლის იდენტურ ნორმას გვთავაზობს, ანუ განსაზღვრავს მას პირის პიროვნული კანონით, მაგრამ ამავედროულად გვთავაზობს შემდეგ სპეციფიურ სამართალმდგომარეობას: ფიზიკური პირის სამოქალაქო ქმედუნარიანობა იმ გარიგებების და ზიანის ანაზღაურების ვალდებულებების მიმართ, რომლებიც წარმოიქმნება ბელორუსიის რესპუბლიკაში, განისაზღვრება ბელორუსიის რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად.

საქორწინო კონტრაქტის შესახებ, როგორც სომხეთის კანონმდებელი ასევე ბელორუსიის კანონმდებელი გამორჩეულად არ საუბრობს. შესაბამისად, საქორწინო კონტრაქტის მიმართ გამოიყენება ის საერთო წესები, რომლებიც განსაზღვრულია ზოგადად გარიგებების მიმართ.

გარიგების ფორმასთან დაკავშირებით ბელორუსიის რესპუბლიკის საერთაშორისო კერძო სამართლის კანონმდებლობა განსაზღვრავს, რომ გარიგების ფორმა ემორჩილება იმ ქვეყნის სამართალს, სადაც ის დაიდო. მაგრამ ამავედროულად გარიგება არ შეიძლება იქნას მიჩნეული ბათილად ფორმის დაუცველობის მოტივით, თუ დაკულია მისი ფორმის მიმართ ბელორუსიის კანონმდებლობის მოთხოვნები.

ბელორუსიის სამოქალაქო კოდექსის 1124-ე მუხლი ეძღვნება გარიგების მხარეების მიერ სამართლის არჩევის საკითხს. ზემოაღნიშნული მუხლის მიხედვით:

- ა) გარიგების მხარეებს აქვთ უფლება აირჩიონ გამოსაყენებელი სამართალი იმ შემთხვევაში, თუ ეს არ ეწინააღმდეგება ბელორუსიის კანონმდებლობას;

ბ) სამართლის არჩევას აქვს უკუძალა და იგი ძალაშია გარიგების დადების მომენტიდან.

სომხეთის კანონმდებლობის იდენტურად, ბელორუსიის კანონმდებლობა ადგენს, რომ გამოსაყენებელი სამართალი შესაძლებელია არჩეულ იქნას როგორც მთლიანად გარიგებისათვის ისე, მისი ცალკეული ნაწილებისათვის.

### **ყაზახეთი**

საერთაშორისო კერძო სამართლებრივი ხასიათის ნორმები ყაზახეთში მოქცეულია ყაზახეთის სამოქალაქო კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის მეშვიდე კარში. ქმედუნარიანობის საკითხი ყაზახეთში წყდება ბელორუსიის და სომხეთის კანონმდებლობის იდენტურად – ფიზიკური პირის პიროვნული კანონის მიხედვით. გამოსაყენებელი სამართლის და გარიგების ფორმის საკითხებთან მიმართებაში, ყაზახეთის კანონმდებლობა ბელორუსიის კანონმდებლობის იდენტურია გარდა ერთი საკითხისა - ყაზახეთის კოლიზიურ სამართალში არ არსებობს დათქმა ასარჩევი სამართლის უკუძალის შესახებ.

### **ყირგიზეთი და უზბეკეთი**

ამ ორი ქვეყნის საერთაშორისო კერძო სამართლებრივი ხასიათის საკითხების მარეგულირებელი ნორმები მოთავსებულია მათ სამოქალაქო კოდექსების მეორე ნაწილში, კერძოდ, ყირგიზეთის სამოქალაქო კოდექსის მეორე ნაწილის მეშვიდე კარში და უზბეკეთის სამოქალაქო კოდექსის მეორე ნაწილის მეექვსე კარში. ორივე ქვეყნის საერთაშორისო კერძო სამართლის კანონმდებლობა შედგება 41 (ორმოცდაერთი) მუხლისგან, რომლებიც სამოქალაქო კოდექსში მოცემულია ერთნაირი თანმიმდევრობით, სათაურით და პრაქტიკულად იდენტური შინაარსით (გამონაკლისს შეადგენს რამოდენიმე მუხლი). განსახილველ საკითხთან მიმართებაში ამ ორი ქვეყნის კანონმდებლობა იდენტურია. იგი ფიზიკური პირის ქმედუნარიანობის განსაზღვრისას იყენებს მის პიროვნულ კანონზე მითითებას. გარიგების ფორმის განსაზღვრის მიმართ იყენებს იმავე საერთო წესებს რასაც ბელორუსიის და ყაზახეთის კანონმდებლობა, ხოლო გამოსაყენებელი სამართლის არჩევის საკითხს წყვეტს დათქმებით, რომ ხელშეკრულება (ორივე ქვეყნის სამოქალაქო კოდექსები იყენებენ არა "გარიგების" არამედ "ხელშეკრულების" ტერმინს) რეგულირებულ იქნება იმ ქვეყნის სამართლით, რომელსაც

აირჩევნენ ხელშეკრულების მხარეები თუ სხვა რამ არ არის დადგენილი კანონმდებლობით; ხელშეკრულების მხარეებს შეუძლიათ აირჩიონ გამოსაყენებელი სამართალი, როგორც მთლიანად ხელშეკრულებისათვის ისე მისი ცალკეული შემადგენელი ნაწილებისათვის და რომ სამართლის არჩევა მხარეებს შეუძლიათ, როგორც ხელშეკრულების დადების მომენტისას ისე მის შემდგომ ნებისმიერ დროს.

რაც შეეხება სასარჩელო ხანდაზმულობის ვადების საკითხს, ზემოჩამოთვლილი ყველა ქვეყნის საერთაშორისო კერძო სამართალი წყვეტს ერთნაირად, - სასარჩელო ხანდაზმულობის ვადების მიმართ გამოიყენება იმ ქვეყნის სამართალი, რომელიც გამოყენებულ უნდა იქნას სახელშეკრულებო ურთიერთობის მიმართ.

ზემოჩამოთვლილი ქვეყნების საერთაშორისო კერძო სამართლის კანონმდებლობა ცალკე არ გამოყოფს საქორწინო კონტრაქტს და მასთან დაკავშირებულ საკითხებს. ამ ქვეყნების კანონმდებლობა, უბრალოდ აკეთებს მითითებას, რომ მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების (მათ შორის საქორწინო კონტრაქტის) მიმართ გამოყენებულ უნდა იქნას იმ ქვეყნის სამართალი, რომელიც გამოიყენება ქორწინების ზოგადი შედეგების მიმართ, თუ მხარეებს სხვა სამართალი არ აურჩევიათ.

## § IV

### საქორწინო კონტრაქტი

#### ზოგიერთი საზღვარგარეთის ქვეყნის კოლიზიურ სამართალში

ამ პარაგრაფის დასაწყისში მართებულად მიმაჩნია ყურადღების გამახვილება საერთაშორისო სამართლის კოდიფიკაციის ისტორიის ქრონოლოგიის საკითხზე.

განსახილველ საკითხთან მიმართებაში ამოსავალ დროის მონაკვეთად აღებული უნდა იყოს მე-XIX საუკუნის მეორე ნახევარი, საწყის წერტილად კი გამოჩენილი გერმანელი იურისტის, სამართლის ისტორიული სკოლის ფუძემდებლის, ფრიდრიხ კარლ სავინის მოღვაწეობის პერიოდი. ვინაიდან უშუალოდ სავინის დამსახურებაა, პირველად სამართლის ისტორიაში, საერთაშორისო სამართლის კოდიფიკაციის საკითხის დასმა, ამ საკითხის გადაჭრის აუცილებლობის აღიარება და ამ საკითხის დამოუკიდებელ სოციალურ-სამართლებრივ

ხასიათის კონცეპტუალურ საკითხად წარმოჩენა (იხილეთ, "Vom Beruf unserer Zeit für Gesetzgebung und Rechtswissenschaft", 1815).

გარდა ზემოთქმულისა, სავინის ეკუთვნის სამართალურთიერთობის ლოკალიზაციის კოლიზიური მეთოდის შემუშავება და ამ მეთოდის ფართო ასპარეზზე გამოტანა.

საერთაშორისო კერძო სამართლის კოდიფიკაციის განვითარების ქრონოლოგიაში შესაძლებელია გამოყოფილ იქნას სამი ეტაპი:

პირველი – მე-XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან მე-XX საუკუნის 60-იან წლებამდე;

მეორე – მე-XX საუკუნის 60 წლებიდან მე-XX საუკუნის 70-იანი წლების დასასრულამდე;

მესამე – მე-XX საუკუნის 70-იანი წლების დასასრულიდან დღევანდელ დრომდე.

საერთაშორისო კერძო სამართლის კოდიფიკაციის პირველ ეტაპზე დამოუკიდებელი ნორმატიული აქტები მიღებულ იქნა მაგალითად: შვეიცარიაში (1891 წ.); იაპონიაში (1898 წ.); მაროკოში (1913, 1914, 1925 წწ.); პოლონეთში (1926 წ.); გვატემალაში (1936 წ.); ტაილანდში (1938 წ.); ტაივანში (1953 წ.).

აღნიშნულ (პირველ) ეტაპზე, ზოგიერთ ქვეყნებმა არჩიეს დადგომოდნენ ოდნავ სხვა გზაზე, რომელიც თავის არსობრივ ასპექტში არ შედის წინააღმდეგობაში ძირითად მიმართულებასთან. მათ შეიმუშავეს საერთაშორისო კერძო სამართლებრივი ნორმები, რომლებიც განათავსეს მათი ქვეყნების სამოქალაქო სამართლის კოდექსების შესავალ, ან და ძირითად ნაწილში. ასეთ ქვეყნების რიგს ჩვენ შეიძლება მივაკუთვნოთ: გერმანია (1896 წ.); ნიკარაგუა (1904 წ.); პერუ (1936 წ.); საბერძნეთი (1940-1946 წ.წ.); ურუგვაი (1941 წ.); ბრაზილია (1942 წ.); იტალია (1942 წ.); ეგვიპტე (1948 წ.); ერაყი (1951 წ.); ლიბია (1954 წ.).

რაც შეეხება მეორე ეტაპს, როგორც ზემოთ არის აღნიშნული, მეორე ეტაპი მოიცავს ოცწლიან დროის მონაკვეთს – მე-XX საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისიდან 70-იანი წლების დასასრულამდე. ამ წლებში რიგ ქვეყნებში მიღებულ იქნა სპეციალური ნორმატიული აქტები, რომლებიც ეხებოდნენ კოლიზიის საკითხებს. დასახელების ღირსია ქუვეითი (1961 წ.), სამხრეთ კორეა (1962 წ.), ჩეხოსლოვაკია (1963 წ.), ალბანეთი (1964 წ.), პოლონეთი

(1965 წ.), გდრ (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) (1975 წ.). მიღებული სპეციალური ნორმატიული აქტების სრულყოფის თვალსაზრისით კოლიზიის საკითხთან მიმართებაში, გამოკვეთილად შესაძლებელია აღინიშნოს პორტუგალია (1966 წ.) და ესპანეთი (1974 წ.). ხსენებული ქვეყნების სამოქალაქო სამართლის კოდექსებში კოლიზიური სამართლის ნორმების მომცველი ნაწილები გამოირჩევიან სამართლებრივ-მეთოდოლოგიური საფუძვლიანობით, კორექტულობით და არაინერტულობით, რაც განაპირობებს მათ თვითმყოფადობას, გამორიცხავს "კალკირების" ცდუნებაზე კანონმდებლის დაყოლიებას, სამართალშემოქმედებით საქმიანობაში "მექანიციზმის" ელემენტის შემოჭრას (რაც, უდაოდ მისასაღმებელიცაა და სამაგალითოც). აღნიშვნის ღირსია, აგრეთვე, პოლონეთის მაგალითი. 1964 წელს პოლონეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსში შეყვანილ იქნა სპეციალური კარი, რომელიც ეძღვნებოდა საერთაშორისო საპროცესო საკითხებს. ვფიქრობ ხსენებული გარემოება, წარმოადგენს წინ გადადგმულ ნაბიჯს კოლიზიური სამართლის არეალში წამოჭრილ საკითხების უკეთ მოწესრიგების მცდელობებთან მიმართებაში.

მეორე ეტაპს, აგრეთვე ეკუთვნის, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში 1967 წელს წარმართული კოლიზიური სამართლის რეგულირების ნორმების შემუშავების და მიღების პროცესი, რომლის მოქმედების სფერო მოიცავს საოჯახო სამართლის საკითხებს.

მეორე ეტაპის განხილვისას, ასევე აღსანიშნავია, რიგი ქვეყნების აქტიური მცდელობები იმ მიმართულებით, რომ მომხდარიყო კოლიზიური რეგულირების ნორმების ისეთი სახის შემუშავება, რაც საშუალებას მისცემდა კანონმდებელს მათი წარმოდგენისა დამოუკიდებელი სახით ან/და რომელიმე „დიდ“ ნორმატიულ აქტში შემავალი ნაწილის სახით. ესეთი მცდელობები კარგი შედეგით განხორციელებული იყო მთელ რიგ სახელმწიფოებში. მაგალითის სახით მოვიყვანთ აფრიკის კონტინენტზე განლაგებულ რიგ სახელმწიფოებს, რომლებისათვის ხსენებული მიმართულება გამოდგა მისაღები და მათთვის ოპტიმალური. ესენი არიან: გვინეა (1962 წ.), მადაგასკარი (1962 წ.), გაბონი (1972 წ.), სენეგალი (1972 წ.), ალჟირი (1975 წ.). ჩამოთვლილ რიგს შესაძლებელია მივაკუთვნოთ აზიაში განლაგებული რამოდენიმე სახელმწიფო, როგორც, მაგალითად: ბაჰრეინი (1971 წ.) და ავღანეთი (1977 წ.).

---

© გიორგი გ. თუმანიშვილი, 2010  
საქორწინო კონტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის არც ერთი ნაწილი, არანაირი მიზეზით, არ შეიძლება კვლავწარმოებული (რეპროდუცირებული) იყოს ნებისმიერი ფორმით და ხერხით - იქნება ეს ელექტრონული თუ მაგნიტური, ციფრული თუ ფოტოკოპირებული ან სხვა საშუალებით, საავტორო უფლების მფლობელის წერილობითი თანხმობის ან/და სათანადო წესით განხორციელებული მითითების გარეშე.



საერთაშორისო კერძო სამართლის კოდიფიკაციის მესამე ეტაპის ათვლის წერტილი შესაძლებელია დაკავშირებულ იქნას ავსტრიაში 1978 წელს მიღებულ სპეციალურ კანონთან საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ. ავსტრიის მაგალითმა ერთგვარ კატალიზატორად იმოქმედა კოლიზიურ სამართლის აქტუალურ საკითხების სათანადო გადაჭრის პროცესზე. ნიშანდობლივია და მრავლის მთქმელია ის ფაქტი, რომ ავსტრიის კვალდაკვალ სპეციალური კანონები საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ (ან სხვა ნორმატიული აქტები, რომლებსაც გააჩნდათ ისეთივე სავალდებულო ძალა, როგორც სპეციალურ კანონს და იდგნენ ნორმატიულ აქტთა იერარქიულ სისტემაში იმავე საფეხურზე რაც სპეციალური კანონი), მიღებულ იქნა ისეთ ევროპულ სახელმწიფოებში, როგორებიც არიან: უნგრეთი (1979 წ.), იუგოსლავია (1982 წ.), შვეიცარია (1982 წ.), რუმინეთი (1992 წ.), იტალია (1995 წ.), ლიხტენშტეინი (1996 წ.), მის ანალოგიურ კანონად ასევე გვევლინება თურქეთში 1986 წელს მიღებული კანონი.

ზემოხსენებული პროცესის ბუნებრივ დიალექტიკურ განვითარებად და ამ პროცესის თვისობრივად ახალ სიმაღლეზე დადგომად უნდა იქნას მიჩნეული გერმანიაში წარმართული საერთაშორისო კერძო სამართლის რეფორმა, რომლის შედეგად მიღებულია მთელი რიგი ახალი კანონებისა საერთაშორისო კერძო სამართლის სხვადასხვა ასპექტებთან დაკავშირებით.

ჩვენ განვიხილეთ საერთაშორისო კერძო სამართლის კოდიფიკაციის პროცესის განვითარების სამი ეტაპი. აღსანიშნავია, რომ თითოეული მომდევნო ეტაპი ხასიათდება კოლიზიური რეგულირების ნორმებში არსებულ საკითხთა სიმრავლის ზრდით. ამრიგად, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ყოველ მომდევნო ეტაპზე მათი სამართლებრივი არეალი, მოსაწესრიგებელ საკითხთა წრე, საკითხთა შინაარსობრივი შევსების მოცულობა, ფართოვდება.

მივუბრუნდეთ განსახილველ საკითხს – საქორწინო კონტრაქტს კოლიზიურ სამართალში.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საქორწინო კონტრაქტთან მიმართებაში კოლიზიურ სამართალში არსებობს მიდგომათა სიმრავლე. ამავე დროს, საზღვარგარეთის სახელმწიფოების კოლიზიურ სამართალს შორის, საქორწინო კონტრაქტთან მიმართებაში შეიმჩნევა ერთგვარი მსგავსება,

მიდგომების კონცეპტუალური არსის ერთ ძირითად კალაპოტში მოთავსების მცდელობა, ზოგ შემთხვევაში კი პირდაპირი ანალოგია, რაც ყველაზე მეტად დამახასიათებელია იმ სახელმწიფოების კოლიზიური სამართლისათვის, რომლებიც ეკუთვნიან, ეგრედ წოდებულ "პოსტ-კომუნისტურ" სივრცეს. ქვემოთ ჩვენ განვიხილავთ ზოგიერთი უცხო ქვეყნის კოლიზიური სამართლის პრინციპებს და ნორმებს, რომლებიც უშუალოდ გამოიყენება საქორწინო კონტრაქტთან მიმართებაში. მათი ანალიზი და სამართალმდგომარეობათა შეჯერება მოგვცემს საშუალებას მოვახდინოთ შედარებითი ზოგადი თვალთახედვის (რაკურსის) ფიქსაცია და კონცეპტუალური მიდგომის არსის ჩამოყალიბება განსახილველ საკითხთან მიმართებაში.

### ავსტრია

1978 წლის 15 ივნისს ავსტრიაში მიღებულ იქნა (ხოლო ძალაში შევიდა 1979 წლის 1 იანვარს) ფედერალური კანონი საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ. ეს კანონი იცნობს რა საქორწინო კონტრაქტის ინსტიტუტს §19-ში განსაზღვრავს, რომ: იმ ქონების მიმართ, რომელიც შეძენილია ქორწინების პერიოდში გამოიყენება იმ ქვეყნის სამართალი, რომელიც მხარეებმა აირჩიეს საქორწინო კონტრაქტის დადებისას. ამ უკანასკნელის არარსებობის შემთხვევაში ქონების მიმართ გამოიყენება იმ ქვეყნის სამართალი, რომელიც იყო განმსაზღვრელი მხარეთა სამართლებრივი შედეგების მიმართ ქორწინების რეგისტრაციის მომენტისათვის. ასეთად კი ავსტრიის კანონი საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ მიიჩნევს: მეუღლეთა საერთო პიროვნული კანონს, ხოლო მისი არარსებობის შემთხვევაში უკანასკნელ საერთო პიროვნულ კანონს. თუ ამგვარიც არ არსებობს მაშინ იმ ქვეყნის კანონს რომელშიც ორივე მეუღლეს აქვს ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილი, თუ ეს შემთხვევაც გამოირიცხება, მაშინ იმ ქვეყნის კანონს სადაც მეუღლეებს ჰქონდათ უკანასკნელი ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილი თუ ერთ-ერთმა მეუღლემ მაინც შეინარჩუნა იგი.

ავსტრიის კანონმდებელი ამავდროულად ზემოჩამოთვლილ შემთხვევათა გარდა ითვალისწინებს დათქმას, რომ თუ ქორწინება მომხდარია ავსტრიის კანონმდებლობის შესაბამისად და მისი სრული დაცვით, მაშინ ქორწინების შედეგების მიმართ (მათ შორის საქორწინო კონტრაქტის მიმართ, თუ მხარეებმა არ განსაზღვრეს კონტრაქტში გამოსაყენებელი სამართალი) გამოიყენება ავსტრიის კანონმდებლობა, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მეუღლეებს აქვთ უფრო მჭიდრო კავშირი რომელიმე

---

© გიორგი გ. თუმანიშვილი, 2010  
საქორწინო კონტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის არც ერთი ნაწილი, არანაირი მიზეზით, არ შეიძლება კვლავწარმოებული (რეპროდუცირებული) იყოს ნებისმიერი ფორმით და ხერხით - იქნება ეს ელექტრონული თუ მაგნიტური, ციფრული თუ ფოტოკოპირებული ან სხვა საშუალებით, საავტორო უფლების მფლობელის წერილობითი თანხმობის ან/და სათანადო წესით გახსორციელებული მითითების გარეშე.

მესამე ქვეყანასთან – გამოყენებულ უნდა იქნეს იმ ქვეყნის კანონმდებლობა.

### **ბურკინა-ფასო**

ამ ქვეყნის კოლიზიური სამართალი დიდ ყურადღებას და აღტაცებას იწვევს. ბურკინა-ფასო ერთ-ერთი უღარიბესი ქვეყანაა აფრიკაში, მაგრამ მისი კოლიზიური სამართალი აფრიკის კონტინენტზე ყველაზე მძლავრ სისტემას წარმოადგენს. ესოდენ მძლავრი და მოქნილი კოლიზიური სამართლის ჩამოყალიბება უნდა ვიფიქროთ, რომ ქვეყნის უკეთესი მომავლის სურვილით და ქვეყნისათვის მრავალი სრულყოფილი ნორმატიული აქტის შექმნის იმედით იყო განპირობებული. ბურკინა-ფასოში 1990 წლის 4 აგვისტოს ძალაში შევიდა "პირთა და ოჯახის კოდექსი", რომლის 998-1050-ე მუხლები ემდგნება სამართალურთიერთობათა კოლიზიურ რეგულირებას. ჩემთვის ამ ქვეყნის ზემოაღნიშნული კოდექსით დაინტერესება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ იგი უშუალოდ და საფუძვლიანად ეხება საქორწინო კონტრაქტთან დაკავშირებულ საკითხებს და ეფექტურად აწესრიგებს მათ. ასე მაგალითად, ხსენებული კოდექსის 1026-ე მუხლის მიხედვით, ქონების სახელშეკრულებო რეჟიმის რეგულირება ხდება ან იმ ქვეყნის სამართლის მიხედვით სადაც მეუღლეებს ამჟამად აქვთ საერთო საცხოვრებელი ადგილი, ან იმ ქვეყნის სამართლის მიხედვით, სადაც მეუღლეებს ჰქონდათ პირველი საერთო საცხოვრებელი ადგილი. ზემოაღნიშნული 1026-ე მუხლი შეიცავს მეტად საინტერესო მითითებას, რომ "თუ ზემომოხსენებულ შემთხვევაში კანონი, რომელიც უნდა იქნას გამოყენებული, ითვალისწინებს შესაძლებლობას მეუღლეთა მიერ საქორწინო კონტრაქტით არჩეულ იქნას გამოსაყენებელი სამართალი, მაშინ გამოიყენება მეუღლეთა მიერ არჩეული სამართალი". აქვე, ამავე მუხლში, ბურკინა-ფასოს კანონმდებელი აზუსტებს რომ "მეუღლეებს, საქორწინო კონტრაქტით, შეუძლიათ აირჩიონ იმ ქვეყნის სამართალი, რომლის მოქალაქეც არის ერთ-ერთი მეუღლე".

### **ინგლისი**

ინგლისის საერთაშორისო კერძო სამართალი არ არის კოდიფიცირებული რომელიმე ერთ ნორმატიულ აქტში. მიუხედავად ამ გარემოებისა, ინგლისის სამართალში არსებობს რამოდენიმე ათეული ნორმატიული აქტი, რომელიც ემდგნება კანონთა კოლიზიის საკითხს. განსახილველ პრობლემატიკასთან დაკავშირებით ინგლისის საერთაშორისო კერძო

---

© გიორგი გ. თუმანიშვილი, 2010  
საქორწინო კონტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის არც ერთი ნაწილი, არანაირი მიზეზით, არ შეიძლება კვლავწარმოებული (რეპროდუცირებული) იყოს ნებისმიერი ფორმით და ხერხით - იქნება ეს ელექტრონული თუ მაგნიტური, ციფრული თუ ფოტოკოპირებული ან სხვა საშუალებით, საავტორო უფლების მფლობელის წერილობითი თანხმობის ან/და სათანადო წესით გახშირციელებული მითითების გარეშე.

სამართლის კანონმდებლობა არაფერს ამბობს, იგი არ იცნობს საქორწინო კონტრაქტის ცნებას და ასევე არ საუბრობს მეუღლეთა იმ ქონებრივ ურთიერთობებზე, რომელნიც შეიცავენ უცხოურ ელემენტს. ინგლისის კანონმდებელი 1995 წლის კანონში საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ მხოლოდ საუბრობს იმ ქორწინებათა ნამდვილობის და ამ შემთხვევებში გამოსაყენებელი სამართლის საკითხზე, რომელიც ნებას რთავს პოლიგამიას.

### **უნგრეთი**

უნგრეთის საერთაშორისო კერძო სამართლის ძირითად წყაროს წარმოადგენს 1979 წლის 31 მაისის უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება, რომელიც ძალაში შევიდა 1979 წლის 1 ივლისს. ავსტრიის საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ კანონის შემდეგ ეს ბრძანებულება გვევლინება როგორც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნორმატიული აქტი საერთაშორისო კერძო სამართლის საკითხებზე. ზემოაღნიშნული ბრძანებულება იცნობს საქორწინო კონტრაქტის ცნებას. ბრძანებულების მე-VII თავში, კერძოდ კი §38-ში მოცემულია შემდეგი სამართალმდგომარეობანი:

1. მეუღლეთა პირადი და ქონებრივი სამართალურთიერთობანი, მეუღლეების მიერ გვარის არჩევის უფლების ჩათვლით, ასევე ვალდებულებანი, რომლებიც გამომდინარეობენ ურთიერთრჩენის მოვალეობიდან და საქორწინო კონტრაქტები განისაზღვრება იმ ქვეყნის სამართლის მიხედვით, რომელიც საქმის განხილვის მომენტისათვის არის მეუღლეებისათვის საერთო პიროვნული კანონი.
2. თუ მეუღლეთა პიროვნული კანონები საქმის განხილვის მომენტისათვის ერთმანეთისაგან განსხვავდება, მათი ურთიერთობანი განისაზღვრება მათი უკანასკნელი პიროვნული კანონის შესაბამისად, ხოლო თუ ასეთიც არ არსებობს, მაშინ იმ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად, რომლის ტერიტორიაზეც მეუღლეებს უკანასკნელად ჰქონდათ საცხოვრებელი ადგილი.
3. თუ მეუღლეებს არ ჰქონიათ საერთო საცხოვრებელი ადგილი, გამოიყენება იმ ქვეყნის სამართალი, რომლის სასამართლო ან ხელისუფლების რომელიმე სხვა უფლებამოსილი ორგანო იხილავს დავას.

4. მეუღლის პიროვნული კანონის ცვლილება არ იწვევს ქონებრივ შედეგებზე და საქორწინო კონტრაქტით განსაზღვრულ შედეგებზე ზეგავლენას.

წინამდებარე პარაგრაფში გამოტანილ საკითხთან მიმართებაში მნიშვნელოვანია იმ მდგომარეობის დადგენა, თუ რას მიიჩნევს უნგრეთის საერთაშორისო კერძო სამართლის კანონმდებლობა, კერძოდ კი ზემოაღნიშნული ბრძანებულება, ფიზიკური პირის პიროვნულ კანონად. განვიხილოდ ეს საკითხი.

ბრძანებულების §11 მოცემულია შემდეგი განმარტება: - "ადამიანის პიროვნულ კანონად მიიჩნევა იმ ქვეყნის სამართალი, რომლის მოქალაქეც არის იგი". იქვე, "თუ რომელიმე ადამიანს აქვს რამოდენიმე ქვეყნის მოქალაქეობა, და მათგან ერთი მაინც არის უნგრეთის, მის პიროვნულ კანონად ითვლება უნგრეთის სამართალი". აღსანიშნავია, რომ იმ შემთხვევაში, თუ "პირი რამოდენიმე ქვეყნის მოქალაქეა და ამავდროულად არ არის უნგრეთის მოქალაქე, ასევე მოქალაქეობის არმქონე პირისათვის", კანონმდებელი ადგენს - "პიროვნული კანონია იმ ქვეყნის სამართალი, რომლის ტერიტორიაზეც მათ აქვთ საერთო საცხოვრებელი ადგილი, მათ შორის უნგრეთის სამართალიც – თუ მათ აქვთ საერთო საცხოვრებელი ადგილი უნგრეთის ტერიტორიაზე". ამასთანავე ბრძანებულების §11-ში მოცემულია საცხოვრებელი ადგილის ცნება - "საცხოვრებელ ადგილად ჩაითვლება ადგილი, სადაც პირი ცხოვრობს ან აქვს იქ საცხოვრებლად დასახლების განზრახვა".

### ვენესუელა

ვენესუელის კანონი საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ მიღებულ იქნა 1998 წლის 6 აგვისტოს, ხოლო ძალაში შევიდა 1999 წლის 6 თებერვალს. ამ კანონის 22-ე მუხლის მიხედვით, ქორწინების ქონებრივი შედეგების მიმართ გამოსაყენებელი სამართალი განისაზღვრება მეუღლეთა საერთო საცხოვრებელი ადგილის ქვეყნის სამართლით, ხოლო თუ მეუღლეებს აქვთ სხვადასხვა საცხოვრებელი ადგილი, მაშინ მათი უკანასკნელი საერთო საცხოვრებელი ადგილის ქვეყნის სამართლის მიხედვით. ამავე მუხლში განსაზღვრულია, რომ საქორწინო კონტრაქტები ნამდვილნი არიან უცხოური "კომპეტენტური სამართლის" მიხედვით და შესაძლებელია რეგისტრირებულნი იყვნენ ნებისმიერ

დროს ვენესუელის მთავარ რეესტრში, თუ ამ კონტრაქტების შინაარსით განისაზღვრება კეთილსინდისიერ მესამე პირთა მიმართ იურიდიული შედეგების დადგომის შესაძლებლობა, რომელიც შესაძლებელია გამოყენებულ იქნას იმ უძრავი ქონების მიმართ, რომელიც მდებარეობს ვენესუელის რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

### **გერმანია**

გერმანიაში საერთაშორისო კერძო სამართლებრივი ნორმების უმრავლესობა თავმოყრილია გერმანული სამოქალაქო სჯულდების შესავალი კანონის მეორე თავში. აღნიშნული თავის მეთხუთმეტე მუხლის მიხედვით მეუღლეებს აქვთ უფლება აირჩიონ მათი ქონებრივი ურთიერთობების მიმართ იმ ქვეყნის სამართალი რომლის მოქალაქეც არის ერთ-ერთი მეუღლე, ასევე იმ ქვეყნის სამართალი რომელ ქვეყანაშიც ერთ-ერთ მეუღლეს აქვს ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი ან თუ ურთიერთობა ეხება უძრავ ქონებას ამ ქონების ადგილმდებარეობის ქვეყნის სამართალი.

ზემოაღნიშნული კანონის მეთოთხმეტე მუხლი ადგენს, რომ სამართლის არჩევა უნდა იყოს ნოტარიულად დადასტურებული. იმ შემთხვევაში, თუ სამართლის არჩევა არ განხორციელდა გერმანიაში, მაშინ სამართლის არჩევა ჩათვლება ნამდვილად თუ იგი შეესაბამება იმ ქვეყნის სამართლის ნორმებს კონტრაქტის ფორმის შესახებ, რომელიც იქნა არჩეული.

რაც შეეხება კონტრაქტის ფორმას, გერმანიის საერთაშორისო კერძო სამართლის კანონმდებლობის მიხედვით, კონტრაქტი ფორმის დაცვით დადებულად მიიჩნევა თუ მისი ფორმა შეესაბამება იმ ქვეყნის სამართალს რომელიც გამოყენებულ უნდა იქნას კონტრაქტის საგნის მიმართ, ან იმ ქვეყნის სამართალს სადაც იქნა დადებული კონტრაქტი.

### **საფრანგეთი**

საფრანგეთის სახელმწიფო ერთია იმ მრავალ განვითარებულ ევროპულ სახელმწიფოთაგან, რომელშიც კოლიზიური სამართალი არ არის კოდიფიცირებული ერთიან ნორმატიულ აქტში. ამ სფეროში ძირითად წყაროდ საფრანგეთში გვევლინება სასამართლო პრაქტიკა, რომელიც თავდაპირველად ეფუძნებოდა 1804 წლის სამოქალაქო კოდექსის ("ნაპოლეონის კოდექსი") რამოდენიმე სამართალმდგომარეობას.

განსახილველ საკითხთან მიმართებაში საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი შეიცავს არაერთ სამართალმდგომარეობას, რომელიც მეტად სპეციფიურია თუ პარალელს გაავალვებთ ევროპის სხვა ქვეყნების საერთაშორისო კერძო სამართლის კანონმდებლობასთან.

ასე მაგალითად საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1397-3-ე მუხლი ისევე, როგორც 1397-4-ე მუხლი ეზღვნება მეუღლეების მიერ სამართლის არჩევის საკითხს. ამ მუხლების მიხედვით მეუღლეებს შეუძლიათ აირჩიონ ქონებრივი რეჟიმის მიმართ გამოსაყენებელი სამართალი, როგორც ქორწინებამდე ისე ქორწინების განმავლობაში ნებისმიერ დროს. იმ შემთხვევაში თუ გამოსაყენებელი სამართლის არჩევა ხდება ქორწინების რეგისტრაციის შემდეგ, მაშინ მეუღლეებმა უნდა დაიცვან საჯაროობის მოთხოვნები რომლებიც დადგენილია საფრანგეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსით. საჯაროობის მოთხოვნები ასევე დაცული უნდა იყოს მეუღლეების ქონებრივი რეჟიმის ნებისმიერი ცვლილების განხორციელებისას, როდესაც ეს ცვლილება გამოწვეულია უცხოური სამართალით (რომელიც აწესრიგებს ქორწინების შედეგებს).

### შვეიცარია

1987 წლის 18 დეკემბერს შვეიცარიაში მიღებულ იქნა ფედერალური კანონი საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ, რომელმაც თავის მხრივ შეცვალა მანამდე მოქმედი ფედერალური კანონი "ქვეყანაში დროებით ან მუდმივად მყოფი მოქალაქეების შესახებ".

დღევანდელ დღეს შვეიცარიაში მოქმედი ფედერალური კანონი საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა 1989 წლის 1 იანვარს არის მოცულობით ყველაზე დიდი კანონი მსოფლიოში, რომელიც ეხება საერთაშორისო კერძო სამართლის საკითხებს. ზემოაღნიშნული კანონი შედგება 201 მუხლისაგან.

საქორწინო კონტრაქტთან მიმართებაში ფედერალური კანონი ადგენს, რომ მეუღლეებს აქვთ სრული უფლება აირჩიონ გამოსაყენებელი სამართალი. ამასთან განსაზღვრავს, რომ მეუღლეებს შეუძლიათ აირჩიონ ერთ-ერთი მეუღლის მოქალაქეობის ქვეყნის სამართალი ან იმ ქვეყნის სამართალი, რომელშიც მათ აქვთ ან ექნებათ ქორწინების შემდგომ საცხოვრებელი ადგილი. სამართლის არჩევა ფედერალური კანონის თანახმად უნდა იყოს განხორციელებული წერილობითი ფორმით ან

ნათლად გამოდინარეობდეს საქორწინო კონტრაქტიდან. სამართლის არჩევა შესაძლებელია განხორციელდეს ნებისმიერ დროს. ამასთან საყურადღებოა ის გარემოება, რომ სამართლის არჩევას აქვს უკუძალა და ითვლება ნამდვილად ქორწინების რეგისტრაციის დღიდან თუ მეუღლეები არ შეთანხმდნენ სხვა წესზე. არჩეული სამართალი გამოიყენება იმ დრომდე სანამ მეუღლეები არ შეცვლიან ან არ შეწყვეტენ მას.

იმ შემთხვევაში თუ მეუღლეებმა საქორწინო კონტრაქტით ან ცალკე ხელშეკრულებით არ აირჩიეს ქონებრივი რეჟიმის მიმართ გამოსაყენებელი სამართალი, გამოიყენება იმ ქვეყნის სამართალი, რომელშიც მეუღლეებს აქვთ საერთო საცხოვრებელი ადგილი. ამ უკანასკნელის არარსებობისას გამოიყენება იმ ქვეყნის სამართალი, რომელშიც მეუღლეებს ჰქონდათ უკანასკნელი საერთო საცხოვრებელი ადგილი. იმ შემთხვევაში, თუ მეუღლეებს საერთოდ არ ჰქონიათ საერთო საცხოვრებელი ადგილი, - იმ ქვეყნის სამართალი რომლის მოქალაქეებიც ისინი არიან (იგულისხმება შემთხვევა, როდესაც ორივე მეუღლე ერთი და იმავე სახელმწიფოს მოქალაქეა). თუ მათ არ აქვთ საერთო საცხოვრებელი ადგილი და ამავდროულად არ გააჩნიათ საერთო მოქალაქეობა, მაშინ მეუღლეთა ქონების საკუთრების სამართლებრივი რეჟიმის მიმართ გამოიყენება შვეიცარიის კანონმდებლობით დადგენილი განცალკევებული საკუთრების სამართლებრივი რეჟიმი.

რაც შეეხება საქორწინო კონტრაქტის ფორმის საკითხს, ზემოაღნიშნული ფედერალური კანონი უშუალოდ განმარტავს, რომ საქორწინო კონტრაქტი ფორმის დაცვით ითვლება დადებულად თუ იგი შესაბამეხა გამოსაყენებელ მატერიალურ სამართალს ან იმ ქვეყნის სამართალს, რომელშიც (სადაც) იგი დაიდო.

### **ესპანეთი**

თანამედროვე ესპანურ სამართალში საერთაშორისო კერძო სამართლებრივი ნორმები მოქცეულია ესპანეთის სამოქალაქო კოდექსის შესავალ ტიტულში რომელიც მიღებული იყო 1889 წლის 24 ივლისს. ძველი საერთაშორისო კერძო სამართლებრივი რეგულირება შეცვლილ იქნა 1974 წლის 31 მაისის დეკრეტით (რომელსაც კანონის ძალა გააჩნდა) და რომელმაც ზემოაღნიშნულ ტიტულს დაუმატა თავი IV "საერთაშორისო კერძო სამართალი" და მეხუთე თავი "ნაციონალურ



ტერიტორიაზე არსებული სამოქალაქო-სამართლებრივი რეჟიმების გამოყენების სფერო”<sup>27</sup>

ესპანეთის საერთაშორისო კერძო სამართლის კანონმდებლობის, კერძოდ კი სამოქალაქო კოდექსის შესავალი ტიტულის მეცხრე მუხლის მესამე ნაწილის მიხედვით, შეთანხმებები ან საქორწინო კონტრაქტები, რომლის მეშვეობითაც განისაზღვრება ან იცვლება ქორწინების ქონებრივი რეჟიმი, ნამდვილად ითვლება, თუ, ისინი, კონტრაქტის ან შეთანხმების შედგენის მომენტისათვის შესაბამისობაში იმყოფებიან ქორწინების შედეგების განმსაზღვრელი ქვეყნის სამართალთან ან მხარეების მოქალაქეობის ან ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილის ქვეყნის სამართალთან.

ამავდროულად ზემოაღნიშნული მეცხრე მუხლის მეორე ნაწილი განმარტავს, რომ ქორწინების შედეგები განისაზღვრება მეუღლეთა საერთო პიროვნული კანონის მიხედვით, ქორწინების მომენტისათვის. თუ მეუღლეებს არ გააჩნიათ საერთო პიროვნული კანონი, მაშინ შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ერთ-ერთი მეუღლის პიროვნული კანონი ან ერთ-ერთი მეუღლის ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილის ქვეყნის სამართალი. აქვე ესპანეთის კანონმდებელი ამბობს, რომ ქორწინების შედეგების მიმართ შესაძლებელია გამოყენებულ იქნას იმ ქვეყნის სამართალი, რომელიც მეუღლეების მიერ არჩეული იყო ქორწინების რეგისტრაციამდე. თუ მეუღლეებმა არ განახორციელეს ქორწინების შედეგების მიმართ გამოსაყენებელი სამართლის არჩევა, მაშინ შეიძლება გამოყენებული იყოს იმ ქვეყნის სამართალი სადაც მეუღლეებს ჰქონდა ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილი უშუალოდ ქორწინების რეგისტრაციის შემდეგ, ხოლო თუ ასეთი არ არსებობს, მაშინ იმ ქვეყნის სამართალი სადაც განხორციელდა ქორწინება.

საქორწინო კონტრაქტის ფორმის საკითხთან დაკავშირებით ესპანეთის საერთაშორისო კერძო სამართლის კანონმდებლობა განსაზღვრავს, რომ კონტრაქტი ფორმის დაცვით ითვლება დადებული, თუ იგი შეესაბამება იმ ქვეყნის სამართლის მოთხოვნებს კონტრაქტის ფორმის შესახებ რომელშიც (სადაც) იგი უშუალოდ დაიდო.

---

<sup>27</sup> Жильцов, А., & Муранов, А. (2001). *Международное частное право*. (стр. 306), Москва: издательство "статут".

### **პოლონეთი**

ჩეხეთში 1963 წელს, ხოლო ალბანეთში 1964 წელს მიღებული კანონების შემდგომ, პოლონეთში 1965 წლის 12 ნოემბერს მიღებული კანონი "საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" არის ევროპაში რიგით მესამე სპეციალიზირებული დამოუკიდებელი ნორმატიული აქტი რომელიც ეძღვნება საერთაშორისო კერძო სამართლის საკითხებს. პოლონეთის საერთაშორისო კერძო სამართლის კანონის 17-ე მუხლი განსაზღვრავს, რომ: პირადი ქონებრივი და არაქონებრივი ურთიერთობები მეუღლეთა შორის რეგულირდება მათი საერთო ნაციონალური (პიროვნული) სამართლით. ამ სამართლით ასევე განისაზღვრება საქორწინო კონტრაქტის დადების, შეცვლისა და შეწყვეტის დასაშვებობის საკითხები. ზემოაღნიშნული მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით მეუღლეთა შორის არსებული ქონებრივი ურთიერთობები, რომლებიც წარმოიშვნენ საქორწინო კონტრაქტის დადების შედეგად, რეგულირდება საქორწინო კონტრაქტის დადების მომენტისათვის არსებული მეუღლეთა საერთო ნაციონალური სამართლით. იმ შემთხვევაში თუ ასეთი საერთო სამართალი არ არსებობს, მაშინ გამოიყენება იმ ქვეყნის სამართალი რომელშიც ორივე მეუღლეს აქვს საცხოვრებელი ადგილი, ამ უკანასკნელის არ არსებობისას კი პოლონეთის სამართალი.

რაც შეეხება საქორწინო კონტრაქტის ფორმას მის მიმართ პოლონეთის კანონმდებელი ავრცელებს იმავე წესებს რაც ზოგადად არსებობს გარიგების ფორმასთან დაკავშირებით და ადგენს: - "გარიგების ფორმა განისაზღვრება იმ ქვეყნის სამართლით, რომელიც გამოიყენება გარიგების ამ კონკრეტული სახეობის მიმართ, მაგრამ საკმარისია იმ ფორმის დაცვა, რომელიც დადგენილია იმ ქვეყნის მიერ სადაც იდება გარიგება იმისათვის, რომ გარიგება ჩაითვალოს ფორმის დაცვით დადებულად".

### **პორტუგალია**

პორტუგალიაში კოლიზიური სამართლის ნორმები მოქცეულია სამოქალაქო კოდექსში, რომელიც მიღებულ იქნა 1966 წელს და რომელმაც შეცვალა 1966 წლამდე მოქმედი სამოქალაქო კოდექსი ("სეაზრის კოდექსი"). პორტუგალიაში მოქმედი საერთაშორისო კერძო სამართლის ნორმები მრავალ საკითხს ეხება, მათ შორის ჩვენს მიერ განსახილველს – საქორწინო კონტრაქტს. სამოქალაქო კოდექსის 49-ე მუხლი განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს, იმ გარემოების გამო, რომ იგი ეხება არამართო დაქორწინების პირობებს, არამედ, საქორწინო

---

© გიორგი გ. თუმანიშვილი, 2010

საქორწინო კონტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის არც ერთი ნაწილი, არანაირი მიზეზით, არ შეიძლება კვლავწარმოებული (რეპროდუცირებული) იყოს ნებისმიერი ფორმით და ხერხით - იქნება ეს ელექტრონული თუ მაგნიტური, ციფრული თუ ფოტოკოპირებული ან სხვა საშუალებით, საავტორო უფლების მფლობელის წერილობითი თანხმობის ან/და სათანადო წესით გაწვრივებული მითითების გარეშე.

კონტრაქტის დადების შესაძლებლობას. მისი სათაური პორტუგალიურიდან ითარგმნება როგორც: - "დაქორწინებისა და წინასაქორწინო კონტრაქტის დადების უნარი". აღნიშნული მუხლის თანახმად ქორწინებისა და წინასაქორწინო კონტრაქტის დადების უნარი რეგულირდება თითოეული მეუღლის მიმართ – მისი პიროვნული კანონის (სამართლის) მიხედვით. ამავე სამართლით განისაზღვრება კონტრაქტის მხარეების ე.წ. "ნების არარსებობის" და "ნების ნაკლის" საკითხები. გარდა ზემოაღნიშნულისა პორტუგალიის სამოქალაქო კოდექსი ცალკე გამოყოფს მუხლს - "წინასაქორწინო კონტრაქტები და ქონების რეჟიმები". ეს მუხლი განსაზღვრავს "წინასაქორწინო კონტრაქტის" შინაარსის და შედეგების მიმართ გამოსაყენებელ სამართალს, კერძოდ კი ადგენს, რომ: წინასაქორწინო კონტრაქტის შინაარსი და შედეგები, ასევე ქონების რეჟიმი: კანონით დადგენილი თუ სახელმწიფოებრივად განისაზღვრება იმ ქვეყნის სამართლით, რომლის მოქალაქეებიც არიან დასაქორწინებელი პირები ქორწინების მომენტისათვის. თუ დასაქორწინებელ პირებს არ გააჩნიათ საერთო (ერთი ქვეყნის) მოქალაქეობა, მაშინ გამოყენებულ უნდა იქნეს ქორწინების მომენტისათვის მათი "ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი" ქვეყნის სამართალი. თუ ეს უკანასკნელიც არ არსებობს – მაშინ პირველი "მეუღლეთა ადგილსამყოფელი" ქვეყნის სამართალი.

### **ტაილანდი**

ტაილანდი განეკუთვნება იმ აზიურ სახელმწიფოთა მცირე რიცხვს, რომლებსაც უკვე XX საუკუნის პირველი ნახევრისათვის ჰქონდათ სპეციალური კანონი, რომელიც ეძღვნებოდა კოლიზიური რეგულირების საკითხებს. ასეთად კი გვევლინება დღევანდელ დღეს ტაილანდში მოქმედი კანონი "კანონთა კონფლიქტის შესახებ", რომელიც მიღებულ იქნა 1938 წლის 10 მარტს. კანონის მეხუთე თავი მთლიანად ეძღვნება საოჯახო-სამართლებრივ ურთიერთობებში არსებულ კოლიზიურ საკითხებს. განსახილველ საკითხთან მიმართებაში საინტერესოა კანონის 22-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც მეუღლეთა ქონების მიმართ, იმ შემთხვევაში თუ არ არსებობს წინასაქორწინო (საქორწინო) კონტრაქტი, გამოიყენება მათი მოქალაქეობრივი კუთვნილების ქვეყნის სამართალი. თუ მეუღლეებს აქვს სხვადასხვა მოქალაქეობა, მაშინ მეუღლე-ქმრის მოქალაქეობის ქვეყნის სამართალი. გამონაკლისია მხოლოდ უძრავ ქონებასთან დაკავშირებული გამოსაყენებელი სამართალი, რომელიც იმპერატიულად მისი ადგილმდებარეობის ქვეყნის სამართალით

© გიორგი გ. თუმანიშვილი, 2010

საქორწინო კონტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის არც ერთი ნაწილი, არანაირი მიზეზით, არ შეიძლება კვლავწარმოებული (რეპროდუცირებული) იყოს ნებისმიერი ფორმით და ხერხით - იქნება ეს ელექტრონული თუ მაგნიტური, ციფრული თუ ფოტოკოპირებული ან სხვა საშუალებით, საავტორო უფლების მფლობელის წერილობითი თანხმობის ან/და სათანადო წესით გახსოვრილებული მითითების გარეშე.

განისაზღვრება. კანონის 24-ე მუხლი ეხება წინასაქორწინო (საქორწინო) კონტრაქტთან მიმართებაში მეუღლეთა ქმედუნარიანობის საკითხებს. ზემოაღნიშნული მუხლი ადგენს, რომ წინასაქორწინო კონტრაქტის დადებასთან დაკავშირებული ქმედუნარიანობის საკითხები განისაზღვრება თითოეული მხარის მოქალაქეობრივი კუთვნილების ქვეყნის სამართლის მიხედვით. ამავე კანონის 25-ე მუხლი ეძღვნება წინასაქორწინო კონტრაქტის შინაარსთან დაკავშირებულ საკითხებს. ეს მუხლი ადგენს, რომ წინასაქორწინო კონტრაქტის პირობები და კონტრაქტის შედეგები განისაზღვრება იმ სამართლით, რომელიც საერთოა კონტრაქტის მხარეებისათვის (თუ მათ გააჩნიათ საერთო მოქალაქეობა). საერთო მოქალაქეობის არარსებობის შემთხვევაში წინასაქორწინო კონტრაქტის პირობები და შედეგები განისაზღვრება იმ ქვეყნის სამართლის მიხედვით, რომლის "მორჩილების ქვეშ აპირებდნენ ან სავარაუდოთ შეეძლოთ დაეპირებინათ მხარეებს ყოფნა". იმ შემთხვევაში თუ ასეთ დაპირებას ადგილი არ ჰქონია, მაშინ განმსაზღვრელია იმ ქვეყნის სამართალი სადაც ქორწინების შემდეგ მეუღლეებს ჰქონდათ პირველი საცხოვრებელი ადგილი.

### **ირანი**

ირანის საერთაშორისო კერძო სამართლის კანონმდებლობა საკმაოდ მცირე მოცულობისაა და შესაბამისად საკითხთა მცირე წრეს მოიცავს. მიუხედავად ამისა, მასში მაინც არის მოცემული რამოდენიმე სამართალმდგომარეობა ჩვენს მიერ განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. ირანის სამოქალაქო კოდექსის მეორე ტომი, რომელიც ეძღვნება პირებს, ადგენს ფუძემდებლურ პრინციპს, რომ იმ შემთხვევაში, თუ მეუღლეები არიან სხვადასხვა ქვეყნის ქვეშევრდომები (იგულისხმება მოქალაქეები), მათი უფლებები, რომლებიც ეხება მათ პიროვნებას და ქონებას განისაზღვრება მეუღლის "ნაციონალური" (პიროვნული) სამართლის მიხედვით. აღსანიშნავია, რომ მამრობითი სქესის წარმომადგენელს ირანის საერთაშორისო კერძო სამართლის კანონმდებლობის (და, შეგვიძლია განვაზოგადოთ - საერთოდ ირანის სამართლის) მიხედვით, მრავალ საკითხში ენიჭება დომინანტის როლი.

რაც შეეხება გარიგებათა ფორმის საკითხს, ირანის სამოქალაქო კოდექსის 969-ე მუხლის მიხედვით ნებისმიერი "დოკუმენტის" ფორმა განისაზღვრება მათი დადების ადგილის სამართლის მიხედვით.

**იაპონია**

იაპონიაში საქორწინო კონტრაქტის ინსტიტუტთან დაკავშირებულ კოლიზიურ საკითხებს მოიცავს 1898 წლის N 10 კანონი "კანონთა გამოყენების შესახებ". ხსენებული კანონის 15-ე მუხლი მთლიანად ეძღვნება მეუღლეთა ქონების საკუთრების რეჟიმებს. ზემოაღნიშნული მუხლი ითვალისწინებს მეუღლეთა შესაძლებლობას საქორწინო კონტრაქტით ან ცალკე ხელშეკრულებით განსაზღვრონ მათი მომავალი ან უკვე არსებული ქონების საკუთრების რეჟიმების მიმართ გამოსაყენებელი სამართალი. ამავდროულად ადგენს, რომ მეუღლეების მიერ შესაძლებელია არჩეულ იქნას ნებისმიერი მეუღლის მოქალაქეობის ქვეყნის სამართალი, ასევე ნებისმიერი მეუღლის "ადგილსამყოფელის (ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილის)" ქვეყნის სამართალი და იმ ქვეყნის სამართალი სადაც მდებარეობს ის უძრავი ქონება, რომლის მიმართაც ვრცელდება მეუღლეთა ქონების საკუთრების სამართლებრივი რეჟიმი.

ასევე მნიშვნელოვანია იაპონიის სამოქალაქო კოდექსში არსებული სამართალმდგომარეობა რომლის მიხედვითაც: - თუ მეუღლეთა მიერ ერთადცხოვრების პერიოდში შეძენილი ქონების საკუთრების რეჟიმის მიმართ ვრცელდება უცხო ქვეყნის სამართალი და იაპონიის ტერიტორიაზე ადგილი აქვს რაიმე იურიდიული შედეგების მქონე ქმედებას, რომელიც ეხება კეთილსინდისიერ მესამე პირთა ინტერესებს ამ ქონების მიმართ არ ჩაითვლება ნამდვილად. ამ შემთხვევაში გამოიყენება იაპონიის სამართალი.

იაპონიის სამოქალაქო კოდექსი ამავე მუხლში განსაზღვრავს ამ წესიდან გამონაკლისს, რომლის მიხედვითაც თუ საქორწინო კონტრაქტი, რომლის მეშვეობითაც წარმოიშვა განსხვავებული საკუთრების რეჟიმი მეუღლეთა ქონებაზე რეგისტრირებულ იქნება იაპონიაში, მიუხედავად ზემოჩამოყალიბებული წესისა ჩაითვლება ნამდვილად კეთილსინდისიერ მესამე პირთა მიმართ.

## § V

## კონცეფცია

## საქორწინო კონტრაქტთა ერთიანი რეესტრის შესახებ

როდესაც თანამედროვე მსოფლიოში ჩნდება აზრი ერთიანი ინსტიტუციონალური წარმონაქმნის შექმნის შესახებ, რომლის წევრები მსოფლიოს მრავალი სახელმწიფოები იქნებიან, იმწამითვე ამ აზრს უჩნდება მოწინააღმდეგეები, რომლებიც ამ ყოველივეს უკავშირებენ გლობალიზაციის პროცესს და მიიჩნევენ ამა თუ იმ კუთხით დამლუპველად კაცობრიობისათვის.

წინამდებარე ნაშრომზე მუშაობის პროცესის დროს ჩვენ წავაწყდით მრავალ პრობლემატურ საკითხს, რომელნიც უშუალოდ დაკავშირებულია უძრავ თუ მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტის საკითხებთან. მრავალ ქვეყანაში არსებობს ერთიანი სახელმწიფო რეესტრი, რომელიც ახდენს მონაცემთა ამა თუ იმ ნიშნის მიხედვით სისტემატიზაციას.

საქართველოში 2004 წელს შეიქმნა ახალი სტრუქტურული წარმონაქმნი - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. ჩვენს ქვეყანაში არსებული სახელმწიფო რეესტრი კანონით ხუთ სახედ იყოფა: 1. სამოქალაქო რეესტრი; 2. კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრი; 3. მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების (პარტიების) რეესტრი; 4. ნორმატიული აქტების რეესტრი; 5. საჯარო რეესტრი.

აღსანიშნავია, რომ არც ერთი ზემოჩამოთვლილი რეესტრის უშუალო ფუნქციაში არ შედის საქორწინო კონტრაქტების აღრიცხვა. ნიშანდობლივია, რომ საქართველოს კანონმდებლობა არც ითვალისწინებს საქორწინო კონტრაქტის სავალდებულო რეგისტრაციას რომელიმე ზემოჩამოთვლილ რეესტრში. ხასგასასმელია ის გარემოება, რომ დღეისათვის არსებული მდგომარეობა ჩვენს მიერ დამსულ საკითხთან მიმართებაში წინააღმდეგობაში შედის საქართველოში მოქმედი სამართლის არაერთ ნორმასთან, ვინაიდან საქორწინო კონტრაქტით მეუღლეებს შესაძლოა წარმოეშვათ ქონებაზე საკუთრების უფლება, ხოლო ამ უკანასკნელის წარმოშობა, შეცვლა და შეწყვეტა უნდა ექვემდებარებოდეს საჯარო რეესტრში სავალდებულო რეგისტრაციას.

© გიორგი გ. თუმანიშვილი, 2010

საქორწინო კონტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის არც ერთი ნაწილი, არანაირი მიზეზით, არ შეიძლება კვლავწარმოებული (რეპროდუცირებული) იყოს ნებისმიერი ფორმით და ხერხით - იქნება ეს ელექტრონული თუ მაგნიტური, ციფრული თუ ფოტოკოპირებული ან სხვა საშუალებით, საავტორო უფლების მფლობელის წერილობითი თანხმობის ან/და სათანადო წესით გახსოვრიელებული მითითების გარეშე.

ნაშრომზე მუშაობისას, საქართველოში დადებული საქორწინო კონტრაქტების მოძიების პერიოდში, ჩვენ მოგვიხდა პრაქტიკულად ყველა სანოტარო ბიუროს შემოვლა, ვინაიდან ნოტარიუსთა პალატას არ გააჩნია ერთიანი სისტემატიზირებული მონაცემები საქორწინო კონტრაქტების დადასტურებასთან (რაოდენობასთან) მიმართებაში (ერთი კალენდარული წლის ან თუნდაც კალენდარული თვის განმავლობაში), თუმცა პრაქტიკულად ყველა სხვა (დანარჩენ) ხელშეკრულებათა მიმართ ეს მონაცემები (სტატისტიკური) სისტემატიზირებული სახით არსებობს და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის ნოტარიუსთა პალატის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (<http://www.notary.ge>). არაფერი რომ ვთქვათ თვით ამ კონტრაქტთა მწელად მისაწვდომობის შესახებ.

მართალია ჩვენს სახელმწიფოში დღევანდელი დღისათვის ჯერ დამკვიდრებული არ არის საქორწინო კონტრაქტი (საზოგადოების დაკვეთა ამ კონტრაქტთა დიდი რაოდენობით დადების თაობაზე საკმაოდ მცირეა), მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ გამართლებულია საკანონმდებლო ბაზის არარსებობა საქორწინო კონტრაქტთა სისტემატიზაციის საკითხში.

ასეთი ერთიანი მონაცემთა ბაზის არარსებობამ შესაძლოა გამოიწვიოს მრავალი სავალალო შედეგი, არაფერი რომ არ ვთქვათ იმ ინფორმაციულ ვაკუუმზე რომელიც არსებობს ამ საკითხებთან დაკავშირებით, ვინაიდან შესაძლებელია ითქვას, რომ კრედიტორებისათვის (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეუღლეები კეთილსინდისიერად ეკიდებიან მათ (თითოეულის) ვალდებულებას აცნობონ კრედიტორს ასეთი კონტრაქტის (მასში გათვალისწინებული ქონებრივი ურთერთობის რეგულირების და კანონით დადგენილი სამართლებრივი რეჟიმის ცვლილებასთან მიმართებაში) შესახებ.

ვფიქრობ, აუცილებელია საქორწინო კონტრაქტთა ერთიანი რეესტრის შექმნა. რეესტრი განახორციელებს საქორწინო კონტრაქტთა, მათში ცვლილებებისა და დამატებების რეგისტრაციას და სისტემატიზაციას. ასევე გასცემს შესაბამის ამონაწერებს საქორწინო კონტრაქტთა რეგისტრაციის და მეუღლეთა მიერ დადგენილი საკუთრების რეჟიმის შესახებ. აღნიშნული რეესტრის წარმოება შესაძლოა ფუნქციურად

შეითავსოს საჯარო რეესტრმა რაც მოითხოვს შესაბამის ცვლილებას და დამატებას საქართველოს კანონში „სახელმწიფო რეესტრის შესახებ“ და საქართველოს კანონში „საჯარო რეესტრის შესახებ“ ან შესაძლებელია დაფუძნდეს (შეიქმნას) კონკრეტული, დამოუკიდებელი რეესტრი, რომელიც განახორციელებს საქორწინო კონტრაქტთა რეგისტრაციას. შესაბამისად აუცილებელი იქნება ცვლილებებისა და დამატებების შეტანა საქართველოს კანონში „სახელმწიფო რეესტრის შესახებ“ და ახალი ნორმატიული აქტის შემუშავება და მიღება საქორწინო რეესტრის შესახებ. ვფიქრობ, რომ ამ ეტაპზე ბევრად გამართლებულია (საქორწინო კონტრაქტთა სიმცირისა და მასზე მცირე საზოგადოებრივი მოთხოვნის გამო) საქორწინო კონტრაქტთა რეესტრის წარმოება განახორციელოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ. ასევე განსახორციელებელი იქნება შესაბამისი ცვლილებები იმ ნორმატიულ აქტებში, რომლითაც რეგულირდება საწოტარო საქმიანობა და საწოტარო მოქმედებათა შესრულების წესი (მეუღლის თანხმობის გამოთხოვის დაუშვებლობა).

საქორწინო კონტრაქტის რეგისტრაცია ზემოაღნიშნულ რეესტრში უნდა იყოს სავალდებულო და მხოლოდ საქორწინო კონტრაქტთა რეესტრში რეგისტრაციის შემდგომ საქორწინო კონტრაქტი უნდა შედიოდეს ძალაში. იგივე წესი უნდა გავრცელდეს საქორწინო კონტრაქტში ცვლილებების შეტანასა და კონტრაქტის შეწყვეტასთან დაკავშირებით.

ინფორმაცია საქორწინო კონტრაქტთა რეესტრში უნდა იყოს საჯარო და ექცეოდეს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მესამე თავის მოქმედების ქვეშ. ამ წესიდან გამონაკლისს უნდა შეადგენდეს მხოლოდ ის ინფორმაცია, რომელიც არ ეხება საქორწინო კონტრაქტში განსაზღვრულ მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობის საკითხს (სხვა ხასიათის და შინაარსის დოკუმენტი).

რეესტრიდან ამონაწერის აღება უნდა შეეძლოს ნებისმიერ დაინტერესებულ პირს. გარდა ამისა, რეესტრიდან ამონაწერის აღება უნდა იყოს სავალდებულო იმ შემთხვევაში, როდესაც ფიზიკური თუ იურიდიული პირი მონაწილეობს უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ გარიგებაში, ხოლო გარიგების ერთ-ერთი მხარე ფიზიკური პირია. მართალია ამ აზრს შესაძლოა მრავალმა მეცნიერმა თუ პრაქტიკოსმა



იურისტმა გაუწიოს ოპონირება, მაგრამ ამ სავალდებულო მოქმედებით დაცული იქნება ნებისმიერი მესამე პირის ინტერესი და ამ გარემოებით ჩვენ არგუმენტაციას უწევთ წარმოთქმული წინადადების მართებულობას სამართლის კრილში.

ჩვენი აზრით, საქორწინო კონტრაქტთა ერთიანი რეესტრის შექმნას საქართველოში უმნიშვნელოვანესი სამართლებრივი და სოციალურ-ფსიქოლოგიური დატვირთვა გააჩნია.

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ მრავალი ქვეყანა იცნობს როგორც საქორწინო კონტრაქტთა სახელმწიფო რეგისტრაციის (მონაცემთა შემდგომი სისტემატიზაციისა და საჯაროობის) სავალდებულობას ასევე იცნობს საქორწინო კონტრაქტთა გამოქვეყნების აუცილებლობის ინსტიტუტს (საფრანგეთი).

ვფიქრობ, რომ მესამე პირთა სამართლებრივი ინტერესების დაცვისა მიზნით ასევე მეტად მნიშვნელოვანია, რომ გაგრძელდეს სხვადასხვა ქვეყნების იურისტთა მუშაობა იმ მიმართულებით, რომ ქვეყნებმა შემქნან ერთიანი სისტემატიზირებული მონაცემთა ბაზა (რეესტრი) საქორწინო კონტრაქტებთან მიმართებაში. ამ რეესტრის არარსებობა საფრთხეს უქმნის კრედიტორთა სამართლებრივ ინტერესებს, ვინაიდან ხშირ შემთხვევაში მათთვის აბსოლუტურად შეუძლებელია იმის დადგენა აქვს თუ არა პირს დადებული საქორწინო კონტრაქტი, აღარაფერი რომ ვთქვათ ამ კონტრაქტის შინაარსის (თუნდაც ქონებრივი ურთიერთობის რეგულირების სპეციფიკური მხარეების) ხელმისაწვდომობაზე.

საქორწინო კონტრაქტთა ერთიანი მსოფლიო რეესტრი ჩემი კონცეფციის თანახმად უნდა ახორციელებდეს კონფერენციზე მიღებული საერთაშორისო ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა საქორწინო კონტრაქტთა ეროვნული რეესტრების მონაცემების სისტემატიზაციას და ამა თუ იმ ნიშნით დამუშავებას. ასევე ის უფლებამოსილი უნდა იყოს გასცეს ამონაწერები, მიაწოდოს დაინტერესებულ მხარეს მის წერილობით მოთხოვნისამებრ ლიტერალური ფორმით სათანადო ინფორმაცია, რომელიც არ ლახავს კონტრაქტში მონაწილე პირთა ადამიანის უფლებებს და ექვემდებარება საჯარო ინფორმაციის გავრცელებაზე დაწესებულ საერთაშორისო თუ შიდასახელმწიფო სამართლის მიერ სათანადო წესს, (და ა.შ.).

დავსვით კითხვა - რისთვის არის, ჩვენი აზრით აუცილებელი, საქორწინო კონტრაქტთა ერთიანი (საერთაშორისო) რეესტრის არსებობა? პასუხი დასმულ კითხვაზე შემდეგია: იმისათვის, რომ სათანადოდ დაცულ იქნას ნებისმიერი დაინტერესებული მესამე პირის ინტერესები, აუცილებელია, რომ მას ხელი მიუწვდებოდეს საქორწინო კონტრაქტში ასახულ ინფორმაციაზე, რომელიც ეხება მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობის საკითხს.

აღსანიშნავია, მოყვანილ კონტექსტში მნიშვნელოვანი გარემოება იმის თაობაზე, რომ დღევანდელ მსოფლიოში ამგვარი ხელმისაწვდომობა არ არსებობს. არსებული ვითარება, ჩვენი ღრმა რწმენით, საფრთხეს უქმნის კეთილსინდისიერ მესამე პირს, და შესაბამისად, ხსენებულ გარემოებათა გამო, მსოფლიოს ამა თუ იმ ქვეყნის მრავალ მოქალაქეს ან/და იურიდიულ პირს. აქვე დავძენთ, რომ ერთიანი რეესტრის არსებობის პირობებში გადაწყვეტილი იქნება არა მარტო ხსენებული პრობლემა, არამედ შევსებული იქნება ის ინფორმაციული ვაკუუმი რომელშიც დღეისათვის იმყოფება მთელი მსოფლიო ზემოწამოჭრილ საკითხთან მიმართებაში.

აქვე გვინდა ავღნიშნოთ, რომ ერთიან (საერთაშორისო) რეესტრში არსებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობა შესაძლებელია აბსოლუტურად გამარტივებული იყოს იმით, რომ მონაცემებისა და რეესტრის ამონაწერის მიღება, ისევე როგორც შესაბამისი განცხადება ამ მონაცემებისა და ამონაწერის მიღების შესახებ შესაძლებელია ასევე განხორციელებულ იყოს ინტერნეტის მეშვეობით, ინტერნეტში არსებული ვებ-გვერდის გამოყენებით, Online რეჟიმში.

## დასკვნა

წინამდებარე ნაშრომის პირველ თავში განხილული თემების შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგად მიღებულია შემდეგი დასკვნები:

პირველ პარაგრაფში განხილულია საქორწინო კონტრაქტი, როგორც სამართლებრივი ინსტიტუტი. დასმული საკითხი შესწავლილია სამართლებრივ და სოციალურ-ფსიქოლოგიურ რაკურსში. საქორწინო კონტრაქტი წარმოდგენილია როგორც სამართლებრივი და სოციალურ-ფსიქოლოგიური ფენომენი. საკითხი განხილულია კონკრეტულ ნორმატიულ მასალაზე და ავტორის მიერ ჩატარებულ კვლევებზე დაყრდნობით. განხილულია ქართველი იურისტების მოსაზრებანი და მტკიცებულებანი საქორწინო კონტრაქტის არსთან დაკავშირებით.

განალიზებულია ის სოციალური და ფსიქოლოგიური ფაქტორები, რომლებიც განაპირობებენ პირის დამოკიდებულებას საქორწინო კონტრაქტისადმი. კვლევის შედეგები:

- 1.1.** სსკ 1172-ე მუხლი წინააღმდეგობაში მოდის სსკ 1173-ე მუხლთან, რომელშიც ნათქვამია - საქორწინო კონტრაქტი შეიძლება დაიდოს, როგორც ქორწინების რეგისტრაციამდე, ისე რეგისტრაციის შემდეგ ნებისმიერ დროს. სსკ 1172-ე მუხლმა, საერთო წესის თანახმად, როგორც ინსტიტუტში შემავალმა პირველმა ნორმამ უნდა განსაზღვროს ცნება. აღნიშნული მუხლი მიუთითებს მხოლოდ მეუღლეთა უფლებაზე დადონ საქორწინო კონტრაქტი. თუ სამართლის ამ ნორმაში ჩასამატებელი იქნება "დასაქორწინებელ პირებს ან...", ასეთ შემთხვევაში ხსენებული სამართლის ნორმა იქნება სამართლებრივად გამართული.
- 1.2.** ქართული საოჯახო სამართლის სფეროში მოღვაწე იურისტების პოზიცია, რომ საქორწინო კონტრაქტში შესაძლოა განისაზღვროს მხოლოდ მეუღლეთა ქონებრივი უფლებები და მოვალეობანი არის მცდარი.
- 1.2.1.** მეუღლეებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ ყველა სახის გარიგებებში, რომლებიც არ არის აკრძალული მოქმედი კანონმდებლობით ან არ ეწინააღმდეგება მას.

---

© გიორგი გ. თუმანიშვილი, 2010  
საქორწინო კონტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის არც ერთი ნაწილი, არანაირი მიზეზით, არ შეიძლება კვლავწარმოებული (რეპროდუცირებული) იყოს ნებისმიერი ფორმით და ხერხით - იქნება ეს ელექტრონული თუ მაგნიტური, ციფრული თუ ფოტოკოპირებული ან სხვა საშუალებით, საავტორო უფლების მფლობელის წერილობითი თანხმობის ან/და სათანადო წესით გახშირციელებული მითითების გარეშე.

- 1.2.2.** საქორწინო კონტრაქტის მხარეებს აქვთ სრული შესაძლებლობა შეთანხმდნენ არა მხოლოდ ქონებრივ უფლებებზე და მოვალეობებზე, არამედ არაქონებრივზეც. სხვა საკითხია დავის არსებობის შემთხვევაში სასამართლოს პოზიცია დარღვეულ უფლებასთან დაკავშირებით და შესაბამისად მხარის სასარჩელო დაცვის (მტკიცების) ტვირთი.
- 1.2.3.** საქორწინო კონტრაქტის მიმართ გამოიყენება ის საერთო წესები, რომლებიც საერთოა ყველა სხვა გარიგებისათვის, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ სპეციფიურ პირობებს და დათქმებს საქორწინო კონტრაქტის მიმართ ადგენს სამოქალაქო კოდექსში არსებული საქორწინო კონტრაქტის ინსტიტუტში შემავალი ნორმები.
- 1.3.** ამა თუ იმ სოციალურ ფენისადმი პირის კუთვნილება განსაზღვრავს მის მიმართებას საქორწინო კონტრაქტისადმი. ამავე დროს, ძირითადი წამყვანი ფაქტორი არის პირის ფსიქიკური დამოკიდებულება ოჯახის არსის (რაობის) და დანიშნულების საკითხისადმი. ძალზედ მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ხსენებულ კონტექსტში, პირისათვის დამახასიათებელი მენტალური იერარქიის სკალა, მისი დამოკიდებულება საზოგადოებრივ ცნობიერებაში არსებული Cinstant-ის სახით ცნებების: "კარგი"-ს და "ცუდი"-ს, "სწორი"-ს და "არასწორი"-ს, "კეთილი"-ს და "ზოროტი"-ს აღსნა-განმარტების მიმართ, აგრეთვე პირის ფსიქიკური მდგომარეობა, სოციალურ ღირებულებათა და ფასეულობათა იერარქიის მისეული აღქმა და გაგება. ყოველივე ზემოთქმული მნიშვნელოვნად განსაზღვრავს პირის ფსიქიკურ დამოკიდებულებას და აყალიბებს მის პირად მოქმედების მოტივაციურ საწყისს საქორწინო კონტრაქტთან მიმართებაში.
- 1.4.** თანამედროვე ქართული ეროვნული მენტალიტეტი (მენტალობა) უარყოფს საქარწინო კონტრაქტის ინსტიტუტს – როგორც ლიტერალური ფორმით დადებულ გარიგებას. ზემოაღნიშნული ეფუძნება საზოგადოებაში გაბატონებულ შეხედულებას სიყვარულზე, როგორც „ზე - ყოფად“ მოვლენაზე. აღნიშნული პოზიცია იყენებს რა ქარიზმატიული ხასიათის, „ზე ძალის“ მიერ ნიშან-დადებულობის ახსნა-განმარტებით მოდელს, ანიჭებს პრიმატს გრძნობას, გაგებულს როგორც „ზე-სულიერი“-ს სურვილის გამოხატულებას, უარყოფს მიზეზ-შედეგობრივ

კავშირს გრძნობათა სამყაროს და მიწიერ ყოფიერებას შორის სიყვარულთან და ოჯახის ინსტიტუტთან მიმართებაში. აღნიშვნის ღირსია, ზემოთქმულთან დაკავშირებით, რომ ჩვენს საზოგადოებაში დღეისათვის არსებული მენტალური შეხედულებანი სიყვარულზე და ოჯახზე არ არიან კავშირში ქრისტიანულ მოძღვრების ძირითად დებულებებთან, და თავის არსში წარმოადგენენ ეკლექტიკურ ხასიათის პოსტ-კომუნისტურ „გადაძლერებას“ მატერიალისტური (მარქსისტულ-ლენინური) დოქტრინის დებულებისა ადამიანზე, როგორც ბუნებისა და კოსმოსის მმართველზე და მეპატრონეზე.

**პირველი თავის მეორე პარაგრაფი** შედგება ორი ნაწილისაგან. პირველ ნაწილში განხილულია საქორწინო კონტრაქტის პარამეტრიზაციის პრობლემა. შემუშავებულია საქორწინო კონტრაქტის ცნების ავტორისეული კონსტრუქცია.

აღნიშნულია, რომ დღეის მდგომარეობით მოქმედ ნორმატიულ აქტებში საქორწინო კონტრაქტის ცნება არ არის განსაზღვრული. ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგად ჩამოყალიბებულია საქორწინო კონტრაქტის შემადგენელი ელემენტების ავტორისეული ვარიანტი და შემოთავაზებულია საქორწინო კონტრაქტის, როგორც სამართლებრივი ცნების ისეთი ვერსია, რომელსაც პოტენციაში გააჩნია საქორწინო კონტრაქტის არსის განსაზღვრის შესაძლებლობა. შემოთავაზებულია საქორწინო კონტრაქტის ცნების ნაწილებად დაყოფილი ვარიანტი. განხილულია ცნებების "ოჯახი" და "ქორწინება" არსობრივი და სამართლებრივი ასპექტები.

### კვლევის შედეგები:

საქართველოს კანონმდებლობაში არ არსებობს საქორწინო კონტრაქტის განმსაზღვრელი ცნება და მისი შემადგენელი ელემენტები.

## **2.1. საქორწინო კონტრაქტის შემადგენელ ელემენტებად მიჩნეულ უნდა იქნეს შემდეგი ელემენტები:**

- 1. საქორწინო კონტრაქტის სუბიექტები:** - დასაქორწინებელი პირები ან მეუღლეები (მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ რეალურად საქორწინო კონტრაქტის სუბიექტ(ებ)ს წარმოადგენს

პირ(ებ)ი, რომელსაც აქვს მეუღლის სტატუსი, ანუ პირ(ებ)ი - რეგისტრირებული ქორწინების შემდგომ;

2. საქორწინო კონტრაქტის ობიექტი: - ქონებრივი და არაქონებრივი უფლებები და მოვალეობანი;
3. საქორწინო კონტრაქტის მოქმედება დროში: - კონტრაქტი შესაძლოა იყოს გარკვეული ვადით დადებული ან უვადო, ამავდროულად კონტრაქტით ქონებრივი და არაქონებრივი უფლებანი და მოვალეობანი განისაზღვრება, როგორც ქორწინების განმავლობაში, ისე განქორწინებისას;
4. საქორწინო კონტრაქტის დადება: - შესაძლოა დაიდოს როგორც ქორწინების სახელმწიფო რეგისტრაციამდე, ისე მისი რეგისტრაციის შემდეგ ნებისმიერ დროს. საქორწინო კონტრაქტი რომელიც დაიდო ქორწინების რეგისტრაციამდე, ძალაში შედის ქორწინების რეგისტრაციის მომენტიდან;
5. საქორწინო კონტრაქტის ფორმა: - იდება წერილობით და დასტურდება სანოტარო წესით.

**2.3.** სამოქალაქო კოდექსში საქორწინო კონტრაქტის ცნება შესაძლოა ფორმულირებულ იქნას ოთხ ცალკეულ ნაწილად. (შენიშვნა: აღსანიშნავია, რომ ფაქტობრივად, ქვემოთ მოცემულ ნაწილების მოქცევა ერთიან ლექსიკურ მასივში ჩვენ გვაძლევს ცნების ახსნა-განმარტებითი მოდელის არსობრივ კონსტრუქციის აგებულებას.)

1. საქორწინო კონტრაქტი წარმოადგენს სამოქალაქო გარიგების საოჯახო სამართლებრივ ხელშეკრულების სახეს.
2. საქორწინო კონტრაქტი არის დასაქორწინებელ პირთა ან მეუღლეებს შორის გარკვეული ვადით ან უვადოთ დადებული გარიგება, რომლითაც გარიგების მხარეებს შეუძლიათ განსაზღვრონ მათი ქონებრივი და არაქონებრივი უფლებები და მოვალეობები, როგორც ქორწინების განმავლობაში ისე განქორწინებისას.
3. საქორწინო კონტრაქტი შესაძლოა დაიდოს როგორც ქორწინების რეგისტრაციამდე, ისე მისი რეგისტრაციის შემდეგ ნებისმიერ დროს. საქორწინო კონტრაქტი რომელიც დაიდო ქორწინების რეგისტრაციამდე, ძალაში შედის ქორწინების რეგისტრაციიდან.
4. საქორწინო კონტრაქტი იდება წერილობით და დასტურდება სანოტარო წესით.

**ამ პარაგრაფის მეორე ნაწილში** განხილულია საქორწინო კონტრაქტის ინსტიტუტის ადგილის საკითხი სამოქალაქო სამართლის სისტემაში. მიმოხილულია სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერთა მოსაზრებანი აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში და გამოტანილია შესაბამისი დასკვნები, რომლებიც ადაპტირებულნი და შესაბამისობაში მოყვანილნი არიან საქართველოს სამოქალაქო სამართლის სისტემის ფუძემდებლურ პრინციპებსა და დებულებებთან.

### **კვლევის შედეგები:**

საქორწინო კონტრაქტი, როგორც საოჯახო სამართლებრივი გარიგების და სამოქალაქო სამართლებრივი ხელშეკრულების ურთიერთმიმართების საკითხი უპირველესყოვლისა დაკავშირებულია საოჯახო სამართლის ადგილის განსაზღვრის აზრთა სხვადასხვაობასთან.

**2.4.1.** საქორწინო კონტრაქტის ინსტიტუტი საოჯახო სამართლის, როგორც სამოქალაქო სამართლის ქვედარგის ინსტიტუტია.

**2.4.2.** საქორწინო ხელშეკრულების სუბიექტების განსაზღვრის პრინციპზე დაყრდნობით საქორწინო ხელშეკრულება წარმოადგენს სამოქალაქო გარიგების საოჯახო სამართლებრივ ხელშეკრულების სახეს.

**პირველი თავის მესამე პარაგრაფი** ასევე ორი ნაწილისგან შედგება.

პირველ ნაწილში ჩატარებული კვლევის შედეგად მიღებულია შემდეგი დასკვნები:

#### **3.1.**

- ა)** სიტყვა "ოჯახი"-ს ქართული სამართლის ძეგლებში პირველად გამოყენების დათარიღება 1799-1800 წლებით არის მცდარი.
- ბ)** ქართული სამართლის ძეგლების ტექსტის ანალიზიდან გამომდინარე სიტყვა "ოჯახი" 1799-1800 წლებამდე ადრეც არის გამოყენებული.
- გ)** პირველად ქართული სამართლის ძეგლების ტექსტში სიტყვა "ოჯახი" ნახსენებია 1724 წლით დათარიღებულ მორიგის ლაშქრობის განაჩენში. სიტყვა გამოყენებულია იმავე შინაარსობრივი დატვირთვით, როგორც გააჩნდა მას 1799-1800 წლებში არსებულ ქართული სამართლის ძეგლების ტექსტში.

**3.2.** თანამედროვე ოჯახი, ეს არის ადამიანებს შორის ურთიერთინტერესის, პატივისცემის, მენტალობის, ადამიანების სულიერი ფასეულობებისა და ღირებულებების, სოციალური ნორმების გათვალისწინებით, სქესობრივ ლტოლვისა და გამრავლების ინსტინქტებზე დამყარებული კავშირი.

**3.3.** გლობალიზაციის პროცესი, განსაკუთრებული ტემპით მზარდი "ამერიკანიზაციისა და ევროპეიზაციის" ფაქტორები საქართველოში დიდ გავლენას ახდენს ქართველ ახალგაზრდების ეროვნულ ცნობიერების ჩამოყალიბებაზე, რაც საბოლოოდ მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის უგულვებელყოფას მოემსახურება, განსახილველ საკითხთან "ოჯახის ინსტიტუტთან" მიმართებაში.

პარაგრაფის მეორე ნაწილში ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა:

**3.4.** სიტყვა "ქორწინება" კარლ გუსტავ იუნგის პიროვნების ანალიტიკური თეორიის, კერძოდ კი ცნების "კოლექტიური ქვეცნობიერი"-ს გამოყენების და ქრისტიანული მსოფმხედველობის სიბრტყეში განხილვით არსობრივ ასპექტში განიმარტება, როგორც - ღმერთის, (გაგებული ერთიანი მოცემულობის სახით) შემადგენლობაში არსებული და მისი განუყოფელი ორი ნაწილის მიერ გაკეთებული ქმედება - "არჩევანი". სიტყვა "ქორწინება" თავისი აგებულობის სპეციფიურობით თვით იძლევა იმ შინაარსობრივი შევსების ალქმის (და აგრეთვე გაგების) საშუალებას, რითიც ის იხმარება და გამოიყენება თანამედროვე ქართულ ენაში, კერძოდ კი იურიდიულ ლექსიკაში, სადაც ეს სიტყვა გამოიყენება როგორც ტერმინი. ხსენებული სიტყვის არსობრივი დატვირთვა, რომელიც ჩამოყალიბებულია და ფიქსირებულია ეროვნულ ცნობიერებაში დიდად არ განსხვავდება სსკ-ს 1106-ე მუხლში არსებული დეფინიციისაგან, რომელშიც სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანო (ტერიტორიული სამსახური) გვევლინება, ერთგვარ "ტრანცენდენტურ ობიექტად".

**პირველი თავის მეოთხე პარაგრაფში** განხილულია თანამედროვე მსოფლიოში არსებული დოქტრინები ქორწინების შესახებ. შემოთავაზებულია საქართველოს სამოქალაქო სამართლისათვის მისაღები დოქტრინა.



დღეისათვის არსებული „ქორწინების“ განმსაზღვრელი დეფინიცია მიჩნეულია არადამაკმაყოფილებლად და შემოთავაზებულია ახალი ხედვა ქორწინების, როგორც ხელშეკრულების, მისი არსის, მისი მხარეებისა და მონაწილე სუბიექტების შესახებ.

ჩამოყალიბებულია ქორწინების თვისობრივად ახალი დეფინიცია.

### **კვლევის შედეგები:**

- 4.1.** თანამედროვე მსოფლიოში არსებული დოქტრინები ქორწინების შესახებ შესაძლოა სამად დაიყოს:
  - პირველი დოქტრინა - ქორწინება არის გარიგება.
  - მეორე დოქტრინა - ქორწინება არის მდგომარეობა /Status/
  - მესამე დოქტრინა - ქორწინება-პარტნიორობა /Partnership/.
- 4.2.** ქორწინების ფორმის მიხედვით, ქვეყნები შესაძლოა დაიყოს სამ ძირითად ჯგუფად:
  - 1.** სამართლებრივ შედეგებს წარმოშობს მხოლოდ სახელმწიფო ორგანოებში რეგისტრირებული ქორწინება.
  - 2.** ალტერნატიული საფუძვლით დადებული ქორწინება. ქვეყნები, სადაც გათანაბრებულია როგორც სახელმწიფო ორგანოებში, ისე საეკლესიო წესით რეგისტრირებული ქორწინება.
  - 3.** არსებობს ქორწინების მხოლოდ საეკლესიო ფორმა.
- 4.3.** ქორწინება არის – ხელშეკრულება.
- 4.3.1.** ქორწინების, განხილული როგორც ხელშეკრულების მხარეებად მართალია მოგვევლინებინა მხოლოდ დასაქორწინებელი პირები, მაგრამ ამ ხელშეკრულებაში მონაწილეთა რიცხვი არის ოთხი. ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ ხელშეკრულების მხარეები და "პერსონაჟები". სიტყვა პერსონაჟს ვიყენებთ როგორც ლატენტურ "ფარულ-მიძინებულ მხარეს" (ზოგადთეორიული თვალსაზრისით), რომელიც აღნიშნულ სამართლებრივ ურთიერთობაში იღებს მონაწილეობას. მართალია იგი პირდაპირ არ იძენს ხელშეკრულებიდან (ქორწინებიდან) გამომდინარე გარკვეულ უფლებებსა და მოვალეობებს, მაგრამ მისი უგულვებელყოფა როგორც მოქმედი "პერსონაჟის" არ მიიჩნევა (ზოგადთეორიული თვალსაზრისით) მართებულად.
- 4.3.2.** "პერსონაჟებად" გვევლინებიან სახელმწიფო, (ეკლესია ამა თუ იმ სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობის მიხედვით) და საზოგადოება (მოწმეების ინსტიტუტის სახით).

- 4.3.3.** ქორწინების, როგორც ხელშეკრულების მონაწილეთა რიცხვი არის ოთხი, ხოლო მხარე ორი.
- 4.4.** ქორწინების ცნების ავტორისეული დეფინიცია: ქორწინება ოჯახის შექმნის მიზნით, ორი ადამიანის ნებაყოფლობითი კავშირია, რომელიც რეგისტრირებულია ამა თუ იმ ქვეყნის შიდასახელმწიფოებრივი სამართლით განსაზღვრულ უფლებამოსილ ორგანოში.

**მეხუთე პარაგრაფში** განხილულია საქორწინო კონტრაქტის წარმოშობის, მისი პირველად გამოყენების საკითხები. ჩატარებულია, ისტორიულ-სამართლებრივ მასალაზე დაყრდნობით, ფართო კვლევა, - Vს. ჩვ.წ. აღმდე - XXს. გაანალიზებულია არაერთი სამართლებრივი ძეგლი, რის შედეგადაც გაცემულია პასუხი ისეთ კონცეპტუალურ საკითხებზე, როგორიც არის: როდის იქნა პირველად დადებული საქორწინო კონტრაქტი და რომელ სახელმწიფოში იყო იგი დადებული.

### კვლევის შედეგები:

საქორწინო კონტრაქტის წარმოშობის საკითხი დღემდე ღიაა მეცნიერთა შორის.

- 5.1.** საქორწინო კონტრაქტის წარმოშობა არ არის, როგორც მეცნიერთა ერთი ნაწილი მიიჩნევს ამერიკის შეეერთებული შტატების ან "ძველი ევროპის მონაპოვარი". მისი წარმოშობის საკითხის ჯეროვან შესწავლას მიეყვართ შორეული "ძველი აღმოსავლეთისაკენ", კერძოდ კი ეგვიპტისაკენ.
- 5.2.** საქორწინო კონტრაქტის წარმოშობის საკითხი უშუალოდ დაკავშირებულია ეგვიპტეს სახელმწიფოსთან და მის სამართალთან. ხოლო პირველ ცნობად, შესაბამისად სამართლის წყაროდ და პირველ საქორწინო კონტრაქტად (ამ ეტაპისათვის) მიჩნეულ იქნას ჩვენს წელთაღრიცხვამდე 449 წელს დათარიღებული საქორწინო კონტრაქტი, ებრაელი სასულიერო მოღვაწის ანანის და ეგვიპტელი ქალის ტამუტის შორის, რომელიც შედგენილია ძველ არამეულ ენაზე და დღეს ინახება ბრუკლინის ხელოვნების მუზეუმში.
- 5.3.** ჩვენ წელთაღრიცხვამდე V საუკუნეში ეგვიპტესათვის ჩვეულებრივია საქორწინო კონტრაქტის ინსტიტუტი. იგი არამც თუ მხოლოდ იცნობს ამ ინსტიტუტს, არამედ ფართოდაც იყენებს

მას, როგორც სხვადასხვა სახელმწიფოების მოქალაქეების ქორწინებისას ასევე ეგვიპტელების ქორწინებისას.

მეექვსე პარაგრაფი შედგება ორი ნაწილისაგან. პირველი ნაწილი ეძღვნება მეუღლეთა შორის არსებული პირადი ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირების შესწავლას, ხოლო მეორე ნაწილი მეუღლეთა კანონით დადგენილ ქონებრივ უფლებებსა და მოვალეობებს.

განხილულია მეუღლეთა საკუთრების სამართლებრივი რეჟიმი. ავტორი არ ეთანხმება თანამედროვე ქართველი ცივილისტების ზოგიერთ მოსაზრებას და ასაბუთებს მეუღლეთა საკუთრების სამართლებრივი რეჟიმების მისეული დაყოფის მართებულობას.

განხილულია მეუღლეთა საერთო საკუთრების განკარგვის საკითხი. ავტორი მიიჩნევს რა მოქმედ კანონმდებლობას შეუთავსებელს საკონსტიტუციო და კერძო სამართლის პრინციპებთან, სთავაზობს კანონმდებელს სათანადო ცვლილებების შეტანას შესაბამის ნორმატიულ აქტებში.

### **კვლევის შედეგები:**

თანამედროვე ქართულ საოჯახო სამართლის მეცნიერებაში მიღებული მოსაზრება, რომ საოჯახო კანონმდებლობით მეუღლეთა საკუთრება იყოფა ორ ნაწილად-ინდივიდუალურ (განცალკევებულ) და საერთო თანაზიარ საკუთრებად არის სამართლებრივად არაკორექტური.

- 6.1.** ინდივიდუალური საკუთრება და განცალკევებული საკუთრება არ არის სინონიმები, ვინაიდან განცალკევებული საკუთრება თავის არსში არის ინდივიდუალური საკუთრების, როგორც ერთ-ერთი შემადგენელი ელემენტის შემცველი.
- 6.2.** საოჯახო სამართლის კანონმდებლობით მეუღლეთა საკუთრება იყოფა არა ორ, არამედ სამ ნაწილად: განცალკევებულ, წილობრივ და საერთო თანაზიარ საკუთრებად.
- 6.3.** არსებობს მეუღლეთა საკუთრების ორი სამართლებრივი რეჟიმი: კანონით დადგენილი და სახელმეკრულებო.
- 6.3.1.** მეუღლეთა საკუთრების კანონით დადგენილი სამართლებრივი რეჟიმი შეიძლება ორი სახის იყოს: განცალკევებული და საერთო თანაზიარი.

- 6.3.2.** საოჯახო სამართლის კანონმდებლობა განსაზღვრავს მეუღლეთა საკუთრებაში არსებული ქონების სამი სახის საკუთრებას:
- საერთო თანაზიარი საკუთრება
  - წილობრივი საკუთრება
  - განცალკევებული საკუთრება
- 6.4.** ქორწინება ემყარება მეუღლეთა უფლებრივ თანასაწორობას. სსკ-ს 1159 მუხლის მიხედვით თანასაკუთრებაში არსებული ქონების ფლობა, სარგებლობა და განკარგვა ხორციელდება მეუღლეთა ურთიერთშეთანხმებით.
- 6.4.1.** მეუღლეთა თანხმობა საერთო საკუთრების განკარგვაზე გამოხატული უნდა იქნეს კანონმდებლობით დადგენილი ფორმის დაცვით.
- 6.4.2.** კომერციულ-იურიდიული პირის საწესდებო კაპიტალში პარტნიორის (აქციონერის) წილთან (აქციასთან) დაკავშირებული გარიგებების დროს, სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციის 37-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, "ნოტარიუსს ევრძალეა კომერციული-იურიდიული პირების საწესდებო კაპიტალში პარტნიორის (აქციონერის) წილის (აქციების) გასხვისებისას პარტნიორის (აქციონერის) მეუღლეთა თანხმობის გამოთხოვა". ზემოაღნიშნული სამართლის ნორმა წინააღმდეგობაშია მეუღლეთა თანასაწორობის პრინციპთან. თუ კანონით დადგენილია ამა თუ იმ გარიგების დადებისათვის სავალდებულო (იმპერატიული) მოთხოვნა სანოტარო წესის დამოწმების შესახებ, მაშინ აუცილებელია მეორე მეუღლის თანხმობა გამოხატული იქნეს ასევე რთული წერილობითი ფორმით.
- 6.5.** საერთო თანაზიარი საკუთრების გაყოფისას კანონმდებელი ითვალისწინებს არასრულწლოვანი შვილების ინტერესებს. სსკ-ს 1168-ე მუხლი არაფერს ამბობს მეუღლეთა ერთად ცხოვრების განმავლობაში მათი არასრულწლოვანი შვილებისათვის შეძენილი ქონების ბედზე, საერთო თანაზიარი ქონების გაყოფის შემთხვევაში.
- 6.5.1.** სსკ 1168-ე მუხლს სასურველია დაემატოს ერთი ნაწილი, რომელიც განსაზღვრავს თუ რომელ მეუღლეს მიეკუთვნება საერთო თანაზიარი საკუთრების ის ნაწილი, რომელიც შეძენილია არასრულწლოვანი შვილებისათვის. ჩვენი შესწორების (დამატების) ვარიანტი შემდეგია: არასრულწლოვანი შვილისათვის

შემენილი ქონება გადაეცემა იმ მეუღლეს რომელთანაც იცხოვრებს არასრულწლოვანი შვილი, მეორე მეუღლისათვის წილის კომპენსაციის განუსაზღვრელად.

**ნაშრომის მეორე თავში** განხილულია საქორწინო კონტრაქტის დადებასთან, კონტრაქტის ფორმასთან და შინაარსთან დაკავშირებული სპეციფიკური საკითხები.

გამახვილებულია ყურადღება საქორწინო კონტრაქტის ინდივიდუალური ხასიათის ზემოქმედების ფაქტორზე კონტრაქტის დადებასთან, კონტრაქტის ფორმასა და შინაარსთან მიმართებაში.

განსაზღვრულია საქორწინო კონტრაქტის საგანი, სუბიექტები და ობიექტები. სამართლის ჭრილში მოცემულია ზემოხსენებული შემადგენელი ნაწილების განსაზღვრებანი.

განხილულია საქორწინო კონტრაქტის შემადგენელი ელემენტების განსაზღვრის, მეუღლეთა არაქონებრივი და ქონებრივი ურთიერთობების მოდიფიცირების და ტრანსფორმირების საკითხები.

განხილულია მთელი რიგი დათქმებისა და პირობებისა, რომლებიც შესაძლებელია გამოყენებულ იქნას პრაქტიკული დანიშნულებისათვის. გაანალიზებულია და მიღებულია პასუხები მრავალ გაბატონებულ შეხედულებებთან და საკითხებთან დაკავშირებით.

განხილულია და შემოთავაზებულია საქორწინო კონტრაქტის შემადგენელ რამოდენიმე დათქმასთან დაკავშირებული მოსაზრებანი.

ჩამოყალიბებულია ხსენებული დათქმების ავტორისეული ვარიანტი. მოცემულია შემაჯამებელი მდგომარეობები, თეორიულ-პრაქტიკული ხასიათის წინადადებები, რეკომენდაციები და წინასწარი მცირე დასკვნები, რომლებიც ეხებიან განხილულ საკითხებს.

**მეორე თავის პირველ პარაგრაფში****ჩატარებული კვლევის შედეგები:**

- 8.1.** საქორწინო კონტრაქტის საგნის სპეციფიურობა განისაზღვრება იმ გარემოებით, რომ კონტრაქტის პირობები შეიძლება ეხებოდეს არამართო დღეისათვის რეალურ სინამდვილეში არსებულ, არამედ მომავალში, ქორწინების არსებობის დროის მონაკვეთში მეუღლეების მიერ შემენილ ქონებრივ და აგრეთვე არაქონებრივ უფლებებსა და მოვალეობებს.
- 8.2.1.** თუ კონტრაქტის მხარეები არიან დასაქორწინებელი პირები, მათ შეუძლიათ ქორწინების რეგისტრაციამდე, რამოდენიმეჯერ (შეუზღუდავი რაოდენობით) შეადგინონ და დადონ საქორწინო კონტრაქტ(ებ)ი. ქორწინების რეგისტრაციის მომენტიდან ძალაში შესულად ჩაითვლება მხოლოდ ის კონტრაქტი, რომელიც დადებული იყო ყველაზე მოგვიანებით.
- 8.2.2.** ქორწინების რეგისტრაციის შემდეგ დადებულ კონტრაქტი ავტომატურად შედის ძალაში, მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე.
- 8.3.1.** საქორწინო კონტრაქტის დადებასთან უშუალო კავშირშია მხარეთა ქმედუნარიანობის საკითხი. არასრულწლოვანის მიერ საქორწინო კონტრაქტის დადება კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის გარეშე დაუშვებელია.
- 8.3.2.** სხვადასხვა ქვეყნის შიდასახელმწიფოებრივი სამართლის მიხედვით პირის ქმედუნარიანობა სხვადასხვა ასაკობრივი ზღვარის მიღწევასთან არის დაკავშირებული. იმ შემთხვევაში, თუ დასაქორწინებელი პირები სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეები არიან, მათი ქმედუნარიანობის საკითხი განისაზღვრება თითოეულის პიროვნული სტატუსის მიხედვით (მოქალაქეობის ქვეყნის სამართლის ან საცხოვრებელი ადგილის ქვეყნის სამართლის მიხედვით, გააჩნია ქვეყანას).
- 8.4.1.** საქორწინო ხელშეკრულება იდება წერილობით და დასტურდება სანოტარო წესით.
- 8.4.2.1.** სანოტარო დამოწმება და სანოტარო დადასტურება სხვადასხვა შინაარსობრივი დატვირთვის ცნებებია.
- 8.4.2.2.** სანოტარო დადასტურების დროს ნოტარიუსის მოქმედება ეხება მთელ დოკუმენტს და შესაბამისად მის შინაარსს. ნოტარიუსი ამოწმებს ტექსტის შესაბამისობას მოქმედ სამართალთან და ადასტურებს მას.

- 8.4.2.3.** სანოტარო დამოწმების დროს ნოტარიუსი პასუხს არ აგებს დასადასურებელი დოკუმენტის შინაარსზე. იგი მხოლოდ გარიგების მხარეების ხელმოწერების ნამდვილობას ამოწმებს.
- 8.4.2.4.** მნიშვნელობა არ აქვს საქმე გვაქვს სანოტარო დადასტურებასთან თუ დამოწმებასთან. ორივე შემთხვევაში ნოტარიუსი მოვალეა სანოტარო მოქმედების შესრულებისას სანოტარო მოქმედების შინაარსი და სამართლებრივი შედეგები განუმარტოს იმ პირებს, რომლებიც ითხოვენ სანოტარო მოქმედების შესრულებას.
- 8.4.3.1.** გარიგება, რომელიც საქართველოში დასტურდება ნოტარიუსის მიერ, შედგენილი უნდა იქნეს საქართველოს სახელმწიფო ენაზე.
- 8.4.3.2.** თუ გარიგების ერთ-ერთმა მხარემ არ იცის საქართველოს სახელმწიფო ენა, მოიწვევა თარჯიმანი, რომელიც უთარგმნის მხარეს გარიგების შინაარსს და სანოტარო მოქმედების შესრულების დროს აწვდის მას აუცილებელ ინფორმაციას.
- 8.4.4.** ნოტარიულად დადასტურებულ (ან დამოწმებულ) გარიგებას მხარეები ხელს აწერენ ნოტარიუსის თანდასწრებით.
- 8.4.5.** თუ სანოტარო მოქმედების შესრულების მონაწილე პირი არის მუწხი, ყრუ ან ყრუ-მუწხი, ნოტარიუსი მოვალეა ჩაატაროს სანოტარო პროცედურა შესაბამისი სპეციალისტის უშუალო დახმარების მეშვეობით, რათა სანოტარო მოქმედებების შინაარსი და შედეგი გახადოს ამ პირისათვის გასაგები და ნათელი.
- 8.4.6.** იმ პირის ნაცვლად, რომელსაც ავადმყოფობის, ფიზიკური ნაკლის ან სხვა საპატიო მიზეზის გამო შესაძლებლობა არა აქვს ხელი მოაწეროს გარიგებას, მისი დავალების თანახმად შესაძლებელია ხელს აწერდეს სხვა პირი.
- 8.4.7.** თუ საქორწინო კონტრაქტის ტექსტი მოიცავს რიცხვს ან და რიცხობრივ მაჩვენებელს კონტრაქტში ყველა რიცხვი უნდა დაიწეროს აგრეთვე სიტყვებით. გამონაკლისს წარმოადგენს შემთხვევა, როდესაც რიცხვები ასახავენ მხარეთა მისამართებს, სანოტარო მოქმედების რიგითობის ან სხვა რიცხობრივ მინიშნებას რომელიც დაკავშირებულია სანოტარო მოქმედებასთან,
- 8.4.8.** როდესაც საქორწინო კონტრაქტი შედგენილია რამოდენიმე ფურცლად (ან გვერდად), კონტრაქტის მხარეებმა ხელი უნდა მოაწერონ კონტრაქტის თითოეულ ფურცელს (გვერდს).
- 8.4.9.** ნოტარიუსი ვალდებულია კონტრაქტს დაუსვას თავისი ბეჭედი და ხელმოწერა. ნოტარიუსის ხელმოწერისა და ბეჭდის გარეშე კონტრაქტს იურიდიული ძალა არ გააჩნია.

- 8.5.** საქორწინო კონტრაქტი შეიძლება მოიცავდეს მეუღლეთა შორის არსებული ქონებრივი ურთიერთობის სამი სახის საკუთრებას - თანაზიარს, ინდივიდუალურს და წილობრივს.
- 8.6.** მეუღლეები უფლებამოსილნი არიან, საკუთარი შეხედულებისამებრ, საქორწინო კონტრაქტში დაადგინონ ისეთი სამართლებრივი რეჟიმი, რომელიც მოიცავს ქონების განცალკევებისა და მათი ერთიანობის ცალკეულ ნიშნებს.
- 8.7.** როდესაც რომელიმე მეუღლეთაგანი მონაწილეობას იღებს კომერციული იურიდიული პირის დაფუძნებაში, თუ საზოგადოება დაფუძნებულია მეუღლეთა ერთად ცხოვრების პერიოდში (იგულისხმება რეგისტრირებული ქორწინება) და არ არსებობს: საქორწინო კონტრაქტი, ჩუქების ხელშეკრულება ან მემკვიდრეობის დამადასტურებელი საბუთი ან სხვა საბუთი რომლითაც დგინდება, რომ შესატანი გაკეთებულია მეუღლის ინდივიდუალური ან სხვა განცალკევებული ქონებიდან, მაშინ უნდა მივიჩნიოთ, რომ შესატანი გაკეთებულია მეუღლეთა საერთო თანაზიარი ქონებიდან, რომელიც განქორწინების შემთხვევაში ექვემდებარება გაყოფას, კანონით დადგენილი წესის მიხედვით.
- 8.8.** საქორწინო კონტრაქტით გათვალისწინებული უფლებები და მოვალეობები შეიძლება შეიზღუდოს განსაზღვრული ვადით ან/და ამა თუ იმ პირობის დადგომით.
- 8.9.1.** საქორწინო კონტრაქტისათვის დამახასიათებელია სტანდარტული შინაარსის დათქმები, რომლებიც სამართლის ჭრილში ბუნდოვანია და სამართლებრივად გაუმართავი, რაც აუცილებლად საჭიროებს დაზუსტებას თვით ამ კონტრაქტში.
- 8.9.2.** ცოლ-ქმრული ღალატისადმი დამოკიდებულება ინდივიდუალური ხასიათისაა, რომელიც დამოკიდებულია ადამიანის პიროვნებაზე, მის აღზრდასა და გარე სამყაროზე, რომელშიც იგი ცხოვრობს, ასევე მენტალურ ღირებულებებზე, რომლებითაც ოპერირებს ეს ადამიანი.
- 8.9.3.** "შიშველი" დათქმა ცოლ-ქმრული ღალატის შესახებ საჭიროებს შინაარსობრივ შევსებას და ახსნა-განმარტებას. თუ კონტრაქტში არის პირობა, რომლის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს ცოლ-ქმრული ღალატის ფაქტის დადგომა, მაშინ იქვე უნდა იყოს მოცემული ამომწურავი ხასიათის ახსნა-განმარტება, თუ რას მიიჩნევენ მხარეები ცოლ-ქმრულ ღალატად. ხოლო თუ საქორწინო კონტრაქტში არ არსებობს ამგვარი ახსნა-განმარტება, მაშინ ცოლ-



ქმრულ დალატად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ სქესობრივი კავშირის დამყარება სხვა ადამიანთან (რომელიც არ წარმოადგენს საქორწინო კონტრაქტის მხარეს).

**8.10.** მეუღლეთა ქონებრივი ხასიათის ურთიერთობის კანონით რეგულირების დროს არ არის გათვალისწინებული მეუღლეთა უფლება-მოვალეობების შეზღუდვა. მეუღლეებს საქორწინო კონტრაქტით შეუძლიათ თავიანთი ნების გამოვლენის საფუძველზე (სახელშეკრულებო შეზღუდვა) შეზღუდონ ისინი.

**8.11.1.** საქორწინო კონტრაქტით არ შეიძლება შეიცვალოს მეუღლეთა ურთიერთრჩენის მოვალეობა, მშობლების უფლება-მოვალეობანი შვილების მიმართ, სალიმენტო მოვალეობანი და არ შეიძლება გათვალისწინებული იქნეს ისეთი პირობები, რომლებიც მძიმე მდგომარეობაში აყენებენ ერთ-ერთ მეუღლეს.

**8.11.2.** თანამედროვე "ქართული საქორწინო კონტრაქტი" არ აძლევს კონტრაქტის მხარეებს სრულ შესაძლებლობას გამოავლინონ თავიანთი ნება მათი სურვილის შესაბამისად. განქორწინების საქმის განხილვისას სასამართლოში, შესაძლებელია სადავო გახდეს საქორწინო კონტრაქტის რომელიმე მუხლი, რომლის მიმართ არსებობს (ან გამოითქმება) ვარაუდი, რომ მისი მოქმედების შედეგად ერთ-ერთი მხარე მძიმე მატერიალურ ან ზნეობრივ მდგომარეობაში არის ჩაყენებული.

**8.11.3.** საქორწინო კონტრაქტში კაბალური პირობის არსებობა-არარსებობის საკითხის განხილვა და საქორწინო კონტრაქტის შინაარსის კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენა არის მხოლოდ სასამართლოს პრეროგატივა.

**8.11.4.** როდესაც სასამართლო განიხილავს განქორწინების საქმეს და მასთან ერთად საქორწინო კონტრაქტს, და დგება საკითხი იმის შესახებ, რომ შესაძლებელია ერთ-ერთი მეუღლე მძიმე მატერიალურ ან ზნეობრივ მდგომარეობაში აღმოჩნდეს, სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს იმ გარემოების ანალიზით თუ რა გარემოებაში იმყოფებოდა "უკმაყოფილო" მხარე ქორწინებამდე და უარესდება თუ არა მისი (ქორწინებამდელი) მდგომარეობა განქორწინების (საქორწინო კონტრაქტის შესაბამისი მუხლის ან დებულების ამოქმედების) შემთხვევაში. თუ ანალიზის და მტკიცებულებათა შეგროვების (მტკიცებულებად ამ შემთხვევაში სასამართლომ უნდა მიიჩნიოს საქორწინო კონტრაქტის შესაბამისი დებულებანი და იმ ქონების აღწერა,

რომელიც თითოეულ მხარეს ეკუთვნოდა დაქორწინებამდე) გამოირკვევა, რომ (უცმაყოფილო) მოდავე მხარის მდგომარეობა უარესდება (ქორწინებამდელ მდგომარეობასთან შედარებით) მაშინ მიიჩნის საქორწინო კონტრაქტის შესაბამისი მუხლი ბათილად იმ საფუძვლით, რომ იგი მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში აყენებს ერთ-ერთ მეუღლეს. სხვა ყველა შემთხვევაში სასამართლომ საქორწინო კონტრაქტის ის სადავო მუხლი, რომელიც თითქმის და აუარესებს პირის მატერიალურ მდგომარეობას და ამ მდგომარეობას "მძიმედ" ხდის, უნდა დატოვოს ძალაში. პირის შუამდგომლობა - კი სასამართლოს წინაშე ამ მუხლის ბათილად ცნობის შესახებ, არ დააკმაყოფილოს დაუსაბუთებლობის და უსაფუძვლობის მოტივით.

- 8.12.** საქორწინო კონტრაქტი გვევლინება ერთგვარ გარანტად კონტრაქტის მხარეების მომავალი ან უკვე დაბადებული შვილებისათვის. კონტრაქტში შესაძლებელია განსაზღვრული იყოს სპეციალური პირობანი, რომლებიც უზრუნველყოფენ მხარეთა (შესაძლებელია ერთი მხარის) შვილ(ებ)ის მომავალი განათლების ღირებულების აკუმულაციას (შეგროვებას).
- 8.13.** საქორწინო კონტრაქტით არ შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს მხარეთა შორის დავის შემთხვევაში, მის (სადავო საკითხის) გადასაწყვეტად სასამართლოსადმი მიმართვის კანონით გათვალისწინებული უფლების შეცვლა.
- 8.14.** საქორწინო კონტრაქტი, ისევე როგორც ნებისმიერი შეთანხმება მხარეთა შორის, ნებელობითი აქტია. მისი დადება და შეწყვეტა მეუღლეთა ნება-სურვილზეა დამოკიდებული.

**მეორე თავის მეორე პარაგრაფში** განხილულია მეუღლეთა ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობანი მათ კრედიტორებთან მიმართებაში.

ჩამოყალიბებულია ერთიანი პოზიცია და შემოთავაზებულია ავტორისეული ხედვა ზემოაღნიშნულ ურთიერთობასთან მიმართებაში.

### **ნაშრომის მეორე თავის მეორე პარაგრაფში**

#### **ჩატარებული კვლევის შედეგები:**

- 9.1.** კანონმდებელი კრძალავს საქორწინო კონტრაქტის ცალმხრივ, თვითნებურ მოშლას რომელიმე ერთი მხარის მიერ.

- 9.2.** მეუღლეები ვალდებული არიან შეატყობინონ თავის კრედიტორებს საქორწინო კონტრაქტის დადების, შეცვლის ან შეწყვეტის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოვალე-მეუღლე, თუ კრედიტორთან ურთიერთობისას წამოიჭრა ქონებრივი დავა, ვერ დაეყდრდნობა საქორწინო კონტრაქტს, და მასში დაფიქსირებულ პირობებს, რომლის მიხედვითაც განსაზღვრულია (შესაძლო) კრედიტორთან ურთიერთობის საკითხები.
- 9.3.1.** იმ შემთხვევაში თუ კრედიტორი არ იყო ინფორმირებული საქორწინო კონტრაქტის არსებობის შესახებ მას შეუძლია:
- ა)** მოითხოვოს მეუღლეებს შორის დადებული კონტრაქტის პირობების შეცვლა;
  - ბ)** მოითხოვოს ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა გარემოებების არსებითი ცვლილებების გამო.
- 9.3.2.** თუ კრედიტორის მოთხოვნის შემდეგ, მეუღლეები გარიგების პირობების შეცვლაზე ვერ შეთანხმდებიან, სასამართლოს შეუძლია გარიგება მოშალოს ზოგადი წესით, ან შეცვალოს ზოგადი წესიდან გამონაკლისის სახით.
- 9.4.** საქორწინო კონტრაქტის შეწყვეტის კანონით დადგენილი საფუძვლებია:
- ა)** მეუღლეთა ურთიერთშეთანხმება;
  - ბ)** განქორწინება;
  - გ)** კონტრაქტის ვადის გასვლა.
- 9.5.1.** საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1180-ე მუხლში მოცემულ ფორმულირება - "საქორწინო კონტრაქტი წყდება განქორწინებისას" ვერ იქნება მიჩნეული სამართლებრივად გამართულად (ტექსტობრივ-შინაარსობრივი კუთხით) საქორწინო კონტრაქტის შეწყვეტის საკითხთან მიმართებაში. ამ ფორმულირებაში, სრულიათ უზღულველყოფილია საქორწინო კონტრაქტის სპეციფიკა.
- 9.5.2.** საქორწინო კონტრაქტი სამართლებრივად შეწყვეტილად ჩაითვლება მხოლოდ იმ მომენტის დადგომისას, როდესაც საქორწინო კონტრაქტში გათვალისწინებული პირობები შესრულდება სრულად (ჯეროვნად, დათქმულ დროსა და ადგილას).
- 9.6.** საქორწინო კონტრაქტი ბათილად შეიძლება იქნეს ცნობილი იმავე საერთო წესის მიხედვით, რომელიც დადგენილია სამოქალაქო კოდექსით გარიგებებისათვის.

- ა) ბათილია ის საქორწინო კონტრაქტი, რომელიც დადებულია ერთი მხარის მეორეზე გავლენის ბოროტად გამოყენებით, როდესაც მათი ურთიერთობა დამოკიდებულია განსაკუთრებულ ნდობაზე;
  - ბ) ბათილია ის საქორწინო კონტრაქტი, რომელიც დადებულია მხოლოდ მოსაჩვენებლად, იმ განზრახვის გარეშე, რომ მას შესაბამისი იურიდიული შედეგები მოჰყვეს;
  - გ) ბათილია ის საქორწინო კონტრაქტი, რომელიც დადებულია მცირეწლოვანის ან სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ აღიარებული პირის მიერ;
  - დ) ბათილია ის საქორწინო კონტრაქტი, რომელიც დადებულია სულით ავადმყოფის მიერ, თუნდაც ის არ იყოს სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ აღიარებული;
  - ე) ბათილია კანონით გათვალისწინებული აუცილებელი ფორმის დაუცველად დადებული საქორწინო კონტრაქტი;
  - ვ) ბათილია მოტყუებით დადებული საქორწინო კონტრაქტი;
  - ზ) ბათილია იძულებით დადებული საქორწინო კონტრაქტი.
- 9.7.** საქორწინო კონტრაქტის ნაწილის ბათილობა, არ იწვევს კონტრაქტის სხვა ნაწილის ბათილობას.

**მეორე თავის მესამე პარაგრაფში** შემოთავაზებულია საქორწინო კონტრაქტის მის შემადგენელ ნაწილებად დაყოფის სქემა. შემოთავაზებულია საქორწინო კონტრაქტის თითოეული მუხლის შინაარსი და მისი ფორმულარი, რომელიც შესაძლებელია პირდაპირ „კალკირებულ“ (კოპირებულ) იქნას საქორწინო კონტრაქტში.

შემოთავაზებულია საქორწინო კონტრაქტის ერთიანი ფორმულარის მოდელი, რომელიც მომავალში, შესაძლებელია გამოყენებული იყოს საქართველოს ნოტარიუსების და დაინტერესებულ პირთა მიერ მათ პრაქტიკულ საქმიანობაში.

### **ნაშრომის მეორე თავის მესამე პარაგრაფში** **ჩატარებული კვლევის შედეგები:**

- 10.1.** საქართველოში დღევანდელი დღისათვის არ არსებობს შემუშავებული საქორწინო კონტრაქტის ერთიანი ფორმულარი, რომელიც გამოყენებულ იქნება საქართველოში ნოტარიუსების მიერ საქორწინო კონტრაქტის დადებისას.

- 10.2.** ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ საქორწინო კონტრაქტი, რომლის სუბიექტები არიან დასაქორწინებელი პირები და ის საქორწინო კონტრაქტი, რომლის სუბიექტებად გვევლინებიან უკვე რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი მოქალაქეები. სახესხვაობა ამ ორი ხელშეკრულებისა მდგომარეობს იმაში, რომ პირველ შემთხვევაში დასაქორწინებელი პირები თანხმდებიან რა სამართალმდგომარეობებზე განსაზღვრავენ უფლებებსა და მოვალეობებს ქორწინების რეგისტრაციის დღიდან – განქორწინებამდე (ან გარკვეული ვადით, თუ საქორწინო კონტრაქტი დადებულია განსაზღვრული ვადით), ხოლო მეორე შემთხვევაში მეუღლეები უპირველესად განსაზღვრავენ თუ რომელი სამართლებრივი რეჟიმის ქვეშ იქნება მოქცეული კონტრაქტის დადებამდე, ქორწინების რეგისტრაციიდან შემდგომი ქონება, შემდგომ კი ირჩევენ მათთვის სასურველ სამართლებრივ რეჟიმებს მომავალში შეძენილი ქონებისათვის.
- 10.3.** საქორწინო კონტრაქტის შესავალ ნაწილში აღნიშნული უნდა იყოს კონტრაქტის დადების ადგილი (ქალაქი, რაიონი), კონტრაქტის დადების თარიღი (რიცხვი, თვე, წელი). მითითებული იყოს მხარეების სახელი, გვარი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი (რეგისტრაციის მისამართი პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მიხედვით) და პირადი ნომერი.
- 10.4.** საქორწინო კონტრაქტში უნდა იყოს მოცემული ერთგვარი პრეამბულა, რომელშიც აღნიშნული იქნება კონტრაქტის მხარეთა ნების გამოხატვის თავისუფლების შესახებ. ასევე შესაძლებელია კონტრაქტის ამ ნაწილში იყოს მხარეების დეკლარაციული ხასიათის ფორმულირება რომელიც მიმართული იქნება ოჯახის სიმტკიცის უზრუნველყოფისა და მხარეთა სიყვარულის განმტკიცებისკენ.
- 10.5.** საქორწინო კონტრაქტის ზოგადი ნაწილი უნდა შეიცავდეს ინფორმაციას კონტრაქტის საგნის შესახებ, ანუ განსაზღვრებას თუ რა შეადგენს საქორწინო კონტრაქტის საგანს. ამის გარდა, საქორწინო კონტრაქტის ზოგად ნაწილში მითითებული უნდა იყოს კონტრაქტის მოქმედების ვადა (დადებულია იგი გარკვეული ვადით თუ უვადო).
- 10.6.** საქორწინო კონტრაქტის ძირითადი ნაწილი შესაძლებელია შედგებოდეს რამოდენიმე შემადგენელი ნაწილისაგან:

პირველი ნაწილი: დათქმები, რომელთა ამოცანაა მეუღლეთა შორის არაქონებრივი ხასიათის ურთიერთობის საკითხების რეგულირება;

მეორე ნაწილი: მეუღლეთა შორის ქონებრივი ურთიერთობის საკითხების მარეგულირებელი ნორმების თანმიმდევრული რიგი.

მესამე ნაწილი: მეუღლეთა უფლებები და მოვალეობები;

მეოთხე ნაწილი: მეუღლეთა პასუხისმგებლობა;

მეხუთე ნაწილი: დამატებითი დებულებანი.

**10.7.** საქორწინო კონტრაქტის ძირითადი ნაწილის პირველი ნაწილი შესაძლებელია მოიცავდეს:

**1.** დათქმას მეუღლეთა მიერ საოჯახო ცხოვრების შესახებ გარკვეული "პირადი ხასიათის" ინფორმაციის გაუზრცელებლობის შესახებ;

**2.** დათქმას თითოეული მეუღლის მიერ წარმოებული პირადი მიმოწერის, პირადი ხასიათის ჩანაწერების ხელშეუვალობის შესახებ;

**3.** დათქმას დასვენების დროის ხელშეუვალობის შესახებ;

**4.** დათქმას ერთად (ცოლ-ქმრულ სარეცელში) ძილის შესახებ;

**5.** დათქმას ხელსაყრელი სამუშაო გარემოს და პირობების შექმნის უზრუნველყოფის შესახებ;

**6.** დათქმას რელიგიურ დღესასწაულებზე თავისუფლად დასწრების შესახებ.

**10.8.** შემოთავაზებული კონსტრუქციის ფარგლებში, საქორწინო კონტრაქტის ძირითადი ნაწილის მეორე ნაწილი გვევლინება ერთგვარ ბირთვად, რომელშიც მოქცეულია ის მრავალმხრივი დათქმები, რომლებიც გათვალისწინებული იქნება საქორწინო კონტრაქტის მხარეების მიერ ამა თუ იმ ქონების სამართლებრივი რეჟიმის სახეცვლილებასთან დაკავშირებით.

**10.9.** ისევე, როგორც მთლიანად საქორწინო კონტრაქტი, ასევე მისი შემადგენელი ნაწილები დამოკიდებულია კონტრაქტის მხარეთა ინდივიდუალობაზე და შესაბამისად მათ სპეციფიურ სურვილებზე. საკმაოდ რთულია ერთგვარი საშუალო მაჩვენებლის პოვნა ამ საკითხთან დაკავშირებით.

**10.10.** მიზანშეწონილად მიმაჩნია საქორწინო კონტრაქტში მეუღლეთა უფლებებისა და მოვალეობების შესახებ სამართალმდგომარეობების არსებობა. ბევრი წყვილისათვის შესაძლებელია მისაღები იყოს შემდეგი სამართალმდგომარეობანი:

© გიორგი გ. თუმანიშვილი, 2010

საქორწინო კონტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის არც ერთი ნაწილი, არანაირი მიზეზით, არ შეიძლება კვლავწარმოებული (რეპროდუცირებული) იყოს ნებისმიერი ფორმით და ხერხით - იქნება ეს ელექტრონული თუ მაგნიტური, ციფრული თუ ფოტოკოპირებული ან სხვა საშუალებით, საავტორო უფლების მფლობელის წერილობითი თანხმობის ან/და სათანადო წესით გაწვრთნილებული მითითების გარეშე.

**1. თითოეული მეუღლეს უფლება აქვს:**

- ა) სრულად და შეუზღუდავად ფლობდეს, სარგებლობდეს და განკარგავდეს იმ ქონებას, რომელიც მის განცალკევებულ ან საერთო თანაზიარ ქონებას წარმოადგენს, თუ ამ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი;
- ბ) უპირობოდ, სრულად და შეუზღუდავად ფლობდეს, სარგებლობდეს და განკარგავდეს იმ ქონებას, რომელიც მის ინდივიდუალურ საკუთრებას წარმოადგენს;
- გ) მოითხოვოს მეორე მეუღლისაგან წინამდებარე კონტრაქტით განსაზღვრული სამართალმდგომარეობების შესრულება. არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

**2. თითოეული მეუღლე მოვალეა:**

- ა) დაიცვას წინამდებარე კონტრაქტის სამართალმდგომარეობანი;
- ბ) გაუფრთხილდეს საერთო თანაზიარ საკუთრებაში არსებულ ქონებას და იმ ქონებას, რომელიც მეორე მეუღლის საკუთრებას წარმოადგენს;
- გ) თავი შეიკავოს სარისკო ხელშეკრულებების დადებისაგან (სარისკო ხელშეკრულებებში მოიაზრება ისეთი გარიგებანი, რომელთა დადებით შესაძლებელია მნიშვნელოვანი ზიანი მიადგეს საერთო თანაზიარ ქონებას, ასევე ვალდებულებები, რომელთა შესრულებამ შეიძლება გამოიწვიოს მეუღლეთა შემოსავლის მნიშვნელოვანი შემცირება) აქვე უნდა განისაზღვროს ტერმინის - „მნიშვნელოვანი“ მოცულობის საკითხი.
- დ) შეატყობინოს და გააცნოს თავის კრედიტორ(ებ)ს ან საერთო კრედიტორ(ებ)ს საქორწინო კონტრაქტის ის დებულებები, რომლებსაც შეუძლიათ გარკვეული ზემოქმედება იქონიონ ვალდებულების შესრულებაზე. ასევე შეატყობინოს ზემონახსენებ კრედიტორ(ებ)ს საქორწინო კონტრაქტის შეცვლის ან შეწყვეტის შესახებ;

**10.11.** საქორწინო კონტრაქტში აუცილებლად უნდა იყოს განსაზღვრული მეუღლეთა პასუხისმგებლობის საკითხი და მასთან დაკავშირებული სამართალმდგომარეობანი. მეუღლეთა პასუხისმგებლობის საერთო საფუძვლები შეიძლება იყოს შემდეგი:

1. თითოეული მეუღლე პასუხისმგებელია იმ ვალდებულებებზე, რომლებიც მან აიღო კრედიტორ(ებ)ის წინაშე თავისი განცალკევებული ქონების ფარგლებში. თუ მოვალე მეუღლის განცალკევებული ქონება ვალდებულების დასაფარად არ არის საკმარისი, კრედიტორი უფლებამოსილია მოითხოვოს მოვალე მეუღლის კუთვნილი წილის გამოყოფა მეუღლეთა საერთო თანაზიარი საკუთრებიდან, რომელიც ერგებოდა ამ მეუღლეს საერთო თანაზიარი საკუთრების გაყოფის შემთხვევაში.
  2. მეუღლე არ არის პასუხისმგებელი იმ გარიგებაზე, რომელიც დადებულია მეორე მეუღლის მიერ მისი წერილობითი თანხმობის გარეშე.
  3. მეუღლეები პასუხისმგებლები არიან საერთო თანაზიარ საკუთრებით იმ ვალდებულებებზე, რომლებიც აიღეს ორივემ. ამ შემთხვევაში მათ ეკისრებათ სოლიდარული პასუხისმგებლობა.
- 10.12.** საქორწინო კონტრაქტის ფორმულარში რომელიც შემოთავაზებული კონსტრუქციის მიხედვით ეხება კონტრაქტის დამატებით დებულებებს (სპეციფიურ პირობებს) მიზანშეწონილად მიმაჩნია, რომ იყოს ღია. ანუ მხარეებს მათი სურვილისამებრ შეეძლება კონტრაქტის ამ ნაწილში მიუთითონ ის დამატებითი (სპეციფიური) დებულებები, რომლებიც არ იქნა გათვალისწინებული კონტრაქტის სხვა ნაწილების მიერ. საქორწინო კონტრაქტის ფორმულარი არ უნდა შეიცავდეს სტანდარტულ დამატებით დებულებებს, ვინაიდან ისინი არ შეიძლება იყვნენ თავისი ბუნებიდან გამომდინარე სტანდარტულნი.
- 10.13.** საქორწინო კონტრაქტის დასკვნითი ნაწილი მოიცავს დასკვნით დებულებებს. ეს დებულებანი, ისევე როგორც კონტრაქტის შესავალი ნაწილის დებულებები, შესაძლებელია პრაქტიკულად ყველა შემთხვევაში წყვილისათვის იყოს ერთნაირი და მოიცეოდეს შემდეგ სამართალმდგომარეობებს:
- ა) დათქმას ფორს მაჟორული სიტუაციის შესახებ;
  - ბ) დათქმას სადავო საკითხების გადაწყვეტის შესახებ;
  - გ) დათქმას გამოსაყენებელის სამართლის (ამ სამართლის არჩევის) შესახებ;
  - დ) დათქმას დამატებითი შეთანხმების არარსებობის შესახებ;



- ვ) დათქმას იმის შესახებ, რომ კონტრაქტის რომელიმე მუხლის, დებულების ან პუნქტის ბათილობა არ იწვევს მთლიანად კონტრაქტის ბათილობას;
- გ) დათქმას კონტრაქტში ცვლილებების განხორციელების (წესის) შესახებ;
- გ) დათქმას მხარეების თავისუფალი ნების გამოვლენის შესახებ.
- თ) მონაცემებს კონტრაქტის გვერდების და ეგზემპლართა რაოდენობის, შედგენის ენის, და მათი შენახვის ადგილის შესახებ.

**ნაშრომის მესამე თავი შედგება ხუთი პარაგრაფისაგან.**

**პირველ პარაგრაფში** განხილულია ჰააგის 1905 და 1978 წლის კონვენციების ზოგიერთი სამართალმდგომარეობანი, რომლებიც უშუალოდ ეხება გამოსაყენებელი სამართლის საკითხს მეუღლეთა ქონებრივ ურთიერთობასთან, და მათ შორის მეუღლეთა საკონტრაქტო ურთიერთობასთან მიმართებაში.

განხილულია საფრანგეთის და გერმანიის სამოქალაქო კოდექსში არსებული მუხლები, რომელთა მეშვეობითაც ხდება მეუღლეთა შორის არსებული (კანონით დადგენილ ან/და საქორწინო კონტრაქტით განსაზღვრული) ქონებრივი ურთიერთობის რეგულირება.

#### **მიღებული დასკვნები:**

**11.1.** 1905 დან 1978 წლამდე საერთაშორისო კერძო სამართლის სიბრტყეში არსებითად შეიცვალა მდგომარეობა მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობებისას გამოსაყენებელი სამართლის საკითხთან მიმართებაში. სქესთა თანასწორობის და კერძო საკუთრების აღიარების პრინციპებზე დაფუძნებული 1978 წლის ჰააგის კონვენცია "Convention on the Law Applicable to Matrimonial Property Regimes" ახლებურ მიდგომას აყალიბებს მეუღლეთა საკუთრების სამართლებრივი რეჟიმების მიმართ გამოსაყენებელი სამართლის შესახებ, რომელიც თავის სათანადო ასახვას პოულობს ამა თუ იმ ქვეყნის შიდასახელმწიფოებრივ კოლიზიურ სამართალში.

**11.2.** ფრანგული რევოლუციის შედეგად შექმნილი საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი ეყდრნობა ყველა მოქალაქის თავისუფლებისა და თანასწორობის იდეას. ეს იდეა თავის

გამოხატულებას პოულობს (გარდა სხვა ასპექტებისა) სახელშეკრულებო სამართალში და საკუთრების უფლების აღიარებაში, დიდ ყურადღებას უთმობს მეუღლეთა საკონტრაქტო ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირების საკითხს. მეტად მნიშვნელოვან ფაქტორად მიჩნეულია საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსში მკვეთრად ჩამოყალიბებული დამოკიდებულება მესამე პირების ინტერეს(ებ)თან და ამ ინტერესთა დაცვის საკმაოდ სპეციფიურ ხერხებთან დაკავშირებით, რომელთა გადმოტანა ქართულ სამართალში ჯერ-ჯერობით არ/ვერ ხერხდება.

**11.3.** გერმანელმა კანონმდებელმა გაიზიარა ფრანგული სამოქალაქო კოდექსის სულისკვეთება მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების საკითხში და სათანადო ყურადღება დაუთმო მეუღლეთა საკონტრაქტო ურთიერთობების სამართლებრივი მოწესრიგების საკითხს თავისი ქვეყნის სამოქალაქო სამართალში. აღნიშნულმა ფაქტმა დადებითი ზეგავლენა მოახდინა კონტინენტური ევროპის სამართლის სისტემის ქვეყნების სამოქალაქო კოდექსებზე, რომლებმაც გაიზიარეს ამ ორი უდიდესი კოდიფიკაციის პრინციპები და საყრდენი დებულებანი.

**11.4.** საფრანგეთის და გერმანიის ქვეყნების სამოქალაქო სამართალში არსებული ნორმების სათანადო შესწავლა გვამღევს უფლებას გამოვთქვათ მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ზოგიერთი ნორმის გადმოტანა ქართულ კანონმდებლობაში უპრიანად და მიზანშეწონილად შეიძლება იყოს ჩათვლილი. საქართველოში ზოგიერთი ქვეყნის სამართლის ნორმათა სათანადო ადაპტაციის შედეგად, შესაძლებელია მიღებულ იქნას უფრო მოქნილი და ქმედითი გარემო მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების სიბრტყეში. აღნიშნულთან დაკავშირებით მივიჩნევ, რომ სასურველია გაგრძელდეს სათანადო კვლევა-ძიება მინიშნებული მიმართულებით, რაც უთუოდ კეთილად წაადგება და სარგებლის მომტანი იქნება საქართველოს სამართლებრივი სისტემისათვის.

**მესამე თავის მეორე პარაგრაფში** განხილულია საქორწინო კონტრაქტთან დაკავშირებული სამართლებრივი რეგულირების საკითხი საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართალში. გამახვილებულია ყურადღება

კოლიზიური ნორმის თავისებურებებზე და მისი სტრუქტურული აგებულების სპეციფიურობაზე.

საქართველოში მოქმედ სამართლის ნორმებზე დაყრდნობით გაანალიზებულია საქორწინო კონტრაქტის ნამდვილობის, საქორწინო კონტრაქტის ფორმის, კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვის საკითხები. განხილულია ის სამართალმდგომარეობანი, რომელნიც აწესრიგებენ საქორწინო კონტრაქტთან დაკავშირებულ გამოსაყენებელ სამართალს და მის არჩევის თავისებურებებს.

აღნიშნულია, რომ კოლიზიური პრობლემა არის სამართლის არჩევის პრობლემა, რომელიც უნდა იყოს გამოყენებული ამა თუ იმ ურთიერთობის მოსაწესრიგებლად. ეს საკითხი ახასიათებს საერთაშორისო კერძო სამართალს და შეიძლება ჩაითვალოს მისთვის ტიპიურ საკითხად. აღსანიშნავია, რომ ის სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობები, რომლებიც მოიცავენ "უცხო ელემენტს", წარმოქმნიან ხშირ შემთხვევაში კოლიზიას სხვადასხვა ქვეყნის სამოქალაქო სამართალს შორის. პრობლემატური საკითხის არსი მდგომარეობს იმ გარეობის დაზუსტებაში, თუ რომელი ქვეყნის სამოქალაქო სამართლის მიხედვით უნდა წყდებოდეს ხსენებულ ურთიერთობის მოწესრიგება.

### **კვლევის შედეგები:**

- 12.1.** არაქონებრივი უფლებებთან მიმართებაში გამოსაყენებელ სამართალთან დაკავშირებით გამოიყენება იმ ქვეყნის სამართალი სადაც ეს უფლებანი უნდა იქნეს გამოყენებული.
- 12.2.** საქორწინო კონტრაქტის მხარეებს საქორწინო კონტრაქტში შეუძლიათ აირჩიონ კონტრაქტის მიმართ გამოსაყენებელი სამართალი.
- 12.3.** საკონტრაქტო ურთიერთობებიდან გამომდინარე უფლებამოვალეობების განსაზღვრა, კერძოდ კი: კონტრაქტის განმარტება, შესრულება, შეწყვეტა, აგრეთვე ბათილობის შედეგები, ვალდებულებათა დარღვევა (კონტრაქტის შემდგომი ვალდებულებების დარღვევის ჩათვლით), შესაძლებელია მოწესრიგებულ იქნეს საქორწინო კონტრაქტის მხარეების მიერ არჩეული ქვეყნის სამართალი.
- 12.4.** საქორწინო კონტრაქტის მხარეებს შეუძლიათ აირჩიონ იმ ქვეყნის სამართალი, რომელიც მიუთითებს იმ ქვეყნის სამართალზე,

---

© გიორგი გ. თუმანიშვილი, 2010  
საქორწინო კონტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის არც ერთი ნაწილი, არანაირი მიზეზით, არ შეიძლება კვლავწარმოებული (რეპროდუცირებული) იყოს ნებისმიერი ფორმით და ხერხით - იქნება ეს ელექტრონული თუ მაგნიტური, ციფრული თუ ფოტოკოპირებული ან სხვა საშუალებით, საავტორო უფლების მფლობელის წერილობითი თანხმობის ან/და სათანადო წესით გახსოვრიელებული მითითების გარეშე.

რომელსაც ერთ-ერთი მეუღლე განეკუთვნება, ან სადაც ერთ-ერთ მეუღლეს აქვს ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი, ან სადაც იმყოფება უძრავი ქონება. მხარეების მიერ არჩეული ქვეყნის სამართალი შეიძლება შეიცვალოს სხვა ქვეყნის სამართლით კონტრაქტის დადების შემდეგაც.

**12.5.** სამართლის არჩევა აუცილებლად უნდა გაფორმდეს სანოტარო წესით. მნიშვნელოვნად მიგვაჩნია საქართველოს კანონმდებლის მიერ მოცემული განსაზღვრება, რომ "სამართლის არჩევა ბათილად იქნება მიჩნეული, თუ იგი უგულებელყოფს კონტრაქტთან ყველაზე მჭიდროდ დაკავშირებული ქვეყნის სამართლის იმპერატიულ ნორმებს".

- ა) იმ შემთხვევაში, თუ მხარეები არ აირჩივენ რომელიმე ქვეყნის სამართალს, საქორწინო კონტრაქტი დაექვემდებარება მასთან ყველაზე მჭიდროდ დაკავშირებული ქვეყნის სამართალს.
- ბ) საქორწინო კონტრაქტიდან გამომდინარე კონტრაქტის მხარ(ეებ)ის მოთხოვნათა ხანდაზმულობა განსაზღვრება იმ ქვეყნის სამართლით, რომელიც ამ მოთხოვნის მიმართ გამოიყენება.

**მესამე თავის მესამე პარაგრაფში** განხილულია საქორწინო კონტრაქტის საკითხი დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში შემავალი ქვეყნების კოლიზიურ სამართალში. განხილულია სომხეთის, ბელორუსიის, ყაზახეთის, ყირგიზეთის და უზბეკეთის შიდაკანონმდებლობაში არსებული სამართლებრივი ნორმების საქორწინო კონტრაქტთან მიმართებაში. გამახვილებულია ყურადღება დსთ-ში შემავალი ქვეყნების საერთაშორისო კერძო სამართლის საკითხების სპეციფიურობაზე და დამახასიათებელ ნიშნებზე.

### კვლევის შედეგები:

დღეისათვის, კოლიზიური რეგულირების ახალი ნორმატიული აქტები დსთ-ს ფარგლებში მიღებულია ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა საქართველო, სომხეთი, ბელორუსია, ყაზახეთი, უზბეკეთი, რუსეთი. ყველა ზემოჩამოთვლილი სახელმწიფო, საქართველოს გარდა წავიდა იმ გზით, რომ გამოიყენა რა სამოქალაქო კოდექსის VII თავი "საერთაშორისო კერძო სამართალი", ანუ დსთ-ს ქვეყნებისათვის რეკომენდირებული, სამოქალაქო კოდექსის მესამე მოდელური ვარიანტის ერთ-ერთი თავი,

© გიორგი გ. თუმანიშვილი, 2010  
საქორწინო კონტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის არც ერთი ნაწილი, არანაირი მიზეზით, არ შეიძლება კვლავწარმოებული (რეპროდუცირებული) იყოს ნებისმიერი ფორმით და ხერხით - იქნება ეს ელექტრონული თუ მაგნიტური, ციფრული თუ ფოტოკოპირებული ან სხვა საშუალებით, საავტორო უფლების მფლობელის წერილობითი თანხმობის ან/და სათანადო წესით გახსოვრიელებული მითითების გარეშე.

რომელიც თავდაპირველად შემოთავაზებული იყო, ხოლო შემდგომ 1996 წლის 17 თებერვალს მიღებულ იქნა დსთ-ს საპარლამენტაშორისო ასსამბლეის მიერ.

დსთ-ს მოდელურ სამოქალაქო კოდექსზე დაფუძნებულ კოლიზიურ სამართალს, რომელსაც იყენებენ ჩამოთვლილი ქვეყნები, ახასიათებს შემდეგი ნიშნები:

- ა) კოლიზიური რეგულირების ნორმები თავმოყრილია სამოქალაქო კოდექსში და მათი ერთობლიობა წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს. ამ ქვეყნებში არ არსებობს ერთიანი დამოუკიდებელი ნორმატიული აქტი, რომელიც აწესრიგებს საერთაშორისო კერძოსამართლებრივ ურთიერთობებს;
- ბ) სამოქალაქო კოდექსებში არსებული ნორმები მიმართულია მხოლოდ კოლიზიური რეგულირებისაკენ. ხსენებულ კოდექსებში არ არის მოცემული ნორმები, რომლებიც აწესრიგებენ საერთაშორისო კერძო სამართლის პროცესთან დაკავშირებულ საკითხებს;
- გ) არასაკმარისად მოიცავს იმ საკითხთა წრის რეგულირებას, რომელსაც შეიცავს ერთიანი ნორმატიული აქტი, რომელიც ემსახურება საერთაშორისო კერძოსამართლებრივი საკითხების მოწესრიგებას. გამონაკლისს შეადგენს „ნების ავტონომიის ინსტიტუტი“ რომელიც დაწვრილებით არის რეგულირებული იმ ქვეყნების სამოქალაქო კოდექსებში, რომლებიც შეიცავენ საერთაშორისო კერძო სამართლის საკითხებს.
- დ) ერთიანი „კოლიზიური სივრცე“ რომელიც ჩაფიქრებული იყო დსთ-ში შემავალი სახელმწიფოებისათვის იმისათვის, რომ ერთი შეხედვით გაემარტივებინათ "პოსტკომუნისტურ სივრცეში" აღმოცენებული დამოუკიდებელი სახელმწიფოებისათვის კოლიზიური საკითხების გადაწყვეტა, მაგრამ, ჩვენი აზრით, მისი არსობრივი დატვირთვა უშუალოდ დაკავშირებულია რუსეთისთვის ჩვეულ იმპერიულ ამბიციასთან, და მის სურვილთან, მოახდინოს ხსენებული სახელმწიფოების ერთიან სამართლებრივ სივრცეში მოქცევა, და ამით, რუსული სულისკვეთების და სოციალურ-პოლიტიკური გავლენის დამკვიდრება და გაბატონება.

ნაშრომის მესამე თავის მეოთხე პარაგრაფში განხილული და გაანალიზებულია საქორწინო კონტრაქტის საკითხი ზოგიერთი საზღვარგარეთის ქვეყნის კოლიზიურ სამართალში. მოცემულია საერთაშორისო სამართლის კოდიფიკაციის ისტორიის ქრონოლოგია. ეს ქრონოლოგია პირობითად დაყოფილია სამ ეტაპად. შესწავლილია ხსენებული ეტაპების სპეციფიურობა. პარაგრაფში წარმოდგენილი კვლევა-ძიება მოიცავს ავსტრიის, ბურკინა-ფასოს, ინგლისის, უნგრეთის, ვენესუელის, გერმანიის, საფრანგეთის, შვეიცარიის, ესპანეთის, პოლონეთის, პორტუგალიის, ტაილანდის, ირანისა და იაპონიის საერთაშორისო კერძო-სამართლებრივი რეგულირების საკითხებს, საქორწინო კონტრაქტთან მიმართებაში. კვლევა-ძიება წარმოებს ზემოაღნიშნული ქვეყნების შიდაკანონმდებლობაზე დაყრდნობით.

აღნიშნულია ის გარემოება, რომ, საქორწინო კონტრაქტთან მიმართებაში კოლიზიურ სამართალში არსებობს მიდგომათა სიმრავლე. ამავე დროს, საზღვარგარეთის სახელმწიფოების კოლიზიურ სამართალს შორის, საქორწინო კონტრაქტთან მიმართებაში შეიმჩნევა ერთგვარი მსგავსება, მიდგომების კონცეპტუალური არსის ერთ ძირითად კალაპოტში მომწყვედების მცდელობა, ზოგ შემთხვევაში კი პირდაპირი ანალოგია, რაც ყველაზე მეტად დამახასიათებელია იმ სახელმწიფოების კოლიზიურ სამართლისათვის, რომლებიც ეკუთვნიან, ეგრეთ წოდებულ "პოსტ-კომუნისტურ" სივრცეს. ნაშრომში გამახვილებული ტენდენცია, რომელიც ატარებს ზოგად ხასიათს, უდაოდ ამარტივებს სამართალურთიერთობაში უცხოური ელემენტის არსებობისას კოლიზიური ნორმების გამოყენებას.

ხსენებულ გარემოებათა გათვალისწინებით, ჩატარებული კვლევის შედეგებში მოყვანილია ზოგიერთი მათგანი, რომლებიც მათთვის ყველაზე დამახასიათებელი თვისებების მატარებლები არიან და შესაძლებლობას იძლევიან სრულფასოვნად გააშუქონ ნაშრომში გამოტანილი საკითხების პრობლემატიკა.

### **კვლევის შედეგები:**

#### **ავსტრია**

1. 1978 წლის 15 ივნისს ავსტრიაში მიღებულ იქნა (ხოლო ძალაში შევიდა 1979 წლის 1 იანვარს) ფედერალური კანონი საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ. ეს კანონი იცნობს რა საქორწინო კონტრაქტის

ინსტიტუტს §19-ში განსაზღვრავს, რომ: იმ ქონების მიმართ, რომელიც შეძენილია ქორწინების პერიოდში გამოიყენება იმ ქვეყნის სამართალი, რომელიც მხარეებმა აირჩიეს საქორწინო კონტრაქტის დადებისას.

2. ფედერალური კანონის მიხედვით, თუ ქორწინება მომხდარია ავსტრიის კანონმდებლობის შესაბამისად და მისი სრული დაცვით, მაშინ ქორწინების შედეგების მიმართ (მათ შორის საქორწინო კონტრაქტის მიმართ, თუ მხარეებმა არ განსაზღვრეს კონტრაქტში გამოსაყენებელი სამართალი) გამოიყენება ავსტრიის კანონმდებლობა, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მეუღლეებს აქვთ უფრო მჭიდრო კავშირი რომელიმე მესამე ქვეყანასთან – გამოიყენებულ უნდა იქნეს იმ ქვეყნის კანონმდებლობა.

### გერმანია

1. გერმანიაში საერთაშორისო კერძო სამართლებრივი ნორმების უმრავლესობა თავმოყრილია გერმანული სამოქალაქო სჯულდების შესავალი კანონის მეორე თავში. აღნიშნული თავის 15-ე მუხლის მიხედვით მეუღლეებს აქვთ უფლება აირჩიონ მათი ქონებრივი ურთიერთობების მიმართ იმ ქვეყნის სამართალი რომლის მოქალაქეც არის ერთ-ერთი მეუღლე, ასევე იმ ქვეყნის სამართალი რომელ ქვეყანაშიც ერთ-ერთ მეუღლეს აქვს ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი ან თუ ურთიერთობა ეხება უმრავ ქონებას ამ ქონების ადგილმდებარეობის ქვეყნის სამართალი.
2. რაც შეეხება კონტრაქტის ფორმას, გერმანიის საერთაშორისო კერძო სამართლის კანონმდებლობის მიხედვით, კონტრაქტი ფორმის დაცვით დადებულად მიიჩნევა თუ მისი ფორმა შეესაბამება იმ ქვეყნის სამართალს რომელიც გამოყენებულ უნდა იქნეს კონტრაქტის საგნის მიმართ, ან იმ ქვეყნის სამართალს სადაც იქნა დადებული კონტრაქტი.

### საფრანგეთი

1. საფრანგეთის სახელმწიფო ერთია იმ მრავალ განვითარებულ ევროპულ სახელმწიფოთაგან, რომელშიც კოლიზიური სამართალი არ არის კოდიფიცირებული ერთიან ნორმატიულ აქტში. ამ სფეროში ძირითად წყაროდ საფრანგეთში გვევლინება სასამართლო პრაქტიკა, რომელიც თავდაპირველად ეფუძნებოდა 1804 წლის სამოქალაქო კოდექსის ("ნაპოლეონის კოდექსის") რამოდენიმე სამართალმდგომარეობას.

2. საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1397-3-ე მუხლი ისევე, როგორც 1397-4-ე მუხლი ეზღვნება მეუღლეების მიერ სამართლის არჩევის საკითხს. ამ მუხლების მიხედვით მეუღლეებს შეუძლიათ აირჩიონ ქონებრივი რეჟიმის მიმართ გამოსაყენებელი სამართალი, როგორც ქორწინებამდე ისე ქორწინების განმავლობაში ნებისმიერ დროს. იმ შემთხვევაში თუ გამოსაყენებელი სამართლის არჩევა ხდება ქორწინების რეგისტრაციის შემდეგ, მაშინ მეუღლეებმა უნდა დაიცვან საჯაროობის მოთხოვნები რომლებიც დადგენილია საფრანგეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსით. საჯაროობის მოთხოვნები ასევე დაცული უნდა იყოს მეუღლეების ქონებრივი რეჟიმის ნებისმიერი ცვლილების განხორციელებისას, როდესაც ეს ცვლილება გამოწვეულია უცხოური სამართლით (რომელიც აწესრიგებს ქორწინების შედეგებს).

### შვეიცარია

